# კვირის პალიტრა

ქართული გაზეთი

№ 49 (458) ◆ 8 – 14 დეკემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




გვ.7

## არ დავსაჯოთ ეს ხალხი?!

როგორი დაძაბული ურთიერთობაც უნდა მქონდეს შევარდნაძესთან, ვერ ვიტყვი, რომ ის თვითონ მონაწილეობდა კორუფციაში, მაგრამ... არ დავსაჯოთ ეს ხალხი, რომელთა კორუმპირებულობის შესახებ მთელმა საზოგადოებამ იცის?! თუ ფრთიანი ანგელოზები ვეძებოთ და სანამ მათით არ დავაკომპლექტებთ სამართალდამცავ სტრუქტურებს, ხელი ავიღოთ კორუფციასთან ბრძოლაზე?!

**თქვა, მივდივარ და უკან მობრუნებას აღარ ვაპირებო**



## პრეზიდენტზე გაცემული ხელშეუხებლობის პირობა მქიმეწონიან მოხელეებზე არ ვრცელდება

## კორუფციასთან ბრძოლა თუ პოლიტიკური ტერორი? კომპრომატების ომი დაიწყო!

გვ.5

## „კვირის პალიტრა“ თქვენი დახმარებით უფრო უკეთესი და საინტერესო გახდება

თუ ჯერ არ შეგივსიათ ჩვენი ტრადიციული კითხვარი, კიდევ ერთხელ გეძლევათ საშუალება, თქვენი გაზეთის შესახებ საკუთარი აზრი დააფიქსიროთ.

გვ.26

„კვირის პალიტრა“ თქვენი დახმარებით გახდება უფრო უკეთესი და საინტერესო.

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

## „დინამიკური ქაოსი“, რომელიც იმართება?!

„როდის იყო, გატაცებული მანქანა კუს ტბაზე მიჰყავდათ, იქ ხომ ჩიხია და ველარსად გაიქცევი: უბრალოდ, ბოროტმოქმედებს მხოლოდ დანაშაულის დაფიქსირება ჰქონდათ განზრახული, რათა შეიქმნას საერთაშორისო აზრი, რომ საქართველოში არა მარტო ბანკები იძარცვება, უცხოელი დიპლომატებიც გამუდმებული საშიშროების წინაშე დგანან.“

## დროზე უნდა მიხედვა, თორემ მერე გვიან იქნება...

*დღეს ეს ხალხი – კანონიერი ქურდები თუ კორუმპირებული ჩინოვნიკები – სერიოზული საშიშროების წინაშე დგანან. მათ შეიძლება დაკარგონ ყველაფერი, რაც უნიათო ხელისუფლების დროს შეიძინეს.*

გვ.5

## მე ისეთ მთავრობასთან ვიმუშავებ, რომელიც ჩემს იდეებს მოიწონებს

გვ.6,7



ეკონომიკისადმი მიშას დამოკიდებულება, ხედვა, კერძოდ კი – გადასახადების გაუქმება, მცირე საწარმოებისათვის გადასახადების მოხსნა და მსგავსი განცხადებები ჩემთვის, როგორც ეკონომისტისათვის, მიუღებელია.

თუმც არის საკითხები, რომლებშიც ერთიანი ხედვა გვაქვს – კერძოდ, ეს არის სოციალური ასპექტის წინა პლანზე წამოწევა, რომ ჩვენ ეტაპობრივი კი არა, რადიკალური განვითარების გზა უნდა ავირჩიოთ.

**გიორგი მაისაშვილი**

## თალღითმა ქირისუფალს 6.000 დოლარი დასცინცლა(?!)

## ქართველი პარტიზანების გმირობის დღემდე უცნობი დეტალები

გვ.12,26

ომმა ისინი მოუხელთებელ პარტიზანებად აქცია, ზარანდიას აფხაზებმა „ანარხუ“ შეარქვეს, რაც ქართულად „მოუხელთებელს“ ნიშნავს.

ფეხმოწყვეტილი ბახვა და თენგო ზარანდია ათობით აფხაზ ბოევიკს კარგა ხანს იგერიებდნენ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ორმა კაცმა შვიდი აფხაზი გაისტუმრა იმ ქვეყანას და ერთი ამდენი მძიმედ დაჭრა... მოულოდნელად ორი გასროლის ხმა გაისმა. ტყვედ ჩავარდნას, თენგომ და ბახვამ თვითმკვლელობა ამჯობინეს“(!).



## პატივი ვცეთ გათენებას...

...ამ ქაოსში, ცხოვრება რომ ჰქვია, ჩვენ მთავარი გვავიწყდება. რამხელა მადლია, რომ იღვიძებ და ყველა ცოცხალია, ყველა კარგად არის. ჩვენ დაგვავიწყდა, რომ პატივი უნდა ვცეთ, მუხლი მოვუდრიკოთ გათენებას, მშვიდობიან გათენებას.

...შევიძინე აგარაკი, ვარდები დავრგე, იშვიათი სანახავია... მინდა ბევრი მინდვრის ყვავილი დავრგო ეზოში და თუ შემოვრჩი ამ ქვეყანას, იქ ვიცხოვრო: ჭრიჭინების ხმებში, ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ, თბილ მიწაზე...

გვ.17

## „ყაზბეგის“ მორიგი საერთაშორისო აღიარება

გვ.7

## საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განცხადება

**საპენსიო რეფორმა დაიწყო**

გვ.8

## თუ გსურთ საჩუქრად მიიღოთ:

„კვირის პალიტრის“ 2004 წლის კედლის მოსახევი კალენდარი, ქართული და უცხოური ზღაპრების აუდიოკასეტა და ვაჟა გავაშელის რჩეულ მოთხრობათა კრებული – „ვერსია“...

გვ.23



გვ.13

## ასკარიდას „მასკარადი“

### ქათმის კვერცხში შეიძლება 11-სანტიმეტრიანი ჭია აღმოაჩინოთ!..

ექსპერტები საგონებელში ჩააგდო ქათმის კვერცხში მისი აღმოჩენის ფაქტმა; ვიდრე ვეტერინარული დიაგნოსტიკის და ექსპერტიზის ეროვნული ცენტრის დასკვნას მივიღებდით, თითქმის ყველა ერთხმად ირწმუნებოდა, შეუძლებელია ასკარიდა, რომელიც ბუდობს ადამიანის, ცხოველის ან ფრინველის ნაწლავში, კვერცხში აღმოჩნდესო(?!).

**მშვიდობიან კვირას გისურვებთ!**

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## კრიმინალური ქრონიკა

კრიმინალური თვალსაზრისით ისედაც საკმაოდ მძიმე კვირა, ბოლო დღეს კიდევ უფრო დამძიმდა. „ტოიოტას" ცენტრი დააყაჩაღეს — „დიორს-მოტორსის" ოფისში მისულმა გამტაცებლებმა „ტოიოტას" მარკის ოთხი ავტომობილი გაიტაცეს. კომპანია „დიორს-მოტორსი" ნავთობკომპანია „სპიკაფ-პეტროფაგის" კონტრაქტორია. მის საკუთრებაში 20 მანქანა შედიოდა. აქედან 16 უკვე გადაეცა ნავთობკომპანიას. გატაცების დეტალები უცნობია. საქმეს პროკურატურა იძიებს. „დიორს-მოტორსის" დირექტორის მანანა გაბეჩავას განცხადებით, ოფისზე შეიარაღებული თავდასხმა კვირას, გამთენიისას მოხდა. ხოლო ნაშუაღამევს, დაბა წყნეთში, ცნობილი მეტყევის, შოთა მეფარიძის შვილისა და მომღერალ აჩი მეფარიძის ძმის ექიმ გივი მეფარიძის სახლს ესროლეს. საძინებელი ოთახის ფანჯარას ერთი ტყვია აქვს მოხვედრილი. სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით არის აღძრული. მას საბურთალოს რაიონის პოლიცია იძიებს. გივი მეფარიძე ამ ამბავში ადანაშაულებს წყნეთის გამგეობას და აცხადებს, რომ ამ ეჭვის საბაბი მეფარიძეებს ნამდვილად აქვთ.

## დამკვირვებელი მშვენიერაძე თავისუფალია

აჭარის სამართალდამცველებმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი გიორგი მშვენიერაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. იგი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს „სამართლიანი არჩევნების" ეგიდით ქობულეთის რაიონში აკვირდებოდა. ხულიგნობის და არჩევნების ჩაშლის მოტივით ჯერ ქობულეთის საქალაქო, შემდეგ კი აჭარის უმაღლესმა სასამართლომ მშვენიერაძეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. გავრცელებული ინფორმაციით, ტუსაღის გათავისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აშშ-ის მთავრობის ზეწოლის შედეგად მოხდა. ყოფილი პატიმარი ჯანმრთელობას არ უჩივის და აცხადებს, რომ პატიმრობის პერიოდში მასზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აჭარის სამართალდამცავების მიმართ სარჩელის აღძვრაზე ჯერ არაფერს ამბობს. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გადაწყვეტილების მიხედვით იმოქმედებს.

## სტუმრად მესაზღვრეებთან

საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი გირევში, შატილსა და ბარისახოში მესაზღვრეებთან სტუმრობდა. სააკაშვილის განცხადებით, მას თავისი თვალით სურდა ენახა, რა მდგომარეობაა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე. „არსებობს ინფორმაცია, თითქოს დივერსიული ჯგუფები შემოიგზავნება ჩვენს საზღვრებზე, ამიტომაც გადავწყვიტე მესაზღვრეები მენახა და გამემხნევებინა. ნამდვილად რთული პერიოდია, მაგრამ ჩემს დროს საზღვრები დაცული იქნება ყველანაირი ტერორის, დივერსიული ჯგუფებისა და კონტრაბანდისაგან, — აღნიშნა სააკაშვილმა, რომელიც საბჭოთა ჯარში თურმე მესაზღვრედ მსახურობდა. პრეზიდენტობის კანდიდატი კმაყოფილია მესაზღვრეების საქმიანობით და აღნიშნავს, რომ ყველაზე კარგი სასაზღვრო სამსახური საქართველოს აქვს(?!). მესაზღვრეების მონახულების შემდეგ სააკაშვილი ბათუმში მიმდინარე კონსულტაციებს გამოეხმაურა და იმ პოლიტიკოსებს, ვინც ასლან აბაშიძესთან მოლაპარაკებაზე ჩავიდა, გაკოტრებულები უწოდა. — მე არ ვაპირებ ასლან აბაშიძეს რაღაცებზე ვეხვეწო, მსურს მასთან მშვიდობიანი, წყნარი, ცივილიზებული ურთიერთობა. საქართველო არის ყველა ჩვენგანის და უნდა ვიმოქმედოთ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების მიხედვით, რისთვისაც საჭიროა პირად ბოლმასა და შუღლს ვძლიოთ. თუ ვინმეს უნდა, რომ საქართველოში 4 იანვრის შემდეგ დაიწყოს სამოქალაქო ომი და არეულობა, ამას ვერ ეღირსებიან. ქართველი ხალხი არის ერთიანი და რჩეულიშვილები, სარიშვილები და ჭაობის არსებები(?) საქართველოში ომის დაწყებას ვერ შეძლებენ, — განაცხადა სააკაშვილმა და აკაკი ასათიანის მიმართაც ისროლა რეპლიკა, — აკაკი ასათიანმა ვერ იპოვა თავისი ადგილი აქეთ მხარეს და ახლა იქით ეძებს ადგილს. ასეთი ადამიანი, რომელიც წინ და უკან დარბის, რა პატივისცემას იმსახურებს, ეს თვითონ განსაჯეთო, — თქვა სააკაშვილმა.

## საპარლამენტო არჩევნები შეიძლება გადაიდოს

ცესკოს ახალმა ხელმძღვანელობამ განიხილა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საკითხი და კანონის შესაბამისად (საპარლამენტო არჩევნების გაუქმების შემდეგ, კანონით ცესკომ ახალი არჩევნები ორი თვის ვადაში უნდა დანიშნოს) მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით საპარლამენტო არჩევნები 25 იანვარს დაინიშნა. მიუხედავად ამისა, ცესკოს წევრებმა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძეს არჩევნების გადადების თხოვნით მიმართეს. ახალი საარჩევნო ადმინისტრაციის ვარაუდით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაზაფხულზე უნდა დაინიშნოს. ცესკოს ახალი თავმჯდომარის, ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, 25 იანვარს საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. იმავე მოსაზრებას გამოთქვამენ იურისტები და ძველი და ახალი საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებიც. საპარლამენტო არჩევნების 25 იანვარს ჩატარებას ეწინააღმდეგება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიაც. როგორც ქალაქ მაასტრიხტში, ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრების ფორუმის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ეუთოს რჩევით, საპარლამენტო არჩევნები აპრილ-მაისისთვის იგეგმება. მაასტრიხტში გადაწყდა, რომ ეუთოს წევრი ქვეყნები საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთვის 6,5 მლნ აშშ დოლარს გამოყოფენ.

## ბუში პუტინის მადლობელია

რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა და რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სატელეფონო საუბრის დროს სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოში მიმდინარე მოვლენებიც მიმოიხილეს. ბუშმა კმაყოფილება გამოთქვა რუსეთის მიერ საქართველოში სიტუაციის გამძაფრების თავიდან აცილების მიზნით გადადგმული ნაბიჯების გამო. თუ პუტინის პრესსამსახურს დაეჯერება, ბუში და პუტინი შეთანხმდნენ, რომ ხელს შეუწყობენ საქართველოში სტაბილიზაციის პროცესებს და საპრეზიდენტო არჩევნების საერთაშორისო მონიტორინგის უზრუნველყოფას.

## რამსფელდს კმაყოფილება ბაღდადშიც გაჰყვა...

პენტაგონის შეფი დონალდ რამსფელდი საქართველოში ერთდღიანი ვიზიტით კმაყოფილია, რის შესახებაც მან თანმხლებ ჟურნალისტებს ბაღდადიდან ვაშინგტონში გამგზავრებისას განუცხადა. აშშ-ის სამხედრო უწყების პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით, რამსფელდი დადებითად აფასებს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის, ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილის ერთობლივ თანამშრომლობასა და თანხმობას საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების წინ. რამსფელდი აღნიშნავს, რომ სამივე ლიდერი საერთო საქმეს აკეთებს, რასაც დადებითად აფასებს აშშ-ის ადმინისტრაცია, რომელიც დაინტერესებულია, ყველანაირად დაეხმაროს საქართველოს.

## გერმანული „ჰუმანიტარული" დახმარება

საპრეზიდენტო არჩევნების მომზადებაში საქართველოს ფინანსურ დახმარებას გაუწევს გერმანიის მთავრობაც. ამ მიზნით გერმანელები 750 ათას ევროს გამოყოფენ. ეს სახსრები ამომრჩევლებთან საგანმანათლებლო სამსახურის, ამომრჩეველთა რეგისტრაციის ორგანიზების, საარჩევნო უბნების პერსონალის სწავლებისა და არჩევნების მონიტორინგისთვის საქართველოში გერმანიიდან გამოგზავნილი 40 დამკვირვებლის დაფინანსებას მოხმარდება. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოშკა ფიშერი კი საქართველოს დროებით ხელისუფლებას მოუწოდებს, ხელი შეუწყოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ეუთოს ნორმების მიხედვით, რათა ამით აღიკვეთოს საპარლამენტო არჩევნების დროს დაშვებული დარღვევების შედეგად წარმოქმნილი დემოკრატიის დეფიციტი.

## ისევ ამომრჩეველთა სიების საკითხი

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძესთან შეთანხმებით, ამ კვირას გაიმართება პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, სადაც საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების მიღებას შეეცდებიან, რომელთა მიხედვითაც პარლამენტი უფლებამოსილებას მიანიჭებს ცესკოს, წინასწარი რეგისტრაციის პრინციპის სახით თავად შეიმუშაოს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესი. პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიგი წერეთლის განცხადებით, რიგგარეშე სხდომაზე კვორუმის პრობლემა არ იქნება, რადგან მისი აზრით, შესაძლოა, ამ კვირას პოლიტიკური მოვლენები იმგვარად განვითარდეს, რომ ზოგი საპარლამენტო ფრაქცია პარლამენტს დაუბრუნდეს. პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე კენჭისყრა კვორუმის არარსებობის გამო დღემდე ვერ შეძლო. თუმცა ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის საკითხს პარლამენტში უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა და საეჭვოა, მის დადებითად გადაწყვეტას მხოლოდ 118 დეპუტატის მისვლამ უშველოს.

## აჭარა კვლავ უარზეა

ბათუმში მყოფი ტრადიციონალისტთა ლიდერი აკაკი ასათიანი ასლან აბაშიძესთან კონსულტაციებს კვლავ მართავს. უკვე ცნობილია ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ახალი გეგმა, რომელიც არჩევნების ბოიკოტირებას ითვალისწინებს. სარიშვილი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს, რითაც საპრეზიდენტო არჩევნების ნახევარი წლით გადადებას მოითხოვს. არც ასლან აბაშიძე იცვლის პოზიციას და საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტირებას აპირებს. მრეწველთა წარმომადგენელი ლევან პირველიც ბათუმში სტუმრობდა. მრეწველი ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, ისინი მხარს უჭერენ საპრეზიდენტო არჩევნების კონსტიტუციურ ვადებში ჩატარებას. თუმცა, ამისთვის, მათი აზრით, აუცილებელია ასლან აბაშიძის თანხმობა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, აჭარაში მიდის მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ჩაშალონ და კვორუმი არ შედგეს. აჭარაში საარჩევნო უბნები შეიძლება გაიხსნას, მაგრამ ხალხს ხმის მისაცემად არ მიუშვებენ, — აცხადებს სააკაშვილი.

## ყველაფერს ვიწყებთ თავიდან...

— ასეთია აშშ-ის ხელისუფლების პოზიცია საქართველოს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ოკეანისგაღმელმა მეგობრებმა დღემდე ვერ გაარკვიეს, სად გაქრა ბოლო წლებში საქართველოსთვის აშშ-ის მიერ გაწეული დახმარება, ოფიციალური ვაშინგტონი საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობას განაგრძობს და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარებულ მილიარდებს (რომლებიც შესაძლოა, ჩვენი შვილიშვილების გასასტუმრებელი გახდეს) ახალი ვალები დაემატება — აშშ-ის ხელისუფლება საქართველოს დროებით მთავრობას მხოლოდ ზამთრის სეზონის გადასატანად 5 მლნ ამერიკული დოლარით დაეხმარება — ოთხი ათასი ოჯახის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს ამერიკული მხარე გადაიხდის. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილის ლინ პასკოს განცხადებით, აშშ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში არსებული ეკონომიკური კრიზისი შედარებით უმტკივნეულოდ გადალახოს. ლინ პასკოს თქმით, აშშ-ის სახელმწიფო ადმინისტრაცია განსაკუთრებული ინტერესით ელოდება მომავალ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში და თუ მათი ხარისხი დემოკრატიულ ნორმებთან სრულ შესაბამისობაში იქნება, აშშ-ის დახმარებები კიდევ უფრო გაიზრდება. პასკო, რომელიც საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვით ქართულ ხელისუფლებაზე მეტი ოპტიმიზმითაც კი უყურებს, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესაც ესტუმრა და პრეზიდენტ ბუშის წერილი გადასცა, სადაც ბუში შევარდნაძეს მადლობას უხდიდა აშშ-ისთვის მძიმე წუთებში მხარდაჭერისა და გვერდში დგომისთვის.

## ეს პარლამენტიც გასარეკია

1999 წლის მოწვევის პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დემურ გიორხელიძე ქვეყანაში პოლიტიკური ამინდის შემქმნელი პოლიტიკური პარტიის ლიდერებს მოუწოდებს, პარლამენტის დარბაზში აწარმოონ სახელმწიფო პოლიტიკა. გიორხელიძის განცხადებით, პოლიტიკური პარტიის ლიდერებისთვის პარლამენტი მეორეხარისხოვანი პოლიტიკოსების შეხვედრის ადგილია და თვითონ კი ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრისთვის კაბინეტებში იკრიბებიან და შემდეგ საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად პარტიების მეორე პირებს აგზავნიან პარლამენტში. გიორხელიძის თქმით, თუ პარლამენტი ორი თვის განმავლობაში კვორუმს ვერ კრებს, ეს საკითხი სასწრაფოდ განსახილველი და მოსაგვარებელია. „პარლამენტში კვორუმის პრობლემის არსებობა იმაზე მიანიშნებს, რომ დეპუტატები საკუთარ მოსახლეობას, ვინც მათ თავის დროზე ნდობა გამოუცხადა, პატივს არ სცემენ და აბუჩად იგდებენ. ამიტომ ეს პარლამენტიც ისევე გასარეკია, როგორც 2003 წლის 2 ნოემბრის მოწვევის პარლამენტი გარეკეს", — აცხადებს დემურ გიორხელიძე.

## ნავთობსადენს ტერაქტი არ ემუქრება

ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური და კრიმინოგენული ვითარების გამო, ამიერიდან ყოველ საღამოს გაიმართება უშიშროების საბჭოს სხდომა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძისა და სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას მეთაურობით. უშიშროების საბჭოს მდივნის თქმით, მიღწეულია შეთანხმება, რომ ყველა ძალოვანმა უწყებამ კოორდინირებულად იმოქმედოს და ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა თანაბრად გადაინაწილოს. უშიშროების მინისტრმა, ვალერი ხაბურძანიამ დაადასტურა, რომ ქვეყანაში მართლაც არსებობს ე. წ. დინამიკური ქაოსის შექმნის მცდელობა და იქვე უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოსდა ტერორისტული აქტები იგეგმებოდეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებარე ნავთობსადენზე. ხაბურძანიამ ასევე უარყო შექმნილი ვითარების დასარეგულირებლად უცხოელი სპეციალისტების მოწვევის შესაძლებლობა და განაცხადა, რომ უშიშროების სამინისტროს ყველა საშუალება აქვს იმისთვის, რომ არსებულ სიტუაციას დამოუკიდებლად გაართვას თავი. თუმცა, ურიგო არ იქნება, თუ უშიშროების სამინისტროს დაფინანსებას გაუზრდიანო, — დასძინა ხაბურძანიამ. ამ მოსაზრებას შს მინისტრი გია ბარამიძეც დაეთანხმა და განაცხადა, რომ ამიერიდან შსს უარს იტყვის ძველ პრაქტიკაზე, როცა საგანგებო სიტუაციის დროს ქვეყანაში პოლიციის პიკეტები და რეიდები ეწყობოდა.

## „პოლიცია – ნარკომანი თანამშრომლების გარეშე!"

ამ დევიზით გატარებული ღონისძიებების შედეგად უკვე რვა სამართალდამცველმა სამუდამოდ დაკარგა პოლიციაში მუშაობის ყველა შანსი. შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის, გიორგი ბარამიძის მიერ დაწყებული პოლიციის წმენდის პროცესი ამ სტრუქტურის ნარკომანებისაგან გათავისუფლებით დაიწყო. შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის, დავით ჯინჯოლავას განცხადებით, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა, წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს ვაკე-საბურთალოს რაიონის საპასპორტო სამსახურის უფროსი კობა მახარაძე, რომელიც თბილისის პროკურორის შვილია. მახარაძემ ნარკოლოგიურ დისპანსერში ანალიზი ნებაყოფლობით ჩააბარა, რის შემდეგაც მისი ნარკოტიკული ნივთიერების, მარიხუანას ზეგავლენის ქვეშ ყოფნა დადასტურდა და, შესაბამისად, ვაკე-საბურთალოს რაიონის საპასპორტო განყოფილების უფროსის თანამდებობას დაემშვიდობა.

## „მის მსოფლიო 2003"

ჩინეთში, ქალაქ სანიაში ჩატარებულ რიგით 53-ე მსოფლიო სილამაზის კონკურსმა ახალი „დედოფალი" გამოავლინა. მსოფლიოს ულამაზესი ქალის ტიტულის მფლობელი „მის კანადა" გახდა. 106 ულამაზეს კონკურენტს შორის იყო კონკურსის ყველაზე მაღალი მონაწილე, ქართველი ირინა ონაშვილი, რომელიც ნახევარფინალში, ოც ულამაზეს ქალთან ერთად გავიდა და რევაზ ლაღიძის „თბილისოს" შესანიშნავი შესრულების გამო „მის ტალანტის" ტიტულიც მოიპოვა.




## რუსეთში საპარლამენტო არჩევნები შედგა

გუშინ მთელი რუსეთის ტერიტორიაზე დუმის მეოთხე მოწვევის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. უამინდობის გამო ამომრჩეველთა პოლიტიკური აქტივობა საკმაოდ დაბალი იყო. მოსკოვის 39-ე საარჩევნო უბანს მეუღლესთან ერთად რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც ეწვია. მათ კმაყოფილებით შეასრულეს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და მასმედიასთან საუბრის დროს არც იმის აღნიშვნა დავიწყებიათ, რომ რუსეთში არჩევნების დაწყებისთანავე პრეზიდენტის საყვარელმა ძაღლმა 8 ლეკვი შვა. დუმის მეოთხე მოწვევის პარლამენტში სადეპუტატო მანდატებისთვის 23 პოლიტიკური პარტიიდან 3000-მდე კანდიდატი იყრიდა კენჭს. ექსპერტების ვარაუდით, არჩევნებში პუტინის სახელისუფლებო გუნდი გაიმარჯვებს. „ერთიან რუსეთთან" ერთად გოსდუმაში მოხვედრის შანსს მემარჯვენეები, კომუნისტები, ლიბერალ-დემოკრატები და „იაბლოკოელებიც" ინარჩუნებენ. რუსეთში მთელი დღის მანძილზე ეშინოდათ ტერაქტების, რაც, საბედნიეროდ არ მოხდა, თუმცა რამდენიმე უსიამოვნო ფაქტი მაინც დაფიქსირდა. საარჩევნო ყუთთან მისულმა ლიბერალ-დემოკრატების არაორდინარული საქციელით გამორჩეულმა ლიდერმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ ტრადიციისამებრ სკანდალი გამართა და რისხვა დაატეხა ამომრჩევლებსა და ცესკოს რამდენიმე წევრს. ხმის მისაცემად მისულ პრემიერს, მიხაილ კასიანოვს კი ვილაცამ კვერცხი ესროლა შეძახილით: თქვენი არჩევნები ყალბიაო. რუსეთში საპარლამენტო არჩევნების საბოლოო წინასწარი შედეგები ორშაბათს, 8 დეკემბერს გახდება ცნობილი.

## კიდევ ერთი ტერაქტი

სტავროპოლის მხარეში, ქალაქ ესენტუკისთან ახლოს სამგზავრო მატარებლის აფეთქებას 37 კაცის სიცოცხლე შეეწირა, დაჭრილთა რიცხვი კი 170-ს აღწევს. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ოფიციალური განცხადებით, ტრაგედია ტერაქტის შედეგად მოხდა, რომელიც ოთხმა კაცმა განახორციელა. ტერაქტში სამი ქალი და ერთი მამაკაცი მონაწილეობდნენ, მათი ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. ორმა ტერორისტმა ქალმა აფეთქებამდე ვაგონიდან გადახტომა მოახერხა. მატარებელში დარჩენილი ქალი კი მძიმედ დაშავდა. კამიკაძე-მამაკაცი, რომელსაც ფეხზე ყუმბარები ჰქონდა მიმაგრებული, დაიღუპა, — განაცხადა უშიშროების სამსახურის დირექტორმა ნიკოლაი პატრუშევმა. მატარებელი, რომელშიც ტერაქტი მოხდა, კისლოვოდსკიდან მინერალური წყლებისკენ მიემართებოდა. რუსეთის იუსტიციის მინისტრი იური ჩაიკა არ გამორიცხავს, რომ გამოძიების პროცესში ჩეჩნური კვალი გამოიკვეთოს.

### მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „წყალსაც ვყიდით?! ჰაერის ჯერი როდი დადგება, ჰაერის!" — 124 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „წავიდეთ, სახლი დავუწვათ!" — 115
3. **მარინა ბაბუნაშვილი** — „ჩვენი ბებიების გაზაფხული" — 34
4. **იზო რკაძე** — „ღმერთმა ნუ ქნას, ხალხია ცოდო!" — 28

თქვენს პრემიას ამჯერად ჟურნალისტი **ზვიად ჩაკვეტაძე** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის" მფლობელი 382-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# არა მგონია, ასლან აბაშიძემ ობიექტურ გარემოებებზე მეტად გარემოცვის ამბიციები გაითვალისწინოს



**აჭარის დაკარგვის საფრთხე სრულიად არარეალურად მეჩვენება, რადგან ეს მხარე, აფხაზეთისა და სამაჩაბლოსგან განსხვავებით, ძირძველი ქართველებით არის დასახლებული, რომელთა პატრიოტული შეგნებაც საქართველოს სხვა კუთხეებზე არანაკლებია. არის ეკონომიკური ფაქტორიც — აჭარის ძირითადი შემოსავალი ხომ კურორტები და საზღვარია. თუ დანარჩენ საქართველოსთან მიმოსვლა გაწყდება, ეს წყაროებიც აზრს დაკარგავს... ვფიქრობ, ასლან აბაშიძე იმ დონის პოლიტიკოსი არ არის, რომ ვითარება საღად არ შეაფასოს და ობიექტურ გარემოებებზე მეტად გარემოცვის ამბიციები გაითვალისწინოს...**

**„საბოლოოდ სააკაშვილს ხელში მხოლოდ შაშიაშვილი შერჩა"**

დასავლეთმა და, უწინარესად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, „რევოლუციურ საქართველოს" უპრეცედენტო თანადგომა გამოუცხადა — როგორც ფინანსური, ისე პოლიტიკური. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს მსგავსი დახმარებები ადრეც უნახავს. უფრო სწორად, საქართველოს მთავრობას უნახავს, თორემ მილიარდობით დოლარის დახმარებისა ჩვენს მოსახლეობას არაფერი ეტყობა... მაასტრიხტის შეხვედრაზე ჩასულ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს მრავალგზისი დახმარება აღუთქვეს — ოღონდ კი საქართველოში პროცესები დემოკრატიულად განვითარდესო. როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყანა დასავლეთ ევროპისა თუ ამერიკისთვის მართლაც საგანგებო ინტერესის საგანს წარმოადგენს. ღმერთმა ინებოს, ამჯერად მაინც, ეს ინტერესი ყველამ ერთად გავამართლოთ, თორემ მხოლოდ ხელისუფლების და პრეზიდენტის იმედად ყოფნამ რაც მოიტანა, 23 ნოემბერს ვნახეთ. ჯერჯერობით კი გენერალური პროკურატურა მხოლოდ წასული ხელისუფლების თანამდგომ პირებს იბარებს დასაკითხად — რასაკვირველია, უმეტესი მათგანის უზარმაზარი ქონება რომ ხალხისა და სახელმწიფოს ხარჯზეა დაგროვილი, ცხადია. მაგრამ მოდით, ისიც ვთქვათ, რომ არანაკლები ქონების პატრონი, საეჭვო წარსულის მქონე ბიზნესმენები უკვე „ვარდრევკომის" ბანაკშიც გამოჩნდნენ... საპრეზიდენტო არჩევნების ვადა გამოცხადდა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის მსურველებმა განცხადებებიც შეიტანეს. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატთა გამა განებავთ, პროფესიის, განებავთ, ეროვნების თვალსაზრისით, საკმაოდ მრავალფეროვანია — ფეხბურთისა და „მსუბუქი ათლეტიკის" მწვრთნელები, მფრინავი თეფშების კონსტრუქტორი, ავეჯის რესტავრატორი, აგრონომი, ადვოკატი... რატომღაც, მათ შორის მოქმედი პოლიტიკოსი მხოლოდ ორი აღმოჩნდა — მიხეილ სააკაშვილი და თემურ შაშიაშვილი. როგორც ჩანს, სააკაშვილის იდეურმა მოწინააღმდეგეებმა მასთან საბრძოლველად სხვა ფრონტი აირჩიეს — ფრონტი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის უაღრესად სახიფათოა და მას რეგიონული დაპირისპირება ჰქვია. თუ ბათუმმა საბოლოოდ ბოიკოტი გამოუცხადა საპრეზიდენტო არჩევნებს, საქართველოს ძირძველი კუთხე ავტომატურად მოსწყდება საერთო იურისდიქციას...

როგორც ჩანს, ხელისუფლების რეფორმა არც ისე იოლი ყოფილა (გაცილებით იოლი — ოპოზიციონერობაა და ამ ცდუნებას ვერც რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა გაუძლო...). ახალდანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრი უკვე მხრებაჩეჩვით აცხადებს, — ფრთიანი და პროფესიონალი პოლიციელი საქართველოში საიდან მოგიყვანოთო — სანამ პოლიციელის ხელფასი 30 ლარი იქნება, მთვარიდანაც რომ ჩამოვიყვანოთ, იმავეს იზამს, რასაც მისი წინამორბედი აკეთებდა — აბა, თავისი ოჯახიანად ჭამა ხომ უნდა, მართლა ელემენტებზე ხომ არ იმუშავებსო?! როგორც მოსალოდნელი იყო, მოჯადოებული წრე დატრიალდა — საგადასახადოს ინსპექტორი გადასახადებს პატიოსნად ვერ აკრეფს, თუ მას ხელფასი 50 ლარი ექნება. მისი ხელფასი ვერ გაიზრდება, თუ გადასახადები პატიოსნად არ აიკრიფება...

**ის ფაქტი, რომ მოქმედი პოლიტიკოსებიდან მიხეილ სააკაშვილს ხელში მხოლოდ შაშიაშვილი შერჩა, ამომრჩეველთა აქტივობაზე ძალიან ცუდად იმოქმედებს და თავისთავად საფრთხეს შეუქმნის მის ლეგიტიმურობას, რაც დღეს, ჩემი აზრით, უაღრესად საშური და საჭირო საქმეა.**

ამ და სხვა პრობლემებზე თუ პერსპექტივებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ **გია ნოდიას**:

**— რევოლუციის შემდგომი საქართველო კვლავაც რუსეთისა და ამერიკის დიპლომატიური ბრძოლის ველად რჩება. ახალი ხელისუფლებაც, ძველის მსგავსად, დაბალანსების პოლიტიკას იწყებს. ერთი მხრივ, თბილისში დონალდ რამსფელდი ჩამოდის, მეორე მხრივ კი, მსოფლიოს უდიდესი და გავლენიანი ეკოლოგიური ორგანიზაციები ბაქო-ჯეიჰანის პროექტის წინააღმდეგ ილაშქრებენ. რა შეიცვალა საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველოსთან მიმართებაში?**

— როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლას, უპირველეს ყოვლისა, შინაპოლიტიკური ცვლილებები მოჰყვება, საგარეო პოლიტიკა კი ძირითად ნაწილში უცვლელად რჩება, ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე მაინც. მით უმეტეს, ასე იქნებოდა ჩვენში, რადგან ხელისუფლებაში მყოფი ძალები თავისი დასავლური ორიენტაციის დეკლარირებას ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობიდან მოყოლებული ახდენდნენ. თავის დროზე, პროდასავლურ ორიენტაციაზე ედუარდ შევარდნაძეც ლაპარაკობდა, მაგრამ, შინაპოლიტიკაში არსებული უაღრესად უარყოფითი პროცესების გამო, მისი ნათქვამი და რეალობა იმდენად დასცილდა ერთმანეთს, რომ როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, დასავლეთმა მისი რეჟიმის გადასარჩენად, უბრალოდ, თითიც არ გაანძრია.

პრინციპული განსხვავებაც ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის სწორედ დასავლური ფასეულობების რეალურ განხორციელებასა და დამკვიდრებაში უნდა მდგომარეობდეს. სხვაგვარად, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ძირითადი საგარეო ორიენტირები უცვლელი დარჩება, მათ შორის ე.წ. დაბალანსების პოლიტიკაც, რადგან ნატოს თუ ამერიკის უპირატესობის აღიარება რუსეთის გაღიზიანების ხარჯზე არ უნდა რომ მოხდეს — ამას ჩვენგან არც არავინ მოითხოვს. ახალი ლიდერებიც სწორედ ამ ტალღაზე მოვიდნენ — მათი განცხადებით, სურთ საქართველო ნამდვილ დემოკრატიულ, ევროპულ სახელმწიფოდ აქციონ. რასაკვირველია, ჩვენი უფლებაა, დავეჭვდეთ ან არ დავეჭვდეთ მათ გულწრფელობაში, მაგრამ ჯერჯერობით, ის, რაც დეკლარირების დონეზე ხდება, ვფიქრობ, სადავო არ უნდა იყოს. რაც შეეხება საერთაშორისო განწყობას საქართველოს მიმართ, როგორც გაირკვა, ეკოლოგიური ორგანიზაციების პროტესტი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ მსოფლიო ბანკს და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ წრეებს ბაქო-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსებაზე უარი ეთქვათ. როგორც წესი, ასეთი ქმედება რეგიონის მიმართ უაღრესად დიდი გეოეკონომიკური და სტრატეგიული დაინტერესებით არის ხოლმე გამოწვეული, რაც მთავარია, მრავალმხრივი დაინტერესებით. ამ შემთხვევაში, ცალკე მხოლოდ ევროპის, ან ცალმხრივად მხოლოდ ამერიკის დაინტერესება შედეგს არ გამოიღებდა — თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღესდღეობით საქართველო მაინცდამაინც სტაბილურ რეგიონად არ ითვლება. მაგრამ ერთი მხრივ, ეკონომიკური ფაქტორები და მეორე მხრივ, ირანისა და ახლო აღმოსავლეთის სიახლოვე, საქართველოს ევროპა-ამერიკისთვის უმნიშვნელოვანესი ფორპოსტის სტატუსს ანიჭებს, რის გამოც, ჩვენს ქვეყანას მხოლოდ „ბანანის" რესპუბლიკად ყოფნა არ ემუქრება. დასავლეთი ყველანაირად ეცდება, ჩვენთან ისეთი სახელმწიფო სისტემა ჩამოყალიბდეს, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა მხოლოდ ერთ პირზე, ან პირთა ჯგუფზე არ იყოს დამოკიდებული. ერთი სიტყვით, გარანტიას, რომელიც დასავლეთს საქართველოს შემთხვევაში სჭირდება, სრულყოფილი, დასავლური დემოკრატია ეწოდება... 23 ნოემბრის საკმაოდ ცივილიზებული აქციებით, შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიის „პირველი გამოცდა" წარმატებით ჩავაბარეთ... გასათვალისწინებელია უშუალოდ ამერიკის დაინტერესების ფაქტორიც — დღევანდელ მსოფლიოში არც ისე ბევრი ქვეყანაა, სადაც ხალხის, საზოგადოების დიდი ნაწილი ამერიკისადმი ერთმნიშვნელოვნად დადებითად იქნება განწყობილი...

**— რაც შეეხება რევოლუციის შემდგომ საქართველოს შინაპოლიტიკაში განვითარებულ მოვლენებს — მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი ხელისუფლების წევრთა უმრავლესობის მექრთამეობა თვალნათელია, გენერალური პროკურატურის მიერ მხოლოდ ერთი მიმართულებით გამოცხადებული გამოძიება და გამოაშკარავება, ცოტა არ იყოს, პოლიტიკური დევნის ეჭვს ჰბადებს...**

— ეს პრობლემა სრულიად რეალურია — ბუნებრივია, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია. ბუნებრივია ისიც, რომ ეს ბრძოლა არ უნდა დაიწყოს ქვედა დონიდან — ანუ საგადასახადო თუ საგზაო პოლიციის ინსპექტორებში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მსხვილ ჩინოსნებში, რომელთა მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების გამო ეს ქვეყანა კორუფციის ჭაობად იქცა. იმასაც ვერ გავექცევით, რომ ამ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერი და აქტიური წევრიც იყო. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ამჟამად ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა თავისი საარჩევნო კამპანია სწორედ კორუფციასთან ბრძოლის დევიზით წარმართეს. მსგავსი დევიზებით მიმდინარეობდა ე.წ. ვარდების რევოლუციაც. დღეს, როდესაც ეს რევოლუცია უკვე მოხდა, ცხადია, დროებითმა ხელისუფლებამ ხალხს უნდა დაუმტკიცოს, რომ დანაპირებს ასრულებს და კორუფციას ებრძვის. მაგრამ აქ უკვე მეორე ფაქტორი წამოყოფს თავს — როგორც ვთქვით, კორუფციაში გასვრილთა აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლებასთან იყო დაკავშირებული. რასაკვირველია, ისინი პოლიტიკური დევნილის მანტიით სარგებლობას მოინდომებენ და ყვირილსაც დაიწყებენ — ჩემი შეხედულებების გამო ვიდევნებიო... მესამე ფაქტორი — თუკი კორუფციის წინააღმდეგ ცხადდება ბრძოლა, მაშინ იგი მეთოდური და უაღრესად ობიექტური უნდა იყოს. უნდა გამოცხადდეს მისი კრიტერიუმები, რომელთა განხორციელებაც ყველასთვის შეუვალი უნდა იყოს. არ შეიძლება, ვიღაც ციხეში ჩასვან, ვიღაც კი გარეთ დარჩეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელ წუთს ვითარება შეაფასა და ახალ ხელისუფლებასთან მიტმასნება მოასწრო... ეს, უპირველესად, ისევ და ისევ ახალი ხელისუფლებისთვის იქნება საზიანო, რადგან ხალხი თავის ძალაში უკვე დარწმუნდა და უსისხლოდ რევოლუციის მოწყობა კი ძალიან მაცდური რამ გახლავთ... ამიტომაც ვამბობ, რომ საჭიროა მკვეთრად განსაზღვრული კრიტერიუმები გამოცხადდეს. თუნდაც, ბიზნესმენსა და ფუნქციონერს შორის განსხვავება ავიღოთ — საქართველოში ყველა ბიზნესმენი იძულებული იყო, კანონისთვის გვერდი აევლო, რადგან სხვაგვარად ვერაფერს გააკეთებდა. მეორე მხრივ, ამ პირობებს მას ფუნქციონერი ჩინოსანი უქმნიდა, რომელიც ყველანაირ დაბრკოლებას ქმნიდა საიმისოდ, რომ ბიუჯეტის ხარჯზე ბიზნესმენისგან მიღებული ქრთამითა და გარიგებებით გამდიდრებულიყო. ვფიქრობ, სწორედ ამ უკანასკნელთა დანაშაულის გამოძიებაა საჭირო, ოღონდ მას შემდეგ, რაც ზემოთ ნახსენები ორი ფაქტორი ერთმანეთისგან მკაცრი კრიტერიუმებით გაიმიჯნება, რათა საზოგადოებას ეჭვის საფუძველი არ ჰქონდეს...

**— დღევანდელი ხელისუფლება, ოპოზიციაში ყოფნისას, მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა სამართალდამცავი ორგანოების კრიტიკას და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ერთ-ერთ მთავარ პირობად სასწრაფო რეფორმებს ასახელებდა. დღეს კი ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი მწარე რეალობის წინაშე დადგა — მან არ იცის, საიდან მოიყვანოს კადრი, რომელიც ერთდროულად პროფესიონალიც იქნება და არაკორუმპირებულიც...**

— ეს რომ ასე იქნებოდა, თავიდანვე ცხადი იყო. მოგეხსენებათ, ადამიანი პროფესიონალი — პრაქტიკული საქმიანობისას ხდება. ქართულ პოლიციაში კი ვერ დამისახელებთ თანამდებობას, სადაც ვინმე ქრთამის აღების გარეშე შეძლებდა ელემენტარული საცხოვრებელი პირობების დაკმაყოფილებას. ასე რომ, სახელმწიფო ორგანოებში ანგელოზების ძებნა, რბილად რომ ვთქვათ, არაპრაქტიკული იქნება. და აქ ახალი ხელისუფლება დილემის წინაშე დგება — მან რომ ხალხს განმარტება დაუწყოს, — უხელფასოდ ჩვენი პოლიციელები პატიოსნად ვერ იმუშავებენ და ათი წელი კიდევ მოვიცადოთო, ხალხი უდავოდ აღშფოთდება და რევკომს პასუხს მოსთხოვს — თუ არაფერი იცვლებოდა, ან რა გაყვირებდათ, ან იმ კაცს რატომ გვაგდებინებდითო... ამიტომ ხელისუფლებამ პატიოსნად უნდა განუმარტოს ხალხს, თუ რა ვითარებაა შექმნილი და რას აპირებს მის გამოსასწორებლად არა ათი და თხუთმეტი წლის შემდეგ, არამედ უახლოესი თვეების მანძილზე. ანუ უნდა დაიდოს კონკრეტული და მარტივი პროგრამა, რომელიც უახლოეს მომავალში განხორციელდება — განებავთ, ეს იყოს პოლიციის შემცირება, განებავთ, სპეცსახსრების გამოყენება სახელფასო ფონდისთვის და არა ძვირად ღირებული „მერსედესების" შესაძენად და ა.შ.

**— აღმოსავლეთ ევროპის და პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთ ქვეყანაში ანტიკორუფციული პროგრამა ერთგვარი ეკონომიკური ამნისტიის ნიშნით განხორციელდა — ხელისუფლებამ ბიზნესმენებს თანამშრომლობის დაწყება „სუფთა ფურცლიდან" შესთავაზა...**

— ამ შემთხვევაში საუბარი არ ყოფილა ტოტალურ ამნისტიაზე — ანუ, ერთპიროვნულად ყველას ყველაფერი არ აპატიეს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ აღმოსავლეთ ევროპაში არც იმ დონის კორუფციას ჰქონია ადგილი, რაც ჩვენთან ხდებოდა. იყო გარკვეული, არაფორმალური შეთანხმებები ახალ ხელისუფლებასა და საქმიან წრეებს შორის, რომ მათ არ ამოუქექავდნენ ძველ საქმეებს და კანონიერების ათვლის წერტილი აწმყოდან დაიწყებოდა. მაგრამ ასეთი შემთხვევა ნდობის ფაქტორს უკავშირდება. დღეს უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ამგვარი შეთანხმება დაარღვია იმავე პუტინმა, როდესაც ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ბიზნესმენებს დაერია... ჩვენს შემთხვევაში კი, განებავთ, ფორმალური, განებავთ, არაფორმალური გარიგება საქმიან წრეებთან, ხელისუფლებისთვის ძალიან წამგებიანი იქნება — გამოვა, რომ მათ ხალხი მოატყუეს და ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ იმ კლანებს გაურიგდნენ, რომელთან ბრძოლის გამოც ხალხის მხარდაჭერა მიიღეს. თუმცა, ალბათ შესაძლებელია აქაც გარკვეული კრიტერიუმებით მოხდეს გამოძიება — ვთქვათ, განსაკუთრებით ოდიოზური პირები მიეცნენ პასუხისმგებლობაში. მაგრამ ამ შემთხვევაშიც საკმაოდ რთულად იქნება საქმე, რადგან, თუ ახალი ხელისუფლება ობიექტურობას არ დაიცავს და მხოლოდ იმათ დაერევა, ვინც მას მხარს არ დაუჭერს, საზოგადოებას ისევ ეჭვისა და უნდობლობის საფუძველი ექნება.

**— საპრეზიდენტო არჩევნებზე საკმაოდ უცნაური ვითარება შეიქმნა. რეალურმა კონკურენტებმა სააკაშვილი არჩევნებში მწვრთნელებისა თუ მფრინავი თეფშების კონსტრუქტორთა პირისპირ მიატოვეს და მის წინააღმდეგ ბრძოლა სხვა, კულუარულ მოლაპარაკებათა ფრონტზე ამჯობინეს...**

— მოვლენათა ასეთი განვითარება საკმაოდ იოლია, რადგან ძირითადი პოლიტიკური სპექტრი საპრეზიდენტო არჩევნებს 2005 წლისთვის ელოდებოდა და სწორედ ამ დროისთვის ემზადებოდა. დღეს კი აღმოჩნდა, რომ სააკაშვილს კონკურენტი არ ჰყავს და იმავე ნათელაშვილისთვის სხვადასხვა საბაბით ბოიკოტი უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე საარჩევნო მარათონში მონაწილეობა. მეორე მხრივ, სააკაშვილისთვის ასეთი სიტუაცია საკმაოდ წამგებიანია, რადგან დამაჯერებელი გამარჯვებისთვის მას ღირსეული კონკურენტი სჭირდება და არა მწვრთნელი ან მფრინავი თეფშების კონსტრუქტორი, რომელსაც არჩევნები მხოლოდ საკუთარი პოპულარობისა თუ საქმიანობის რეკლამირებისთვის სჭირდება. ის ფაქტი, რომ მოქმედი პოლიტიკოსებიდან მიხეილ სააკაშვილს ხელში მხოლოდ შაშიაშვილი შერჩა, ამომრჩეველთა აქტივობაზე ძალიან ცუდად იმოქმედებს და თავისთავად საფრთხეს შეუქმნის მის ლეგიტიმურობას, რაც დღეს, ჩემი აზრით, უაღრესად საშური და საჭირო საქმეა. რაც შეეხება კულუარულ ბრძოლას — თუ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი აჭარის ლიდერს არჩევნების ბოიკოტირებაზე დაითანხმებს, სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, საკმაოდ უარყოფითი ტენდენცია დაფიქსირდება — აბაშიძე გამუდმებით ცდილობდა ცენტრისადმი თავისი დაუმორჩილებლობისთვის ახსნა-გამართლება მოეძებნა, ასეთ შემთხვევაში კი მას ძებნა აღარ დასჭირდება... თუმცა, თავად აჭარის დაკარგვის საფრთხე სრულიად არარეალურად მეჩვენება, რადგან ეს მხარე, აფხაზეთისა და სამაჩაბლოსგან განსხვავებით, ძირძველი ქართველებით არის დასახლებული, რომელთა პატრიოტული შეგნებაც საქართველოს სხვა კუთხეებზე არანაკლებია. არის ეკონომიკური ფაქტორიც — აჭარის ძირითადი შემოსავალი ხომ კურორტები და საზღვარია. თუ დანარჩენ საქართველოსთან მიმოსვლა შეწყდება, ეს წყაროებიც აზრს დაკარგავს... ვფიქრობ, ასლან აბაშიძე იმ დონის პოლიტიკოსი არ არის, რომ ვითარება საღად არ შეაფასოს და ობიექტურ გარემოებებზე მეტად გარემოცვის ამბიციები გაითვალისწინოს...

***დაჩი გრძელიშვილი***

CMYK

# ჯვრის ამაღლების ბრწყინვალე დღე დადგა

6 დეკემბერს თბილისში, სამების ტაძარზე, აღიმართა ჯვარი, რომელსაც კარგა ხანია ამზადებდნენ საპატრიარქოს სახელოსნოში. ეს 7 მეტრი სიმაღლისა და 3,5 მეტრი სიგანის ულამაზესი, მოოქროვილი ჯვარი სპეციალური დანადგარით გადააბრძანეს სამების ტაძართან,



სადაც ამ არაჩვეულებრივ მოვლენას დილიდან ელოდა ხალხი. შეგახსენებთ: 100 მეტრ სიმაღლეზე აბრძანებული და ტაძრის თავზე დამაგრებული 5-ტონიანი ჯვარი ისეთი კონსტრუქციითა აგებული და მოოქროვილი, რომ დროთა განმავლობაში, თუკი საჭირო გახდა შეკეთება ან ცალკეული ნაწილის ხელახალი მოოქროვება, შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთი ფირფიტის მოხსნა და აღდგენა. ასე რომ, ბრწყინვალე (ყველა გაგებით) ჯვარმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ზეცასთან ახლოს. ბევრი იყო მსურველი მიახლოებოდა და მთხვეოდა მართლმადიდებელთათვის უძვირფასეს ჯვარს. ასეთი შესაძლებლობა დღევანდელებს ღმერთმა მხოლოდ ერთხელ გვიბოძა და ძნელია გულგრილი დარჩე...

ჯვართამაღლებაზე მობრძანებულმა პატრიარქმა ჯვარი აკურთხა და მრევლს უქადაგა: — ეს ჯვარი მოგვცემს ძალას, რომ განვვლოთ მძიმე პერიოდი და საქართველო აუცილებლად გავა სამშვიდობო გზაზეო.

პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი, რომლის გამოჩენასაც საკმაოდ გულთბილად შეხვდა იქ თავშეყრილთა უმრავლესობა, ჩვეული ხალისით უწვდიდა ხელს თბილისელებს და იმედიანად ეუბნებოდა, რომ დღევანდელი ჯვრის ამაღლება ისევე სიმბოლურია, როგორც ბოლოს განვითარებული მოვლენების ბევრი ეპიზოდი. ჯვრის აღმართვას ემთხვევა ახალი ეპოქის დასაწყისსო...

სიმბოლურია თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ის, რაც 6 დეკემბერს ვნახე, ნამდვილად საოცარი იყო... უამინდობისა და ქარის გამო დიდხანს ბჭობდნენ, გადაედოთ ჯვრის ამაღლების თარიღი... მართლაც, საშიშია... როცა ჩვენ ჩვეულებრივ ქარს ვგრძნობთ, მაშინ 100 მეტრის სიმაღლეზე, სამების ტაძრის გუმბათთან, თითქმის გრიგალი ქრის. თითქოს გადაწყდა კიდეც და გამოაცხადეს, ჯვართამაღლება ამინდის გამო გადაიდოო... არ ვიცი რატომ, მაგრამ ხალხი არ დაშლილა. მიუხედავად ყველაფრისა, იდგა, ლოცულობდა და ელოდა...

რამდენიმე საათში ქარი ჩადგა, თუმცა ისევ ღრუბლიანი დღე იყო, გრილოდა და აი, ზეცისაკენ დაიძრა ჯვარი, რომელსაც ათასობით ადამიანი იმედითა და სიხარულით ადევნებდა თვალს. როცა ის გუმბათზე დაამაგრეს, სწორედ იმ წამს, უცებ, ღრუბლებიდან მზემ გამოანათა და ოქროცურვილი ზედაპირი ააელვარა. ნათელს ნათელი შეეგება.

იმედიანი და გულდამშვიდებული დავბრუნდი შინ... კიდევ ერთი ძლიერი მფარველი დაადგა თავს ჩვენს საქართველოს. ჯვრის ზედა მხარეს მოთავსებული ძვირფასი წმინდა ნაწილები (მათ შორის, ძელის ნაწილი, რომელზეც აცვეს მაცხოვარი) მუდამ დაიცავენ და გაფანტავენ ღრუბლებს ჩვენი სამშობლოს ცაზე...

***ლელა ჯიყაშვილი***

# ორხდიპლომიანი დარაჯი

## — ტანკს რომ შეახტა, ის ბიჭი მე ვიყავი...

იგი სახელმწიფო უნივერსიტეტში, „პოლიტიკური აქტიურობით“ ცნობილ ჟურნალისტების კორპუსში ვიპოვე. შენობაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. სიჩუმეს ყური რომ მივუგდე, ბუზღუნი შემომესმა. ხმას მივყევი და ყარაული აღმოვაჩინე. გახამებული თეთრი პერანგის ღილები ბოლომდე შეეკრა, ჰალსტუხი ეკეთა და — დაიქცა ქვეყანა, დაიქცაო! — საკუთარ თავს შესჩიოდა... რომელიღაც არხზე „ახალდაქორწინებულ“ ცისფერებზე ენახა გადაცემა და კაცი ჭკუაზე აღარ იყო...



სხვა დროსაც შევუარე. ისევ თეთრი პერანგი და ჰალსტუხი... — თენგიზ მუხიგული გახლავართ, რა გნებავთო... უნივერსიტეტის ყარაულს რაში გჭირდებათ ეს მოუხერხებელი ჰალსტუხი და თეთრი პერანგი-მეთქი. გაუკვირდა, — ბიძიკო, მგონი იმას უნდა კითხულობდე, უნივერსიტეტში ხალხი უჰალსტუხოდ რატომ დადისო.

**— თქვენც უნივერსიტეტში სწავლობდით?**

— კი ბატონო, ეგე, პირდაპირ კორპუსში, ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი. ჩემს დიპლომზე ბატონ ილია ვეკუას ხელმოწერაა. მანამდე ზოოვეტინსტიტუტი დავამთავრე, მერე — სტავროპოლის პოლიტექნიკური ინსტიტუტი... ამას დაუმატე ასპირანტურა და ინგლისური ენის კურსები!

**— ნუ დამაბნიეთ, 4 დიპლომი გაქვთ?**

— ჰო, „ზოოვეტში“ სტალინური სტიპენდიაც მქონდა, 100 მანეთი. ამ ფულით ოჯახი გაიტანდა თავს... მდიდარი კაცი ვიყავი!

**— მერეც სტალინური სტიპენდიის „ხათრით“ ხომ არ გახდით სტუდენტი?**

— არა, სწავლა მიზიდავდა — ჰობი იყო. ვიფიქრე, გადატრიალებას მოვახდენ-მეთქი.

**— არ გამოვიდა?**

— არ გამოვიდა. დავადე თავი და სტავროპოლიდან ციმბირში წავედი, ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში. ებრაელი პროფესორი მყავდა — ადოლფ სალგინიკი. ჭკუით სავსე კაცი იყო, ჯერ რძის ტექნოლოგია მასწავლა, მერე ღვინისა — ღვინოს ნალექი რომ აქვს, იმას „ღვინის ქვა“ ჰქვია, აი, იმ ქვისგან ღვინის გამწმენდი ნივთიერებების მიღებაზე ვმუშაობდით. მეუბნებოდა, თქვენთან ერთი სოფელია, ასკანა, იმ სოფლის თიხით მსოფლიოს ღვინოებს გაწმენდთ, ამ თემაზე იმუშავეო... არც ეს გამოვიდა.

**— იქნებ ცხოვრებას ვერ აუღეთ ალღო...**

— ჰო, იქნება ეგრეც იყო. იქნებ ზედმეტი პატიოსნებაც მიშლიდა ხელს. კაცი დავბერდი და ვერ გავიგე, თუ ეს პატიოსნება საჭირო არ არის, ყველა დროის ხელისუფლება რატომ ამტკიცებს, პატიოსანი ვარო? საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არც ცოდნა სჭირდებათ, არც პატიოსნება... მაგალითი აგერ ვარ — 5 პარტიას გამოვადგები, იმდენი რამ ვიცი. მივედი ერთ პარტიაში და არც მომისმინეს...

**— თქვენისთანა ემოციურ ხალხს უჭირს...**

— რისი გაძლებაც ნორმალურ ადამიანს უჭირს, მეც ის მიჭირს, თორემ, სტუდენტებთან მშვენივრად ვმეგობრობ, ზოგს ვუჯავრდები, ზოგს ვეფერები... თანაც, სულ ვეხვეწები, ისწავლონ და უპატრონოდ არ დატოვონ ქვეყანა...

**— სად ცხოვრობთ?**

— ვაკეში, მრგვალ ბაღთან, დიდი ოვალური კორპუსი რომ არის, იქ, იმ კორპუსის ადგილას, ჩემი სახლი იდგა. მამა ადრე გარდაიცვალა. ვაკე მამაჩემის და მისი მეგობრების გაშენებული იყო. ახლაც მაქვს შინ ვაკის განაშენიანების მაშინდელი რუკა...

**— ხალხი თავს იწონებს, ვაკელი ვარო...**

— ვაკე მაშინ იყო კარგი, როცა ყველა სახლის კარი ღია იყო და არავინ არაფერს იპარავდა... ვაკეში სიმინდის ყანებიც გვქონდა, მეზობელს ძროხა ჰყავდა, ჩალას იმას ვაძლევდით. კეკელიძის ქუჩა რომ არის, მანდ ხევი იყო. ციცაბო კლდეზე დავძვრებოდით ბიჭები. რაც უფრო ციცაბო იყო, მით უფრო მოგვწონდა. სავსე იყო ვერეს ხეობა ბაღჩაბაღებით. გვეხვეწებოდნენ პატრონები, ოღონდ ხეებს ნუ დაამტვრევთ, ხილი, რამდენიც გინდათ, ჭამეთო — ყოველ გაზაფხულზე მარტო მე 40 ძირ ხეს ვრგავდი... იანგარიშე, რამდენი ხე მექნება დარგული... ახლა კიდევ წარმოიდგენე, რა დღეში ვვარდები, როცა ვინმე ხეს ჭრის და მის ადგილზე რესტორანსა და კაფეს აშენებს...

შენ არც იქნებოდი დაბადებული, მთელი თბილისი რომ ლაპარაკობდა ბიჭზე, რომელიც 1956 წელს ტანკს შეახტა, როცა სტალინის გამო ხალხს ხოცავდნენ. ის ბიჭი მე ვიყავი. სხვა რომ ვერაფერი გავაკეთე, ტანკზე ავხტი და სათვალთვალოს ქუდი ჩამოვაფარე... მერე, მთელი ღამე დაჭრილები ჩამყავდა საავადმყოფოში. შუაღამისას კიდევ ერთი ვნახე ქუჩაში დაჭრილი... ვიღაცამ ექიმის სახლი მიმასწავლა... ექიმს ერთი ოთახი ჰქონდა სამზარეულოსგან ფარდით გამოყოფილი. ის ფარდა გადავწიე... იქაც დაჭრილი იწვა, ზურგი ტყვიებით ჰქონდა დაგლეჯილი...

**— „სტუდენტის პროფესიას“ როგორ შეელიეთ?**

— არ შევლევივარ, ახლაც ვსწავლობ. რა გაცინებს? განა საინტერესო არ არის? — აგერ, უნივერსიტეტში, დიდ აუდიტორიაში, კვირაში ორჯერ იმართება საჯარო ლექციები. მივჯდები ხოლმე კუთხეში და ვისმენ. იმდენი რამ ვიცი, რაიმე ამბის ან მოვლენის ფინალის „დიაგნოზს“ რომ დავსვამ, წყალი არ გაუვა!.. — ისეა ჩვენი საქმე, სულ ცუდი „დიაგნოზი“ გამომდის.

**— კარგი დიაგნოზი არ გაქვთ?**

— მაქვს: მალე პროფესიონალები ჰაერივით საჭირო გახდება და ცოდნას ფასი დაედება...

...„დიაგნოზის დასმისთანავე“ ზარი დაირეკა და ცარიელი აუდიტორიიდან, ჯერჯერობით, დაუფასებელი სწავლის დამფასებელმა სტუდენტებმა თავაზიანად გამოგვაბრძანეს.

უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის მრავალდიპლომიანმა თანამშრომელმა ელეგანტურად მიმაცილა კარამდე. გამოვედი თუ არა, იმ წუთშივე ვიფიქრე: როცა ცოდნა დაფასდება, 4 უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება მართლაკაი ბიჭობა იქნება-მეთქი!..

***ეთერ ერაძე***

## რუბრიკა — ჭორი

# — ჩემთვის ყოველთვის მიუღებელი იყო მისი ტონი და შეხედულებები...

როგორც ამბობენ, ჩვენს ქვეყანაში ახალი ერა დაიწყო, ყოველივე ცუდი ძველ მთავრობას გაჰყვა და მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. უკეთესობის რა მოგახსენოთ და ცვლილებები კი ნამდვილად არის: ნაცნობი სახეების ნაწილი ტელეეკრანებიდან გაქრა, ნაწილმა სამოქმედო ასპარეზი გააფართოვა და საზღვარგარეთ გაემგზავრა, ზოგიერთმა მსოფლმხედველობა შეიცვალა და კორუფციის დაუძინებელი მტერი გახდა. პარლამენტის სხდომებზე, მიუხედავად მნიშვნელოვანი დღის წესრიგისა, ჯერჯერობით მუშტი-კრივი აღარ გვინახავს. სამაგიეროდ, სხვა მხრივ არ მოიწყენს კაცი; მოჩვენებითი სიმშვიდის მიუხედავად, ელიტარულ წრეებში თურმე მუშტი-კრივით არკვევენ ურთიერთობებს. *ეს შეხედულება იმანაც გაამყარა, რომ განათლების მინისტრი, ალეკო კარტოზია ცოტა ხნის წინ შუბლზე მოზრდილი ნაიარევით გამოჩნდა. გავრცელდა ხმა, რომ ეს ბატონ ელდარ შენგელაიას ნახელავი იყო.* თუმცა თავად კარტოზია აცხადებს, რომ კოპი შუბლზე დაუდევრობის გამო აჩნევია და პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს. თუმცაღა როგორც განათლების სამინისტროს თანამშრომელმა გვითხრა (მან ვინაობის დასახელება არ ისურვა), როცა ბატონი კარტოზია ერთ-ერთ პარლამენტარს ესაუბრებოდა, შენგელაიამ თურმე იმ პარლამენტარს უთხრა, — ამასთან საუბარს როგორ კადრულობო. პასუხადაც კარტოზიამ შენგელაიას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. არც ვიცესპიკერი დარჩენია ვალში და... ამ ფაქტზე კომენტარი თავად ელდარ შენგელაიას ვთხოვეთ. როგორც მან გვითხრა, კონფლიქტი კარტოზიასთან პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობის გამო მოხდა.

**— ინციდენტი თქვენსა და ალეკო კარტოზიას შორის სიმართლეა?**

— კი, მართალია.

**— რა იყო კონფლიქტის მიზეზი?**

— როცა 23 ნოემბერს პარლამენტის დარბაზში ხალხი შემოვიდა, იქ იყვნენ მინისტრებიც. მე მივედი მათთან და ვთხოვე, შინ წასულიყვნენ. ალექსანდრე კარტოზია, არა მარტო მაშინ, საერთოდაც გამოირჩეოდა აგრესიულობით. ჩემთვის მუდამ მიუღებელი იყო მისი შეხედულებები, მისი ტონი და საერთოდ, კარტოზიას საქციელი ყოველგვარი ზომიერების ფარგლებს სცილდებოდა. ამან ჩემში მაშინაც გამოიწვია აღშფოთება, ამას არ უარვყოფ...

**— ბატონო ელდარ, ფიზიკურ შეხებას ჰქონდა ადგილი? ჩვენი ინფორმაციით, კარტოზიამ ტვინის შერყევა მიიღო.**



— არა, სიტყვიერი შელაპარაკება იყო და სერიოზულიც, ფიზიკურ შეურაცხყოფამდე საქმე არ მისულა. რა, მიჩივის კარტოზია?

ამ ფაქტზე კომენტარს განათლების მინისტრი არ აკეთებს. რამდენიმე დღეა სამსახურში არ დადის და მისი პირადი მდივნის განცხადებით, საავადმყოფო ფურცელზე იმყოფება. რა არის ამის მიზეზი, მდივანი არ აკონკრეტებს.

დაპირისპირებებითა და კონფლიქტებით პოლიტიკოსები კიდევ მრავალჯერ შეგვახსენებენ თავს, სანამ ისინი მოვლენებს გადააფასებენ და სასურველ ამპლუას მოირგებენ. მანამდე ალბათ არც მუშტების ტრიალი იქნება იშვიათი.

***ნათია ცხოვრებაძე***




# პრეზიდენტზე გაცემული ხელშეუხებლობის პირობა მძიმეწონიან მოხელეებზე არ ვრცელდება



***ვინ ვის? — კომპრომატების ომი დაიწყო! თუ პროკურატურას აქვს კომპრომატები „ვინმეზე“ — „ვინმესაც“ ექნება კომპრომატები პროკურატურაზე.***

## კორუფციასთან ბრძოლა თუ პოლიტიკური ტერორი?

გენპროკურატურაში შევარდნაძის დროინდელი ჩინოვნიკების განკითხვის ჟამი დგება. როგორც ჩანს, დროებითი ხელისუფლების მიერ ყოფილ პრეზიდენტზე გაცემული ხელშეუხებლობის პირობა მძიმეწონიან მოხელეებზე არ ვრცელდება. ნუგზარ გაბრიჩიძის დაქვემდებარებულ უწყებაში, გასულ პარასკევს, ის გვარები დასახელდა, რომლებიც უახლოესი წარსულის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ.

რას ედავება გენპროკურატურა ლევან მამალაძეს, დავით მირცხულავას, აკაკი ჩხაიძეს და მერაბ ჟორდანიას? გენპროკურორ გაბრიჩიძის ინფორმაციით, საქმე აღძრულია ასეულობით ათასი ლარის დატაცების გამო.

ყველაზე მძიმე ბრალდება ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის — ლევან მამალაძის მისამართით გაისმა. ბრალდებათა სერიოზული ჩამონათვალი, რითაც გამოძიება შევარდნაძის მარჯვენა ხელს ადანაშაულებს, „კვარციტიდან“ სოლიდური თანხების და 27 კილოგრამი ოქროს მითვისებით მთავრდება („კვირის პალიტრა“ ამ საქმის დეტალებს წინა ნომრებში იხილავდა, თუმცა მაშინ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. — დ.დ.).

ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, დავით მირცხულავას პერსონით კი პროკურატურა აშოცკი-ნინოწმინდის მონაკვეთის უკანონო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის გამო დაინტერესდა (ჩვენი მკითხველებისთვის არც ეს თემაა უცხო).

გენპროკურორის ახალი მოადგილის, გია ჯიქიას განცხადებით კი, მერაბ ჟორდანიას განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების დამალვაზე მოუწევს ჩვენების მიცემა.

რაც შეეხება რკინიგზის დეპარტამენტის შეფს, აკაკი ჩხაიძეს, როგორც ჩანს, მისით უშიშროების საგამოძიებო ნაწილი დაინტერესდა. უშიშროების მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, ჩხაიძეს პასუხის გაცემა მოუწევს კითხვებზე, თუ რატომ აფორმებდა დეპარტამენტი 70 თეთრად ნაყიდ საწვავს 1,05 ლარად. თუმცა, ეს ერთადერთი საკითხი არ არის, რაზეც გამოძიება ჩხაიძესთან აპირებს საუბარს.

ერთი სიტყვით, ქართველ თემიდას „ხელდასაკაპიწებელი“ სამუშაო გამოუჩნდა. ბოლოს და ბოლოს, პროკურატურამ დაიწყო ის, რასაც წინა ხელისუფლების დროს ყველა ამაოდ ელოდა — კორუფციასთან ბრძოლა. მაგრამ ეტყობა, ამ ბრძოლასაც სერიოზული ხარვეზები ახლავს თან, რადგან მიიჩნევენ, რომ გენპროკურატურის მიერ აღძრული საქმეები პოლიტიკური დაკვეთაა და მხოლოდ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების განადგურებისთვის არის გამიზნული.

„კვირის პალიტრასთან“ საუბრისას, გენპროკურორის მოადგილემ, გია ჯიქიამ კატეგორიულად გამორიცხა, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკურ შეკვეთასთან გვქონდეს საქმე: „ეს მასალები დიდი ხანია, აწყვია პროკურატურაში და ახლა მათზე მუშაობის დასკვნით ეტაპზე გადავდივართ“(?!) — აცხადებს ყოფილი სამხედრო პროკურორი. თუმცა მოსკოვში მყოფი ლევან მამალაძე აცხადებს, რომ ყველაფერი ეს პოლიტიკური ტერორია და ყველა საქმე შეთითხნილია. „სასაცილოა, რომ ჩემი დონის კაცს 27 კილო ოქროს დატაცებაში ადანაშაულებენ“. რას გულისხმობს ექსგუბერნატორი? — ეცოტავება თუ ებევრება ოქროს ეს რაოდენობა, ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება.

გია ჯიქიას ინფორმაციით, მხოლოდ მირცხულავას საქმეში გარკვევას ორ თვეზე მეტი დრო დასჭირდება. უფრო მალე ვერც სხვა საქმეები დასრულდება. დროს კი კომპეტენტური წრეების მტკიცებით, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. კულუარული ინფორმაციით, იმის მიუხედავად, რომ პროკურატურა ამტკიცებს თითქოს არ არსებობს არავითარი პოლიტიკური შეკვეთა, ის მაინც სახეზეა. ნუგზარ გაბრიჩიძე მსგავსი განცხადებებით არ გამოვიდოდა, 23 ნოემბერს ვითარება სხვანაირი სცენარით რომ წარმართულიყო (სად იყო ჩვენი პროკურატურა რევოლუციამდე?); მაგრამ არსებობს თუ არა პოლიტიკური შეკვეთა, დღეს მთავარია ის, რომ საზოგადოება მზად არის მოისმინოს, რატომ მდიდრდებოდა ყოფილი პრეზიდენტის გარემოცვიდან რამდენიმე ჩინოვნიკი მაშინ, როცა საზოგადოება უფრო და უფრო ღარიბდებოდა. რაც შეეხება დროის ხანგრძლივობას, კანცელარიის კულუარებში ჩურჩულებენ, რომ საზოგადოების აზრით, ასევე არანაკლებ კორუმპირებულ პროკურატურის სისტემას გაუჭირდება კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან ბრძოლისას ობიექტურობის შენარჩუნება. თუ პროკურატურას აქვს კომპრომატები ვინმეზე, — „ვინმესაც“ ექნება კომპრომატები პროკურორების წინააღმდეგ. რა ვქნათ ამ შემთხვევაში?!

„შენც ჩუმად და მეც ჩუმად“?! ეს ხომ უკვე გავიარეთ. არ გვინდა იმაზე ვილაპარაკოთ, შეკვეთით ხდება თუ არა ყველაფერი ეს, მაგრამ თუკი ასეთი შეკვეთა არსებობს, მაშინ იგი დღევანდელი ხელისუფლებისგან მოდის. საზოგადოებრივი აზრი მაინც ამ ხელისუფლების (სიახლის) მხარეზეა და თუკი კორუფციასთან ბრძოლის ბოლომდე მიყვანა უნდათ, თავდაპირველად საკუთარი რიგებიდან უნდა დაიწყონ წმენდა. ამით პოლიტიკურ ოპონენტებს იმის თქმის საშუალებას მოუსპობდნენ, რომ ეს არის პოლიტიკური ტერორი და დაამტკიცებდნენ, რომ ისინი კორუფციის, ყველა რანგისა და კატეგორიის ქურდის წინააღმდეგ დაუნდობლად იბრძოლებენ(!).

# დროზე უნდა მიხედვა, თორემ მერე გვიან იქნება...

## „როდის იყო, გატაცებული მანქანა კუს ტბაზე მიჰყავდათ“

*„დინამიკური ქაოსი“, რომელზეც „ვარდების რევოლუციის“ დამთავრებისთანავე ალაპარაკდნენ ქართული სპეცსამსახურების წარმომადგენლები, ძალაში შევიდა გასულ კვირას ტელევიზიის აფეთქებით, ავტომანქანებისა და ბანკების ძარცვით. კრიმინალური კასკადი ადამიანის გატაცებით დასრულდა.*

დამნაშავეთა „დიდი ხუთშაბათი“ გაერთიანებული ქართული ბანკის ფილიალზე თავდასხმით დაიწყო. პოლიციისფორმიანმა ბოროტმოქმედებმა თითქმის დაუბრკოლებლად მიაღწიეს ბანკის სალარომდე და 50 ათასი დოლარი და 30 ათასი ლარი გაიტაცეს. ფულის გატაცებიდან მეორე დღეს, დამნაშავეებმა იერიში უკვე გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარეზე, თამაზ მაღლაკელიძეზე მიიტანეს. იოსელიანის ქუჩაზე, ერთ-ერთი შენობის ლიფტიდან გამოსვლისას, მაღლაკელიძესა და მის პირად დაცვას ათამდე შეიარაღებული პირი დაესხა თავს. დაცვა გაკოჭეს და ლიფტში დატოვეს, ხოლო მაღლაკელიძე გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

შსს-ს ინფორმაციით, თამაზ მაღლაკელიძის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით მოხდა. არსებობს ვერსია, რომ დამნაშავეები დიდი ხნის მანძილზე მუშაობდნენ ამ „ოპერაციის“ ჩასატარებლად.

კულუარული ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, რომ გატაცებული მაღლაკელიძის კვალი ცხინვალისკენ მიდიოდეს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დღემდე დამნაშავეთა საიმედო თავშესაფრად ითვლება. „ცხინვალის ვერსიას“ ის გარემოება უმაგრებს ზურგს, რომ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო, მაღლაკელიძის გატაცება მხოლოდ კრიმინალურ აქტად არ აღიქმება და დანაშაულის პოლიტიზების გამო გამტაცებლების წინააღმდეგ სამართალდამცველები გაათმაგებული ძალებით იმოქმედებენ. ასეთ პირობებში გამტაცებლებს მძევლის ხალხმრავალ ადგილზე გადამალვა გაუჭირდებათ, ცხინვალის ტერიტორიაზე კი საიმედო სამალავს ქართველი ძალოვნები ძნელად იპოვიან.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, კიდევ ერთი სამუშაო ვერსიით, გამოძიება არ გამორიცხავს, რომ დამნაშავეებს პანკისის ხეობაშიც ეცადათ თამაზ მაღლაკელიძის გადაყვანა, მაგრამ ამ რეგიონში ანტიკრიმინალური ოპერაციის შემდეგ, ბოროტმოქმედებს გადაადგილება ასე თუ ისე უჭირთ. ამიტომ ნაკლებსავარაუდოა, გამტაცებლები პანკისის შორეულ გზას დასდგომოდნენ.

ხმაურიანი კრიმინალური კვირა თამაზ მაღლაკელიძის გატაცებით არ დამთავრებულა. დამნაშავეთა სხვა ჯგუფი რუსეთის საელჩოს თანამშრომელს, ვიქტორ რინზას დაესხა თავს. საელჩოს მრჩეველს თავდამსხმელებმა ავტომანქანა და პირადი ნივთები წაართვეს. სამართალდამცველებმა რუსი დიპლომატის ავტომობილი კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. თუმცა თავდამსხმელთა ვინაობის დადგენა და მათი დაკავება ვერ მოხერხდა.

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, რინზაზე თავდასხმა რიგითი დანაშაულის იმიტაციის მცდელობას წარმოადგენს და სინამდვილეში, პოლიტიკური გათვლებით არის ნაკარნახევი; ანუ გაერთიანებული ქართული ბანკიდან 50 ათასი დოლარის წაღებას, მაღლაკელიძის გატაცებასა და რუს დიპლომატზე თავდასხმას საქმეში ჩახედულთა წრეებში ერთ მთლიანობაში განიხილავენ. „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას სპეცსამსახურების მაღალჩინოსანი აცხადებს, რომ ყველა ეს მოვლენა ერთი ჯგუფის მიერ დადგმული სპექტაკლია, რაც ქვეყანაში დესტაბილიზაციას ისახავს მიზნად. არსებობს დანაშაულის გაანალიზების პირველადი, ყველაზე მარტივი ხერხი. უნდა დაისვას კითხვა, თუ ყველაზე მეტად ვის აძლევს ხელს ამ დანაშაულის ჩადენა. „დინამიკურ ქაოსზე“ უკვე დიდი ხანია, ლაპარაკობს ჩვენი ხელმძღვანელობა. ეს ფუჭი გაფრთხილება რომ არ იყო, გასულმა კვირამაც დაადასტურა. თუ ზემოთ ხსენებული სქემით შევუდგებით ანალიზს, აუცილებლად მივალთ დასკვნამდე, რომ მთელი ეს კრიმინალური პროცესები მართვადია და წმინდა კრიმინალის ჩარჩოებში არ თავსდება.

დაუკვირდით ბოლო კვირების მანძილზე განვითარებულ მოვლენებს. აუცილებლად შენიშნავთ ალოგიკურობას: კრიმინალური სამყარო არ აქტიურობდა თბილისში მასობრივი გამოსვლების დღეებში. არადა, წესით და რიგით, 22-23 ნოემბერი ყველაზე ხელსაყრელი დრო იყო ადამიანთა გასატაცებლად თუ ბანკიდან თანხების გასატანად. იმ დროს სამართალდამცავი სტრუქტურები, ფაქტობრივად, პოლიტიკურ მოვლენებზე იყვნენ გადართული, მაგრამ მაშინ არც ერთი ხმაურიანი დანაშაული არ მომხდარა. სამაგიეროდ, კრიმინალთა გააქტიურება დაიწყო იმ დროს, როცა ყველაფერმა ამან ჩაიარა და ქვეყანა ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს უბრუნდება; ანუ კრიმინალური სიტუაციის გამწვავებით ვიღაც ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციას ცდილობს.

**— ვინ შეიძლება იგულისხმებოდეს ამ „ვიღაცაში“?**

— ყველა ის, ვინც დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგია. სპეცსამსახურები აქ გაცხრილვის მეთოდს იყენებენ. დღევანდელ ხელისუფლებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მათი უმრავლესობა წმინდა პოლიტიკური ბრძოლის ხერხებს მიმართავს. ვგულისხმობ იმ პარტიებს, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ დღევანდელ მთავრობას. მაგრამ არსებობენ კრიმინალები, რომლებიც თავის გავლენებს კარგავენ ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, აუცილებლად მივაკვლევთ ამ ჯგუფს, რომელიც ყოველივე ამის ორგანიზატორია.

**— თქვენ გამორიცხავთ, რომ „დინამიკური ქაოსით“ გარე ძალები არიან დაინტერესებული?**

— გამორიცხვა არაფრის არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სკანდალური პირებიც ეწვივნენ. ინტერპოლის მიერ ძებნილი კაცი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შემოდის ქვეყანაში და რამდენიმესაათიანი „საიდუმლო სერობის“ შემდეგ, ასევე უპრობლემოდ ბრუნდება უკან. საზღვრის დაცვის თანამშრომლები თავს იმართლებდნენ, რომ მის დაკავებაზე მოთხოვნა კომპიუტერულ ქსელში არ იყო(?!). რამდენიმე დღის შემდეგ უკვე სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შეფმა აღიარა, რომ ასეთი ინფორმაცია ჰქონდათ, მაგრამ კომპიუტერში არ ყოფილა შეტანილი. ვინ არ შეიტანა მონაცემები კომპიუტერში?.. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მასალები კომპიუტერში არსებობდა და განგებ წაშალეს. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

ასევე მინდა აღვნიშნო, გასულ კვირას. გენპროკურატურის მიერ წამოწეულმა საქმეებმა ცხადყო, რომ ყოფილი ჩინოვნიკების ერთ ჯგუფს სერიოზული საფრთხე ემუქრება. იქ დასახელებული ადამიანების გარდა, არსებობენ სხვა ჯგუფებიც, რომლებმაც დიდი ხნის წინ გადაინაწილეს გავლენის სფეროები. დღეს ეს ხალხი — კანონიერი ქურდები თუ კორუმპირებული ჩინოვნიკები — სერიოზული საშიშროების წინაშე დგანან. მათ შეიძლება დაკარგონ ყველაფერი, რაც უნიათო ხელისუფლების დროს შეიძინეს. ამიტომ ყველანაირი გზით ცდილობენ მდგომარეობის შენარჩუნებას. ეს კი კრიმინალური თავდასხმებით არის შესაძლებელი. სქემა მარტივია — გამუდმებული კრიმინალური აქტები უმართავს გახდის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, რის გამოც ხალხი ამ ხელისუფლებას აუმხედრდება და ოღონდ ქვეყანაში სიმშვიდე იყოს, მასაც შევარდნაძის გზას გაუყენებს. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო აზრსაც. როგორ გგონიათ, რატომ დაესხნენ თავს რუსეთის საელჩოს თანამშრომელს, მას ხომ ფული არ ჰქონდა? მანქანა წაართვეს და კუს ტბაზე მიატოვეს. როდის იყო გატაცებული მანქანა კუს ტბაზე მიჰყავდათ, იქ ხომ ჩიხია და ვერსად გაიქცევი: უბრალოდ, ბოროტმოქმედებს მხოლოდ დანაშაულის დაფიქსირება ჰქონდათ განზრახული, რათა შეიქმნას საერთაშორისო აზრი, რომ საქართველოში არა მარტო ბანკები იძარცვება, უცხოელი დიპლომატებიც გამუდმებული საშიშროების წინაშე დგანან. ვინც უნდა იდგეს ყოველივე ამის უკან, ერთის თქმა ახლავე შეიძლება — ეს სერიოზული საბოტაჟია, რომელსაც დროზე უნდა აღკვეთა, თორემ მერე გვიან იქნება.

***მოამზადა დავით დევიძემ***

# „არც ჩვენ გვსიამოვნებს ჩვენი ქვეყნის რუსეთში სეირნობა“

*„დამწყები ტერორისტებისათვის ინტერნეტში არსებობს სპეციალური სასწავლო კურსი, რომელიც დაწვრილებით ინფორმაციას მიაწვდის მსურველებს, როგორ დაამზადონ საყოფაცხოვრებო პირობებში და შემდეგ როგორ გამოიყენონ ასაფეთქებელი მოწყობილობები. სამწუხაროდ, ეს ფაქტი სერიოზულ პრობლემას უქმნის მთელ მსოფლიოს, რადგან გარკვეულწილად ყველა ჯურის არამზადას ეძლევა საშუალება სისრულეში მოიყვანოს კაცობრიობისთვის საშიში განზრახვა. მაგრამ შევახსენებ ყველას, ვისაც გადაუწყვეტია გამოიწვიოს აფეთქებების გზით საქართველოში დე-*



*სტაბილიზაცია და ქაოსი, ჩვენ ვაკონტროლებთ ყველა იმ სავაჭრო ობიექტს, სადაც იყიდება საყოფაცხოვრებო პირობებში დასამზადებელი ასაფეთქებელი ნედლეული. ამიტომ ნურავის ექნება ილუზია, რომ ბოროტი ჩანაფიქრის განხორციელებამდე ჩვენი კონტროლის ზონაში არ მოხვდებიან“ — განაცხადა უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ „კვირის პალიტრასთან“ საუბრის დროს; როგორც ცნობილია, ჯერჯერობით უშიშროების სამინისტროს არც ინტერნეტით განსწავლული ტერორისტების კვალი აღმოუჩენია საქართველოში და არც დღემდე განხორციელებული აფეთქებებისა და თავდასხმების ორგანიზატორები და შემსრულებლები დაუკავებიათ. თუმცა აღსანიშნავია, რომ უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველომ დაბა ვაზიანის სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე მიაგნო არალეგალური იარაღის საწყობს. დაკავებულია 54 წლის თბილისელი საშა შომახია, ვისაც ეკუთვნოდა ფართი, რომელშიც იარაღის საწყობი იყო განთავსებული. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვალერი ხაბურძანია შომახიას შესახებ ძუნწ ინფორმაციას გვაწვდის და აცხადებს, რომ შესაძლოა, შომახიას კვალმა მიგვიყვანოს უცხოურ სპეცსამსახურებთან ან სერიოზულ კრიმინალურ დაჯგუფებებთან. სანამ ხაბურძანია და მისი მაძებრები ტერაქტად შეფასებული მოვლენების სათავეებს მიადგებიან, მანამდე უშიშროების მინისტრი სრულიად საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებს, გამოიჩინონ სიფრთხილე ხალხმრავალ ადგილებში: რკინიგზის სადგურებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, თბილისის შემოგარენში, ბაზრობებზე, საკონცერტო დარბაზებში. ხოლო თუ საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში ან ქუჩაში უპატრონოდ მიტოვებულ საეჭვო ნივთებს — ბანდეროლს, კოლოფს, პაკეტს, ჩანთას ან სხვა რამეს დაინახავთ, უშიშროების მინისტრი გვაფრთხილებს, რომ არ შევეხოთ მას, მოვერიდოთ იმ ადგილს და დაუყოვნებლივ ვაცნობოთ უშიშროების სამინისტროს ადგილობრივ სამსახურებს ან დავრეკოთ ცხელ ხაზზე: 99-57-84, 95-36-53. მოკლედ, ყოველივე აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ თბილისში ვითარება სახიფათოდ იძაბება და როდემდე გაგრძელდება ასე, არავინ უწყის, მათ შორის, არც ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებმა. ისინი მხოლოდ ავისმომასწავებელ პროგნოზებს აკეთებენ და ირწმუნებიან, რომ ყველაფერს იღონებენ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მცდელობის აღსაკვეთად.*

*გთავაზობთ ინტერვიუს უშიშროების მინისტრთან* ***ვალერი ხაბურძანიასთან:***

***(დასასრული იხ. გვ.6)***

CMYK

## „არც ჩვენ გვსიამოვნებს ჩვენი ძებნილების რუსეთში სეირნობა"

(დასაწყისი იხ. გვ-5)

**— ბატონო ვალერი, რას იტყვით ვაზიანის საიდუმლო ბაზასთან დაკავშირებით?**

— იარაღის საწყობი დროთა განმავლობაში ივსებოდა აღმოჩენილი საბრძოლო აღჭურვილობით, რომლის წარმომავლობაც რუსულია (სხვა წარმოშობის იარაღი ძნელად ხვდება საქართველოში) და იგი გაზიდულია ვაზიანის ყოფილი რუსული სამხედრო ბაზიდან. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, სად შეიძლება მიგვიყვანოს კვალმა. ამ საქმეზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოკვლევა. გვაქვს ინფორმაცია სხვა ბაზების არსებობის შესახებ და დარწმუნებულნი ვართ, მათაც მალე აღმოვაჩენთ.

ვზრუნავთ, გავანეიტრალოთ მოსალოდნელი პრობლემები. ნამდვილად არსებობს საშიშროება, რომ ქვეყანაში განხორციელდეს პოლიტიკური ნიშნის მატარებელი ტერაქტები. საერთოდ, როდესაც სპეცსამსახურები გეგმავენ დესტაბილიზაციის თავიდან აცილების ღონისძიებებს, მისი ბოლო არასდროს არ არის ზუსტი და განსაზღვრული. ამ გეგმის მიხედვით მთავარია, დესტაბილიზაციის საწინააღმდეგო პროცესები დაიწყოს. იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ საქართველოში ქაოსამდე არ მივიდეს საქმე. რაც ბოლო კვირების განმავლობაში მოხდა (კრიმინალი), ყველა მოვლენა ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, ანუ დაიწყო პროცესები, რომლებიც სავარაუდოა, რომ ვიღაცის მიერ დაგეგმილია. მათ ამ ქმედებათა გაგრძელების საშუალება არ უნდა მიეცეს, თორემ მდგომარეობა შეიძლება მართლა უმართავი გახდეს.

**— ბატონო ვალერი, მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე საუბრისას თქვენ მხოლოდ თბილისს ახსენებთ. საქართველოს დანარჩენი ქალაქების და რეგიონების მოსახლეობას საფრთხე არ ელის?**

— საბედნიეროდ, ჯერჯერობით ჩვენი ინფორმაციით, მსგავსი არაფერი არ უნდა იგეგმებოდეს.

**— ბერეზოვსკის საქართველოში ინკოგნიტოდ ჩამოსვლის ფაქტს რა კომენტარს გაუკეთებთ? როგორც ცნობილია, ამ ფაქტმა გააბრაზა რუსეთის ხელისუფლება.**

— ჩვენმა სამსახურმა მოგვიანებით მიიღო ინფორმაცია ბერეზოვსკის ჩამოსვლის შესახებ. ისე კი ეს საკითხი, პირველ რიგში, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს უნდა გაერკვია. რაც შეეხება რუსების გაღიზიანებას, ალოგიკური ამაში არაფერია. არავის სიამოვნებს მისი სამართალდამცავების მიერ ძებნილი პირი სხვა ქვეყნებში უბატონოდ რომ დადის. როგორც ჩვენ არ გვსიამოვნებს ჩვენი ძებნილების რუსეთში სეირნობა.

**— ყოველთვის, როცა საქართველოში რაღაც დაძაბულობა იქმნება, ავტორებად და ორგანიზატორებად დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურებს, გარე ძალებს მიიჩნევენ. როგორ ფიქრობთ, თბილისში განხორციელებული აფეთქებები, რომელთაც, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია, რომელიმე „გაბრაზებული" ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ არის დაგეგმილი?**

— ამ კითხვაზე პასუხს ვერ დავაკონკრეტებთ, გადაჭრით არაფრის თქმა არ შემიძლია. ახლა მთავარია, ყველა ფხიზლად ვიყოთ.

P.S. ცხადია, მართლაც ფხიზლად უნდა ვიყოთ მანამ, ვიდრე მუშაობის გუნდურ პრინციპზე გადასული ქართული ძალოვანი უწყებების თავკაცები ქვეყანაში არსებული დაძაბული კრიმინოგენული ფონის გასანეიტრალებლად რამეს ილონებენ. იმედი გვაქვს, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძესთან და სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან მათი ყოველდღიური შეკრებების ტრადიცია დიდხანს არ გასტანს. ვფიქრობთ, უშიშროების საბჭოს ყოველი შეკრების დასრულების შემდეგ, ქართველი ძალოვნები არა მხოლოდ პრევენციულ, უბრალოდ დამაიმედებელ განცხადებებს გააკეთებენ, არამედ მათი გამუდმებული შეკრებები ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიადაც იქცევა, რასაც ასე მოუთმენლად ელის ჩვენი საზოგადოება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი...

ეკა ლომიძე

## „ფილოსოფოსი რევოლუციონერის" სტუმრობა...

### ასეთ ქმედებას „პოლიტიკურ ჩემქას" დავარქმევდი



„კვირის პალიტრამ" ერთი საინტერესო აღმოჩენა გააკეთა, რომელსაც ფართო საზოგადოებას გააცნობს.

გასულ კვირას საქართველოს უცნაური გვარ-სახელის კაცი სტუმრობდა — პლატონ ილენინ (და არა ელენინი), ანუ პლატონ ი ლენინ და ოდნავ თუ გადმოვაქართულებთ, დავასკვნით, რომ პლატონი და ლენინი გვწვევიან. ოღონდ ერთ კაცში განსახიერებულნი. რატომ აირჩია რუსმა ოლიგარქმა ეს ორი პიროვნება და რატომ გააიგივა მათთან საკუთარი თავი, არავინ იცის და რაკი არჩევანის საფუძველი ჩვენთვის უცნობია, მხოლოდ ლოგიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ.

პლატონი — ანტიკური ფილოსოფიის მამა, არისტოკრატი, დემოკრატიის დაუძინებელი მტერი, სახელმწიფო სისტემის გარდაქმნისთვის მებრძოლი, საზოგადოებაში თანასწორუფლებიანობის აღდგენის მიზნით მესაკუთრეთა ფენისთვის პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევას მოითხოვდა. პლატონის აზრით, ადამიანს საზოგადოებაში ადგილი თავისი პიროვნული თვისებებისა და განათლებიდან გამომდინარე უნდა ჰქონდეს. აი, ასეთი იყო პლატონი, რომელმაც ბერეზოვსკის ახალი ფსევდონიმის თავში (პირველ ნაწილში) დაიკავა ადგილი... ფსევდონიმის მეორე სუბიექტი ვლადიმირ ლენინია, რევოლუციის ბელადი, მასების მართვის უბადლო ოსტატი, არისტოკრატიის მოძულე, არადემოკრატი, ხალხის სახელით მებრძოლი ბელადი. რა აქვს საერთო ბორის ბერეზოვსკის ამ ორ საოცრად ჭკვიან ადამიანთან? ალბათ რევოლუციური იდეები, ხალხის (განსაკუთრებით, ჩეჩნების) სახელით მანიპულირება, ხელისუფლებასთან შეურიგებლობა და ალბათ, ჭკუაც... ბერეზოვსკი რუს კომუნისტებს, როგორც ჩანს, აქამდეც აგონებდა ლენინს და ალბათ ამითაც აიხსნება მისი სიამტკბილობა ზიუგანოვის პარტიასთან... არსებობს კიდევ ერთი დეტალი, რაც პლატონი-ლენინი-ბერეზოვსკის ერთი შეხედვით უცნაურ სამკუთხედს კრავს — პლატონი თავისი იდეების გამო (რომლებიც ხელისუფალისთვის იყო მიუღებელი), სამშობლოს მოაცილეს და მონად გაყიდეს, ვლადიმირ ულიანოვი რევოლუციონერობისთვის ლენაზე გადაასახლეს და ასე იშვა მისი ფსევდონიმი — ლენინი. ეტყობა, სამშობლოდან განდევნილმა და ძებნილმა ბერეზოვსკიმ ამ ორ პირსა და საკუთარ მდგომარეობას შორის მსგავსება დაინახა და თქვა, პლატონ ი ლენინი ვარო(!). რისთვის იყო ჩამოსული პლატონ ილენინი (ისე, რა გასაკვირია, რევოლუციურ საქართველოში ლენინის გამოჩენა) და, საზოგადოდ, რა კაცია ეს ბორის ბერეზოვსკი? ამის შესახებ მის „კარგ ნაცნობს", სახელმწიფო ექსმინისტრს, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარეს, **ვაჟა ლორთქიფანიძეს** ვესაუბრეთ:

**— ბატონო ვაჟა, გასული კვირის ლამის მთავარ თემად იქცა ბორის ბერეზოვსკის საქართველოში სტუმრობა...**

— ბორის ბერეზოვსკის ჩამოსვლის გამო სატელევიზიო არხებით ატეხილი ხმაური პოლიტიკურ პროვინციალიზმად მიმაჩნია. რატომ გახდა რომელიღაც ბიზნესმენის, თუნდაც სკანდალურად ცნობილის, ჩამოსვლა სალაპარაკო?

**— რატომ? სწორედ ამის გაგებაც მინდოდა თქვენგან...**

— ეტყობა, ვიღაცის ინტერესში იყო ხმაურის ატეხა. მის ჩამოსვლას სრულიად მარტივი ახსნა აქვს — ის თავის მეგობარსა და პარტნიორთან სტუმრობდა, რა არის აქ გასაკვირი. ღამე რატომ ჩამოვიდაო? როცა უნდოდა, მაშინ ჩამოვიდა, მორჩა და გათავდა. ან რატომ უნდა დასჭირვებოდათ ჩემი და ბერეზოვსკის რამდენიმე წლის წინანდელი შეხვედრის კადრების ისტერიკულად ჩვენება-გამეორება... მაშინ ბერეზოვსკი დსთ-ის აღმასრულებელი მდივანი იყო (მაშინ მან ბევრი სასიკეთო გააკეთა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით, რის გამოც სერიოზული უთანხმოება შეექმნა პრიმაკოვთან და სხვებთანაც, რის შემდეგაც აიძულეს, გვერდზე გამდგარიყო) და როგორც სახელმწიფო მინისტრს, პროტოკოლით მეკუთვნოდა მისი დახვედრა. ამასთან, ბერეზოვსკის ისედაც ახლოს ვიცნობ, კარგი ურთიერთობა გვაქვს...

**— ჩანს, თქვენ საინფორმაციო საშუალებებით ატეხილ ხმაურს სხვა დატვირთვას აძლევთ.**

— ეს იყო პოლიტიკური დაბეზღება მოსკოვთან. ამ ისტერიას სხვა მიზანი არ ჰქონია. მოსკოვსა და პუტინს დაენახვეს — ხედავთ, ბადრისთან ბერეზოვსკი ჩადის, მას ლორთქიფანიძე ხვდებაო (არადა, მას გასულ კვირას არ შევხვედრივარ). ასეთ ქმედებას მე „პოლიტიკურ ჩემქას" დავარქმევდი.

**— ითქვა, ეს ფაქტი რუსეთ-საქართველოს ბოლო დროს დამთბარ ურთიერთობებზე იმოქმედებსო.**

— არა მგონია. ეს უფრო პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებას ჰგავს. ვიღაცა ვიღაცას ებრძვის, რაკი მასში კონკურენტს ხედავს.

**— ანუ თქვენ და ბადრი პატარკაციშვილი ხართ ვიღაცისთვის არასასურველი მეტოქეები?**

— ალბათ... ბორის ბერეზოვსკის პოლიტიკური თავშესაფარი ინგლისმა მისცა, რადგან რუსეთისგან განსხვავებით, ის სისხლის სამართლის დამნაშავედ არ მიიჩნია.

**— მართალია, თქვენ ბორის ბერეზოვსკის არ შეხვედრიხართ, მაგრამ ალბათ ჰკითხავდით ბატონ ბადრის მისი ჩამოსვლის მიზეზს (მით უმეტეს, ასეთი სკანდალის შემდეგ).**

— რატომ ვკითხავდი ბადრის, რაზე ელაპარაკე ბერეზოვსკისმეთქი. ისინი ბიზნესპარტნიორები არიან. რამდენადაც ვიცი, მათი საერთო კაპიტალი 10-12 მილიარდს აღწევს. მთელ მსოფლიოშია მიმობნეული მათი სტრუქტურები. ეტყობა, ამ კაცს ახლა გაუჩნდა ჩამოსვლის შესაძლებლობა. ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველოს პოლიტიკურ მოვლენებზე არ ილაპარაკებდნენ და არც იმას დაგეგმავდნენ, ახლა რა ვქნათო.

**— ხომ არ აპირებს ბერეზოვსკი ჩვენს ქვეყანაში რაიმე ინვესტიციის განხორციელებას?**

— არა მგონია. ხომ ხედავთ, ბადრიც არ ისწრაფვის (ფრთხილობს), აქაურ ბიზნესში ჩადოს ფული.

**— რევოლუციის შემდგომ განვითარებულ პროცესებზე რას იტყვით?**

— იმას, რასაც ახლანდელი ხელისუფლება რევოლუციას უწოდებს, მე სახელმწიფო გადატრიალებას დავარქმევდი. როგორც წესი, ასეთი პროცესების შემდეგ ქვეყანა კარგა ხნით არის ხოლმე დაულაგებელი. ასეთ პროცესებს ყოველთვის ეტმასნებიან ისეთები, რომლებიც თავიანთი თანადგომის საზღაურად დივიდენდებს ითხოვენ. ის, რაც დღეს ხდება, ყველაზე მეტად დე ფაქტო ხელისუფლებისთვის კარგი გამოცდაა. ახლა გამოჩნდება, ისინი მართლაც დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსები არიან თუ — პირიქით, რამდენად დაიცავენ დემოკრატიულ ღირებულებებს, ადამიანის უფლებებს, საბაზრო ეკონომიკას და ა.შ. თუ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას მიეცემა საშუალება, რომ იყოს პოლიტიკურ ასპარეზზე და მიიღოს მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში, ეს იქნება დასტური იმისა, რომ დემოკრატიული ქვეყანა ვართ. ასევე აუცილებელია, საარჩევნო ბარიერის 5%-მდე დაწევა.

1992 წელს შევარდნაძემ ძალზე ფართო პოლიტიკურ სპექტრს მისცა პარლამენტში მოხვედრის შანსი და ეს ძალზე ქმედუნარიანი პარლამენტი გახლდათ, რომელმაც კონსტიტუცია მიიღო. მაშინ ქუჩის ბრძოლები პარლამენტში გადავიტანეთ — ეს გამარჯვება იყო.

აქედან გამომდინარე, კოალიციური უნდა იყოს ახალი მთავრობაც. ყველა პარტიამ უნდა შეძლოს სახელმწიფო ინტერესის პარტიულზე მაღლა დაყენება. ამოსავალი წერტილი ახალი მთავრობის დაკომპლექტებისას პროფესიონალიზმი და პატიოსნება უნდა იყოს. თუ ხელისუფლებაში ერთი პოლიტიკური ძალა მოვა, ეს გუნდი კი არა, კასტა და მაფია იქნება. თუ დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლება ყველა ძალას შანსს მისცემს, მათ ტაშს დავუკრავ და ვიფიქრებ, რომ ევროპული ღირებულებებისკენ მივდივართ.

ასევე ანგარიში უნდა გაეწიოს აჭარას. ხელისუფლება აუცილებლად უნდა წავიდეს კომპრომისზე. თუ აჭარამ არ მიიღო მონაწილეობა, არჩევნებს ფასი არ ექნება და ვერც დღევანდელი ხელისუფლება იქნება ლეგიტიმური.

და კიდევ, არავითარი კონტრრევოლუციური მოძრაობა არ არის საქართველოში და არც პრეზიდენტია ვინმესთვის საშიში. მერწმუნეთ, პრეზიდენტი რევანშისთვის ნამდვილად არ არის განწყობილი. როდესაც ვესტუმრე, მითხრა, პოლიტოლოგიური კვლევების ცენტრის შექმნასა და ჩემი საარქივო მასალის მოწესრიგებას ვაპირებო.

**— რას ელით სამომავლოდ?**

— სურვილი მაქვს, ოპტიმისტურად ვიყო განწყობილი, მაგრამ გულწრფელად გეტყვით — მშვიდად ვერ ვარ.

**— თქვენზე ხომ არ ყოფილა რაიმე სახის ზეწოლა...**

— დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ჩემი ძველი თანამებრძოლები არიან. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ბანაკში აღმოვჩნდით, დღემდე შევინარჩუნეთ კეთილმოსურნე განწყობა. ზეწოლის რა მოგახსენოთ, მაგრამ 29 ნოემბერს დაბადების დღე მქონდა, ზურაბ ჟვანიამაც და სხვებმაც მომილოცეს...

P. S. კულუარებში ახალი ხელისუფლების პირველი ნაბიჯები და საკადრო ცვლილებები დიდი განსჯის საგანია. ამბობენ, რომ ბურჯანაძე-ჟვანია-სააკაშვილის მთავრობას კადრების დეფიციტი აქვს. ლაპარაკობენ რევოლუციის მიმართ აშშ-ის კეთილგანწყობის მიზეზებზეც — შევარდნაძის ხელისუფლების დროს 2-მილიარდიანი დახმარების უკვალოდ გაქრობამ შტატები მეტისმეტად გააღიზიანაო. ამიტომ ახალ ხელისუფლებას უთუოდ მოსთხოვენ კორუფციასთან შეურიგებელ ბრძოლას. კერძოდ, დაგეგმილია საზღვარგარეთ გახსნილი ქართული ანგარიშების გულდასმით შესწავლა, რის შედეგადაც ბევრი ყოფილი ჩინოსანი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდება. როგორც ამბობენ, სააკაშვილი არც ე. წ. შავ სამყაროსთან მოლაპარაკებას აპირებს. ამას წინათ, უცხოეთიდან ჩამოსულ ავტორიტეტს, რომელსაც საკუთარი ბიზნესის ხელშეუხებლობის გარანტიები სჭირდებოდა, სააკაშვილთან შეხვედრა უთხოვია, რაზეც უარი მიიღო. როგორც ჩანს, სააკაშვილი მძაფრად დაუპირისპირდება კორუმპირებულთა ფენასაც და შავ სამყაროსაც. ეს მისი გაპრეზიდენტებისა და უსაფრთხოების საკითხს სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს. ლაპარაკია 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლასა (ამომრჩევლის პასიურობის გამო) და მის გაზაფხულზე ჩატარებაზე, რაც სააკაშვილის სასარგებლოდ ნამდვილად არ იმუშავებს. არ გამორიცხავენ ამ დროისთვის პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებიც გამოჩნდნენ.

ია რიკაძე

## მე ისეთ მთავრობასთან ვიმუშავებ, რომელიც ჩემს იდეებს მოიწონებს

ეკონომისტი **გია მაისაშვილი** პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად სახელდებოდა, თუმც საბოლოოდ ამერიკაში განსწავლული ქართველი პრეზიდენტობის პრეტენდენტთა შორის ვერ ვიხილეთ. რატომ გადაიფიქრა მან პრეზიდენტობისთვის ბრძოლა და როგორ ეკონომიკურ პერსპექტივებს ხედავს გია მაისაშვილი საქართველოში, ინტერვიუდან შეიტყობთ:

— საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ამ ეტაპზე არც მიფიქრია. მით უმეტეს, ახლა, როდესაც საზოგადოება ეგზალტირებული და ნახევრად ფსიქოზურ მდგომარეობაშია. რა კონკრეტულ გეგმებზეა ლაპარაკი, ჩემი უნარი და გამოცდილება მაშინ გახდება საჭირო, როდესაც შენებისთვის იქნება მზად ჩვენი საზოგადოება. სწორედ მაშინ შეიძლება რაღაც ალტერნატიული შემოგთავაზოთ. შეიძლება დღეს არის კიდეც ხელისუფლებაში




აღმშენებელი ხალხი, მაგრამ მათი პირველი ნაბიჯებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, აღმშენებლობის პროცესზე ლაპარაკი ნაადრევია. თავდაპირველად, ქართველი საზოგადოების მშენებლობის ამოცანა უნდა წამოვწიოთ წინა პლანზე, რათა შემდგომ მას ქვეყნის აღმშენებლობის სურვილი გაუმძაფრდეს. ჯერჯერობით, არავის სცალია შენებისთვის, უფრო შინაპოლიტიკურ ინტრიგებსა და ბრძოლაზე არიან გადასული. როდესაც წყალი ასეა ამღვრეული, ბევრი შემთხვევითი პირი შეეცდება თევზის დაჭერას. პოლიტიკოსებს ლოზუნგებით ჩვენი მოტყუების საშუალება არ უნდა მივცეთ. ქართველი საზოგადოება დღეს მხოლოდ და მხოლოდ ქარიზმით იკვებება და ეს საშიშია. ქარიზმა ნიშნავს პიროვნულ ძალაუფლებას, რომელიც ლეგალურ ძალაუფლებას სცილდება. როცა ქარიზმატული ლიდერი ლეგალურ ჩარჩოებშია მოქცეული, ის ნაკლებსაშიში ხდება.

**— როგორ უნდა მომზადდეს საზოგადოება ახალი ეტაპისთვის?**

— ალბათ ამას გარემომ უნდა შეუწყოს ხელი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია პიროვნების როლიც ახალი იდეების დანერგვასა და ხორცშესხმაში. თუ ქვეყნის განვითარებამ კიდევ 10 წლით გადაიწია, გლობალურ პროცესებს ჩამოვრჩებით. მოვლენები კი ელვის სისწრაფით ვითარდება. საჭირო არის ლიდერის როლის ამღები და მასწავლებელი ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ამ თემატიკის აქტუალიზაციას მოახდენს.

**— ვინ იქნება ასეთი მასწავლებელი?**

— მე და ჩემს თანამოაზრეებს დაგვიგროვდა ის მორალური ავტორიტეტი და ინტელექტუალური სიღრმე, რაც მშენებლობის პროცესს შეუწყობს ხელს. ჩვენი შეხედულებები „ქართული სახელმწიფოს მშენებლობის მოდელშია" ჩამოყალიბებული, რომელიც უკვე ცალკე წიგნად გამოვეცი. თითოეულ ჩვენგანშია ლიდერი და მასწავლებელი და იკისრებს კიდეც ყველა მათგანი ამ როლს. თითოეულ ჩვენგანს შეუძლია საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება და ისეთი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომ ქვეყნის აშენება თანამიმდევრულად მოხდეს. უნდა შეიქმნას განათლების ცენტრები, რომელშიც იქნება ლაპარაკი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მშენებლობაზე, პოლიტიკაზე, პოლიტიკასა და ბიზნესზე, მთავრობასა და ბიზნესს შორის დამოკიდებულებაზე, უშიშროების კონცეფციაზე, საქართველოს როლზე; იმაზე, თუ რა ნიშა უნდა დაიკავოს ჩვენმა ქვეყანამ. ჩვენ გვინდა ეს თემატიკა შევთავაზოთ საზოგადოებას და ისიც ჩავრთოთ დისკუსიაში. წარმატებას ვერ მივაღწევთ, თუ ნდობით სავსე სამოქალაქო საზოგადოება არ ჩამოყალიბდა, თუ თითოეულ ჩვენგანს არ ექნა მოქალაქეობისა და პატრიოტიზმის განცდა. თითოეულ ჩვენგანს გარკვეული ფუნქცია აკისრია და ეს ფუნქცია გაცილებით მეტია, ვიდრე სამსახურში სიარული, ოჯახის შენახვა და ა.შ. ჩვენთვის მთავარი საქართველოს სამსახური უნდა იყოს. 21-ე საუკუნის საზოგადოება ცოდნის საზოგადოებაა, რომლის ძირითადი რესურსი ინტელექტია. საქართველო როგორმე უნდა გათავისუფლდეს გეოპოლიტიკური მდებარეობით გამოწვეული პრესინგისაგან.ის არ უნდა იყოს მავედრებლისა და მხვეწნელის როლში. ჩვენი საგარეო პოლიტიკა კი რუსეთთან ურთიერთობის გარკვევის, ვაშინგტონის ჩვენს მხარეზე გადმოყვანის მცდელობითა და იმაზე ლაპარაკით შემოიფარგლება, თუ რა საცოდავები ვართ და მეზობელი როგორ გვჩაგრავს... ეს არ არის სწორი პოზიცია.

უნდა დავანახვოთ ყველას, რომ ჩვენ ვერ დაგვიმორჩილებს ვინმე ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით, ან სხვა ამგვარი მეთოდით.

(დასასრული იხ. გვ.7)

# საქართველო არ უნდა იყოს მავედრებლისა და მხვეწნელის როლში

*(დასაწყისი იხ. გვ.6)*

თუ ასეთები ვიქნებით, მეტი მოკეთე გვეყოლება და ჩვენი თანადგომის სურვილიც გაეზრდებათ ჩვენს მეგობრებს.

ხალხის ქუჩაში გამოსვლა არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც ახალს ეყრება საფუძველი. თუმც ფაქტია, ქვეყანამ გადაშალა თავისი ცხოვრების ახალი ფურცელი.

თავის დროზე, საფრანგეთის რევოლუციაც დადებით მოვლენად იქნა აღქმული, მაგრამ შემდეგ ისეთი პროცესები განვითარდა, რომ მას გილიოტინების სერიალი მოჰყვა. ტერორიზმი და ანგარიშსწორება დაუშვებელია. დღეს ისეთი ვითარებაა, რომ იოლია ვიღაცასთან მივარდნა, — ეს კარგი არ არის.

— **რომ ითქვა, — კორუმპირებულ ჩინოვნიკებს პასუხი უნდა ვაგებინოთ, რაკი სახელმწიფოს ფული მიიტაცესო, ესეც მივარდნაა?**

— ეს არ მიგულისხმია... თუმც გეთანხმებით, რომ საქართველოში დამნაშავეების დასჯის პრეცედენტი უნდა შეიქმნას. საკუთარი ქვეყნის ყვლეფითა და გალატაკებული თანამემამულეების ხარჯზე გამდიდრებული ვინც არის, უნდა დაისაჯოს.

ეს მართლაც ძალზე მტკივნეული საკითხია. ხომ ფაქტია, რომ პროკურორები, რომლებიც დღეს საქმეების აღძვრას აპირებენ ცალკეულ პირებზე, რამდენიმე კვირის წინ ამჟამინდელი, ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ აპირებდნენ იმავეს. დაკვეთით აღძრული საქმეები ჩემში უნდობლობას იწვევს.

— **როგორ უნდა დავაღწიოთ ასეთ ჩიხურ მდგომარეობას თავი, საიდან უნდა დავიწყოთ დამნაშავეების დასჯა?**

— თავიდან.

— **ანუ ქვეყნის პირველი პირიდან?**

— არ ვიცი, რამდენად გასასამართლებელია პრეზიდენტი. მაგრამ უნდა შეიქმნას ქვეყანაში პრეცედენტი, რომ როდესაც ადამიანი ერთპიროვნულად ქმნის პოლიტიკურ სისტემას და ქვეყანა ასეთ შედეგებამდე მიჰყავს, როდესაც ბანკროტირებულია ეკონომიკა, პოლიტიკა, ადმინისტრაცია — ასეთმა პრეზიდენტმა პასუხი უნდა აგოს.

— **ხომ არ იქნება ეს ერთ კაცზე ჯოხის გადატეხა, მთავრობის კორუმპირებული მინისტრები და ჩინოვნიკები?.**

— ეს ბეწვის ხიდზე გავლა იქნება ქვეყნისთვის. ერთი მხრივ, აუცილებელია დავსაჯოთ ადამიანები, რომლებიც ქვეყანას ყვლეფდნენ, მეორე მხრივ კი ისიც საფიქრალია, რომ დასასჯელთა ჯაჭვი შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს.

ალბათ კორუმპირებულთა ჯგუფიც ორ ნაწილად უნდა გაიყოს. ერთნი, რომლებიც ხალხის ხარჯზე ფუფუნებით ცხოვრობდნენ და მეორენი, რომლებიც იძულებულნი იყვნენ კორუფციაში ჩართულიყვნენ, რათა ოჯახი ერჩინათ. გაუმაძღარი ბობოლები უთუოდ უნდა დაისაჯონ. თუმცა დეფინიციის გაკეთებაც არ იქნება იოლი — ვინ არის ბობოლა და ვინ — არა. ვფიქრობ, იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც საზოგადოებაში ავტორიტეტი აქვთ, უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომლებიც ამ რთულ ეტაპზე დეფინიციას მოახდენენ, ვინ დაისაჯოს და ვინ — არა. კუდიანებზე ნადირობა თუ დავიწყეთ, ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება. დასჯის პრეცედენტის შექმნა მეორე უკიდურესობაში არ უნდა გადაიზარდოს. პროცესი ობიექტურად და გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს. ეს არ უნდა გააკეთოს ისეთმა ხალხმა, რომლებიც გუშინ ასევე წარმატებით დაიჭერდნენ იმათ, რომლებიც დღეს ვიღაცის დაჭერას უკვეთავენ.

ჯეფერსონი ამბობდა, — „სჯობს ათასი დამნაშავე დარჩეს დაუსჯელი, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოსო“ — ამის გათვალისწინება უთუოდ გვმართებს. საზოგადოება არ უნდა გაიხლიჩოს. ახალი ქვეყნის აშენებაზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებული.

დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ლიდერის როლი... ის ლიდერი, რომელიც არის საზოგადოების გამხლეჩი, ვერ შეუწყობს ხელს ახალი ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ამის მაგალითად ჩვენ გამსახურდია და შევარდნაძე გვყავს. ლიდერი, რომელსაც მოსახლეობის 60, თუნდაც 70% მხარს უჭერს, დანარჩენი კი მის მიმართ ანტიპათიურად არის განწყობილი, რაგინდ ქარიზმატულიც უნდა იყოს, ჩიხიდან ქვეყანას ვერ გამოიყვანს. ჩვენ გამაერთიანებელი გვჭირდება. ქარიზმამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება. იგი კოსმეტიკას ჰგავს. ამიტომ საზოგადოება მომზადებული უნდა იყოს და კოსმეტიკამ არ უნდა მოატყუოს.

— **ვიცი, რომ თქვენ და მიხეილ სააკაშვილი მეგობრობთ. არის ისეთი სხვაობა თქვენს პოზიციებში, რომ ერთად დგომა გაგიჭირდეთ?**

— ჩვენ შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ მიშა პოლიტიკოსია და საგნებს უყურებს პარტიული თვალსაზრისით, მე კი მოქალაქე ვარ და მოვლენებს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე განვიხილავ. ჩემთვის პარტიული კუთვნილება მეორადია. ეკონომიკისადმი მიშას დამოკიდებულება, ხედვა, კერძოდ კი — გადასახადების გაუქმება, მცირე საწარმოებისათვის გადასახადების მოხსნა და მსგავსი განცხადებები ჩემთვის, როგორც ეკონომისტისათვის, მიუღებელია.

თუმც არის საკითხები, რომლებშიც ერთიანი ხედვა გვაქვს — კერძოდ, ეს არის სოციალური ასპექტის წინა პლანზე წამოწევა, რომ ჩვენ ეტაპობრივი კი არა, რადიკალური განვითარების გზა უნდა ავირჩიოთ.

— **ხომ არ გთავაზობენ ახალ ხელისუფლებაში რაიმე თანამდებობას, გამორიცხავთ, რომ ეკონომიკურ გუნდს ჩაუდგეთ სათავეში?**

— არ უარვყოფ, დღეს სწორედ ამის თაობაზე მიმდინარეობს სერიოზული მოლაპარაკებები. ვმსჯელობთ ქართული სახელმწიფოს ახალ ეკონომიკურ კონცეფციაზეც, მაგრამ ჩემთვის მთავარია ჯერ ურთიერთობების დალაგება. ინტრიგებისა და ამბიციების დრო უნდა დამთავრდეს, აუცილებელია, ქვეყნის პირველ პირს ჰქონდეს ისეთი ხედვა, რომელსაც მე ვიზიარებ. მე ისეთ მთავრობასთან ვიმუშავებ, რომელიც ჩემს იდეებს მოიწონებს და ხელს შემიწყობს მათ განხორციელებაში. ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული.

***მარი ზანდუკელი***



# არ დავსაჯოთ ეს ხალხი?!

## თქვა, მივდივარ და უკან მობრუნებას აღარ ვაპირებო

ახალ ხელისუფლებას რთული დღეები უდგას. ახალგაზრდა რევოლუციონერები მიტინგებიდან კაბინეტურ საქმიანობაზე გადავიდნენ და სახელმწიფოს მართვის პულტებს ითვისებენ. განსაკუთრებით საქმიანი და დაკავებული ახალი სახელმწიფო მინისტრია — სამეურნეო საქმეები და საკადრო გადაწყვეტილებები მის მხრებზე გადადის. მიუხედავად მოუცლელობისა, „კვირის პალიტრამ“ მაინც მოახერხა **ზურაბ ჟვანია** საქმისთვის რამდენიმე წუთით მოეწყვიტა:

— **ბატონო ზურაბ, ახალ გარემოს როგორ შეეგუეთ, კანცელარიასთან ადაპტაციის პერიოდი როგორ მიმდინარეობს?**

— ყველაფრის მიუხედავად, მაინც მოულოდნელად მოხდა ცვლილებები. მოულოდნელად აღმოვჩნდით იმ მდგომარეობაში, როდესაც ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებები, რათა ქვეყანა იმართებოდეს და არ მივიდეს კატასტროფამდე, სრულიად არ დაიშალოს ბიუჯეტი, არ აფეთქდეს ენერგოსისტემა და საბოლოოდ არ გამოვიდეს კონტროლიდან კრიმინალური ვითარება.

ფორმალურად უფრო მაღალი თანამდებობაც მჭერია. ვიცოდი, რომ კანცელარიაში პრობლემები იყო, მაგრამ ამ შენობაში შემოსვლის შემდეგ ნანახმა ჩემს ყველაზე უარყოფით მოლოდინსაც გადააჭარბა. დაგვხვდა გაღლეტილი და დაცარიელებული ბიუჯეტი, თვეების განმავლობაში გაუცემელი პენსიები და ხელფასები, შიმშილის ზღვრამდე მისული ჯარი და უამრავი პრობლემით დახუნძლული ყველა სახელმწიფო დაწესებულება. ფაქტობრივად, ქვეყანა უფსკრულის პირასაა... ჩვენი ამოცანაა, ნელ-ნელა გამოვიდეთ იმ ჩიხიდან, რომელშიც წინა ხელისუფლებამ მოაქცია ეს ქვეყანა. უამრავი პრობლემა იყო ცალკეულ რეგიონში, იყო სიგნალები, რომ პროცესები ძალზე ცუდად განვითარდებოდა. პრობლემა დღესაც უამრავია. აქეთ რუსთავიდან ტყეშელაშვილი მირეკავს, — ქალაქს დენი არა აქვსო, იქით რომელიღაც რეგიონიდან რეკავენ, — პენსიებია გაუცემელიო. ახალი ვითარების, ჩემი დღევანდელი მდგომარეობის გამო, ფაქტობრივად, ოჯახში ველარ მხედავენ. ვატყობ, უკვე ბავშვებთანაც მექმნება პრობლემები. გადავწყვიტე, ხვალ მაინც მოვიცალო და ერთი საათით მაინც გავიყვანო ქალაქგარეთ.

— **გასულ შაბათს ქალბატონ ნინოს რუსეთის პრეზიდენტთან ჰქონდა საუბარი, ალბათ გეცოდინებათ მათი საუბრის მნიშვნელოვანი დეტალები.**

— მინდა გითხრათ, რომ ეს დიალოგი არ ჰგავდა რუსეთთან ადრინდელ დაძაბულ საუბრებს. ქალბატონმა ნინომ და ბატონმა პუტინმა გულახდილად ილაპარაკეს აფხაზეთის პრობლემებზე, რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებზე. პუტინმა საუბრის ბოლოს დააფიქსირა, რომ რუსეთს სურს საქართველო ერთიანი და ძლიერი იყოს. თავის მხრივ, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ ალბათ რუსეთი არ შეგვიქმნის ხელოვნურ ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პრობლემებს. დასასრულ, პუტინმა არჩევნებამდე ქალბატონი ნინო მოსკოვში მიიწვია...

— **როგორი ნაბიჯების გადადგმას აპირებთ აჭარასთან ბოლო დროს წარმოქმნილი გაუგებრობების დასაძლევად?**

— უკანასკნელად ბატონ ასლანს ერთი კვირის წინ ვესაუბრე. ამ დღეებში მოქმედი პრეზიდენტი აჭარაში ჩასვლას გეგმავს. ვფიქრობ, ამ შეხვედრით მოხდება პოზიციების საბოლოო შეჯერება. საზოგადოება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხრიდან უფრო მძაფრ რეაქციასაც ელოდა. იყო საუბარი რეფერენდუმის ჩატარებაზე, გამოყოფაზე და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამასთან დაკავშირებით თავად ასლან აბაშიძემ გაფანტა ყოველგვარი ეჭვი.

ასლან აბაშიძე ითხოვს, რომ საპარლამენტო არჩევნები მაისამდე არ უნდა ჩატარდეს. ვფიქრობ, ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ მისი პოზიცია, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ის. დღევანდელ ვითარებაში აჭარის ხელმძღვანელობის მონაწილეობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში აუცილებელია. ჩვენ პოლიტიკურ სიმპათიებს არ უნდა გამოვეკიდოთ და თანამშრომლობა უნდა ვისწავლოთ. იმედი მაქვს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს საარჩევნო უბნები აჭარაშიც გაიხსნება და მოსახლეობას მიეცემა საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება. არ მინდა ვიფიქრო იმაზე, რომ აჭარა უარს იტყვის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. ეს ძალზე ცუდი პერსპექტივა იქნება საქართველოსთვის. აქ არ ვგულისხმობ იმას, რომ ამით პრობლემა შეექმნებოდა კონკრეტულ პირებს. ეს ცუდი იქნება მთლიანად ჩვენი სამშობლოსთვის.

— **საზოგადოებაში ბევრი კითხვა ჩნდება კორუფციასთან ბრძოლაზე. ვინ იქნება მორალურად და ზნეობრივად უფლებამოსილი, რომ კორუფციას შეებრძოლოს?**

— არ დავსაჯოთ ეს ხალხი, რომელთა კორუმპირებულობის შესახებ მთელმა საზოგადოებამ იცის?! თუ ფრთიანი ანგელოზები ვეძებოთ და სანამ მათით არ დავაკომპლექტებთ სამართალდამცავ სტრუქტურებს, ხელი ავიღოთ კორუფციასთან ბრძოლაზე?! ჩვენ ხელს შევუწყობთ პროკურატურას, შსს-ს, უშიშროების სამინისტროს, რომ რაც შეიძლება გაბედულად და ენერგიულად იმოქმედონ. მერწმუნეთ, ამ ქვეყანაში კანონი იკანონებს და დამნაშავეები უთუოდ დაისჯებიან. თუ ასე არ მოხდა, ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ნორმალური სახელმწიფო.

— **საიდან უნდა დაიწყოს და რითი უნდა დამთავრდეს ეს ბრძოლა, საქართველოში ხომ თავად მმართველობის სისტემაა კორუმპირებული, მისი უწყებებითა თუ ჩინოვნიკებით?**

— მივხვდი, რისი თქმაც გსურთ. როგორი დაძაბული ურთიერთობაც უნდა მქონდეს შევარდნაძესთან, ვერ ვიტყვი, რომ ის თვითონ მონაწილეობდა კორუფციაში. თუმც ისიც ფაქტია, რომ იგი ეყრდნობოდა კორუმპირებულ ხალხს, რომელიც პოლიტიკური ერთგულების საფასურად იმას აკეთებდა, რაც უნდოდა. შევარდნაძისგან გამიგია (როდესაც მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა), მამალაძე ყაჩაღია, მადნეულში ათას დანაშაულს სჩადისო, მაგრამ როცა მისი გათავისუფლების საკითხს დავსვამდი, უცებ წინა პლანზე წამოიწეოდა საკითხი, რომ მამალაძე მისი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დასაყრდენია(?). კიდევ უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შემიძლია. ამ თვალსაზრისით, შევარდნაძის სისტემა ეფუძნებოდა სურვილს, რომ მავანთა მიმართ არ განხორციელებულიყო სამართლებრივი ქმედებები, ზოგჯერ კი ხდებოდა ფარული ხელშეწყობა ასეთი ადამიანებისა.

ჩვენი ამოცანა არ არის მასობრივი დასჯა და ანგარიშსწორება. მთავარია, საზოგადოება დარწმუნდეს, რომ დაისჯებიან არა მეისრეები, არამედ ისინი, რომლებიც კორუფციას ედგნენ სათავეში. კორუმპირებული ჩინოვნიკების დასჯა არ გულისხმობს, რომ ვინმე პატიოსან ბიზნესმენსაც მიადგება და საქართველოში კერძო საკუთრებას საფრთხე შეექმნება. ზღვარი კორუმპირებულებსა და არაკორუმპირებულებს შორის არის იქ, სადაც გადის ზღვარი კორუმპირებულ ჩინოვნიკსა და რეალურ მეწარმეს, ბიზნესმენს შორის. ჩვენ მდიდრებს კი არა, იმ ჩინოვნიკებს ვებრძვით, რომლებიც ქურდობით გამდიდრდნენ.

— **დღეს კრიმინალური ფონი მეტისმეტად გამწვავებულია, რა ქმედებების განხორციელებას აპირებთ დამნაშავე ელემენტების აღსაკვეთად?**

— დარწმუნებული ვარ, 4 იანვრის შემდეგ ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. თუ არჩევნებამდე არის ვითარების არევის მცდელობები, არჩევნების შემდეგ ასეთ დესტრუქციულ ქმედებებს აზრი დაეკარგება. ამიტომ საჭიროა მშვიდად ჩავატაროთ საპრეზიდენტო არჩევნები.

— **ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა განსჯის საგანი შეიქნა. ითქვა ისიც, თუ რამდენად იმსახურებდა გურამ აბსანძე სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პოსტს. ხომ არ იყო ეს მისთვის ხარკის გადახდა იმის გამო, რომ გვერდით გედგათ... გინდოდათ „ახლოს გყოლოდათ“?**

— ეს იყო საერთო პოლიტიკური გადაწყვეტილება. მიშა სააკაშვილსაც მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ბოლო მოეღოს დაპირისპირებას, რომელიც გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის არსებობდა. ეროვნული თანხმობის მიღწევის პროცესი უნდა დავასრულოთ. გურამ აბსანძეს სწორედ აქედან გამომდინარე (როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს) დავაკისრეთ მისია, რომ დაასრულოს ეროვნული თანხმობის პროცესი, რათა საქართველოში არც ერთი ადამიანი არ გრძნობდეს თავს დაჩაგრულად იმის გამო, რომ გამსახურდიას მხარდამჭერი იყო. ჩვენ შესაძლოა სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერი მოგვწონდეს, მაგრამ ამის გამო არ უნდა ვომობდეთ. მოქალაქეები არ უნდა იყვნენ გარიყულნი იმის გამო, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება აქვთ.

— **ალბათ ცვლილებებს უპირველესად კანცელარიიდან დაიწყებთ?**

— ჩვენ სერიოზული რეფორმები გველის. მთავრობის არსებული სტრუქტურა აბსოლუტურად მიუღებელია. უსაშველოდ არის გაბერილი კანცელარიაც და ნებისმიერი სხვა სტრუქტურაც. მთავარი ხალხის შემცირება არ არის. უამრავი განყოფილება, დეპარტამენტია შექმნილი მხოლოდ იმისთვის, რომ ადამიანმა გზა-კვალი ვერ გაუგოს, სად რა გადაწყვეტილების მიღება ან დაბლოკვა ხდება. ყველამ უნდა იცოდეს, ვინ რა გადაწყვეტილებებზეა პასუხისმგებელი. შესაძლოა 3-4-ჯერ მცირე აღმასრულებელი ხელისუფლებაც გვყავდეს, ვიდრე დღეს.

ყველაზე რთულ მდგომარეობაში გია ბარამიძე აღმოჩნდა. პოლიცია ძალზე რთული და ფაქიზი სისტემაა, აქ ხისტი ქმედებები გაუმართლებელია. სამართალდამცავ ორგანოებში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას ვგეგმავთ. ამაში ჩაერთვებიან უცხოელი ექსპერტებიც. რეფორმის ჩასატარებლად სერიოზულ დახმარებას მივიღებთ აშშ-ისა და ევროპის ქვეყნებისგან... პოლიციელები, რომელთაც ძალზე ცოტას ვუხდით და ვაკისრებთ უზარმაზარ პასუხისმგებლობას, გაცილებით მეტ მხარდაჭერასა და დახმარებას იმსახურებენ.

— **ხშირად გაისმის კითხვა, — რამდენად მდგრადი იქნება სამომავლოდ სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიას კავშირი.**

— ეს პრობლემა იმით გადაწყდა, რომ შევთანხმდით მმართველობის სტრუქტურაზე. მიშა სააკაშვილი სამართლიანად გახდა ჩვენი ერთობლივი საპრეზიდენტო კანდიდატი. ქალბატონი ნინო იქნება პარლამენტის თავმჯდომარე და ჩვენს სიას ჩაუდგება სათავეში. ასევე, შევთანხმდით, რომ განხორციელდება საკონსტიტუციო რეფორმა და შეიქმნება მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც მე უნდა ვუხელმძღვანელო. ეს არის ფუნქციათა სწორედ ის გადანაწილება, რომლის წყალობითაც თითოეული ჩვენგანი თავის წვლილს შეიტანს ქვეყნის წინსვლაში (ბუნებრივია, თითოეულ მოქალაქესთან ერთად). რა თქმა უნდა, ველოდებით კონტრდარტყმებსაც. ვიცით, — გზა, რომელსაც დავადექით, ია-ვარდით არ იქნება მოფენილი. ჩვენ საზოგადოების მხარდაჭერის იმედი გვაქვს და ყველა სტრუქტურა მობილიზებული იქნება, რომ ქვეყანაში არეულობა აღარ მოხდეს.

— **ედუარდ შევარდნაძესთან თქვენს ბოლო საუბარს როგორ გაიხსენებთ?**

— ეს იყო კეთილგანწყობილი საუბარი. პრეზიდენტს რომ ჩხუბი დაეწყო, გაცილებით უკეთ ვიგრძნობდით მე და მიშა თავს. გული მწყდება, რომ ედუარდ შევარდნაძემ, რომელსაც ჰქონდა შანსი სულ სხვაგვარად დაესრულებინა პრეზიდენტობა, ვერ მოახერხა თავიდან აეცილებინა მოვლენათა ამგვარი განვითარება. ეს ჩემთვის ემოციურად მძიმე შეხვედრა იყო და ეს არც დამიმალავს. მან ღირსეულად გადადგა ეს ნაბიჯი, თუმც ხაზი იმასაც გაუსვა, რომ იმ მომენტში სულ სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებასაც სთავაზობდნენ. მან თქვა, მივდივარ და უკან მობრუნებას აღარ ვაპირებო.

***იზო რაკაძე***


# „ყაზბეგის“ მორიგი საერთაშორისო აღიარება

გასულ კვირას მოსკოვის მე-7 საერთაშორისო კონკურსში „ლუდი, სასმელები და მინერალური წყლები“, რომელიც მსოფლიოში უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელთათვის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ფორუმად ითვლება, კომპანია **„ყაზბეგის“** პროდუქციამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ნომინაციაში ***„წლის საუკეთესო ლუდი — 2003 წელი“*** ოქროს მედალი მიენიჭა ***ლუდს „ყაზბეგი“***.

კონკურსის სპეციალური პრიზით ***„წლის საუკეთესო სპეციალისტი ლუდის წარმოებაში“*** დაჯილდოვდა რუსთავის ლუდის ქარხნის მთავარი ტექნოლოგი ***ნიკოლოზ მაზმიშვილი***.

***„წლის საუკეთესო უალკოჰოლო სასმელი — 2003 წელი“*** — ოქროს მედალი მიენიჭა პროდუქტს ***„ცივი ჩაი ალუბლით“***.

ასევე ოქროს მედლით დაჯილდოვდა ***„ყაზბეგის“*** ყურძნის ლიმონათი ***„იზაბელა“***.

ტრადიციული საერთაშორისო კონკურსის ჟიურის შეფასებით, რომელშიც მსოფლიოს ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ***15 წამყვანი ქვეყნის საუკეთესო დეგუსტატორი*** შედიოდა, ქართული პროდუქციის — ლუდისა და ლიმონათის უმაღლესი აღიარება განაპირობა იმან, რომ ის დამზადებულია ნატურალური ხილის არომატიზატორით, რაც განსაკუთრებულ გემოსა და თვისებებს სძენს სასმელს.

***ეროვნული პროდუქტის მორიგი საერთაშორისო აღიარება „ყაზბეგის“ საექსპორტო გეოგრაფიის გაფართოების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.***

R

# პოლიტიკური „აიწონა-დაიწონას“ თამაში დამთავრდა!

## საქართველო, მის მფარველ აშშ-თან ერთად, მსოფლიოს გლობალური გადანაწილების საშიშ პროცესში ერთვება



დამთავრდა საქართველოს ყოფილი ხელმძღვანელობის და, პირველ რიგში, მისი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ორმაგი პოლიტიკური თამაში, რომელიც ერთგვარ აიწონა-დაიწონას ჰგავდა და ხშირად იმ მხარეს გადაიხრებოდა, რომელიც იმ მომენტში ახანგრძლივებდა მისი და მისი გუნდის ქვეყნის სათავეში ყოფნას.

საქართველოში ტაქტიკურ გამარჯვებას პროდასავლურმა ჯგუფმა მიაღწია, რითიც ამოსუნთქვის საშუალება მიეცა თეთრ სახლს, თუმცა „დაიბოღმა“ კრემლი.

ვაშინგტონის კარგი დამოკიდებულება ახალ რევოლუციონერ ქართველ ხელისუფალთა მიმართ, იმითაც გამოიხატა, რომ მან თბილისში საგანგებო მისიით მოავლინა აშშ-ის თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი.

ორსაათიანი პირისპირ საუბრის დროს რამსფელდი და ახალი ხელისუფლების სამეული რაიმე სერიოზულზე ვერ შეთანხმდებოდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, რამსფელდის ვიზიტს, სამხედროზე მეტად, უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა — თეთრი სახლი, როგორც წესი, თავის მაღალჩინოსან დესპანს არ გზავნის იმ ქვეყანაში, სადაც ათიოდე დღის წინ რევოლუცია მოხდა, თუნდაც „უეკლო“!

შეიძლება ითქვას, რომ წერტილი დაესვა საქართველოს თამაშს რუსეთ-აშშ-ს შორის, მით უმეტეს, რომ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკას არაერთხელ უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია თეთრი სახლი, რომელიც კრემლთან დამეგობრებას ცდილობს მისი უკეთ გაკონტროლების მიზნით.

მართალია, კრემლის ბინადარნი მაინცდამაინც დიდად აღფრთოვანებულნი არ არიან საქართველოში მიმდინარე მოვლენებით, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი მეტ-ნაკლებად უკვე გაირკვა და ისიც ბუში-პუტინის დონეზე. უბრალოდ, პუტინი და მისი გუნდი ხელაღებით ვერ აღიარებენ საქართველოს საბოლოოდ დათმობას აშშ-ისთვის, რადგან იქ კვირას გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგები განსაზღვრავს, აირჩევენ თუ არა მომავალში ვლადიმირ პუტინს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად მეორედ.

ორიოდე კვირის წინ რუსული გენშტაბი ჯიუტად აცხადებდა, საქართველოდან სამხედრო ბაზებს 10 წელზე ადრე არ გავიყვანო, დღეს კი ყველაფერი ძირფესვიანად იცვლება. ჯერ აშშ-ის სახელმწიფო მინისტრი კოლინ პაუელი, შემდეგ თბილისში ჩამოსული თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი და ბოლოს, ბრიუსელში შეკრებილი NATO-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები აშკარად მოუწოდებენ მოსკოვს, შეასრულოს 1999 წლის სტამბოლის შეთანხმება და რუსული სამხედრო ბაზები საბოლოოდ გაიყვანოს საქართველოდან და მოლდავეთიდან.

ეს საკითხი უკავშირდება 1999 წელს ხელმოწერილ (ეუთოს ფარგლებში), ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ შეთანხმებას.

2004 წელს სტამბოლში NATO-ს მორიგი სამიტი უნდა გაიმართოს, მანამდე კი ეს საკითხები სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი. ხანდახან რჩება შთაბეჭდილება, რომ 22 ნოემბრის ყვავილოვანი რევოლუცია, თბილისის ცენტრში, იმიტომაც დაჩქარდა, რომ მომავალი წლის სამიტისთვის საქართველოს უკვე გარკვეული ჰქონოდა თავისი საბოლოო პოლიტიკური ორიენტაცია და თავი დაენებებინა „აიწონა-დაიწონას“ თამაშისთვის.

არაერთხელ გვითქვამს, რომ NATO და ხანდახან მის „კრიჭაში“ მდგარი აშშ ძალზე დაინტერესებულნი არიან სამხრეთ კავკასიის რეგიონის ათვისებით. გერმანიაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამხედრო ბაზების ყოფნამ აზრი დაკარგა, რადგან NATO აღმოსავლეთით გაფართოვდა და რამდენიმე ძირითადი ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზა ღრმა ზურგში მოექცა. გერმანიიდან ამერიკული ბაზები პოლონეთსა და უნგრეთში გადააქვთ.

გამონაკლისი, ეტყობა, არც საქართველო იქნება, მაგრამ მასზე ადრე ამერიკული სამხედრო ბაზა, უფრო სწორად კი, სწრაფი რეაგირების ძალების დანაყოფებით შემდგარი მობილური შენაერთი, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განთავსდება. რამსფელდი სწორედ ამიტომ ჩავიდა ბაქოში, სადაც მართლაც ძალზე სერიოზული მოლაპარაკებები ჰქონდა აზერბაიჯანის ახალ პრეზიდენტთან და თავდაცვის მინისტრთან.

თეთრი სახლის სტრატეგიულ ინტერესებში შედის კასპიის ზღვის აუზის გაკონტროლება, რაზეც მას დღემდე ხელი არ მიუწვდებოდა, რადგან ამ დახურულ ზღვაში ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა კავშირი და ირანი ბატონობდნენ. ირანში შაჰის მბრძანებლობის დროს თეთრი სახლი მეტ-ნაკლებად ერეოდა ამ რეგიონში მიმდინარე პროცესებში, ისევე როგორც ირანის ტერიტორიაზე არსებულ ნავთობის საბადოების ბედის გადაწყვეტაში, მაგრამ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, ირანში ისლამისტების გამარჯვების შემდეგ, აშშ ამ რეგიონიდან გააბუნძულეს.

დღეს პრეზიდენტი ბუში ცდილობს, ზესახელმწიფო ამერიკას აღუდგინოს გავლენის სფეროები კასპიის ზღვის აუზში, რაც მარტო ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების დაცვით არ არის განპირობებული.

აზერბაიჯანში და შემდგომ საქართველოში ამერიკული სამხედრო ძალის მკვიდრად ფეხის მოკიდების შემდეგ თეთრ სახლს ეძლევა დიდი შანსი, არა მარტო გააკონტროლოს რუსეთის სამხრეთი რეგიონები, არამედ დაემუქროს ირანს, სამხედრო ძალითაც კი, ანუ ისე, როგორც ეს ერაყში იყო. ყველაფრის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, აშშ კონტროლქვეშ აიყვანს ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის, აგრეთვე სამხრეთ კავკასიის უდიდეს ნაწილს, რომელიც მკვეთრად გააძლიერებს ისედაც ზესახელმწიფო აშშ-ს.

ერთი მხრივ, ცუდია, რომ პატარა საქართველო ასეთ გრანდიოზულ გეგმებში შეიძლება არც ისე პატარა, მაგრამ მაინც ჭანჭიკად მოიაზრება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეტყობა, ასეთია ჩვენნაირი პატარა ქვეყნების ბედი. ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ დიდი და ძლიერი მეგობარი ადვილად არავის დააჩაგვრინებს ჩვენს თავს.

# შინაგან ჯარებს ახალი სარდალი ჰყავს

ახალ კვირას შსს-ს შინაგანი ჯარები ახალ სარდალთან ერთად შეხვდება. ამ ადგილზე შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დაინიშნა მისი მოადგილე, გენერალ-მაიორი გოგი თათუხაშვილი.

44 წლის გოგი თათუხაშვილმა მუშაობა შსს-ს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოში 1982 წელს დაიწყო, შემდეგ მსახურობდა მილიციის სპეცდანიშნულების რაზმში, ხოლო 1991 წლის ნოემბრიდან, ქართული შინაგანი ჯარების შექმნის დღიდან მის რიგებშია. იყო შინაგანი ჯარების საპატრულო პოლკის ასმეთაური, ბატალიონის მეთაური, ბრიგადის შტაბის უფროსი. მონაწილეობა აქვს მიღებული ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. საბრძოლო მოქმედებების დროს რამდენჯერმე დაიჭრა. დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

2001 წელს გოგი თათუხაშვილი ინიშნება იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმის უფროსად, მოგვიანებით კი იმავე სამინისტროს სასჯელთაღსრულებითი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

2002 წლის ნოემბრიდან დღემდე იყო თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის უფროსი. გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა 30 ნოემბერს, მანამდე კი 1996 წლიდან ატარებდა პოლკოვნიკის სამხრეებს.

დღევანდელ რთულ პირობებში შინაგან ჯარებს დიდი როლი დაეკისრებათ ქვეყანაში სტაბილურობის დაცვის საქმეში. იმედი ვიქონიოთ, რომ შინაგანი ჯარების ახალი სარდალი თავს გაართმევს ამ ძალზე რთულ საქმეს. თუ როგორ წარმოუდგენია ახალ სარდალს შინაგანი ჯარების მომავალი, ჩვენი გაზეთის უახლოესი ნომრებიდან შეიტყობთ.


## საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

# საპენსიო რეფორმა დაიწყო

2004 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ახალი კანონები: „სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ“, „სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ“ და „სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემაში ინდივიდუალური აღრიცხვისა და ანგარიშების შემოღების შესახებ“.

ამ კანონების საფუძველზე, საქართველოში გრძელდება სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვანი რეფორმა, რომლის უპირველესი მიზანია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა სოციალური დაცვა სათანადო დონეზე და, ამასთან, ღირსეული პენსიის დანიშვნა შრომითი სტაჟისა და დამსაქმებლის მიერ გადახდილი სოციალური ანარიცხების მიხედვით. ამ მიზნით, სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა საქართველოში რეგისტრირებული ყველა ორგანიზაცია-დაწესებულების (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმის), ასევე დასაქმებულებისა და თვითდასაქმებულების რეგისტრაცია და პერსონიფიცირებული აღრიცხვა.

ყველა ორგანიზაცია-დაწესებულება (მიუხედავად სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა) და ინდივიდუალური მეწარმე ვალდებულია 2004 წლის 1 იანვრამდე გაიაროს რეგისტრაცია და ორგანიზება გაუწიოს მათ მიერ დასაქმებულთა ინდივიდუალურ აღრიცხვას სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესაბამის რაიონულ ფილიალებში.

სავალდებულო სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემაში „ინდივიდუალური სარეგისტრაციო განცხადების“ შეტანის შემდეგ, თქვენ ავტომატურად გახდებით დაზღვეული პირი. მიიღებთ სადაზღვევო ბარათს და მოიპოვებთ უფლებას სახელმწიფო სოციალურ დაცვაზე.

ყველა ორგანიზაცია-დაწესებულება ათწლეულების მანძილზე რიცხავს სოციალურ ანარიცხებს თქვენც სახელზე, რომელიც აქამდე თავს იყრიდა საერთო ანგარიშზე და ხმარდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო სოციალურ პრაგრამას და პენსიებს. 2004 წლიდან დამსაქმებლის მიერ გადახდილი სოციალური ანარიცხები აისახება და დაგროვდება თითოეულ დასაქმებულის პირად (ინდივიდუალურ) ანგარიშზე. ინდივიდუალურ ანგარიშზე ასახული თანხები ექვემდებარება ყოველწლიურ ინდექსაციას, რაც იცავს მას გაუფასურებისაგან და ქმნის გარანტიას პენსიაში გასვლის შემდეგ საკადრისი და დამსახურებული პენსიის დანიშვნისათვის.

სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემაში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვის განხორციელებისათვის საჭირო მონაცემების მიწოდებაზე თავის არიდების, დადგენილ ვადებში წარუდგენლობის ან არასრულად და არაზუსტად წარდგენისათვის ყველა დამქირავებელი ორგანიზაცია-დაწესებულება პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მის მიმართ გამოიყენება ფინანსური სანქციები.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემაში რეგისტრაცია სავალდებულოა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის და, ასევე, იმ უცხოელებისათვის, ვინც მუშაობს და შრომის ანაზღაურებას იღებს საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებში.

იმისათვის, რომ თქვენ გახდეთ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემის მონაწილე და მოიპოვოთ უფლება სახელმწიფო პენსიაზე და სოციალური დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობაზე, აუცილებელია ჩაერთოთ იმ სქემაში, სადაც თქვენი ადგილი უკვე განსაზღვრულია: ეს არის სამი სუბიექტის — დაზღვეულის, დამზღვევის და მზღვეველის ურთიერთკოორდინირებული საქმიანობა.

***ვინ არიან ეს სუბიექტები:***

1. დაზღვეული პირი არის ის, ვინც უკვე გაიარა რეგისტრაცია სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში.

***ვინ, როგორ და რატომ უნდა გაიაროს ეს რეგისტრაცია?***

თქვენ, საქართველოს ყველა მოქალაქე, ვალდებული ხართ გაიაროთ ამგვარი რეგისტრაცია, რათა საჭიროების შემთხვევაში იყოთ სოციალურად დაცული და სახელმწიფომ შეძლოს თქვენზე ზრუნვა. ეს არის პენსია, დახმარება ავადმყოფობის, ინვალიდობის ან დროებითი უმუშევრობის გამო. დახმარება ორსულობის დროს ან მრავალშვილიანობის გამო და ა.შ.

სარეგისტრაციო განცხადების ფორმა (ანკეტა) მოითხოვეთ თქვენს დამსაქმებელ ორგანიზაციაში. თუ არ მუშაობთ, მაშინ მიმართეთ უშუალოდ სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილებას თქვენი საცხოვრებელი (ან დროებითი საცხოვრებელი) ადგილის მიხედვით.

სავალდებულო სახელმწიფო სოციალურ დაზღვევაზე განცხადების შევსების და სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის შესაბამის ფილიალში ჩაბარების შემდეგ, თქვენ ავტომატურად გახდებით „დაზღვეული პირი“, მიიღებთ სადაზღვევო ბარათს და მოიპოვებთ უფლებას სახელმწიფო სოციალური დაცვის შესაბამის პროგრამებში მონაწილეობაზე.

2. დამზღვევი (ანუ დამქირავებელი) არის ის დაწესებულება თუ კერძო ფირმა, სადაც თქვენ მუშაობთ.

***რატომ ეწოდება თქვენს დამსაქმებელს (დამქირავებელს) დამზღვევი?***

ყოველი დაწესებულება თუ კერძო ორგანიზაცია (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) ვალდებულია, გადაიხადოს სოციალური გადასახადი თითოეული თანამშრომლის სახელზე — იქნება ეს დირექტორი თუ რიგითი მუშაკი. ამიტომაც ეწოდება მას დამზღვევი.

თქვენი დამქირავებელი ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს სავალდებულო სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემაში თქვენს პირველად რეგისტრაციას.

***როგორ ხდება თქვენი დაზღვევა დამქირავებლის მიერ?***

ყველა დაწესებულება თუ კერძო ორგანიზაცია, ხელფასის ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურების გაცემის დროს, სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რიცხავს თქვენი სოციალური დაზღვევის თანხას. ეს თანხა გროვდება თქვენს პირად ანგარიშზე და სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას (როგორიცაა პენსია ასაკის ან სხვა გარემოების გამო, დროებითი უმუშევრობა, ტრავმა და ა.შ.) თქვენ მოიპოვებთ უფლებას, როგორც ამ თანხაზე, ასევე დამატებითი სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამაში მონაწილეობაზეც.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ახორციელებს თქვენი დამქირავებლის კონტროლს, რათა მან სრულად და დროულად გადაიხადოს თქვენი სოციალური დაზღვევის შენატანები. ამ მიზნით, დამქირავებელს ევალება წელიწადში ორჯერ მიაწოდოს ინფორმაცია სოციალური დაზღვევის ფონდს, თუ რა ოდენობის ხელფასი ან ანაზღაურება გასცა თანამშრომლებზე და რამდენად სწორად გადაიხადა თქვენი სადაზღვევო თანხა. არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან სოციალური გადასახადის არასრული გადახდა მკაცრად ისჯება და ეს თქვენს პირად ინტერესებშია.

3. რაც შეეხება მზღვეველს — ეს არის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი და მისი რაიონული ფილიალები.

მზღვეველი ვალდებულია იქონიოს უშუალო კავშირი როგორც დამზღვევთან, ასე დაზღვეულთან. მისი მოვალეობაა მიიღოს ინფორმაცია ყველა დამქირავებლისგან მასთან მომუშავე პირების, მათი ხელფასისა და სადაზღვევო შენატანების შესახებ, გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სისწორე და ასახოს იგი მის ცენტრალურ საინფორმაციო სისტემაში. მზღვეველი ვალდებულია მუდმივად იქონიოს და, შემოსული ინფორმაციის კვალობაზე, განაახლოს ინფორმაცია ყოველი დაზღვეული პირის შესახებ; სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეული პირის ანგარიშზე დაგროვილი სადაზღვევო შენატანებიდან გამომდინარე, დაუნიშნოს და მისცეს მას სათანადო პენსია ან შესაბამისი დახმარება.

ყოველ დაზღვეულ პირს აქვს უფლება წელიწადში ერთხელ სოციალური დაზღვევის ფონდის შესაბამის რაიონულ ფილიალში მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მის პირად ანგარიშზე დამქირავებელთა მიერ სადაზღვევო შენატანების ოდენობის შესახებ.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ყველა ფილიალის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აუხსნას მოქალაქეს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის მექანიზმი, შეავსებინოს განცხადების ფორმა და გარკვეულ ვადაში გასცეს მოქალაქეზე ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათი.

დღეისათვის არსებული მონაცემებით, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონულ ფილიალებში მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე დარეგისტრირდა 15 ათასამდე ორგანიზაცია-დაწესებულება და 200 ათასზე მეტი დასაქმებული.

R

# ტერორიზმის აჩრდილი დადის... თბილისში




სამმა შეიარაღებულმა თავდამსხმელმა მთავრობის მეთაურის შენობიდან გასვლისთანავე გახსნა ცეცხლი. თავდამსხმელები ერთი შაშხანით და ორი მსხვილკალიბრიანი პისტოლეტით ისროდნენ. მთავრობის მეთაურმა ორი მძიმე ჭრილობა მიიღო — მკერდში და მუცელში. იგი სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში, მაგრამ ექიმების დიდი მცდელობის მიუხედავად, ქვეყნის მეორე პირი გარდაიცვალა.

საბედნიეროდ, ამგვარი რამ თბილისში არ მომხდარა, თუმცა მსგავს საშიშროებაზე უკვე ყველა კუთხეში ჩურჩულებენ...

ის უბედურება კი, რომელიც ზემოთ გიამბეთ, წელს, 2003 წლის 12 მარტს, დატრიალდა ყოფილ იუგოსლავიაში, ბელგრადის ცენტრში — მოკლეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი.

ასეთ შემთხვევაში პარალელების გავლება არაეთიკური და უხერხულიცაა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი, მიხეილ სააკაშვილი, გარკვეულწილად, ასოცირდება სერბეთის აწ უკვე ყოფილ მედასავლეთე პრემიერ-მინისტრ ჯინჯიჩთან.

აღარც ყოფილი ოპოზიცია უარყოფს, რომ თბილისში პრეზიდენტის გუნდის გადაყენების მექანიზმი იუგოსლავიური სცენარით გათამაშდა. ამიტომაც, ყოველთვის არის საშიშროება, რომ ეს სცენარი ამჯერად პოლიტიკური მკვლელობის მიმართულებით გაგრძელდეს.

ზორან ჯინჯიჩის მკვლელობა იმ სპეცდანიშნულების რაზმის მეთაურებს დაჰბრალდათ, რომლებიც სლობოდან მილოშევიჩის ერთგულები დარჩნენ და თვლიდნენ, რომ სწორედ ჯინჯიჩმა ჩააბარა მილოშევიჩი ჰააგის ტრიბუნალს.

22-23 ნოემბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში უკვე გამოჩნდა ის ტენდენცია, რასაც „მცოცავი ტერორიზმისა და კრიმინალიზმის“ აღორძინება შეიძლება დაერქვას. უკვე გასარჩევია ის ხელწერაც, რაც, საერთო ჯამში, არა მარტო ახალი მთავრობის ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის დაიწყო, არამედ მთლიანად ქვეყანაში სტაბილურობის დარღვევას ემსახურება.

დამაშინებელი ტერორისტული აფეთქებები და სროლები, ბიზნესმენების გატაცება და თავდასხმები უცხოელ დიპლომატებზე, შეძლებული მოქალაქეებისთვის მანქანების წართმევა — აი, არასრული სია იმ დანაშაულებებისა, რომლებსაც ერთმანეთთან ბევრი რამ აქვთ საერთო.

მათ, სავარაუდოდ, ის ძალები სჩადიან, რომელთა ინტერესები დღეს ერთმანეთს დაემთხვა. პირველ რიგში, ესენი არიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც სულ რაღაც ორი კვირის წინ პრეზიდენტ შევარდნაძეს ედგნენ მხარში და ორიოდე დღეში გადატრიალებული ხელისუფლებიდან ჯერჯერობით დაბნეულ ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ტელევიზიასთან ტროტილის ბრიკეტს აფეთქებენ ან რუსეთის საელჩოს თანამშრომელს მანქანას „აწერენ“. უბრალოდ, ისინი პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევენ (შეიძლება ზოგჯერ უნებურადაც) სწორედ ე.წ. შემსრულებელ ძალას — უპირველესად, ათასი ჯურის კრიმინალს.

საქართველოს არასოდეს ჰყოლია ნორმალური უშიშროების სამსახური (რადგან პრეზიდენტი შევარდნაძე, ჯერ კიდევ გენერალ ინაურისგან შეშინებული, ძირითად დასაყრდენ ძალად ყოველთვის პოლიციას მოიაზრებდა და არა უშიშროებას, თუმცა სწორედ იმ პოლიციელებმა პირველებმა უგანეს „საყვარელ“ პრეზიდენტს), თორემ ისინი აუცილებლად დააფიქსირებდნენ ასევე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებიდან მომავალ კვალს.

ნელ-ნელა იკვეთება კიდევ ერთი ძალა — ძალისმიერი სტრუქტურების ის წარმომადგენლები (კერძოდ, მაღალჩინოსნები), რომლებსაც პოსტების შენარჩუნების არავითარი შანსი არა აქვთ, შესაბამისად, კარგავენ უზარმაზარი კორუფციის წყაროებს და დამსახურებულად შეიძლება მოხვდნენ განსასჯელთა სკამზე.

ამ ძალებისთვის სასურველია, რომ თუ ყველაფერს უკან ვერ დააბრუნებენ, ქვეყანაში მასობრივი არეულობა შექმნან, რათა მათთვის ახალმა ხელისუფლებამ ველარ მოიცალოს.

არეულობის შექმნას კი, სერიოზული დაგეგმვა და, რაც მთავარია, დიდი ფინანსები სჭირდება, მაშინ, როდესაც იმავეს მიღწევა ერთი, სულ რაღაც ერთლარიანი ტყვიითაც შეიძლება.

ამის შემდეგ მოსალოდნელია ქვეყანაში სერიოზულმა ქაოსმა დაისადგუროს, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი გულს აიყრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე და ინდიფერენტული გახდება, რადგან დაიჯერებს, რომ საქართველოში ყველაფერს მათი 1-გრამიანი საარჩევნო ბიულეტენი კი არა, 9-გრამიანი ტყვია წყვეტს.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ზორან ჯინჯიჩი მოკლეს, სერბეთში ზედიზედ ჩაიშალა ყველანაირი არჩევნები — მოსახლეობა საარჩევნო ყუთებს აღარ ეკარება...

# ტერორისტების მორიგი საწყობი თუ გაჭირვებული ლტოლვილის საშიში ბიზნესი?!

## რა აღმოაჩინა უშიშროებამ 4 დეკემბერს ვაზიანში

2 ნოემბერს, საპარლამენტო არჩევნების დღეს, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა მცხეთის ჯვრის მონასტრის მახლობლად აღმოაჩინეს მიწისქვეშა ბუნკერი, რომელშიც დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა ინახებოდა. მაშინ ეს თბილისში არჩევნების დღეს დაგეგმილ ტერორისტულ აქტებს დაუკავშირეს.

ერთი თვის შემდეგ უკვე დედაქალაქის აღმოსავლეთით, დაბა ვაზიანის სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე, ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე ახალი სამალავი იპოვეს. გაკეთდა



ვაზიანში ნაპოვნი პლასტიკური ნაღმები პოლიგონზე აფეთქებას გადაურჩნენ

ოფიციალური განცხადება, რომ ამ ასაფეთქებელ ნივთიერებებს შეიძლება კავშირი ჰქონდეს წინა დღეს, თბილისში, სახელმწიფო ტელევიზიასთან მომხდარ აფეთქებასთან.

დაკავებულია ეჭვმიტანილი — 54 წლის საშა შომახია, რომელმაც განაცხადა, რომ იგი საწყობში ეზიდებოდა ვაზიანის პოლიგონზე მოგროვილ, უკვე აფეთქებული ნაღმების ნარჩენებს და შემდეგ ჯართად აბარებდა. თუმცა უშიშროების სამინისტრო აფიქსირებს, რომ საწყობში ჯართის გარდა აღმოჩენილია 12 ცალი კაფსულდეტონატორი, 5 ელექტროკაფსულდეტონატორი, 11 კაფსულა, 2 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, ხელყუმბარა РГД-5 და, რაც მთავარია, 77 ცალი პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერება C-4. იგი იწონის 200 კგ-მდე და საკმარისია ძალიან მსხვილი ტერორისტული აქტის განსახორციელებლად.

ჟურნალისტებისთვის ნაჩვენებ ვიდეოკადრებში მართლაც ფიქსირდება ჩამოთვლილი ამოღებული ასაფეთქებელი მოწყობილობები, ოღონდ ის, რაც უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებად მიიჩნიეს, სინამდვილეში ПДМ-1М ტიპის დესანტსაწინააღმდეგო ნაღმებია, რომელთაც ზღვის, მდინარის, ტბის ნაპირებთან აყენებენ მოწინააღმდეგის მცურავი სადესანტო და საბრძოლო მანქანების ასაფეთქებლად, როდესაც ისინი ნაპირზე ასვლას დააპირებენ (60 კგ-იან ПДМ-1М-ში 10 კგ ასაფეთქებელი ნივთიერებაა მოთავსებული).

საწყობიდან ამოღებული პლასტიკური ასაფეთქებელი მოწყობილობა სინამდვილეში გახლავთ СЗ-4П ტიპის თავმოყრილი მუხტი, რომლის კაპრონისა და პოლიეთილენისგან დამზადებულ 4,2 კგ-იან კორპუსში 4 კგ პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერებაა მოთავსებული. СЗ-4П-ს უმთავრესად იყენებენ ხიდების ბურჯების, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ხიმინჯების, რკინაბეტონის კონსტრუქციების და სხვადასხვა შენობის ასაფეთქებლად.

მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერების СЗ-4П-ს კორპუსებს, ისევე როგორც დესანტსაწინააღმდეგო ნაღმებს, აშკარად აჩნია აფეთქებაში მოყოლის კვალი, ოღონდ ეტყობა, დეტონაცია არ განიცადეს.

თუკი ამას დავუკავშირებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, მეორე წელია, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფება — ГРВЗ საგარეჯოს საინჟინრო საბრძოლო მასალების ბაზიდან გამოტანილი ნაღმების ნაწილს სწორედ ვაზიანის პოლიგონზე აფეთქებს, ბევრი რამე ნათელი გახდება.

ანუ საქმე გვაქვს „დანაღმული ჯართის“ სინდრომთან: გაჭირვებული მოსახლეობა არ ერიდება სიკვდილთან თამაშს, პოლიგონზე აფეთქებული ნაღმების ნარჩენებს აგროვებს ჯართად ჩასაბარებლად(?!)...

ეჭვმიტანილი საშა შომახია, ისევე როგორც



ნაღმი, რომელიც უშიშროებას ტანკსაწინააღმდეგოდ მოეჩვენა, სინამდვილეში დესანტსაწინააღმდეგო იყო.

ვაზიანის ყოფილ რუსულ სამხედრო დასახლებაში მცხოვრები ათეულობით მისი მეზობელი, სწორედ ამ „სასიკვდილო ბიზნესს“ ეწევა. ორიოდე წლის წინ სწორედ ამგვარი ჭურვების აფეთქებამ ამ დასახლების ერთი კორპუსი ნახევრად დაანგრია, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა.

შეიძლება ყოველივე ამაში გარკვეულწილად დაადანაშაულო ის რუსი სამხედრო მენაღმეები, რომლებიც ვადაგასული ნაღმების განადგურებას უგულისყუროდ ატარებენ, რის შემდეგაც პოლიგონზე აუფეთქებელი ნაღმებიც იფანტება.

მაგრამ ისინი სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან და ნაკლებად აინტერესებთ, რა დარჩება საქართველოში, რომელსაც მათი აქედან სასწრაფოდ გასვლა სწყურია.

რაც შეეხება ეჭვმიტანილ შომახიას, მისთვის „ტერორისტული“ მუხლის წაყენება არ იქნება მართებული, თუმცა მისი ქმედება ისჯება, როგორც ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო შენახვა (სხვათა შორის, СЗ-4П-ს აფეთქებაში მოყოლილ, მაგრამ დეტონაციას გადარჩენილი კონტეინერში მოთავსებული პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერება შემდგომში პირდაპირი დანიშნულებით შეიძლება იქნეს გამოყენებული), მაგრამ საკითხავია, მაინც რას უპირებდა ეჭვმიტანილი პლასტიკურ ნაღმებს, მათ ხომ ჯართად ვერ ჩააბარებდა?

# სპეციარაღით სპეცდავალებაზე?!

## ირინა სარიშვილის ბინას პროფესიონალმა ესროლა

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას საცხოვრებელი ბინის ფანჯარაში მომხდარი გასროლა თავისუფლად შეიძლება იმ ტერორისტული აქტების ნუსხაში შევიტანოთ, რომლებიც ბოლო დღეებში განხორციელდა საქართველოს დედაქალაქში.

შეიძლება რომელიმე პოლიტიკოსის მოქმედება ბევრს არ მოსწონდეს და არც უსაფუძვლოდ, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს საბაბი იმისა, რომ მისი სახლის ფანჯრებს ვინმემ ტყვია დაუშინოს.

გამოძიების დასრულებამდე ძნელია თქმა, მსროლელს განზრახული ჰქონდა თუ არა ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მოკვლა, მაგრამ ფაქტია, რომ პროფესიონალი ისროდა.

შსს-ს მთავარი საექსპერტო-კრიმინალისტური სამმართველოს უფროსის, ბატონ ზაზა ალთუნაშვილის განმარტებით, გამოყენებული იყო საკმაოდ იშვიათი ვაზნა, რომელსაც დივერსანტები საგანგებო ოპერაციების განხორციელებისას იყენებენ.

ეს არის 7,62X39 კალიბრის ვაზნა, ოღონდ არა ჩვეულებრივი, არამედ УС მარკისა, რომელიც ასე იშიფრება — „შემცირებული სიჩქარე“. იგი სპეციალურად მაყუჩიანი ავტომატისთვის არის შექმნილი...

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას სახლის ფანჯარაში შეფრენილი УС-ის ტყვია რკინის კარს მოხვდა და დეფორმაცია განიცადა. შემთხვევის ადგილზე მისულთა დიდ ნაწილს, ისევე როგორც

**ჩვენი დოსიე: გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს საბჭოთა კავშირში AKM ტიპის ავტომატზე დასაყენებლად შეიქმნა უხმაურო და უცეცხლო სროლის ხელსაწყო ПБС-1. ეს ცეცხლსასროლი კომპლექსი განკუთვნილი იყო მტრის ზურგში საბრძოლველად. მას ესადაგებოდა 7,62X39 მმ ტიპის ვაზნების მხოლოდ УС მოდიფიკაცია, სროლის ხმა, ფაქტობრივად, ათიოდე მეტრშიც კი აღარ ისმოდა. ეს განპირობებული იყო УС-ის ვაზნაში დენთის რაოდენობის შემცირებით, რამაც ტყვიის საწყისი სიჩქარე 715 მ/წმ-დან ბგერამდელ სიჩქარემდე შეამცირა.**

სატელევიზიო კადრების მნახველებს, მოეჩვენათ, რომ ტყვია წაგრძელებული ფორმისა იყო და წააგავდა სნაიპერული შაშხანის, СВД-ის, 7,62X53 ვაზნის ტყვიას. ეს ასე რომ ყოფილიყო, მაშინ უნდა ესროლათ თითქმის 1 მ სიგრძის СВД-ით (შაშხანით), რომელსაც მაყუჩი არ უყენდება და, შესაბამისად, გასროლის ხმა (სხვათა შორის, ბევრად უფრო მჭახე, ვიდრე ავტომატით სროლისას) ბევრს უნდა გაეგო.

მაგრამ გასროლის ხმა ვერავინ დააფიქსირა, ხოლო პროფესიონალმა კრიმინალისტებმა ტყვიის დეტალური შესწავლისას დაადგინეს, რომ გამოყენებულია УС-ის ვაზნა, რომლის ტყვიაც ჩვეულებრივისგან უფრო წაგრძელებულია ვაზნაში დენთის შემცირებული რაოდენობის ხარჯზე.

გასროლა, როგორც ჩანს, მოხდა მოპირდაპირე კორპუსის მეოთხე სართულის კიბის ბაქნიდან, თუმცა იმ ადგილას არ აღმოჩნდა ნასროლი ვაზნის მასრა, რაც ცხადყოფს, რომ პროფესიონალმა მსროლელმა იგი თან წაიღო.



ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი — თავდასხმა უფრო დასაშინებელი აქციის სახისა იყო, თორემ თავდამსხმელს შეეძლო პირველი შემთხვევითი აცდენის შემდეგ ორი-სამი უფრო ზუსტი გასროლა მოესწრო.

და კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც, ეტყობა, ძალზე მნიშვნელოვანია: ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ბინაზე თავდასხმამდე ამგვარივე სპეციარაღით — უხმაურო და უცეცხლო სროლის ხელსაწყო ПБС-1-ით აღჭურვილი AKM-ის ავტომატებით მოკლეს სერგი ბუბუტეიშვილი საბურთალოს პოლიციის წინ და დაცხრილეს კახი ასათიანის ჯიპი.

როგორც ჩანს, საქართველოში პროფესიონალმა კილერებმა აირჩიეს საკმაოდ საშიში ნახევარი საუკუნის წინ საბჭოთა სამხედრო დივერსანტებისთვის შექმნილი სპეციარაღი.




УС-ის ვაზნა (მარჯვნივ) ჩვეულებრივისგან გარეგნულად იმით განსხვავდება, რომ ტყვიის თავი მწვანე და შავი ფერის ზოლებითაა შეღებილი.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# შურისძიება თუ ბოროტი სულის ამბოხი

**როგორც იქნა, მიილია ცოდვიანი 1989 წელი და თუმცა 9 აპრილის მწარე მოგონება სამარადჟამოდ დარჩება ქართველთა მეხსიერებაში, მომდევნო ახალ წელს მაინც იმედით ხვდება ქვეყანა. ჯერ ხომ არავინ იცის, რომ კიდევ უფრო უარესი მომავალში მოელის; რომ ერთი წლის შემდეგ დავკარგავთ ოსეთს, შემდეგ აფხაზეთს (პოლიტიკოსები იტყვიან, დროებითო, თითქოს ამქვეყნად რაიმე იყოს მარადიული), მერე, უფრო სწორად, მანამდე, ძმათამკვლელი ომი ატყდება და არავინ იქნება გამკითხავი. ასეთ დროს ერთადერთი იმედი, ეგრეთ წოდებული სახალხო პოლიცია, დამნაშავეებით გაივსება და ჩამოყალიბდება ახალი კასტა — „სამხრეებიანი ბანდიტები". თითქოს თავისი ძველი და ახალი ცოდვები არ ჰყოფნიდეს, ყოველი მეორე ბოროტმოქმედი თავს პოლიციელად ასაღებს და ისე ძარცვავს ქვეყანას. დასავლეთ საქართველოში ყოველივე ეს მასობრივ ხასიათს მიიღებს, მაგრამ დღეს, 1989 წლის 31 დეკემბერს, ამის შესახებ არავინ უწყის, ყოველ შემთხვევაში, რიგითმა მოქალაქეებმა მაინც და ყველა ოჯახი საახალწლო სამზადისშია.**

## რა დააშავეს დედებმა

აგლაძეებმაც (აქ და ქვემოთ გვარ-სახელები შეცვლილია) ადრიანად დაიჭირეს თადარიგი. არაფერი დაუზოგავს ოჯახის დედას, ქალბატონ ციალას. ყოველ წელიწადს ასე იყო, უმამობა არასოდეს უგრძნობინებია შვილებისათვის. მართალია, ახლა ბიჭები წამოესწრნენ, მაგრამ რაკი იმათაც მათი თანატოლებივით გარეთ ეჭირათ თვალი, რაც ციალას დროებით მოვლენად მიაჩნდა, კვლავაც თვითონ დაკლა საკლავი. თვითონ ჩამოქნა ბიჭების სიგრძე ორი სანთელი. ტრადიციისამებრ, ზუსტად ღამის თორმეტ საათზე ანთებდა ხოლმე და სახაჭაპურე ცომიც მოზილა. მხოლოდ დანარჩენ წვრილმანს თუ ანდობდა დიასახლისი თავის ერთადერთ ქალიშვილს ნაირას, რომელსაც ისე უყვარდა ძმები, ერთხელაც არ დასცდენია საყვედური დედის მიმართ — სანთელს რატომ ჩემს სახელზეც არ ჩამოქნიო. არც ძმები აკლებდნენ სითბოს ერთადერთ დას, მაგრამ ამ ბოლო დროს იშვიათად თუ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ახლაც მთელი ერთი კვირა გადაკარგულები იყვნენ და კიდევ კარგი, რეზო გამოჩნდა ნაშუადღევს. თუმცა ერთმანეთის ხეირიანად მოკითხვაც ვერ მოასწრეს, რომ მეზობლის ენაბლუ ბიჭი მივიდა და ძლივს გააგებინა, გარეთ გიხმობენო. დედა ამ დროს ქათმების პუტვით იყო გართული და ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ნაირას კი გულმა ავი უგრძნო და კიბემდე გაჰყვა ძმას. წამიც და ტყვიანაკრავივით შებრუნდა სახლში.

— დედა, იქ პოლიციელები არიან რამდენიმე მანქანით. რაღაც ცუდი ხდება რეზოს თავს... — გოგო კი არ ლაპარაკობდა, თითქმის კიოდა. დედა აივანზე გაიჭრა. ეზო ერთიანად სავსე იყო პოლიციელებითა და მათი მანქანებით. ზოგს ფორმა ეცვა, ზოგს — არა. რეზო ერთ-ერთი მათგანის ფეხებთან ეგდო. ერთ ბოროტთვალებიან კაცს საფეთქელთან პისტოლეტი მიებჯინა მისთვის. დაფეთებულმა ქალმა აივნიდანვე შეუძახა მოსულებს — ვინ ხართ, ბიჭს რას ერჩითო და იქვე მიგდებულ შეშის ნაპობს წამოავლო ხელი. — არზიანი ვარ პოლიციიდან. არავინ გაინძრეს მანდ, სახლში, თორემ ყველას დაგხოცავთო — იყო პასუხი. მაგრამ რა ძალა დააკავებდა ამგვარ მდგომარეობაში მყოფი შვილის შემხედვარე დედას და ციალამ წამში ჩაირბინა კიბე. ის იყო, მიწას ფეხი დაადგა, რომ ჯერ პისტოლეტმა იქუხა, იმავე წამს კი გაისმა ბრძანება — „ყველანი მანქანაში, მივდივართ!" ქალმა ერთბაშად ვერ გააცნობიერა, რა მოხდა. ის კი იგრძნო, რომ რაღაც დიდი უბედურების წინაშე იდგა. ეზოში აქა-იქ მიმობნეულ ქვებს ინსტინქტურად დასწვდა და გაქცეულ მანქანებს დაედევნა. ჯერ ერთ მანქანას ესროლა ქვა, მერე — მეორეს. ისევ ქვების ასაღებად რომ დაიხარა, ზურგში ტყვია მოხვდა და იქვე ჩაიკეცა, მაგრამ თავს მოერია და მაინც წამოდგა. საპირისპირო მხრიდან წელში მოხრილი და ერთიანად გასისხლიანებული, დედისაკენ ხელგაწვდილი რეზო ძლივს მიათრევდა ფეხებს, მაგრამ ვერ მიაღწია. ჩაიკეცა და აღარც ამდგარა, იქვე დალია სული. თუმცა ციალას შვილის წაქცევა არ დაუნახავს. მან წამით ადრე დაკარგა გონი და შვილის ახლოს დაეცა.

არავის უზეიმია იმ ღამით ახალი წელი. სამხიარულოდ გაშლილ სუფრებზე დედა-შვილის შესანდობარს ჩურჩულით ამბობდნენ მომხდარით გაოგნებული მეზობლები და შიგადაშიგ იმასაც იმეორებდნენ, ციალას გარდა, ყველა ვხვდებოდით, რომ ასე დაამთავრებდაო ეს ბიჭი ცხოვრებას. რატომ? რისთვის? დღემდე სუყველას წყალი აქვს პირში ჩაგუბებული. ამ შემთხვევას კი ორად ორი მოწმე ჰყავს რეზოს და, ნაირა და... დედამისი ციალა, რომელიც თავდაპირველად ყველას მკვდარი ეგონა. პოლიციელები კი თითქოს არც არსებულან. ერთი კაციც არ მოინახა, რომ ეთქვა, იმ ღამით აგლაძეებთან ვიყავითო. ეს საქმე ისეთი ბურუსითაა მოცული, რომ ისიც საკითხავია, მართლა პოლიციელები იყვნენ თუ არა იმღამინდელი სტუმრები. აკი ქალბატონი ციალაც ამბობს, მე ვნახე პოლიციელი არზიანი და დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ეს ის კაცი არ არის, რომელმაც შვილი მომიკლაო. თუმცა მოგვიანებით, იგი სულ სხვა გვარ-სახელის მქონე მაღალჩინოსან პოლიციელს ადებს ხელს და გადაჭრით აცხადებს — ხმაზე ვიცანი, ის იყოო. გარდა ამისა, ხმა დადის, რომ ის კაცი რაღაც საქმის გამო იყო ამ ოჯახზე გადამტერებული და მერეც აგრძელებდაო მეორე ძმის, გენოს დევნა-შევიწროებას. რუბრიკა „ვერსიას" ამასთან დაკავშირებით აქვს თავისი არგუმენტირებული ვერსიები და ისინი მკითხველის სამსჯავროზე არ გამოგვაქვს მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ უფრო არ დაიძაბოს დაპირისპირება მხარეებს შორის. რაც შეეხება იმას, რომ გენო აგლაძეს ავიწროებდა ან ავიწროებს (ახლა ის პატიმარია) ვინმე მაღალჩინოსანი პოლიციელი ან, საზოგადოდ, პოლიცია, მისი წარსული, ანუ ჩადენილი სააკაცო საქმეები საამისოდ სრულ საფუძველს იძლევა. ქვემოთ სწორედ ამის შესახებ ვაპირებთ საუბარს.




## შურისძიება თუ... ?

დაზარალებული **ანგელინა ფერაძე:** — 1993 წლის 21 დეკემბერი იყო. მარტო ვიყავი შინ. ქმარი მეზობელთან ზეიმობდა სტალინის დაბადების დღეს. ჩვენთან ხომ კარი არ იკეტება და საღამოს ათის ნახევარზე ჯერ ერთი ნიღბიანი შემოვიდა სახლში, შემდეგ — მეორე. შევშინდი, მაგრამ დაყვირებაც ვერ მოვასწარი. თვალის დახამხამებაში ჯერ პირი ამიხვიეს, მერე ხელები შემიკრეს და იატაკზე პირქვე დამაგდეს.

— ახლა, ქალბატონო ანგელინა, „კიკლამ" რომ შაქრის ფული მოგიტანა, ჯერ ის უნდა გადმოგვითვალო, მერე კი ისიც უნდა გაიხსენო, დანარჩენ ფულსა და ოქროულობას სად მალავთო და ისეთი წიხლი მითავაზეს, ვიფიქრე, აქვე გავაცხებ-მეთქი სულს. „კიკლა" ჩემი მეუღლეა. ადრე ვაჭრობაში მსახურობდა. შაქარი რომ გაწყდა ქვეყანაში, ბავშვებს რომ ჩაის ველარ უტკბობდნენ დედები, ჩემმა ქმარმა მოახერხა და რაიონში ოცი ტონა შემოიტანა. განა რა იმდენი ფული უნდა ეშოვა გაჭირვებულს, აქეთ პოლიციამ წაართვა ნაწილი, იქით — უშიშროებამ, მერე ცალკე სახელმწიფომ და ცალკე გვარდიამ წაიღო თავ-თავიანთი, ზოგიც ქურდებმა და იქით გაუხდა ფული დასადები. ახლა კიდევ ფულს ითხოვდნენ. სული რომ მოვიბრუნე, ვუთხარი — ამ სახლში ფულს ვერსად ნახავთ. რაც გვაქვს, ჯიბეში მიდევს-მეთქი. მეცნენ და ოცდაშვიდი მანეთი იპოვეს ჩემი ხალათის ჯიბეში... — ეს ვიღაცაა გვამასხარავებსო, — გადაულაპარაკეს ერთმანეთს და ჯერ საყურე ჩამომგლიჯეს, მერე ორი ბეჭედი წამაძვრეს, მაგრამ მესამეს ვერაფერი მოუხერხეს. ოცი წელი იქნებოდა, ის ბეჭედი თითიდან არ მომეშორებინა. ვიფიქრე, ეს მაინც გადამირჩება-მეთქი, თუმცა ამ დროს მესამე ნიღბიანი შემოვიდა და — რას ეფერებით, თითი წააჭერითო, — უთხრა თავისიანებს და მაგიდიდან სამზარეულო დანა დაითრია, მაგრამ იმ პირველი ორიდან ერთ-ერთს, საბედნიეროდ, მავთულის საკვნეტელა აღმოაჩნდა და ისე შემაჭრა ბეჭედი, არც გამიგია. ზამთარი იყო და თბილად მეცვა. რომელიღაცას გაახსენდა, — მაგას გულზე ჯვარიც ექნებაო და უნამუსოებმა გულისპირშიც ჩამიყვეს ხელი. ჯვარი ხომ მართლა სანაქებო იყო, ვიფიქრე, ამას დასჯერდებიან-მეთქი, მაგრამ კიდევ მეტი მოინდომეს. მე რომ ვერაფერი მათქმევინეს, გაზის ქურა აანთეს, ზედ კოვზი გააცხელეს და ხელისგულზე დამადეს. მაშინ კი ვიკივლე, — მეორე ოთახში ლამფის მესამე ფიცარი ჩამოიღეთ და ფულს იქ ნახავთ-მეთქი. შვიდასი ათასი მანეთი ნახეს. ახლა ოქრო და ბრილიანტი მოგვეციო. ხელი ხომ დამწვარი მქონდა და ამის გამო გული მიღონდებოდა, აქეთ კიდევ ესენი მცემდნენ და ამჯერად უკვე კარს გარეთ მდგარი მეოთხე ბანდიტის მითითებით უთო გააცხელეს. ის სამი, მერე გავიგე, ვინც იყვნენ, მაგრამ მეოთხე მაშინვე ვიცანი ხმით. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში რომ შემოვიდა და გაიარ-გამოიარა, ეჭვიც არ შემპარვია, რომ გენო აგლაძე იყო. ბევრჯერ ყოფილა ჩვენთან სტუმრად. ჰოდა, მომდგნენ და გამისვეს და გამომისვეს უთო. ცოტაც და ცოცხლად დავიფუფქებოდი. რაღას ვიზამდი, ვანახვე, რაც მქონდა შავი დღისთვის გადანახული — ხუთი ჯვარი იყო თავისი ძეწკვით, ათი თუ თორმეტი ბეჭედი და სამი წყვილი საყურე... მერე გადაჭრილი თოფის კონდახი ჩამარტყეს თავში და წავიდნენ... აქამდე გავიძახოდი, არ ვიცი, ვინ იყვნენ-მეთქი. მერე, როცა მისმა „პადელნიკებმა" ჩაუშვეს, საქმე გენომ მოგვცაო, — დედამისმა ციალამ მე დამიწყო ლანძღვა-გინება. აქამდე ეგ ქალი მეცოდებოდა. ვფიქრობდი, ერთი შვილი თვალწინ მოუკლეს, ესეც რომ დაიჭირონ, ცოდვაა-მეთქი და ოთხი წელი ვდუმდი. ახლა კი დავრწმუნდი, რომ შეცოდების ღირსი არც დედა ყოფილა და არც შვილი. კიდევ იმდენი სიგლახე ჩაუდენია, სულაც არაა დასაზოგი...

დაზარალებული **დუტუ ხოხოშაია:** — მეზობელ სოფელში მივდიოდი ჩემი მანქანით. ორნი ვიყავით. გენო აგლაძე ჯერ წინ გადაგვიდგა და გავაჩერე, აბა, ხომ არ დავეჯახებოდი. მერე ისე ჩამიჯდა, არც უკითხავს. ცოტა რომ გავიარეთ, გვითხრა: — ახლა აქეთ გაუხვიეთ და მე დამტოვეთ ერთ-ორ კილომეტრშიო, თან ხელში ხელყუმბარას ათამაშებდა. რა მექნა, წავედი მისი ნაკარნახევი გზით და რომელიღაც ქოხს მიგვაყენა, საიდანაც მასავით წვერმოშვებული მაღალი ბიჭი გამოვიდა და გვითხრა, ხუთ მილიონ რუბლს მოიტანთ და მანქანას დაგიბრუნებთო... მეორე დღესვე ვისესხე და მანქანა კი დამიბრუნეს, მაგრამ ოთხივე საბურავი და აკუმულატორი მოეხსნათ.

დაზარალებული **ნიკო მგელაძე:** — იმ წლებში მე და ჩემი მეგობრები სოფლებში საქონელს ვყიდულობდით, ვკლავდით და მერე ბაზარში ვყიდდით. იმ დღესაც კამეჩი დავკალით. ხორცი მანქანაში ჩავდეთ და მდინარეზე რომ გადმოვდიოდით, აგლაძე წინ გადაგვიდგა ავტომატით ხელში. მანქანიდან გადმოგვყარა და გვითხრა: ამა და ამ ადგილზე ორი ათას დოლარს მოიტანთ და მანქანას დაგიბრუნებთო. ის ღამე კამეჩის პატრონთან გავათიეთ. მეორე დღეს გაძარცული მანქანა გამოვისყიდეთ. გაგვიკვირდა, ხორცისთვის ხელი არ ეხლოთ...

დაზარალებული **ანზორ გოგუაძე,** პოლიციელი: — მეზობელ სოფელში მამიდა მომიკვდა და ნათხოვარი სატვირთო მანქანით წავიყვანე ჩემი სამეზობლო. ქელეხში მანქანის მძღოლი დაგვითვრა და საჭესთან მე დავჯექი. იმ დაწყევლილ ადგილზე, სადაც გენო აგლაძე მანქანებს ძარცვავდა და აყაჩაღებდა, თეთრი მიკროავტობუსი იდგა. შეკრებილებმა მანიშნეს, არ გააჩერო, წადიო, მაგრამ ისეთი ადგილია, იქ სწრაფად ვერ გაივლი და ის იყო, კაბინის ორივე მხარეს ფანჯრები ავწიე და კარები შიგნიდან ჩავკეტეთ, რომ ორი კაცი ჩემს მხარეს ჩამოეკიდა კაბინას, მესამე კი — მეორე მხარეს. გამეტებით ურტყამდა ხელყუმბარას ფანჯარას და მის ჩამსხვრევას ცდილობდა. თუმცა ამას ისე მოზომილად აკეთებდა, რომ ყუმბარა ხელში არ აჰფეთქებოდა. ძარაზე მსხდომი ხალხი პანიკამ მოიცვა. შეშინებული ქალები მშველელს უხმობდნენ. რაკი მდინარეს გავცდი, სიჩქარეს მოვუმატე და ჩემს მხარეს მდგომმა ორმა ყაჩაღმა გადახტომა იკადრა, მაგრამ იმ მესამემ, როგორც მერე გაირკვა, გენო აგლაძემ, წინა საქარე მინის ჩამსხვრევა სცადა. ამიტომ მანქანას მკვეთრად შევუცვალე გეზი და კაბინაზე აბობღებული ყაჩაღი გადავარდა. რამდენიმე წამის შემდეგ კი აფეთქების ხმა მომესმა, თუმცა ჩემიანებიდან არავინ დაშავებულა. როგორც ძარაზე მყოფებმა მიამბეს, აგლაძემ მანქანის მიმართულებით ისროლა ხელყუმბარა, მაგრამ ვიდრე დეტონატორი იმოქმედებდა, გავასწარით. რა დაგიმალოთ და ეს ყველაფერი გალის საზღვარზე, სამშვიდობო ზონაში ხდებოდა, სადაც ჩვენი პოლიციის უბნის ინსპექტორს იარაღის ტარების უფლებაც კი არ აქვს. იქნებ თქვენ მითხრათ, შიშველი ხელებით როგორ უნდა შეებრძოლოს ერთი კაცი ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულ ბანდას? სხვათა შორის, აგლაძე და მისი ხალხი სატვირთოებზე არასოდეს ნადირობდნენ, მაგრამ მიკროავტობუსის მძღოლს ეშმაკობა ეხმარა და ვეღარ ქოქავდნენ, ამიტომ ბუქსირით აპირებდნენ მის წაყვანას.

დაზარალებული **მერაბ ჭაფოძე:** — ამათ ახლა ამოიღეს ხმა, თორემ მაშინ ვინ გაბედავდა გენოს სახელის ხსენებას. არც პოლიციას უფრთხოდა დიდად. სულ ავტომატითა და ხელყუმბარებით დადიოდა ყველგან. ერთადერთი, ვინც შეჰბედა და პასუხი მოსთხოვა, რაჟდენ გვალია იყო — როგორ გაბედე და მხედრიონელი მიწოდე, როცა იმ ხალხს დასანახავად ვერ ვიტანო. წამოდი, ვილაპარაკოთო... გენომ დანა დააძრო და უაზროდ დაიწყო მისი ქნევა, თან ერთსა და იმავეს იმეორებდა — არ მინდა შენთან ლაპარაკიო. უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი — რაჟდენ გვალიას იმ დღეს მე ვთხოვე დაუძლურებული ჯუმბერ ჯამბურიას და მისი მეუღლე ეთერი თავისი მანქანით ბიჭის საფლავზე წაეყვანა და რაღაც ფარსაგად გზაში გენოს არ გადავეყარეთ?! სხვა გზა არ იყო, მოჩხუბრების შუაში ჩავდექი. გენომ დანა დაკეცა და შეთანხმდნენ, რომ იმავე დღეს ოთხ საათზე შეხვდებოდნენ ერთმანეთს და საქმეს გაარჩევდნენ. რაჟდენმა სახლთან მიმიყვანა და ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ ჯუმბერი დაგვადგა თავს. რაჟდენმა მოუბოდიშა — დღეს საქმე გამომიჩნდა და ხვალ აუცილებლად წაგიყვანო. მერე ის იყო, მანქანის კარი შეიხურა, რომ გზის მეორე მხრიდან ვიღაცამ ავტომატით გაგვიხსნა ცეცხლი. რაკი მანქანიდან გადმოსული ვიყავი, ვიფიქრე, სახლში შევასწრებ-მეთქი, მაგრამ ვიდრე კიბეს ავირბენდი, ხელში მომხვდა ტყვია. რომ შემოვბრუნდი, სახედასისხლიანებული რაჟდენ გვალია მოლასლასებდა სახლისკენ. ჯუმბერ ჯამბურია კი მანქანის ახლოს ეგდო. სროლა ისევ გრძელდებოდა...

დაზარალებული **ეთერ ჯამბურია:** — როცა რაჟდენ გვალიას მანქანა მერაბ ჭაფოძის ჭიშკართან გაჩერდა, მე და ჩემმა მეუღლემ ვიფიქრეთ, ჩვენს წასაყვანად მოვიდა-თქო და ჯუმბერმაც იქით გასწია. მე აივნიდან ვუყურებდი. მეგონა, მანქანა ჩვენკენ წამოვიდოდა, მაგრამ ერთბაშად ავტომატის სროლის ხმა გავიგე და იმავე წამს ჩემი მეუღლე დავარდა. იქითა მხარეს გავიხედე და გენო აგლაძე ვიცანი. არ შეიძლება, ვინმეში შემშლოდა, რადგან ჩემი გოგონას თანაკლასელი იყო. მეორეც ახლდა, ისიც ავტომატით, მაგრამ მხოლოდ გენო ისროდა. ჩემი თვალით ვნახე, როგორ დაჭრა ჯერ მერაბ ჭაფოძე, შემდეგ კი რაჟდენ გვალია. ვაზნები რომ გაუთავდა, იმ მეორემ მიაწოდა ავტომატი. რაჟდენს მანქანა საცერივით დაუცხრილა. როცა მეორე ავტომატის ვაზნებიც ბოლომდე დაცალა, იქვე მდგარ ლურჯ მანქანაში ჩასხდნენ და იქაურობას გაეცალნენ. ამასობაში მთელი სოფელი გამოვიდა გარეთ. სამივე დაჭრილი საავადმყოფოში გადავიყვანეთ, მაგრამ ჯუმბერს საოპერაციომდე აღარ მიჰყოლია სული. მერაბი და რაჟდენი გადარჩნენ. გენოს ავკაცობით დაღლილმა სოფელმა კი მისი სახლი გადაწვა იმ საღამოს.

## ეპილოგი, ანუ აფთარი ბუნაგში

სოფლის განაპირას, ვეებერთელა ხეებით დაჩრდილულ ეზოში, წინა ღამის „ნანადირევით" კმაყოფილი გენო აგლაძე სახლის გვერდით მდგარი სამზადიდან იმ დროს გამოვიდა, ივნისის მზე კარგა მაღლა რომ აიწია. წელს ზემოთ შიშველი, დიდი ხნის გაუპარსავი, ველურს ჰგავდა. ჯერ წყალი ამოიღო ჭიდან, მერე ირგვლივ მიმოიხედა. ჩანდა, წყლის დამსხმელს ეძებდა, მაგრამ რაკი ვერავინ შენიშნა, მარტო შეუდგა პირის ბანას. ისე ნელა ირჯებოდა, კაცი იფიქრებდა, ან ერთობა, ან ვინმეს მოლოდინში დროის გაყვანას ცდილობსო. სინამდვილეში კი არავისაც არ ელოდებოდა. ოჯახის პატრონები მთელ დღეს ყანაში ატარებდნენ, მისი „კომპანიონები" კი საღამომდე არ გამოჩნდებოდნენ. თუმცა მაინც ვერ დაიჯერა, რომ მარტო იყო. ტყეს შეჩვეულ მის მზერას არ გამოჰპარვია, როგორ აფრინდა ჩიტების გუნდი მარცხნივ მდგარი მაღალი ცაცხვიდან და უფრო აქეთ, მაგნოლიის ხეზე შემოჯდა. კიდევ ცოტაც და იმავე გუნდმა მოშორებით მდგარ ხეზე გადაინაცვლა. ეს უკვე ბევრს ნიშნავდა მისთვის. ერთიანად დაიძაბა, სმენად იქცა. თვალითაც დაზვერა იქაურობა და თუმცა საგანგაშო ვერაფერი შენიშნა, მაინც ნელა წავიდა სამზადისკენ. მერე კი ვეფხვივით ისკუპა... სამზადში ავტომატი და ხელყუმბარები ეგულებოდა. გუმანით გრძნობდა მოახლოებულ საფრთხეს და ამიტომ მიიჩქაროდა იარაღისკენ. თუმცა არც ის ბიჭები ჩამორჩნენ, მის დასაჭერად რომ მოსულიყვნენ იმ წუთში და ისე უჩინმაჩინებივით წამოეპარნენ, ჩიტებს რომ არ გაეცათ, ახლა უკვე ხელში ეყოლებოდათ ბანდიტი. ერთმა მათგანმა ზედ სამზადის კართან უყელა გენოს და ისეთი მოგვერდი ჩაუტარა, მოცელილივით დაახეთქა მიწას.

ყაჩაღის საწოლის ლეიბის ქვემოდან ახალთახალი ავტომატი და რამდენიმე ცალი ხელყუმბარა ამოიღეს პოლიციელებმა.

P.S. ასე დამთავრდა გენო აგლაძის შვიდწლიანი „თარეში", კაცმა არ იცის, რა იყო ეს — ძმის მკვლელობისათვის შურისძიება თუ სხეულში ჩაბუდებული ბოროტი სულის ამბოხი. სტატიის ავტორი უფრო ამ ბოლო ვერსიას ემხრობა.

**ვაჟა გავაშელი**

# „ვინ გაისვრის ისარს უსასრულობაში“

2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო მარათონში ჩართვის სურვილი 15-მა პრეტენდენტმა გამოთქვა. მართლაც ბედნიერი ერი ვიქნებოდით, 15 ღირსეული და სახელმწიფოს გაძღოლისუნარიანი კაცი რომ მოგვეძებნებოდეს, ისეთი ქვეყნის აშენება რომ შესძლებოდათ, როგორიც კარგა ხანია მხოლოდ საოცნებოდღა გვაქვს... მაგრამ, სამწუხაროდ, ამოსარჩევად არ გვაქვს საქმე. სააკაშვილს მეტოქეობას მეტ-ნაკლებად იმერეთის ექსგუბერნატორი, თემურ შაშიაშვილი თუ გაუწევს. იმ შემთხვევაში კი, თუ იგორ გიორგაძესაც მისცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, „მოსაწყენად“ აღარ გვექნება საქმე...

პრეზიდენტობის მსურველთა ამალა კი ასე გამოიყურება:

1. **მიხეილ სააკაშვილი,** დაბადებული 1967 წლის 21 დეკემბერს (როგორც თვითონ უყვარს თქმა — სტალინის დაბადების დღეს). სააკაშვილის საქმიანობის ადგილი და თანამდებობა რომ აქამდე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი იყო, მკითხველს კარგად მოეხსენება (ამიერიდან კი ბატონი მიხეილი მხოლოდ წევრი იქნება საკრებულოსი). თავის პროფესიად მიხეილ სააკაშვილს იურისტობა აქვს მითითებული, თუმცა ამას წინათ გაგვიმხილა ინგლისური და ფრანგული ენების თარჯიმანიც ვარო.

2. **რონ ლიპარტელიანი**, დაბადებული 1951 წლის 1-ელ სექტემბერს. პროფესიით იურისტი, ჟურნალისტი, სწავლული აგრონომი, პატენტმცოდნე, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, დავით აღმაშენებლის პარტიის თავმჯდომარე.

3. **გიორგი ყორღანაშვილი**, დაბადებული 1942 წლის 1-ელ აპრილს, პროფესიით ინჟინერი. საზოგადოება „მოძრაობა სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარე, უპარტიო.

4. **იგორ გიორგაძე**, დაბადებული 1950 წლის 23 ივნისს, პროფესიით — სამართალმცოდნე, დროებით უმუშევარი, საქართველოში ცხოვრობს დაბადებიდან დღემდე(?!).

5. **ზურაბ ქელეხსაშვილი**, დაბადებული 1966 წლის 15 ნოემბერს, პროფესიით იურისტი. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველის“ თანათავმჯდომარე და წევრი, შპს გაზეთი „მეტი სინათლის“ რედაქტორის მოადგილე.

6. **ქართლოს ღარიბაშვილი,** დაბადებული 1954 წლის 24 აპრილს, პროფესიით იურისტია, საქართველოს ადვოკატთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, მცხოვრები თეთრიწყაროს რ-ნის სოფელ ჯორჯიაშვილში. არის პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ადვოკატების წევრი“. საქართველოში ცხოვრობს 40 წელი.

7. **ბიძინა ხარიბეგაშვილი** დაბადებული 1952 წლის 2 მარტს. დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. როგორც პრეზიდენტობის მსურველი განცხადებაში წერს, სამშობლოსა და მსოფლიოს წინაშე დიდი „სტრატეგიული დამსახურება“ აქვს. თურმე მისი შექმნილი „მფრინავი თეფშები და ხომალდები“ მსოფლიო ცივილიზაციის „ათასწლოვანი ნახტომია“. ბატონ ხარიბეგაშვილს დაუწერია „მსოფლიო დონის“ სამეცნიერო ნაშრომი — „ვინ გაისვრის ისარს უსასრულობაში“, რომლის საფუძველზეც ერთ ღამეში შეუქმნია ახალი სამყარო(!) — მზის სისტემის კატასტროფის შემდეგ.

8. **ვაჟა ჩხაიძე,** დაბადებული 1946 წლის 15 აპრილს. თეატრმცოდნე. 1985 წლიდან არის საფეხბურთო კლუბ „მრეტების“ დამფუძნებელი-პრეზიდენტი. 1995 წლიდან გერმანული საფეხბურთო საზოგადოება „ბიომელის“ დამფუძნებელი. არასოდეს ყოფილა პარტიული.

9. **გია ჩხიკვაძე,** დაბადებული 1957 წლის 2 იანვარს. პროფესია — პროფესიონალი პოლიტიკოსი, განათლება — საშუალო, სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

10. **ზაზა სიხარულიძე,** დაბადებული 1960 წლის 18 აპრილს. ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე, იურისტი, სრულიად საქართველოს ღვთის შვილთა კავშირის პრეზიდენტი. გაპრეზიდენტების შემთხვევაში უმწეოთა და ინვალიდთა კეთილდღეობისთვის გვპირდება ბრძოლას.

11. **სერგო აქსენტიევი**, დაბადებული 1967 წლის 6 ივნისს. პროფესიით დიზაინერი. ინტელექტუალური პროექტების ბანკის შპს „ლ.ბ.ლ“-ს დირექტორი. ბატონი სერგო „განვითარებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის მიზნით და საქართველოს ამომრჩეველთა აზრის გათვალისწინებით“ თანხმდება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. იგი უპარტიოა და საქართველოში „დაბადებიდან დღემდე“ ცხოვრობს.

12. **თემურ შაშიაშვილი** დაბადებული 1951 წლის 1-ელ აპრილს, პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი. დროებით უმუშევარი.

13. **ელენე ტეფნაძე,** დაბადებული 1961 წლის 15 ივლისს, განათლებით — ეკონომისტი. მარნეულის რაიონის გამგეობის დამოუკიდებელი ექსპერტი, ცხოვრობს მარნეულში. არის ლეიბორისტული პარტიის წევრი, თუმც როგორც ჩანს, შალვა ნათელაშვილი თანაპარტიელის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ ეთანხმება, რადგან ცესკოში განაცხადი ქალბატონი ელენეს საპრეზიდენტო კანდიდატად დასაფიქსირებლად საინიციატივო ჯგუფმა შეიტანა.

14. **იური მკრტუმიანცი**, ბატონი იური რატომღაც ცესკოს არც საკუთარ პროფესიას უმხელს, არც მისამართს და არც იმას, თუ რატომ გადაწყვიტა პრეზიდენტობა. თუმც ყველაზე მეტყველია მისი საკუთარი ხელით დაწერილი განცხადება.

15. **ლიანა ამანათაშვილი,** — დაბადებული 1964 წლის 13 ნოემბერს. პროფესიით მშენებელ-ინჟინერი, დროებით უმუშევარი, უპარტიო. ცესკოში შესულ მისი მხარდამჭერების განცხადებაში შთამბეჭდავი რამ ამოვიკითხეთ: „შემოვდივართ ინიციატივით, მხარი დავუჭიროთ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წევრს, ქალბატონ ლიანა ამანათაშვილს, ვისი რწმენა და მტკიცე ხასიათიც გვაძლევს იმედს, რომ წარუძლვება ივერიას გაბრწყინებისაკენ...“

პრეზიდენტობა და საპრეზიდენტო არჩევნები კი ბატონო, კარგია, მაგრამ რომელი საარჩევნო სიებით უნდა მივცეთ ხმა სასურველ კანდიდატს? იმით ხომ არა, რევოლუციის მიზეზი რომ შეიქნა? რას აპირებს ახალი ცესკოს თავმჯდომარე, რომ წინამორბედის ბედი არ გაიზიაროს და მორიგ რევოლუციამდე არ მიგვიყვანოს.

როგორც **ზურაბ ჭიაბერაშვილმა** გვითხრა, ამ შემთხვევაში მისთვის გამოსავალი წინასწარი რეგისტრაციის მექანიზმი ყოფილა.

— თავდაპირველად ითქვა, რომ ბაზისად აგველო რომელიმე (უწყების) სია და ის გაგვეუმჯობესებინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ისეთი სრულყოფილი ბაზისი, რომელსაც შეიძლებოდა დავყრდნობოდით. მისი სრულყოფისთვის იმდენი სამუშაო და ფინანსები იყო საჭირო, რომ ვფიქრობ, 27 დეკემბრისთვის (როდესაც სიის ბოლო ვარიანტი მზად უნდა ყოფილიყო), ეს არ მოესწრებოდა. ამიტომ სხვა გზა ავირჩიეთ (რაშიც ბატონი ვახტანგ ხმალაძეც დამეთანხმა) — წინასწარი რეგისტრაცია. გაიხსნება საარჩევნო უბნები. შემდეგ ტელევიზიით გამოცხადდება, რა ვადებში (ეს მინიმუმ 2 კვირა იქნება) შეიძლება დარეგისტრირდეს მოსახლეობა საარჩევნო სიაში. იქვე გაკეთდება ხელნაწერი სიები, დოკუმენტაცია საპასპორტო მონაცემების საფუძველზე და ამის შემდეგ გაიცემა ამომრჩეველზე ქვითარი, რომელიც იქნება დადასტურება იმისა, რომ მოქალაქემ რეგისტრაცია გაიარა. ამის საფუძველზე შედგება სწორედ ამომრჩეველთა სიები. ეს იქნება გარდამავალი ეტაპი იმისათვის, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის გვქონდეს ზუსტი და მოწესრიგებული სიები.

— **როდისთვის გადაწყდა, საპარლამენტო არჩევნების ჩატარება?**

— გამორიცხულია საპარლამენტო არჩევნების 25 იანვარს ჩატარება, როგორც ზოგიერთი პოლიტიკოსი ითხოვს...

— **კითხვები ჩნდება საპრეზიდენტო არჩევნებში იგორ გიორგაძის მონაწილეობაზე. რამ შეიძლება ხელი შეუშალოს მას პრეზიდენტობისათვის ბრძოლაში?**

— ჯერჯერობით, გვყავს 15 პრეზიდენტობის კანდიდატი. ისინი 17 დეკემბრის ცესკოს გადაწყვეტილების შემდეგ, დარეგისტრირდებიან, როგორც კანდიდატები. ამისთვის მათ უნდა ჰქონდეთ მოწესრიგებული დოკუმენტაცია (რომელიც სხვადასხვა უწყებაში გადამოწმდება) და 50-50 ათასი მხარდამჭერის სია.

დოკუმენტაციას, რომელიც ამჟამად წარმოადგინეს იგორ გიორგაძის მხარდამჭერებმა, სათანადო უწყებებში გადავამოწმებთ და კანონიერ გადაწყვეტილებას მივიღებთ.

მხოლოდ ძებნილობის გამო მას რეგისტრაციაზე უარს ვერ ვეტყვით.

რეგისტრაციის შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატი ხელშეუხებელია, მას იმუნიტეტი იცავს. ამიტომ შეუზღუდავად შეუძლია წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კი, თუ გაიმარჯვებს — სხვა სამართლებრივი პროცედურები ჩატარდება, ხოლო თუ დამარცხდება, მას იმუნიტეტი მოეხსნება და ამის შემდეგ სამართალდამცველებმა უნდა გაარკვიონ მისი პასუხისმგებლობის საკითხი. როგორც ვიცი, იგორ გიორგაძე საკმაოდ სერიოზულად ემზადება საპრეზი„დენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად...

*იზო რიკაძე*







# თაღლითმა ჭირისუფალს 6.000 დოლარი დასცინცლა(?!)



თენგიზ ზარანდია თანამებრძოლებთან ერთად გალის ტყეში

## ქართველი პარტიზანების გმირობის დღემდე უცნობი დეტალები

ორი თვის წინ ტყვარჩელის რაიონში წარმატებულად დამთავრებული საიდუმლო ოპერაციის შემდეგ, ქართველ პარტიზანთა ხუთკაციანი ჯგუფი გალის რაიონში ბრუნდებოდა. კიდევ ორიოდე ათეული კილომეტრი და მდინარე ენგურს გადმოლახავდნენ თავს უსაფრთხოდ იგრძნობდნენ. გალის მისადგომებთან ინფორმატორმა პარტიზანებს აცნობა, რომ აფხაზეთის და საქართველოს პირობით საზღვართან ახლოს მდებარე ერთ-ერთი სოფლისაკენ სადამსჯელო ოპერაციის განსახორციელებლად ავტომანქანა „ვოლგით“ სეპარატისტების ბოევიკები მიემართებოდნენ. პარტიზანებმა გეზი სასწრაფოდ შეცვალეს. საავტომობილო გზაზე გავიდნენ, სავალი ნაწილი დანაღმეს და იქვე, ბუჩქებში, ჩასაფრდნენ. მართლაც, ორიოდე საათის შემდეგ გზაზე აფხაზი ბოევიკებით სავსე ავტომანქანა გამოჩნდა, რომელიც სწრაფად უახლოვდებოდა დანაღმულ ადგილს. კიდევ რამდენიმე წამიც და არემარე საშინელი აფეთქების ხმამ გააყრუა. ექვსი კბილებამდე შეიარაღებული აფხაზი, ზოგი — ამოყირავებულ მანქანაში, ზოგი კი მანქანიდან გადმოვარდნილი, გზაზე უსიცოცხლოდ ეგდო. პარტიზანებმა იფიქრეს, ყველა დაიხოცაო და გვამებს უშიშრად მიუახლოვდნენ, მაგრამ ერთი მათგანი მხოლოდ დაჭრილი ყოფილა. სანამ ქართველი პარტიზანები შენიშნავდნენ, აფხაზმა მოასწრო და ქართველ მებრძოლებს ხელყუმბარა ესროლა, რომელმაც პარტიზან ბახვა კოპალიანს მუხლს ზემოთ ფეხი მოსწყვიტა. ყუმბარის მსროლელმა მეტი ვერაფერი მოასწრო — ავტომატის ჯერმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა. ბახვა კოპალიანს თანამებრძოლებმა ფეხზე არტაშანი დაადეს. საჭირო იყო, შეტაკების ადგილის სასწრაფოდ დატოვება, მაგრამ დაჭრილი ამხანაგის ხელით თრევა დაქანცულ პარტიზანებს აღარ შეეძლოთ. სახიფათო ადგილს მხოლოდ რამდენიმე მეტრით გაეცალნენ და ბუჩქებში შეიმალნენ. ჯგუფის მეთაურმა, თენგიზ ზარანდიამ დანარჩენებს უბრძანა: „სოფლიდან ცხენი მოგვაშველეთ, დაჭრილი ცხენზე შევსვათ და აქაურობას გავეცალოთ. ყოველი წუთი ძვირფასია. მე დაჭრილთან დავრჩები...“.

„დავალების შესასრულებლად გავიქეცით, — იხსენებს პარტიზანული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, — ყოველ წამს შესაძლებელი იყო აფხაზი ბოევიკების გამოჩენა და ალყაში მოგვაქცევდნენ. ეს ზარანდიამაც კარგად იცოდა, ამიტომ ცხენის მოყვანა მხოლოდ საბაბი იყო, რათა ჩვენ მაინც მოგვესწრო სამშვიდობოს გასვლა. მან დაჭრილი ამხანაგი უპატრონოდ ვერ დატოვა... მართლაც, როგორც შემდეგ შევიტყვეთ, სანამ ჩვენ სოფლიდან ცხენს მოვიყვანდით, რამდენიმე წუთში აფხაზებს ზარანდია და კოპალიანი ალყაში მოექციათ. ფეხმოწყვეტილი ბახვა და თენგო ზარანდია ათობით აფხაზ ბოევიკს კარგა ხანს იგერიებდნენ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ორმა კაცმა შვიდი აფხაზი გაისტუმრა იმ ქვეყანას და ერთი ამდენი მძიმედ დაჭრა... თენგიზ ზარანდია და ბახვა კოპალიანი ომამდე ჩვეულებრივი, მშვიდობისმოყვარე ბიჭები იყვნენ, მაგრამ ომმა მათი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა და მოუხელთებელ პარტიზანებად აქცია. ზარანდიას აფხაზებმა „ანარხუ“ შეარქვეს, რაც ქართულად „მოუხელთებელს“ ნიშნავს. ერთი სიტყვით, ბიჭებს მხოლოდ ორი ტყვია დარჩათ. აფხაზებმა დანებება უბრძანეს და მოსაფიქრებლად ორი წუთი მისცეს. ორმა წუთმა ორი წამივით გაიარა და მოულოდნელად ორი გასროლის ხმა გაისმა. ტყვედ ჩავარდნას, თენგომ და ბახვამ თვითმკვლელობა ამჯობინეს“(!).

ფეხმოწყვეტილი ბახვა და თენგო ზარანდია ათობით აფხაზ ბოევიკს კარგა ხანს იგერიებდნენ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ორმა კაცმა შვიდი აფხაზი გაისტუმრა იმ ქვეყანას და ერთი ამდენი მძიმედ დაჭრა. მოულოდნელად ორი გასროლის ხმა გაისმა. ტყვედ ჩავარდნას, თენგომ და ბახვამ თვითმკვლელობა ამჯობინეს“(!).

აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გაგაცნოთ წმინდა თამარის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ ზაქარიას განმარტება: „ასეთ შემთხვევაში თვითმკვლელობა ცოდვად არ ითვლება. ქართველმა მებრძოლებმა იცოდნენ, რომ მათ ტანჯვა-წამებით ამოხდიდნენ სულს. ასეთ დროს მართლმადიდებელი რელიგია უშვებს გამონაკლისს და მათ, როგორც სამშობლოსთვის თავდადებულ გმირებს, ისე მოიხსენიებს“.

დღის წესრიგში საქართველოსთვის თავდადებული გმირების გადმოსვენების საკითხი დადგა. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სპეციალური განკარგულებით დაავალა დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ავთანდილ იოსელიანს, რომელიც ასევე აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახის წევრთა დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეა, ყველა ზომა მიეღო გმირების თბილისში გადმოსასვენებლად, სადაც ამჟამად მათი დევნილი ოჯახები ცხოვრობენ. ეს დავალება ძნელი შესასრულებელი იყო. აფხაზი სეპარატისტები ნეშტებს იოლად არავის გამოატანდნენ. თუნდაც დაეთმოთ, მათ გამოსასყიდად ქართულ მხარეს სოლიდური თანხის გადახდა მოუწევდა, მაგრამ დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მონდომებისა და ავტორიტეტის (იოსელიანი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრი იყო) წყალობით სამ დღეში ქართველი პარტიზანების ცხედრები გადმოასვენეს.

ჩვენ თენგიზ ზარანდიას დედასთან, ქალბატონ **ჟენია ზარანდიასთან** გასაუბრება გადავწყვიტეთ: — როგორც კი აფხაზეთის ომი დაიწყო, იმ დღიდან თენგიზმა იარაღი აიღო ხელში და ქართველ მებრძოლთა რიგებში ჩადგა. როდესაც დავმარცხდით, მაინც არ შეუწყვეტია ბრძოლა. როგორც კი ოჯახი დააბინავა, პარტიზანების დანაყოფში ჩაეწერა. მეუბნებოდა — თბილისში როგორ ვიცხოვრო, რა თვალით შევხედო ცოლ-შვილს. სანამ აფხაზეთში გამარჯვებული არ დავბრუნდები, ვერ მოვისვენებ. თანამებრძოლებს ვერ ვუღალატებო. ერთხელ მძიმედ დაიჭრა. შარდის ბუშტში ტყვიამ გაუარა. რამდენიმე თვე მკურნალობდა თბილისში. როგორც იქნა, გამოჯანსაღდა, მაგრამ გაუსაძლისი ტკივილის გამო, ნარკოტიკებსაც მიეჩვია, თუმცა იმდენად ძლიერი იყო მასში მებრძოლი სული, რომ დამოუკიდებლად შეძლო ამ მავნე ჩვევასთან გამკლავება და კვლავ პარტიზანებს დაუბრუნდა.

— **რომელ პარტიზანულ შენაერთში იყო თქვენი შვილი?**

— მაგას როგორ მეტყოდა? ზედმეტად ერთ სიტყვას არ იტყოდა თავისი საბრძოლო თავგადასავლების შესახებ. როდესაც შეაგვიანდებოდა საბრძოლო ოპერაციაზე, მობილურით დამირეკავდა და მეტყოდა, ნუ ნერვიულობ, რესტორანში ვქეიფობო. ასე მამშვიდებდა. მე ხომ ვიცოდი, მისი რესტორანი ტყე რომ იყო, ხოლო თანამეინახეები მასავით სამშობლოსთვის თავდადებული ვაჟკაცები... ასეთი შვილი „ცინკის“ კუბოთი ჩამომიყვანეს. აფხაზებს გვამზე უძიებიათ შური, სულ დაუფლეთიათ.

თვითონ კი მტერს ტყვიას პირველად არ ესროდა. ამას თანამებრძოლებიც საყვედურობდნენ. როგორ ვესროლო, ხომ შეიძლება, ჩემი რომელიმე მეზობელი ან მეგობარი აფხაზი გამოდგესო, ამბობდა. ამ ბრძოლებსა და ტანჯვა-წამებაში 45 წლის ვაჟკაცი 60 წლის კაცს დაემგვანა. შვილის სიკვდილთან შეგუება დედისთვის წარმოუდგენელია. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ გმირულად დაიღუპა და თავისი სიკვდილით სამი თანამებრძოლი გადაარჩინა...

აფხაზეთის ომის დროს 1.500 ქართველი ვაჟკაცი დაიკარგა უგზო-უკვლოდ. თავის მხრივ აფხაზები ქართველებს მათი (ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგული) 150 მეომრის ნეშტის გადაცემას სთხოვენ, მაგრამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, გვარდიის სამმართველოს, მხედრიონისა და სხვა საბრძოლო შენაერთების შტაბებში არათუ აფხაზი ბოევიკების საფლავები, ქართველი მეომრების დაკრძალვის ადგილმდებარეობის სქემატური რუკებიც არა აქვთ. ამიტომ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ომის ან მით უმეტეს, ამჟამინდელი პარტიზანული საბრძოლო ოპერაციის დროს დაღუპული მეომრების ნეშტები დათმონ აფხაზმა სეპარატისტებმა. თენგიზ ზარანდიას და ბახვა კოპალიანის შემთხვევა იშვიათი გამონაკლისია. მეტიც, ზოგიერთი თაღლითი თურმე ამ პრობლემით სარგებლობს და ხელს ითბობს(!!!).

ერთ-ერთი თაღლითი, ვინმე მკრტიჩიანი, ჩვენი კომისიის ხელშეწყობით დააკავა პოლიციამ. აფხაზეთში დაღუპული ერთ-ერთი მეომრის ჭირისუფალს ნეშტის გადმოსვენებას ჰპირდებოდა. თაღლითი გაასამართლეს, მაგრამ გამოვიდა ციხიდან თუ არა, სამ დღეში გურიაში სხვა დაღუპულის ჭირისუფალი მოატყუა და 6.000 დოლარი დასცინცლა.

ჩვენ ვესტუმრეთ აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, **ვლადიმერ დოზორჯგინიძეს:** — მებრძოლთა მოძიების სახელმწიფო კომისია 1996 წლიდან მოქმედებს. ანალოგიური კომისია აფხაზებსაც აქვთ შექმნილი და ჩვენ ვთანამშრომლობთ ერთმანეთთან. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 150 ქართველი მეომრის ნეშტის მოძიება და გადმოსვენება მოვახერხეთ, ხოლო აფხაზებს მხოლოდ 49 ნეშტი გადავეცით. ჩვენს მუშაობას ისიც აფერხებს, რომ სამწუხაროდ, არც ერთმა ოფიციალურმა სტრუქტურამ, რომელიც აფხაზეთის ომში მონაწილეობდა, არ იცის, სად არიან დაკრძალული ჩვენი მეომრები ან მოწინააღმდეგე მხარის ტყვედ ჩავარდნილი და შემდეგ დახვრეტილი ჯარისკაცები. საველე მეთაურებსა და შტაბის ოფიცრებს საველე რუკებზე არ აქვთ მითითებული დაკრძალვის ადგილები. ამიტომ ნეშტების მოძიება გვიჭირს. ახლახან, შემთხვევით, ერთ-ერთი ვეტერანისგან გავიგეთ ორი აფხაზი მეომრის საფლავის ადგილი და თუ ინფორმაცია სწორი გამოდგა, მაშინ შესაძლოა ბაბუშერიდან ჩვენი 35 დაღუპული ქართველი მებრძოლის გადმოსვენებაც მოხერხდეს.

— **რა უჯდება სახელმწიფოს ერთი მებრძოლის ნეშტის მოძიება და გადმოსვენება?**

— დაახლოებით 900-1.000 ლარი. ამ თანხაში შედის სახელმწიფო კომისიის წევრების მგზავრობა, მუშების ანაზღაურება, ავტომობილის ხარჯები, ექსპერტიზა და ა.შ. ამასთან, საშიშია ნეშტების ამოთხრა განმნაღმველის გარეშე, რადგან ხშირად საფლავი დანაღმულია...

— **ჩვენს რედაქციას მომართა შვილდაღუპულმა დედამ (იგი ნათელა შამუგიად გაგვეცნო. — ზ. ჩ.), რომელიც თაღლითის მსხვერპლი გამხდარა. მას უცნობმა პირმა დაღუპული შვილის აფხაზეთიდან გადმოსვენება 3.500 დოლარად შესთავაზა. ბედ თანხის ნახევარი 1.750 დოლარი გამოსძალა. ერთი კვირის შემდეგ მან თუნუქის ჰერმეტულად დახურული კუბო მიაყენა ქალს და დანარჩენი თანხაც ჩაიჯიბა. შამუგიებმა შვილის ცხედრის შემოწმება გადაწყვიტეს. ომამდე მომხდარი ავტოკატასტროფის შემდეგ მას ბარძაყსა და თეძოს ძვალზე უჟანგავი ლითონის საკმაოდ გრძელი ძელაკი ჰქონია ჩადგმული. ამაოდ ეძებეს ნეშტში ძელაკი.**

*(გაგრძელება იხ. გვ. 26)*



## რას გვეტყვი, მამაო?

— **ამბობენ, რომ ცოდვა შთამომავალზე გადადის, რამდენად შეესაბამება ეს აზრი ქრისტიანულ კანონიკას და თუ ასეა, როგორ მოინანიოს შთამომავალმა წინაპრის ცოდვა?**

— წინაპრის მიერ ჩადენილ ცოდვაზე შთამომავალი პასუხს არ აგებს. მაგრამ ეს ცოდვა ერთგვარად მაინც აისახება მის სულზე. ცნობილი ხალხური გამოთქმა „ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო“ სწორედ იმას ნიშნავს, რომ წინაპრის ცოდვა აზარალებს და აბრკოლებს ადამიანს. ამის დასტურია ბიბლიური მაგალითი ადამისა. მისი ცოდვის სასჯელი მთელ კაცობრიობას დაედო, — ცოდვის შემდგომ შეიძინა ადამიანმა მიწიერი სხეული, მოევლინა ტკივილი და განსაცდელი (ადამიანი არა მარტო გენეტიკურად ემსგავსება თავის წინაპარს, არამედ სულითაც, ხოლო ცოდვა სულში ბინადრობს)... მაგრამ უფალმა არ გაწირა თავისი საყვარელი ქმნილება, ადამიანი და ცოდვათა გამოსასყიდად იესო ქრისტე მოუვლინა. იესომ ჯვარცმით გამოისყიდა ჩვენი ცოდვები და მოგვცა სინანულის საშუალება, რათა სასუფეველში პირნათელი წარვდგეთ მის წინაშე... ამდენად, თუ ადამის ცოდვისგან ვთავისუფლდებით, მით უფრო შეიძლება დავძლიოთ ჩვენში საკუთარი წინაპრის ცოდვების მიმართ მიდრეკილება ლოცვით და ქრისტიანული ცხოვრების წესით.

— **ვიცით, რომ უფალი შემსმენელია ადამიანის თხოვნისა, მაგრამ რატომ ხდება, რომ ზოგჯერ ქრისტიანულად მცხოვრებ ადამიანს სათხოვარი არ უსრულდება?**

— ღვთის განჩინებით, „ლოცვა მართლისა შეისმინების“. როცა რაიმეს ვითხოვთ უფლისგან, უნდა დავუფიქრდეთ, თუ რამდენად მართლები ვართ... ამიტომაა, ჯერ უფალს ჩვენი ცოდვების შენდობა უნდა ვთხოვოთ, სინანულით განვიწმინდოთ და მერე შევკადროთ სხვა სათხოვარი. დანარჩენი უფალმა იცის. მან იცის, რა გვჭირდება, რა არის ჩვენი სულისთვის აუცილებელი და როგორც მამა არ მისცემს თავის შვილს პურის ნაცვლად ქვას, ისე უფალი არ მოგვცემს იმას, რაც ჩვენთვის საზიანოა — იქნებ ის, რასაც ვითხოვთ, ზიანის მომტანია ჩვენი სულისთვის? ხშირად ადამიანი, როდესაც უფლის წინაშე თხოვნით წარდგება, არ ფიქრობს ამაზე...

სხვა შემთხვევაში, ყველაფერი მოგვეცემა. უფალი ხომ თვით უტყვსა და უსულო ყვავილთ და ფრინველთ მოსავს და ადამიანებს როგორ არ გაგვაძლიერებს თავისი წყალობით? ის კი არა, ხშირად, იგი ისეთ ადამიანებსაც უსრულებს თხოვნას, რომლებიც ამას არ იმსახურებენ, ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანმა დაინახოს, რამდენად უყვარს ღმერთს და ამ სიყვარულის გამო ქრისტიანულ გზას დაადგეს...

— **როგორ უნდა მოიქცეს ქრისტიანი, თუ მას მოწყალებას კი არ სთხოვენ, არამედ ძალას ატანენ, რომ ეს მოწყალება გაიღოს?**

— ისე მოიქცეს, როგორც სინდისი უკარნახებს. ზოგადად, მოწყალება არის ნებაყოფლობითი და ძალდატანებით იგი კარგავს თავის შინაარსს... გამცემიც და მიმღებიც სინდისთან უნდა იყვნენ მართალი. გამცემმა უნდა გასცეს იმდენი, რამდენიც შეუძლია; იცოდეს, რომ უფალი ხედავს მის გულს... მოწყალების ოდენობას მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო მიმღებმა შესაწირი მოკრძალებით უნდა მიიღოს... თუ მოწყალების გაღება ამგვარ ზნეობის ჩარჩოებს გასცდება და თავხედობას დაემორჩილება, მაშინ მას აღარა აქვს ქრისტიანული სახე. ამ შემთხვევაში გამცემი აბსოლუტურად მართალი იქნება სინდისთან, თუ მოწყალებას არ გასცემს.

ზნეობრივად მართალია ადამიანი მაშინაც, როცა შინ მშიერი შვილი ელოდება და მოწყალებას სხვაზე ვერ გასცემს. სახარებაში წერია, შვილს პურს ნუ წაართმევ და ძაღლს ნუ გადაუგდებო... და ერთი საგულისხმო დეტალიც, — რასაკვირველია, მოწყალება ღვთის ყოველ შვილზე უნდა გავცეთ, მაგრამ როცა მიმღები მართლმადიდებელია, მან უნდა იცხოვროს ქრისტიანულად, იგი ვალდებულია იმ ადამიანისთვის ილოცოს, ვინც უფლის სახელით შემოსა და დააპურა.

— **შეიძლება თუ არა სახლი ავაშენოთ ისეთ ადგილას, სადაც, ხალხის გადმოცემით, ეკლესია იდგა?**

— ისეთ ადგილზე სახლის აგებას უნდა ვერიდოთ... მიწა, სადაც საძირკველი ღვთის სამსახურისთვის იყო გაჭრილი, სასურველი არ არის, ადამიანმა თავისი მატერიალური მიზნებისთვის გამოიყენოს... სახლი, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ და აქედან გამომდინარე, ცოდვებსაც სჩადიან, უფლისათვის განკუთვნილ წმინდა ადგილს შეურაცხყოფს...

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

CMYK

# ᲐᲡᲙᲐᲠᲘᲓᲐᲡ „ᲛᲐᲡᲙᲐᲠᲐᲓᲘ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

## ქათმის კვერცხში შეიძლება 11-სანტიმეტრიანი ჭია აღმოაჩინოთ!..

უიშვიათესი მოვლენა — ასეთ შეფასებას აძლევენ სპეციალისტები „კვირის პალიტრის“ მიერ ახლახან დაფიქსირებულ უსიამოვნო ფაქტს. რამდენიმე დღის წინ, ოფიციალურად რეგისტრირებულ ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტში შეძენილ ქათმის კვერცხში 11 სმ სიგრძის ჭია აღმოვაჩინე, რამაც არა მარტო ჩემი და გარშემომყოფთა გაოცება, არამედ უამრავი პროფესიონალი ექსპერტის განცვიფრებაც გამოიწვია. კვერცხი, რომლითაც ჩემი ვარაუდით, დილით გემრიელი ბლინი უნდა მომემზადებინა, ამაზრზენ აღმოჩენად მექცა. გონს რომ მოვეგე, შევეცადე კვერცხის ნაჭუჭზე, მის წარმოშობასა და ხარისხზე პასუხისმგებლის ვინაობის დამადასტურებელი სავაჭრო-საკონტროლო დამღა მეპოვა, თუმცა ამაოდ. მაშინვე იმ მაღაზიაში გავიქეცი, სადაც ინციდენტამდე ოთხი დღით ადრე კვერცხი შევიძინე. თუმცა, მაღაზიაში უდამღო კვერცხი აღარ დამხვდა, კიდეც რომ ყოფილიყო, პასუხს იქ ვერავის მოვთხოვდი, თუნდაც იმიტომ, რომ ხელთ არ მქონდა ქვითარი, რომელიც დაადასტურებდა, რომ კვერცხი სწორედ ამ ობიექტზე შევიძინე (ამგვარი ქვითრის გარეშე ვერც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ვერ შეიძენთ პროდუქციას). ჩვენთან კი თუ პროდუქციის ხარისხის გამო პრეტენზია დაგცდა, უკმეხად მიგითითებენ, — სადაც მოგწონს, შენც იქ იყიდეო), მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, ის მაინც დავადგინე, რომ უდამღო კვერცხი დროდადრო შემოაქვთ გასაყიდად იმ სავაჭრო ობიექტში, სადაც ჭიანი კვერცხი შევიძინე. უფრო მეტიც, ინფორმატორის მეშვეობით შევიტყვე, რომ დედაქალაქის და არა მარტო მის სავაჭრო ქსელში, სავაჭრო ობიექტების ბევრ მფლობელს თავად გააჩნია ამა თუ იმ კვერცხის მწარმოებლის ბეჭდის ასლი, რითაც თავისუფლად ახერხებს კონტრაბანდული კვერცხი „კანონიერად აქციოს“. ამდენი უარყოფითი ინფორმაციით დახუნძლულმა კვერცხიდან ამოღებული ჭია მინის ქილაში მოვათავსე და თბილისის სანიტარული ინსპექციისა და ზედამხედველობის სამსახურს მივაშურე. ამ სამსახურის უფროსმა ბატონმა ჯუღული ახვლედიანმა დაუჯერებელი უწოდა კვერცხში ჭიის აღმოჩენის ფაქტს, მაგრამ საქმეში არასრულყოფილი კომპეტენტურობის გამო, დასკვნების გაკეთებას მოერიდა და ჩემზე არანაკლებ შეშფოთებულმა და გაოგნებულმა პროფესიონალ ექსპერტებს უხმო. წინასწარი მოკვლევისა და დაკვირვების საფუძველზე დადგინდა ჭიის წარმოშობა, იგი პარაზიტი ასკარიდა აღმოჩნდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ექსპერტები საგონებელში ჩააგდო ქათმის კვერცხში მისი აღმოჩენის ფაქტმა; ვიდრე ვეტერინარული დიაგნოსტიკის და ექსპერტიზის ეროვნული ცენტრის დასკვნას მივიღებდით, თითქმის ყველა ერთხმად ირწმუნებოდა, შეუძლებელია ასკარიდა, რომელიც ბუდობს ადამიანის, ცხოველის ან ფრინველის ნაწლავში, კვერცხში აღმოჩნდესო.

ვეტერინარული დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **ნუკრი გუგუშვილმა** გამოკვლევის შემდეგ განაცხადა, რომ აღმოჩენილი ჭია ფრინველის ასკარიდოზია. ქათმის ნაწლავიდან პარაზიტმა მიგრაცია განიცადა და იგი კვერცხის ნაჭუჭის ჩამოყალიბებამდე შეძვრა შიგთავსში, სადაც ალბათ კვერცხის მაცივარში მოხვედრამდე უზრუნველად ცხოვრობდა. დაბალ ტემპერატურაზე კი დაიღუპა და ასეთივე მდგომარეობაში „აღმოვაჩინე“. ეს უიშვიათესი მოვლენა საქართველოში ოფიციალურად დღემდე არ დაფიქსირებულა. „როგორც ჩანს, კვერცხის დამდები ქათამი დაინფიცირებული იყო ასკარიდოზით. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ დაავადებული ქათმის მიერ დადებული სხვა კვერცხი შეიძლება იყოს ჯანმრთელი ან დაავადებული. მით უმეტეს, როცა უცნობია კვერცხის სადაურობა“ — აცხადებს ბატონი ნუკრი და საზოგადოების დასამშვიდებლად(?!) მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ასეთი კვერცხის მირთმევის შემთხვევაში, ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე არ ელის. თუმცა, ამაზე საუბარიც კი უჭირს, რადგან თვითონაც კარგად წარმოუდგენია, რა შეიძლება იგრძნოს ადამიანმა, როცა კვერცხს გატეხს და შიგ ასკარიდას აღმოაჩენს ან მოხარშავს და ჭიან კვერცხს მიირთმევს...



ცხადია, თითოეულ თქვენგანს გაგიჩნდებათ შეკითხვა — ვინ უნდა დაიცვას მომხმარებელი უხარისხო, დაავადებული კვერცხის შეძენის საშიშროებისგან. გვაქვს თუ არა გარანტია, რომ ხვალ თვალით უხილავი საშიში ბაქტერიებით დაავადებული კვერცხის ან სხვა პროდუქტის მსხვერპლი არ გავხდებით. სამწუხაროდ, დამაიმედებელ პასუხს ამ კითხვაზე ვერც ერთი შესაბამისი სანიტარული და ხარისხის მაკონტროლებელი ორგანიზაცია ვერ გაგცემთ.

თბილისის სანიტარული ინსპექციისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **ჯუღული ახვლედიანი:**

— სასოფლო-სამეურნეო და მათ შორის, მეცხოველეობის და მეფრინველეობის პროდუქტის, კონკრეტულად კი კვერცხის ხარისხზე ზედამხედველობა და კონტროლი მოქმედი კანონმდებლობით პირველ რიგში, ვეტერინარულ სამსახურს ევალება. ქვეყანაში ლეგალურად შემოსული კვერცხი მათი ნებართვით ნაწილდება. მათ გარდა კვერცხის ხარისხიანობაზე პასუხისმგებლობა ევალება ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორიას, რომელიც ვალდებულია შეამოწმოს პროდუქცია და გასცეს დასკვნა ვარგისიანობის შესახებ. სავაჭრო ქსელში კვერცხის შეტანის შემდეგ კი, მის ვარგისიანობაზე პასუხისმგებელია სავაჭრო ობიექტის მეპატრონე. მან არ უნდა მიიღოს შეუმოწმებელი პროდუქცია, რომელსაც არ ექნება ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი. სერტიფიკატის გაცემაზე კი პასუხისმგებელია საქსტანდარტი. იმდენ სუბიექტზე ნაწილდება პასუხისმგებლობა, ქვეყანაში ისეთი „კონტროლია“, რომ ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასკარიდოზით კი არა, უმცირესი ბაქტერიით დაავადებული კვერცხის ჭაჭანებაც კი არ უნდა იყოს. სამწუხაროდ, ასე არ არის, დღეს ძალიან ბევრი საკვები პროდუქტი იყიდება არაოფიციალურ სავაჭრო ქსელებში, გარევაჭრობების ტერიტორიაზე, სადაც პასუხისმგებლობას არავინ იღებს თავის თავზე. ასეთ ადგილებში ერთადერთი დაცვის მექანიზმი ის არის, რომ მოითხოვოთ პროდუქციის წარმოშობის და ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი. თუ მას ვერ წარმოადგენენ, პროდუქტი არ უნდა იყიდოთ.

— **მე რას მეტყვით, სენსაციად ქცეული კვერცხი ოფიციალურად რეგისტრირებულ სავაჭრო ობიექტში რომ შევიძინე?**

— მაგრამ მას არ ჰქონდა დამღა. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის მიხედვით, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, მოითხოვოს ხარისხის სერტიფიკატი, საეჭვო ვითარების შემთხვევაში კი, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოებს.

თბილისის ვეტერინარული გაერთიანების უფროსი **ირაკლი მოსიძე:**

— **საინტერესოა, როგორ მოწმდება პროდუქტის ვარგისიანობა...**

— დედაქალაქში არსებულ აგრარულ ბაზრებში გვაქვს ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორიები, სადაც სპეციალური ხელსაწყოთი მოწმდება პროდუქცია, მაგრამ არა მთლიანი პარტიები. ეს ფიზიკურად შეუძლებელია. თითო პარტიიდან მოწმდება განსაზღვრული რაოდენობის კვერცხი.

— **ეს საკმარისია?**

— საკმარისია, რამდენადაც კვერცხი მოწმდება მწარმოებელ ფაბრიკაში ან ფერმაში და ამას მოჰყვება ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი. აგრეთვე კვერცხს აუცილებლად უკეთდება დამღა.

— **მაგრამ კვერცხი იყიდება დამღის გარეშეც, საიდან შემოდის ეს პროდუქცია?**

— ყველა მხრიდან, ერგნეთიდან, თურქეთიდან და ა.შ. ვერც მე და ვერც სხვა სამსახურები ვერ შევძლებთ ამ პროცესის გაკონტროლებას, სანამ ბოლო არ მოეღება კონტრაბანდას და მომხმარებელი უარს არ იტყვის გაურკვეველი წარმოშობის პროდუქტის შეძენაზე. მინდა გითხრათ, რომ კონტროლის განხორციელებაში სერიოზულად გვიშლის ხელს მოქმედი კანონი მეწარმეთა შესახებ. როცა რეალურ ფაქტზე ვიჭერ დამნაშავეს, საშუალება არ მაქვს, მისი დანაშაული მყისვე დავამტკიცო. კონკრეტული დარღვევის შემთხვევაში, მეწარმეს იბარებენ სამსახურში, სადაც არკვევენ, სამართლიანია თუ არა ჩემი მაკონტროლებლის ეჭვი. არ ვიცი, რა ხდება. უმრავლეს შემთხვევაში, მოსამართლეს გამოაქვს დასკვნა, რომ ჩვენი ეჭვები უსაფუძვლოა. არადა, ჩვენს დასკვნებს ამ დროს წყალიც არ გაუვა. ასეთი ფაქტის დამადასტურებელი უამრავი დოკუმენტი გვაქვს.

მოკლედ, ქათმისა და კვერცხის დღემდე აუხსნელი ამბისა არ იყოს, ჩემი კვლევა-ძიების მიუხედავად, ჯერჯერობით იდუმალებით მოცული რჩება ასკარიდიანი კვერცხის სადაურობაც. იმედს ვიტოვებ, შესაბამისი ორგანოები უახლეს მომავალში მაინც შეძლებენ რაღაცის გარკვევას. ასე რომ, ერთადერთი ისღა დაგვრჩენია, ყველამ ვიხელმძღვანელოთ ცივილიზებული მეთოდებით და ვეცადოთ, დაზარალების შემთხვევაში, გამოვიყენოთ დამნაშავის გამოსავლენი ყველა საშუალება. მოითხოვეთ ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი. ნუ შეიძენთ უდამღო პროდუქტს, სავაჭრო ობიექტის ადმინისტრაციას გამოაწერინეთ ქვითარი თუ სხვა დოკუმენტი, რომ ჩემსავით კვერცხში ასკარიდას ან სხვა რამის (ურჩხულის) აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდეს პროდუქტის წარმომავლობის დადგენა და შესაბამისად, დამნაშავის დასჯაც. მოითხოვეთ საკუთარი უფლების დაცვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

***ეკა ლომიძე***










# მიხეილ სააკაშვილი: პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველად მოსკოვს ვეწვევი

**— ბ-ნო მიხეილ, თქვენ ამტკიცებთ, შევარდნაძე მზად იყო სისხლის დასაღვრელად; მე კი ინტერვიუში მითხრა, რომ თავისი ნებით გადადგა, რათა სისხლი არ დაღვრილიყო. მისი თქმით, შეეძლო აემოქმედებინა არმია, პოლიცია...**

— არ შეეძლო. მან ყველაფერი გააკეთა, არმიას ტექნიკის გამოყვანა უბრძანა, გამოსცა განკარგულება საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ, გასცა ოპოზიციის ლიდერთა დაპატიმრების სანქცია და ზეპირი განკარგულება ჩემი ფიზიკური განადგურების შესახებ.

**— საიდან იცით ყოველივე ეს?**

— ოფიცრებისგან. პირველსავე საღამოს, როცა პარლამენტში შევედით, სამხედრო კონტრდაზვერვა ჩვენს მხარეს გადმოვიდა და შევარდნაძეს კავშირგაბმულობის ყველა ხაზი გადაუჭრა, მობილურის გარდა. მობილურზე ლაპარაკი კი უკვე ისმინებოდა. ჩვენ ინფორმაცია გვქონდა ყველა იმ განკარგულებაზე, რომელსაც პრეზიდენტი იძლეოდა.

**— ახლა, ხელისუფლების სათავეში მოქცეულს, შესაძლებლობა მოგეცათ, დაწვრილებით გასცნობოდით, რა ხდება თქვენს ქვეყანაში, როგორია სიტუაცია?**

— ძალიან რთული. ვეჭვობდით, მძიმე მდგომარეობა გვქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქვეყანას პრაქტიკულად არავინ მართავდა. პრეზიდენტი რაღაც განკარგულებებს კი იძლეოდა, მაგრამ მას არავინ ასრულებდა. ქვეყანა დაჯიჯგნეს კლანებმა, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს აკონტროლებდნენ. არ იკრიბებოდა გადასახადები, ხალხს თვეობით, წლობით არ აძლევდნენ პენსიებს და ხელფასებს, ფაქტობრივად არ არსებობდა სახელმწიფო აპარატი, არმიასა და პოლიციაში სრული რღვევაა... უკვე დავიწყეთ წესრიგის დამყარება, შედეგიც გამოჩნდა. ამ თვეში პენსიებსა და ხელფასებს დავარიგებთ. ჯერ არმიას მივცემთ ხელფასს, კვირის განმავლობაში — მასწავლებლებს, მერე ყველა პენსიონერი მიიღებს პენსიას.

**— როგორ აპირებთ რუსეთთან ურთიერთობის განვითარებას?**

— ჩვენი უპირველესი მიზანია რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. ინტეგრირებას მოვახდენთ იმ ეკონომიკურ სტრუქტურებში, რომელშიც რუსეთს მთავარი როლი აკისრია. გვინდა მივაღწიოთ სავიზო რეჟიმის გაუქმებას, ენერგოურთიერთობების გაუმჯობესებას. ჩვენ ისიც გვესმის, რომ რუსეთს თავისი სამხრეთი საზღვრების გარანტიის მიღება უნდა. მეორე მხრივ, წლების მანძილზე ამერიკა გვედგა გვერდში, რუსეთი კი მხოლოდ პრობლემებს გვიქმნიდა; თუმცა ეს შეიძლება მარტო მისი ბრალი არ იყოს, ამას შევარდნაძეც უწევდა პროვოცირებას. ქართული ავტონომიების სამი ლიდერის მოსკოვში მოლაპარაკებებზე ჩასვლას ჩვენ არამეგობრულ ნაბიჯად აღვიქვამთ. ეს ლიდერები მოსკოვში სხედან და იქიდან გვემუქრებიან. ჩამოვიდნენ და აქ დაგველაპარაკონ, ან ჩვენ ჩავალთ მოსკოვში. გამიხარდა, რომ ასლან აბაშიძე იგორ ივანოვთან საუბრის შემდეგ უფრო დამყოლი გახდა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველად უთუოდ მოსკოვს ვეწვევი.

**— ასე დარწმუნებული ხართ გამარჯვებაში?**

— აშკარაა, რომ გავიმარჯვებთ. სერიოზული ოპონენტები არ მყავს. რუსეთის ცენტრალური ხელმძღვანელობისგანაც არ ველი საშიშროებას. იგორ გიორგაძეს, რომელიც სადღაც რუსეთშია, ერთადერთი, ტერაქტების მოწყობა შეუძლია, ამისი სპეციალისტია. საჭიროა რუსეთის სპეცსამსახურებმა აკონტროლონ ის. ბოლოს და ბოლოს, გიორგაძე რუსეთის, მათი ოფიცერია და არა ქართველი პოლიტიკოსი!



**— მაგრამ ის ხომ საქართველოს უშიშროების მინისტრი იყო?**

— ის გრაჩოვისა და შევარდნაძის გარიგების თანახმად დაინიშნა მინისტრად. შევარდნაძეს რუსეთმა ხელისუფლება სამი სანდო მინისტრის — თავდაცვის, უშიშროების და შინაგან საქმეთა მინისტრების სანაცვლოდ შეუნარჩუნა. გიორგაძეს, თუ უნდა და საქმეს სათანადო ორგანოებში გაარკვევს, ჩამოვიდეს და არჩევნების შემდეგ იცხოვროს საქართველოში.

**— ანუ რეგისტრაციაში არ გაატარებთ?**

— მე არ ვწყვეტ ასეთ საკითხებს. მაგრამ, დანამდვილებით ვიცით, როგორც კი ჩამოვა, მაშინვე მის გარშემო შეიარაღებული ჯგუფები დაიწყებენ წრიალს. მას თავისი პირადი არმია ჰყავს, ე.წ. სპეცრაზმი „ომეგა“ და „ალფა“. ჩვენი უშიშროების ორგანოები სრულ მზადყოფნაში არიან ყოველგვარი შეიარაღებული აჯანყების აღსაკვეთად.

**— დარწმუნებული ხართ, რომ სერიოზული ოპოზიციური და იდეური მოწინააღმდეგე არ გყავთ?**

— მას შემდეგ, რაც ყველა პარტიამ, ჩვენ გარდა, პოლიტიკური თვითმკვლელობა ჩაიდინა, რეალური ოპოზიციისთვის ბაზა არ არსებობს.

***მარინა პერევოზკინა***
***მოსკოვსკი კომსომოლეცი №267***
***(იბეჭდება შემოკლებით)***

# ედუარდ შევარდნაძე: მე სწორი გადაწყვეტილება მივიღე

***საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ეჭვი არ ეპარება თავისი გადაწყვეტილების სისწორეში. ინტერვიუში ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მისი გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო ოპოზიციისთვის.***

**— ბ-ნო ედუარდ, რამ გაიძულათ საქართველოს პრეზიდენტის პოსტის დატოვება?**

— თავიდანვე მინდა გითხრათ, რომ ეს გადატრიალება კი არა, მხოლოდ მცდელობა იყო, რადგან მე თავად გადავდექი... იმ დღეს, პარლამენტის სხდომაზე, ის იყო, გამოსვლას ვამთავრებდი, რომ დარბაზში ხალხი შემოიჭრა პრეზიდენტობის ახლანდელი კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით. ხელში ყვავილი ეკავა; ამიტომ, საქართველოში ხელისუფლების ამ ცვლას მე ყვავილოვანს ვუწოდებ. ჯერ კიდევ ორი თვის წინ ვაპირებდი გადადგომას, მაგრამ შემცვლელი არ მყავდა, მოვალე ვიყავი, ახალი პარლამენტის არჩევნები ჩამეტარებინა, რათა ქვეყანას ხელმძღვანელი ჰყოლოდა. როცა ჩემს რეზიდენციაში მოლაპარაკების დროს სააკაშვილთან და ჟვანიასთან პირისპირ დავრჩი — მათდამი სიძულვილი არ მიგრძნია. ლაპარაკი იყო ჩემს გადადგომაზე. ვხედავდი, როგორ ღელავდნენ ისინი და წყნარად ვუთხარი — გადავდგები, თუ ხალხი დაიშლება-მეთქი. არ ელოდნენ ამას. მე აქ დავიბადე, მთელი სიცოცხლე აქ ვიმუშავე და ვიფიქრე, — თუ მომკლავენ, ჩემს სამშობლოში მომკლან-მეთქი...

**— როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?**

— იმედი მაქვს, ქართველ ხალხს ეყოფა სიბრძნე, რომ ქვეყნის რღვევა არ დაუშვას. არ ვნანობ, თავის დროზე ფსონს ახალგაზრდებზე რომ ჩამოვედი. ოპოზიციის მარცხი არ გამიხარდება. ღმერთმა ქნას, უკეთესად იმუშაონ. შეიძლება ახალმა მთავრობამ პირველი ორი-სამი თვე ყველა ცოდვა მე გადმომაბრალოს, მაგრამ მერე ყველაფერზე სააკაშვილს, ბურჯანაძესა და ჟვანიას მოუწევთ პასუხის გაცემა.

**— თქვენი მთავარი შეცდომები და დამსახურებები რა არის?**

— ჩემი მთავარი შეცდომა ის არის, რომ ვერ მოვაგვარე ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და სამხრეთ ოსეთის პრობლემა. ალბათ საამისოდ ყველა რესურსი არ გამოვიყენე. გარდა ამისა, ვნანობ, რომ 90-იან წლებში საქართველოში პრივატიზაციის საქმეში ვიჩქარე და არ შევასრულე 1995 წელს მიცემული წინასაარჩევნო დაპირება მილიონი სამუშაო ადგილის შექმნის შესახებ, მხოლოდ 500 ათასი ადგილი მოვახერხე. მთავარი ჩემი დამსახურება კი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებაა.

***იტარტასი***

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 27

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
ბიზნეს-სესხები
16%-დან
წლიური
ტელ.: 20-16-16



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

**ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲜᲘᲙᲐ ᲝᲡᲐᲫᲔ** დედამ ბებოსთან გაგზავნა. საღამოს შინ დაბრუნებულ ნიკას დედა ეკითხება: — ნიკა, დღეს ბებოსთან არ დაიძინე?

— არა, — უპასუხა პატარამ, — იქ ორის ნახევარი არ იყო.

**3 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ** ცას შეჰყურებს, ქარი ღრუბლებს მიერეკება. თორნიკე დედას მიმართავს:

— უყურე, დედიკო, ღრუბლები „მატარებლობანას“ თამაშობენ.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მამა მეზობელს ესაუბრებოდა:

— იურისტთან ვიყავი, სულ მუხლებით მელაპარაკა და დამიმტკიცა, ამ საქმიდან არაფერი გამოვა, დამარცხებული ხარო...

გიორგი აღშფოთდა:

— მერე, წიხლი მუხლზე მაგარია, ვერ დაარტყი წიხლები?!

## I – ანა, გამოიცანი

**1) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ძუძუმწოვარი?**
ა) ვეშაპი; ბ) სპილო; გ) ბეჰემოთი; დ) ნიანგი.

**2) შესვენება თეატრალური წარმოდგენის დროს არის:**
ა) ანტრაქტი; ბ) კონტრაქტი; გ) ანშლაგი; დ) ანონსი.

**3) გამორიცხე ზედმეტი სიტყვა:**
ა) აურზაური; ბ) აჟიოტაჟი; გ) იდილია; დ) ანარქია.

**4) რომელი არ არის ზოდიაქოს ნიშანი?**
ა) მერწყული; ბ) მარჩბივი; გ) ღრიანკალი; დ) ორიონი.

**5) ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს საქართველოს კუთხეების ძველ სახელწოდებას?**
ა) ტაო-კლარჯეთი; ბ) ჰერეთი; გ) ოდიში; დ) ურარტუ.

**6) როგორ ადამიანზე ამბობენ წუწურაქიაო?**
ა) გონიერზე; ბ) ძუნწზე; გ) კეთილზე; დ) თავქარიანზე.

**7) რომელი ქრისტიანული დღესასწაული აღინიშნება 17 დეკემბერს?**
ა) ფერისცვალება; ბ) ბარბარობა; გ) სულთმოფენობა; დ) ხარება.

**8) ანდაზის მიხედვით რა არ ესინჯება ნაჩუქარ ცხენს?**
ა) კბილი; ბ) ჩლიქი; გ) ძუა; დ) ყური.

**9) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ნაწარმოები არ ეკუთვნის დავით კლდიაშვილს?**
ა) „სამანიშვილის დედინაცვალი“; ბ) „ქამუშაძის გაჭირვება“; გ) „ჯაყოს ხიზნები“; დ) „ბაკულას ღორები“.

## II – იპოვე ორი ერთნაირი თოჯინა



დააწყვილე საგნები შინაარსის მიხედვით



## მებაჟე და ფარისეველი

ბიბლიური მოთხრობა

ერთხელ იესო რამდენიმე ფარისეველს შეხვდა. მათ თქვეს, რომ ისინი ღვთის ყველა მცნებას იცავდნენ და ამიტომ ეგონათ სხვების აბუჩად აგდება შეეძლოთ. იესომ მათ ერთი ამბავი მოუთხრო: „ორი კაცი ტაძარში შევიდა სალოცავად. ერთი ფარისეველი იყო, მეორე კი — მებაჟე. ფარისეველი წინ წარდგა და ილოცა: „ღმერთო, გმადლობ, რომ მე სხვებზე უკეთესი ვარ. არავის ვძარცვავ, არავის ვატყუებ, ჩემი ცოლის ერთგული ვარ და არც ამ მებაჟეს ვგავარ. კვირაში ორჯერ ვმარხულობ და ჩემი შემოსავლის მეათედს ტაძარს ვწირავ“.

მებაჟე კი უკან იდგა. მას თავი ჩაეღუნა. მკერდში იცემდა მჯიღს და ლოცულობდა: „უფალო, ცოდვილი ვარ! შემიწყალე“. იესომ უთხრა ფარისევლებს: „თქვენ გეუბნებით, ეს მებაჟე ღვთისაგან შენდობილი დაბრუნდა სახლში, ფარისეველი კი არა“. ამით უფალმა გვამცნო, რომ ცოდვები მიეტევება მას, ვინც გულით ლოცულობს და ინანიებს და არა მათ, ვინც მხოლოდ ღვთისადმი სიყვარულის წარმოჩინებას ცდილობს და თავისი, თუნდაც სწორი ცხოვრებით ამაყობს.

## სოლომონ ბრძენის

(ბიბლიური იუდეველთა მეფე, დავით მეფსალმუნის ვაჟი)

## გამონათქვამები

***

სიძულვილი შურის აღმძვრელია, სიყვარული კი ყველა ცოდვას ფარავს.

***

თავისი ახლობლის მოძულე ცოდვილია, ღარიბ-ღატაკთა მწყალობელი კი ნეტარი.

***

სწორი გზით მავალს უფლის შიში აქვს, გზაგამრუდებულს კი ეჯავრება იგი.

***შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „იგი მუდამ წყალში ცხოვრობს, იქ ჩნდება და იქ მრავლდება, მშრალზე უწყლოდ დარჩენილი, რამდენიმე წუთში კვდება“.***




## IV – გამოცანა

ჩურჩხელა ვნახე კახური,
თეთრი უჩანდა სახეო,
ავიღე, ხელში დამიდნა,
ნამცეცის ვეღარ ვნახეო.

## (გამოსაჯავრებელი)

კვირია, ბიჭო, კვირია,
რად დაგიღია პირია?
თბილი მჭადი ვერ იშოვე,
ცივმა მოგტეხა კბილია.
სამმა ქოთანმა მაწონმა,
ვერ გაგისველა პირია.

## რა სჯობია

(ხალხური)

ენითა მუნჯი სჯობია
ცრუმეტყველ მოუბარსაო;
ათასი მტერი სჯობია
ერთ სულელ მეგობარსაო.

## ცალფეხა კატა

(ხალხური)

ცალფეხა კატა ტიროდა:
— თათი მტკივა და ბარკალი,
ბავშვებმა ყველი შეჭამეს,
ბებომ მე მცემა, საწყალი.


ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘ

+4 ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ 40-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ



ᲔᲠᲗᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ-ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ + ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲘ
1 ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ 20 ᲗᲔᲗᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ
ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲯᲘᲮᲣᲠᲔᲑᲨᲘ,
ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ


CMYK

# ძველი პალტოს კურიოზი...

## თუ თქვენ ჩააკერეთ ასდოლარიანები პალტოში, მაშინ დაასახელეთ ციფრები...



...34 წლის ელენეს შინ პენსიონერი დედ-მამა, ორი მცირეწლოვანი ბავშვი და უმუშევარი ინჟინერი ქმარი ჰყავს. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ქუჩაში გამოვიდა და თავს წვრილმანი ვაჭრობით ირჩენდა...

— თანაკურსელები ვიყავით მე და ჩემი ქმარი, მაგრამ ხომ იცით, ამ ჩვენმა მთავრობამ ყველა ქარხანა და ფაბრიკა ჯართად აქცია, გაყიდა და ინჟინრები რად უნდოდა, მოგვიშორეს თავიდან!.. ძალიან გაგვიჭირდა. ორი ბავშვი და ორიც პენსიონერი მოხუცი დიდი პასუხისმგებლობაა. საჭმელი ხომ მაინც უნდა აჭამო და წამალი ხომ უნდა მიაწოდო ავადმყოფს?!.

როგორც ყველა უმუშევარი, აღრიცხვაზე აგვიყვანეს, გაჭირვებულ ოჯახთა სიაში ჩაგვწერეს და დიდი ვერაფრით, მაგრამ ზოგჯერ მცირედით (რაც თავად გადარჩებოდათ) გვეხმარებოდნენ, მუნიციპალიტეტებში გვიბარებდნენ და გვირიგებდნენ ხან პროდუქტს და ხანაც შემოწირულ ძველმანებს...

ამ სამი წლის წინაც დამიძახეს და იატაკზე დაყრილ ძველმანებზე მიმითითეს: — რასაც შეარჩევ, წაიღეო!..

არაა ახლა ის დრო — გამონაცვალი დაიწუნო და არ იკადრო. ლუკმაპური თუ მივიტანე სახლში, ჩასაცმელ-დასახურავზე აღარავინ მეუბნება რამეს...

ძირითადად საზამთრო ტანსაცმელი იყო — პალტოები, ქურთუკები...

უფრო ბავშვებისთვის შევარჩიე, მამაჩემისთვისაც და წამოვიღე... გავრეცხე დიდი ამბით და გადმოვაფრიალე „შენაძენი“ მეექვსე სართულის აივანზე, სადაც მგონი ორი კვირა მაინც ეკიდა, რომ სიძველის სუნი გასვლოდა.

რატომ ვამახვილებ ამაზე ყურადღებას, ახლავე მოგახსენებთ:

სექტემბერი იყო, ის ძველმანები რომ მოვიტანე შინ და ზამთრამდე არც დაგვჭირვებია. მერე გადმოვიღე და ჩავაცვი ბავშვებს, მამაჩემმაც ჩაიცვა მოკლე, ვიღაცის გამონაცვალი პალტო. ცოტა გაცვეთილი კი იყო, მაგრამ სულ არარაობას სჯობდა.

მთელი თვე იარა იმ პალტოთი და ერთ საღამოს მეუბნება: „სარჩულს ექაჩება რაღაცა უშნოდ ქვემოთ და რომ ვჯდები, ასე მგონია, რაღაც უხეში მედება ფეხებში, ალბათ დიდზეა შეკეცილი ნაჭერი. რომ გეცლება და გუნებაზეც იქნები, შემოვარღვიოთ, ზედმეტი რაცაა, შემოვაჭრათ და მოვისვენებო!..“

ისეთი უპრეტენზიო და მშვიდი მამა მყავს, ასეთ რამეზე როგორ ვეტყოდი უარს და მეორე დღესვე გადმოვიღე დედაჩემის ნამზითევი საკერავი მანქანა და მაკრატელი... დავიწყე სარჩულის არღვევა და მაშინვე მომხვდა ხელში ცელოფანის პარკში გახვეული და მერე „სკოტჩით“ გადაკრული შეკვრა... მივყევი და სულ ათი ასეთი შეკვრა ამოვიღე. გავხსენით და ლამის ყბა ჩამოგვივარდა გაოგნებულებს: ათასი დოლარი იყო — ათი ასდოლარიანი და რადგან სულ ათი შეკვრა იყო, საბოლოოდ ათი ათასი ამერიკული დოლარი დაიყარა მაგიდაზე...

მამაჩემს გული გაუსკდა ცუდად. „დავამშვიდე“ — ნამდვილი არ იქნება-მეთქი...

ბავშვებს და დედაჩემს ეძინათ და არ დავუძახეთ. ჩემი ქმარი სოფელში იყო ნათესავის დაკრძალვაზე... მთელი ღამე თეთრად გავათენეთ. არა, მართლა არ გვჯეროდა, რომ ფული ნამდვილი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ...

ჩამოვიდა ჩემი ქმარი, როგორც იქნა და ვუთხარით, რაც „გვჭირდა“... ზურიკო კარგად ცნობს დოლარს, მაგრამ მეღელვარებისაგან მასაც ეჭვი შეეპარა, წაიღო ერთი ცალი ასდოლარიანი შესამოწმებლად და რომ მობრუნდა, მღელვარებისაგან სიცხემ აუწია. „ნამდვილიაო!..“

ცალკე მე გავხდი ცუდად: ხომ შეიძლებოდა ეს ამდენი ფული პალტოში ჩაკერებული, რეცხვისას დამეზიანებინა (გაახარებს მის შემფუთავს ღმერთი, მჭიდროდ იყო ცელოფანში გახვეული!), ან იმდენ ხანს რომ მეექვსე სართულის აივანზე უყურადღებოდ ფრიალებდა: ან ჩავარდნილიყო, ან მოეპარა ვინმეს?!.

მაგრამ ბედი თუ გაქვს კაცს, მართალი ყოფილა — „თუ გინდა სანეხვეზე გადამაგდეო“ — არ გაიწირები...

დავიბენით. ჩემმა პატიოსანმა მამამ — განვაცხადოთ პოლიციაში, არ დაგვიჭირონ. როცა იქნება, პატრონი ხომ მოიკითხავსო?..

გადაირია ჩემი ქმარი: — პოლიციაში მიტანას, ჯობია აივნიდან გავატანოთ ქარს, მიითვისებენ და თუ გავამხელთ, დაჭერით დაგვემუქრებიანო!..

კარგა ხანს მაინც ვერ გავბედეთ დახარჯვა, არადა, პურის ფული გვიჭირდა მართლა, ძლივს გადავიტანეთ ის ზამთარი. ბოლოს მიღალატა ნებისყოფამ და გადავირიე: — ამდენი ფული სახლში გვიყრია და ჩვენ მშივრები ვწყდებით, ამას გიჟის მეტი ვინ იზამს-მეთქი! დავსხედით და მოვითათბირეთ, გადავწყვიტეთ, რომ ამოდენა ფულის მარტო საკვებში დახარჯვა არ ივარგებდა...

...დაწვრილებით ვერ მოგიყვებით და ან თქვენ რაში გაინტერესებთ, როგორ ვმოქმედებდით — შედეგს გეტყვით: ჩემმა ქმარმა სამარშრუტო ტაქსის წილი და ხაზი იყიდა, მე მუდმივი სავაჭრო ადგილი მიყიდა ბაზარში, საქონლის საბრუნებელი კაპიტალიც გამომიყო. პატარა მიწის ნაკვეთი და ვენახი ჩემი მშობლებისთვის ვიყიდეთ ქალაქგარეთ და... საქმე რომ გაიჩინეს — გაახალგაზრდავდნენ თითქოს, ავადმყოფობაც დაივიწყეს...

— მეზობლებს და ახლობლებს არ გაუკვირდათ თქვენი უეცარი გამდიდრება?!.

— იმხანად ჩემი მული წავიდა საზღვარგარეთ სამუშაოდ და ვამბობდით, რომ ის გვიგზავნიდა ფულს, არადა... ღმერთმა გამოგვიგზავნა აშკარად... ისიც არ ვიცი, ის პალტო უცხოელის კუთვნილება იყო თუ რომელიმე გამდიდრებული ქართველის — ყოველ შემთხვევაში, დღემდე არსად გამიგონია, რომ ვინმეს პალტოში გამოკერებული დოლარები მოეძებნოს!

სამი წელი გავიდა თითქმის ამ ამბის შემდეგ და რწმენა დაგვიბრუნა ნაპოვნმა ფულმა. ალალი, პატიოსანი ხალხი ვართ და არ გაგვწირა ღმერთმა დასაღუპავად. ყოველ კვირას ეკლესიაში დავდივართ მთელი ოჯახი და უფალს სანთლებს ვუნთებთ. სანთელს იმის სახელზეც ვანთებთ, ვისი ფულიც „მივითვისეთ“ — ეჭვიც არ მეპარება, ის კიდევ მეტს იშოვიდა — მართლა სიკვდილისგან გვიხსნა თავისი ფულით და იმიტომ...

ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ — იქნებ რომელიმე მილიონერმა განგებ ჩააკერა ძველ პალტოში ის ფული და უფალს შეევედრა: — ყველაზე გაჭირვებულს მიეციო!.. ხომ შეიძლება ასეთი უცნაურობაც ხდებოდეს?!.

ჩემმა ქმარმა: — რომ უკეთ შეგვერგოს ნაპოვნი, არც სხვა გაჭირვებულები უნდა დავივიწყოთო! და ერთ-ერთი მოხუცთა სახლისათვის სადილი ჩაგვაქვს, თანაც ყველაფერი საუკეთესო. სხვა არ ვიცი, რა შეიძლება გავაკეთო, თორემ არაფერზე დავიხევთ უკან...

...ელენე შემეხვეწა, თუ ჩემს ამბავს გაზეთში დაწერ, ისე გააკეთე, ვერავინ მიპოვოს, სულაც არაა გამორიცხული, იმ პალტოს „ცრუპატრონები“ გამოუჩნდნენ. თვითმარქვიობის სურვილი რომ თავიდანვე დაეკარგოს ყველას, „პაროლი“ უნდა დაასახელოსო...

— რა პაროლი?!

— ფულის შეკვრებს ქაღალდის ვიწრო კანტი ჰქონდა შემოხვეული და ზედ ხელით ციფრები ეწერა, სავარაუდოდ, ფულის პალტოში ჩაკერების თარიღი... დაასახელოს ეს ციფრები და...

— დააბრუნებთ?!

— გამოსავალს როგორმე ვიპოვით, ყოველ შემთხვევაში, ისეთს არაფერს მოვიმოქმედებთ, რომ ღმერთი განვარისხოთ!...

...აი, ასეთი ამბავი გავიგე და თქვენამდე მოტანაც ვიჩქარე, ჩემო მკითხველო... ხომ გაგიჩნდათ შვებისა და იმედისმაგვარი გრძნობა!. ჰო, მეც ასეთი განწყობილება გამომყვა ელენესაგან.

# გზადაგზა

## – გამარჯობისთვის გაგაჩერე, ძმაო, უბრად ხომ არ გაგცდებოდი...

*„კაცო, გიყვარდეს!“*

*ილია*

ურთიერთობის ფუფუნება შემოძარცულებს იქნებ დაგვავიწყდა კიდეც ალერსიანი მოფერება. ან რა გასაკვირია ამოდენა ვაიუშველებელში, ცემა-ტყეპასა და თავპირისმტვრევაში ის ძარღვი ჩაგვწყვეტოდა, ტკბილი სიტყვის მადლი რომ შემოაქვს ჩვენს სულებში. ჰოდა, ამ ფონზე არ გაგაოცებთ, ვინმემ, სრულიად უცნობმა რომ გაგაჩეროთ, გულიანად მოგეფეროთ და დაგლოცოთ კიდეც? თანაც განა ხნიერმა, რომელსაც ჯერ ისევ ძვალ-ხორცში აქვს გამჯდარი ტკბილი სიტყვის მადლი, არა, — სრულიად ჭაბუკმა, ვისგანაც თითქოს არ მოელი დიდი სიყვარულის ასე გულღიად გამჟღავნებას.

ასეთმა შემთხვევამ თხუთმეტი ადამიანი გაგვაოცა კი არა, ცოტა დაგვაბნია კიდეც.

...და ვწერ ამ ამბავს ქვეყნის გასაგონად, რამეთუ წამიერად მოგვრილი სიხარულიც სუფთა ჰაერივით აჯანსაღებს ადამიანს, დარდს გადაჰყრის, ტკივილს დაუამებს და მასთანვე რჩება ტკბილ მოგონებად.

ჰოდა... მოვემგზავრებოდით ამას წინათ თხუთმეტიოდე კაცი სამარშრუტო ტაქსით მთა-მთა, აქეთ — ბარისკენ. თვალს მოგვტაცებდათ ჭრელი, ათასფრად უდაბური ტყე. ქარი ხმელ ფოთლებს წაღმა-უკუღმა ატრიალებდა და მოენესავით გვადევნებდა კვალდაკვალ. მაგრამ ამ ეგზოტიკურ მშვენიერებას ყურადღებას არავინ აქცევდა: ზოგი პენსიას ჩიოდა, ზოგი დაკარგულ ანაბარს, სამი-ოთხი ადამიანი ქვეყნის პოლიტიკურ ამბებს ჯერ ჩურჩულით „არჩევდა“, მერე ისე აყაყანდნენ, მიტინგზე გეგონებოდათ თავი.

ფუძნარის ეკლესიასთან გავივაკეთ. მოსახვევში, განაპირებით თეთრი „ვოლგა“ იდგა, მის წინ, შავგვრემანი, წოწოლა ბიჭი ასვეტილიყო და თვალდაშტერებით გასცქეროდა დაბალ-მაღალ გორებზე ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაკიდებულ გზას. დაგვინახა თუ არა, სახეგაბადრული წინ გადაგვიდგა და მძღოლს ანიშნა, გააჩერეო. იმანაც, ალბათ უჭირთ რამეო და მაშინვე დაამუხრუჭა მანქანა. უცნობმა ღია ფანჯრიდან თავი შემოყო და... — გამარჯობათ, ძმებო და დებო — თიანეთიდან მოდიხართო — გვკითხა რაღაცნაირი მონატრებით.

— ჰო, გიჭირს რამე? — შეეკითხა შოფერი.

— რა უნდა მიჭირდეს? ყველანი თიანელები ხართ? — გაიმეორა დაჟინებით, თითქოს არ სჯეროდა ჩვენი არსებობა.

— ჰა, თქვი, რა გინდა! — შეუღრინა შოფერმა.

— თქვენი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სიკეთე მინდა, თქვენ გენაცვალეთ, ამხელა გზა გამოვიარეთ და კაციშვილი არც ფეხით მომავალი შეგვხვედრია, არც მანქანით. ამან გული დაგვიმძიმა. სხლოვანში გავიზარდე, ჩემი დედულეთია ეგ სოფელი. ვაჟას დედაც იქაური იყო. რო ჩავდივარ, დავიჩოქებ და მიწასა ვკოცნი ხოლმე, ისეთი ლამაზია იქაურობა. ეხლა მინდა მოგეფეროთ. გამარჯობისთვის გაგაჩერე, ძმაო, მოკითხვისთვის, უბრად ხომ არ გაგცდებოდი, ეგრე სად არი?! ყველაზე მიუვალი კუთხიდან მოვდივარ — ფშავიდან. ნეტა იცოდეთ, როგორ მიყვარხართ. თქვენ გაგიმარჯოთ, ძმაო, თქვენს დამბალ ხაჭოს გაუმარჯოს, თქვენს წინწანაქარს და კაცობას! — ჰაეროვანი კოცნა გამოგვიგზავნა და გაბრუნდა. ის ბიჭი არც მთვრალი იყო, არც გიჟი. „ვოლგიდან“ მისი კბილა მძღოლი გვიღიმოდა. მანქანაში ორი ახალგაზრდა ქალი ჩვილ ბავშვებს ეფერებოდა და მათი პაწია თათებით გვემშვიდობებოდა.

მგზავრები გაიბადრნენ. დარდი და წუხილი გადაეყარათ.

— ღმერთო, გაამრავლე და სიკეთით დააბერე — პირჯვარი გადაიწერა კუთხეში მდუმარედ შეყუჟულმა შავოსანმა ქალმა.

ცოტა ხანს ფიქრმა წაიღო ყველა. მერე ვიღაცა ნეტარებით ამოხმიანდა: მადლობა უფალს, პირველყოფილი სიწმინდე კიდევ რომ გამოკრთება სადმეო.

— მთას თავისი მადლი მაინც აქვს შერჩენილი — გამოელაპარაკა ჭაღარა მამაკაცი: „აქ ყანწში ვერცხლის ჩათლა ისევ სარწმუნოა, როგორც ზიარება. ეგრეა: როცა ახლოს ხარ ცასთან, ღმერთთანაც ახლოს ხარ და სულიც უფრო სუფთაა. ჯერ მე ვინა ვარ, ერთი გამხმარი ბერიკაცი და, როცა ღრუბლებს — „ზე“ ავდივარ, პირჩაშავებული ხეობებიდან ჯანღი აიკრიფება და პირდაბანილი მთა გამოიღიმებს, მინდა მთელი სამყარო გულში ჩავიკრა კაცო, ან სულაც წვიმად დავიღვარო და არჯაკელის გამხმარი ფესვები გავანედლო“.

მალე დიდმა და პატარამ ენა დაიშაქრა, ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს, შინიდან წამოღებულ ხილს სთავაზობდნენ. იხსენებდნენ უცაბედად მოგვრილ სიამოვნების წუთებს.

სიყვარულით ავსებულნი და განწმენდილნი მალე კიდეც შემოვედით ჩვენს ბობოქარ დედაქალაქში.

იმ ახალგაზრდა კაცის წრფელი მოფერების ხიბლი კი თითოეულ ჩვენგანს დიდხანს გაჰყვება ცხოვრების საგზლად.

**ეთერ თარიმანი**

# მუხის ნაჩუქარი სიცოცხლე



— გული მიკვდება, შვილებო, როცა ასე უმოწყალოდ ვექცევით ადამიანები ბუნებას, დაუდევრად ვჩეხთ ტყეებს და აზრად არ მოგვდის, რომ ხეებიც ცოცხალი არსებები არიან, მათაც სტკივათ, უხარიათ და, რაც მთავარია, საოცარი ერთგულება იციან. არ არსებობს უბრალო ბალახის ღერიც კი, რომელსაც სარგებლობის მოტანა არ შეეძლოს ადამიანისთვის — ყოველი ხე, ბუჩქი, ყვავილი ატარებს „სისხლში“ მაცოცხლებელ ენერგიას და წამლად ექცევიან ხოლმე ადამიანთა სატკივარს, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი 69 წლის ავთანდილ ბუჩუკურმა და ისიც აღიარა, რომ ბუნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ერთი უჩვეულო ამბავი გადახდა დაახლოებით ოცდაათი წლის წინ.

— არ ვიცი, რამდენად შეძლებთ სასწაულის აღიარებას იმის მიხედვით, რასაც გიამბობთ, მაგრამ ღრმად მწამს, შემთხვევით არაფერი მომხდარა და მუხამ... დიახ, სწორედ ბებერმა მუხამ სრულიად შეგნებულად დამიფარა ავისაგან და სიცოცხლეც მაჩუქა...

ჩემი მშობლები რომ მოხუცდნენ, აღარ ისურვეს ქალაქში დარჩენა და სოფელში, პაპისეულ კერაზე გადაწყვიტეს დაბრუნება. არ დამიშლია, სახლის გამართვაშიც დავეხმარე და როგორც კი დროს გამოვნახავდი, მაშინვე პროდუქტებით დატვირთული გავრბოდი მათ მოსანახულებლად.

1974 წელი დგებოდა და მინდოდა აუცილებელი რაც იყო, მათ შორის პურის ფქვილიც და შაქარიც, დროზე ამეტანა მათთვის.

თოვლი იყო, მაგრამ გზას თუ ჩაკეტავდა, არ მეგონა და ამიტომ ჩემი „მოსკვიჩით“ თამამად დავადექი სოფლის გზას... იმოდენა თოვლი დაედო ღამით, მალევე მივხვდი, რომ ვერ ავიდოდი, მაგრამ მშობლების მონახულების იმდენად დიდი სურვილი მქონდა, პირჯვარი გადავიწერე და თავს მანქანასთან ერთად დავატანე ძალა... ცოტა კიდევ ვიარე, მაგრამ... ველარ გაუძლო ძრავამ, რაღაც დაზიანდა და დადგა ჩემი „რაში“. ბევრი ვუტრიალე, მაგრამ ვერაფერი გავუგე. იმის იმედითაც ტყუილად გავცქეროდი გზას, იქნებ ვინმე წამომეწიოს და მომეშველოს-მეთქი. ბნელდებოდა, სხვა გზა არ იყო, სოფლამდე დარჩენილი ათიოდე კილომეტრი ფეხით უნდა გამევლო... მანქანა ჩავკეტე, ფარანი ავიღე და გზას გავუდექი. მალე დაღამდა და გაუკვალავ თოვლში ადვილად ავცდი გზას... ერთი სიტყვით, დავიკარგე ტყეში... ხან იქით მივაწყდი, ხან აქეთ. ვიყვირე კიდევაც, მაგრამ საშველი არა და არ ჩანდა...

არაქათგამოცლილს თითოეული ნაბიჯის გადადგმა მიჭირდა. რომ არ ჩამოვმჯდარიყავი დასასვენებლად, გული გამისკდებოდა. მივიხედ-მოვიხედე და გეზი უზარმაზარი მუხისკენ ავიღე, რომელსაც ფოთლები თუმცა დასჭკნობოდა, არ გასცვენოდა და შემოსილი ისევ ამაყად იდგა. ძირშიც შავად ლაპლაპებდა მიწა, თითქოს მის ფესვებში მჩქეფარე სიცოცხლე გამოყოფდა სითბოს და თოვლიც ვერ იკიდებდა ფეხს...

...ჩემი აზრით, სულ ათიოდე წუთით დავჯექი დასასვენებლად და ზურგით მუხის ღონიერ ტანს მივეყრდენი!..

როგორც ჩანს, მყისიერად გავითიშე. ბევრი არაფერი მახსოვს და არც ხილვაში იყო თითქოს უჩვეულო რამე, მაგრამ თხუთმეტი წლის წინ გარდაცვლილი ბებიაჩემი მომელანდა, რომელიც ეზოში საქსოვით ხელში იჯდა და გამალებით ამოძრავებდა ჩხირებს — შენთვის ვქსოვ, ცოტაც მოითმინე, თითქმის მოვრჩი, ახლავე დაგაფარებ ამ შალს და გათბებიო. წამოდგა, ააფრიალა ჭრელ-ჭრელი ძაფით ნაქსოვი შალი, გადამაფარა და... გაქრა. ჩემს გათოშილ სხეულს სითბოს შეგრძნებაც დაუბრუნდა და სახსრებიც დამიამდა...

თვალი რომ გავახილე და გამოვფხიზლდი, უცებ ვერც შევიგრძენი სინათლე, ერთიანად დამარხული ვიყავი თითქოს. თავიდან თოვლი მეგონა, მაგრამ სიმძიმეს ვერ ვგრძნობდი, ვერც სისველეს... შევინძერი, ხელები ავამოძრავე და... აქეთ-იქით გადავყარე ხმელი ფოთლების სქელი ფენა. გაოცებულმა დავინახე, რომ შეფოთლილის ნაცვლად, ერთბაშად გაშიშვლებული მუხა იდგა ჩემ წინ. რაღაც ძალას ერთბაშად ჩამოუყრია ღამით ფოთლები და... შიგ გამახვია, რამაც გაყინვას და, ცხადია, უცილობელ სიკვდილს გადამარჩინა.

ვეხვეოდი მუხის ტანს, ვკოცნიდი, ცოცხალივით ველაპარაკებოდი, ძმას და მამას ვეძახდი და ვტიროდი!..

სხვათა შორის, მისი მადლიანი ტოტებისთვის უამრავ სულიერს შეეფარებინა თავი სითბოს ძებნაში: მწერებს, მატლებს... ფოთლებში გახვეული ზღარბიც კი ვნახე!..

მაშინ დავიფიცე, რომ გამხმარი (ანუ მკვდარი) ხის გარდა, არასოდეს მოვჭრიდი ხეს და არ მიღალატია ფიცისთვის...

ხეები ცოცხლები არიან და ძალიან მინდა, რაც გიამბეთ, გულთან ახლოს მიიტანოთ, დამიჯეროთ... თუმცა, ბევრმა თავის დროზე არ დამიჯერა ეს ამბავი და — რას ზღაპრობო, — ხელი ამიქნია...

მე კი მჯერა, სხვაგვარი მოფრთხილება უნდა ბუნებას!...

**ინგა ჯაყელი**

# თენგიზ არჩვაძე: — მზე უნდა გედგას სულში და მზესავით ანათებდე შიგნიდან...

**საქართველოში ყველას განსაკუთრებულად უყვარს დიდი არტისტი და ხელოვანი თენგიზ არჩვაძე, ბატონი თენგიზი სამყაროსთან დამოკიდებულებით, სილამაზის აღქმით ნამდვილი პოეტია. პოეზია ხომ ყველაფერშია, თუკი დანახვა შეგიძლია. ის ბედნიერი ადამიანია, რადგან იცის, რა არის სიცოცხლის მთავარი ხიბლი, მთელი საქართველო აქვს შემოვლილი და მისხალ-მისხალ შესწავლილი...**

**ბატონი თენგიზი იმდენად განიცდის დღეს ჩვენს ქვეყანაში შექმნილ რთულ მდგომარეობას, რომ სპეციალურად არაფერი ვკითხე ამაზე. ისედაც ნათელია, რას ფიქრობს, როგორ დარდობს და როგორ უყვარს საქართველო... რასაც ბატონი თენგიზი გვიამბობს, უპირველესად, სულზე მოქმედებს.**



**ამ ქაოსში, ცხოვრება რომ ჰქვია, ჩვენ მთავარი გვავიწყდება. რამხელა მადლია, რომ იღვიძებ და ყველა ცოცხალია, ყველა კარგად არის. ჩვენ დაგვავიწყდა, რომ პატივი უნდა ვცეთ, მუხლი მოვუდრიკოთ გათენებას, მშვიდობიან გათენებას.**

— ჩემს სიყმაწვილეში ბევრი კარგი ეთნოლოგიური წიგნი გამოდიოდა. მე ამ ლიტერატურის წყალობით ვეცნობოდი საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ვიზრდებოდი, როცა მოგზაურობა დავიწყე და საქართველოს მთა და ბარი შემოვიარე, თითქმის ყველაფერი ნაცნობი იყო... თუმცა ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობს და იმ ნანახს ვერაფერი შეედრება. თბილისის ახლომახლო სიარული სტუდენტობაშივე დავიწყე, 2-3 დღით გავდიოდი ხოლმე თბილისიდან. ვერეს ულამაზეს ხეობას ავუყვებოდი, ამ ხეობით ბეთანიამდე 14 კილომეტრია. ავდიოდი ზედაზნის მონასტერში, მერე იქიდან კოჯრამდე კილომეტრ-ნახევარიღა რჩებოდა. პირდაპირ კოჯორში, ტრანსპორტის გასაჩერებელ მოედანზე ამოვყოფდი თავს. ამას კვირაში ერთხელ მაინც ვაკეთებდი... უძოზე ჩემი სამალავები მქონდა. ხან სასმელი მიმქონდა, დავტოვებდი იქ, სამალავში. მეორედ ავდიოდი, დამხვდებოდა... მზის ამოსვლას იქ ველოდი. რამდენჯერ ამისწრია უძოზე მზისთვის და მერე იქიდან ღამით მარტო ჩამოვსულვარ თბილისში.

— **მარტო სიარული, თან ღამით, ცოტა საშიში არ იყო?**

— სურვილი მქონდა მარტოობისა. როცა რამდენიმე კაცი მიდიხართ ერთად, ერთმანეთს ხელს შეიძლება უშლიდეთ კიდეც. მე ჩემებურად ვიცი სიარული. სხვა შეიძლება ვერ მომყვეს, უნდა ველოდო, ან პირიქით, შეიძლება მე ვერ მივყვე სხვას, ამიტომ მარტო სიარული მერჩია. თუმცა ზოგჯერ კარგია, როცა მარტო არ ხარ... ერთხელ, მე, რეზო ინანიშვილი და თენგიზ მირზაშვილი ვიყავით მთაში. ღამით ცეცხლი დავანთეთ. გამჭვირვალე ჰაერი იყო, ცა — ვარსკვლავებით მოჭედილი, ჩვენ კი ვისხედით, ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, ვკითხულობდით ლექსებს. თენგიზ მირზაშვილი, საერთოდ, კარგი მოსიარულეა, ჩემზე მეტი აქვს საქართველოში შემოვლილი. შეიყვარა საქართველოს კუთხეები და მერე თავისი ხელოვნებით სხვასაც შეაყვარა. ერთხელ თუშეთში ვიყავით, ფილმს ვიღებდით. ნისლი ჩამოწვა და გადაღება შეჩერდა. უცებ ორი სილუეტი გამოეყო ნისლს — ზურა ლეჟავა და ჯანრი კაშია. დაღესტანში უნდოდათ გადასვლა და ნისლის გამო ჩვენთან შეჩერდნენ. ზურა ამბობდა: სულ თენგიზ მირზაშვილი მახსენდება, ირგვლივ რომ ვიყურებიო. ამაზე კარგი რა უნდა იყოს...

— **თქვენმა პროფესიამ ბევრი ლამაზი ადგილი მოგატარათ და ბევრ კარგ ადამიანსაც შეგახვედრათ. ჯერ მარტო რამდენი ქართველი მწერალი მუშაობდა კინოსტუდიაში...**

— ნოდარ დუმბაძე, რეზო ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, ანზორ სალუქვაძე... იცი, მაშინ რედაქციები თითზე ჩამოსათვლელი იყო. კინოსტუდიას საშუალება ჰქონდა მწერლებისთვის სამუშაო მიეცა. ამით არაჩვეულებრივად კარგი ატმოსფერო იქმნებოდა სტუდიაში...

— **და კიდევ იქ ხვდებოდით ერთმანეთს ცნობილი მსახიობები... რომელ მათგანს გაიხსენებთ?**

— არაჩვეულებრივი კაცი იყო სპარტაკ ბაღაშვილი. კეთილშობილი, მაგრამ მარტოსული... მარტოკაცი იყო. საოცარი ქართული იცოდა. მე თვითონ ქართული მიყვარდა და მიყვარს, მამა კარგი მოქართულე მყავდა, ამიტომ დიდად ვაფასებდი სპარტაკ ბაღაშვილის დარბაისლურ მეტყველებას. ამას წინათ, მე და გიგა ლორთქიფანიძე ვამბობდით: ასეთი სახე იშვიათია არა მარტო ქართულ კინოში, არამედ საერთოდ, მსოფლიო კინემატოგრაფშიც. ბრწყინვალე ფაქტურა ჰქონდა, ქართული მადლით იყო ცხებული. წრფელი ადამიანი იყო, ყოველთვის გულღია, დაფარული არაფერი ჰქონდა. ნათქვამიც არის — დაფარული ეშმაკისააო“. მე ასე მწამს: თავისუფალი, გულგახსნილი უნდა იყოს ქართველი კაცი. მზე უნდა გედგას სულში და მზესავით ანათებდე შიგნიდან. მე არ მიყვარს გულჩათხრობილი ხალხი. დარდიც, სიხარულიც თანაბრად უნდა გამოდიოდეს შენგან... ისე... დარდი, ალბათ ნაკლებად. ამბობენ, დარდი შენთვის უნდა დაიტოვო, რომ სხვა არ შეაწუხოო.

— **ბრძანეთ, მამა კარგი მოქართულე იყოო, ჰუმანიტარული განათლება ხომ არ ჰქონდა მიღებული?**

— არა, მაგრამ ქართულ ოჯახში აღზრდილმა რა გასაკვირია, რომ კარგი ქართული იცოდა. მამამისი სცენისმოყვარე იყო. სცენამ კი იცის ლექსის, ლიტერატურის სიყვარულის ჩანერგვა. ქართული მწერლობა იცოდა შესანიშნავად, ლიტერატურის გემოს გრძნობდა. ილია რომ მოკლეს, ქვეყანაში რეპრესიები იდგა. იმ წელს მოკლეს ბაბუაჩემიც.

— **თქვენ ისე გრძნობთ ლიტერატურას, რომ მიჩნდება შეგრძნება, თავადაც გექნებათ დაწერილი ბევრი რამ...**

— ჩემთვის მქონდა რაღაც... რომელი ქართველია ისე. თუმანიანს აქვს ნათქვამი — ყოველი ქართველი პოეტია, ქართველი პოეტი — ორჯერ პოეტიო... მეც დამიწერია, მამაჩემიც წერდა. ბეჭდავდა კიდეც, მსოფლიო ომის დროს კი ჭიათურაში გაზეთს რედაქტორობდა. მისი სიყვარული პოეზიისადმი ჩემზედაც გადმოვიდა, მაგრამ ისეთი არაფერი გამიკეთებია, გახმაურებად ღირდეს. რომ ვხატავდი, ეს უკვე ყველამ გაიგო, ნაწერები თუ დამალული მქონდა, ამას ველარ ვმალავდი, ფანქარი სულ თან დამქონდა. ქაღალდის ნაგლეჯს ვიშოვიდი და ვხატავდი. სუფრასთან თუ ვინმე მომეწონებოდა, საკარიკატუროდ, აუცილებლად დავხატავდი, ერთხელ, თბილისში არ ვიყავი, მსახიობებმა ჯემალ გაგნიძემ და ზაზა ლებანიძემ თურმე ჩემი ნახატების გამოფენა მოაწყვეს თეატრში. ერთ მშვენიერ დღეს უგუნებოდ ვიყავი და ყველაფერი გავანადგურე... არ მინდოდა, დარჩენილიყო ჩემ შემდეგ. შენ აღარ იქნები და მერე შენი ნახატების მიხედვით ააგებენ მითებს, გამოქვეყნებას დაიწყებენ. მე არ მომწონს ეს. გალაკტიონის ყველა ლექსი რომ გამოაქვეყნეს, არ მიმაჩნია სწორად. ზოგიერთი ლექსის გამოქვეყნება მას არ უნდოდა. ყოველდღე ხომ არ შეიძლებოდა „ლურჯა ცხენები“ დაეწერა... სხვა საქმეა, ის ლექსები, ცენზურის გამო რომ არ აქვეყნებდნენ.

— **ძალიან დატვირთული ცხოვრებით იცხოვრეთ, როგორ ფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვნის გაკეთება თუ მოასწარით?**

— მართლაც დატვირთული ვიყავი. ძილის დროც არ მქონდა. თვითმფრინავში მეძინა ხოლმე. მიხაროდა, შორ რეისში თუ მივფრინავდი, გამოძინებას მოვასწრებ-მეთქი. მნიშვნელოვანი?! მნიშვნელოვანია, ცაში გახედვა შეგეძლოს კაცს. ერთ მეგობარს ვუთხარი, ასწიე თავი, ვარსკვლავებს უყურე, მიწა როცა წაგვიყვანს საპატრონოდ, მაშინაც გვეყოფა, ცას რომ ვერ შევხედავთ-მეთქი. მარსი რომ მოგვიახლოვდა ცოტა ხნის წინ, სულ აივანზე ვიყავი. ღამით 3-4 საათისთვის ჩანდა კარგად, კუს ტბის თავზე. ოჯახის წევრებიც გავახედე ცისკენ... კარგა ხანს იყო დიდი, გაბრდღვიალებული ვარსკვლავი, ყოველ ღამით გავდიოდი სანახავად, თითქოს პირველად ვხედავდი.

— **ძილისთვისაც კი დაგენანათ დრო, არ გინდოდათ თვალი მოგეშორებინათ ცისათვის, არა?**

— მენანება, სიცოცხლის ერთი მესამედი მიაქვს ძილს. ისეც რაა სიცოცხლე, ერთი წამია. მენანება, მაგრამ აუცილებელია, რას იზამ. ჩვენ გვიჭირს ბევრი რამ. ბუნების შვილებს არ უნდა გვიჭირდეს. ზაფხულში დართლოში ცხვარს აბინავებდნენ, იქ მინახავს მწყემსები, იმათი დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლის მიმართ... აი, ვინ არიან ბუნების შვილები. ჩვენ ასფალტის შვილები ვართ, ისინი მიწის შვილები არიან, მინდვრის ყვავილები არიან... მოთიბული ბალახის სუნივით განუმეორებლები. მოსიარულე მოთხრობები... არაფერი შეედრება ქვეყნად ბუნების შვილებთან ყოფნას, ისევე, როგორც არაფერი შეედრება თიბვას. ერთხელ ქერჩში ვიღებდით ფილმს. დავინახე, მთაზე თიბავდა ვიღაც. რეჟისორს — დევი აბაშიძეს ვუთხარი, ახლა არ მითხრა, დრო არ გვაქვსო, უნდა გამიშვა იმ მთაზე-მეთქი. იქ რა გინდაო? აი, იმ მთიბავს ხომ ხედავ, იმის ცელს მინდა მოვკიდო ხელი-მეთქი. მეც წამოვალო, — მითხრა რეჟისორმა. ავედით, რუს გლეხს ვუთხარი, ერთი, ეგ ცელი მაჩვენე, როგორია-მეთქი. თიბვა იციო? — გაიკვირვა. ვიცი-მეთქი. კარგი ცელი ჰქონდა. ავიღე ხელში და გამოკვერვა (პირის გასწორება) დავუწყე. მერე ერთი რიგი, რაჭაში სრიელს რომ ეძახიან, ჩავიტანე. რუსს მოეწონა ჩემი გათიბული. გამიხარდა. არ ვაგრძნობინე, რომ დავიღალე.

— **საოცარია, თბილისში, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ასფალტზე გაზრდილმა, როგორ ისწავლეთ თიბვა?**

— ომის წლებში თბილისში გაჭირვება იყო და ხშირად ბაბუას მივყავდით რაჭაში. დედაჩემის მამა, ნიკოლოზ სხირტლაძე, ნიკოლოზ II-ს ჰგავდა, ისეთსავე ბლანჟეს ატარებდა. 40 წლით იყო ჩემზე უფროსი... იმას დავყავდი სათიბში. უფროსები ცხენებით მიდიოდნენ, ჩვენ ფეხით მივდევდით. 2.200 მეტრზე ავდიოდით ზღვის დონიდან, ციცაბო მთაზე ვთიბავდით. ბაბუა პალოს ჩაარჭობდა, თოკს გამოაბამდა, მერე მეორე ბოლოს წელზე შემოვირტყამდით, ისე ვთიბავდით, მთამსვლელებივით. რომ მოვრჩებოდით ერთ რიგს, უკან თოკით ავდიოდით. შუადღისას მზე რომ დააცხუნებდა, შევისვენებდით. ხურჯინებით ამოტანილი გვქონდა საგზალი: ლორი, ყველი, ბოჩხოვანები (პიტნა ან ტარხუნაშერეული ოთხკუთხა ხაჭაპური), წყალგარეული — შუა ღვინო... ასეთ ღვინოს სვამდნენ ძველი ბერძნები, სპარტელები. ნამდვილი ღვინო უნდა ყოფილიყო წყაროს წყლით გაზავებული. ისადილებდნენ, წაიძინებდნენ... ჩვენ ქვემოდან ატანილი გვქონდა ხის ტოტები, იმათ დავასობდით, ჩრდილს გავაკეთებდით. იქ ვისვენებდით. მზე რომ გადავიდოდა, მუშაობას ვაგრძელებდით... მზის ჩასვლის შემდეგ ჩამოვიდოდით, შინ ბებია დაგვხვდებოდა. სპილენძის ტაშტით ცხელ წყალს დაგვახვედრებდა, ფეხებს დაგვბანდა, მერე ქვის კეცის მჭადს და ლორთან ერთად მოხარშულ ლობიოს დაგვიდგამდა ტაბლაზე... მე პირველი შვილიშვილი ვიყავი და ბებია და ბაბუა განსაკუთრებულად მიფრთხილდებოდნენ. თვითონ პალატში (პირველ სართულზე. — ლ.ჯ.) ეძინათ, მე — მეორე სართულზე, ოთახში. გამთენიისას ბაბუა მომიკაკუნებდა ქვემოდან: — თენგულა! თენგულა! ბიჭუნა, ადექი, დაგვათენდაო... სათიბში უნდა წავსულიყავით მზის ამოსვლამდე. სხვათა შორის, მზის ამოსვლას რომ დავასწრო ადგომა, ბავშვობიდან მიყვარს... როცა ძალიან მიჭირს, მეხსიერებიდან ამომაქვს ეს სურათები. იცით, როგორ მამშვიდებს, რამხელა ძალას მმატებს?! ამ შეგრძნების სწავლა არ შეიძლება. ეს ან გაქვს, ან არ გაქვს. გული იმაზე მწყდება, რომ ჩვენი შვილების, შვილიშვილების თაობა მოკლებულია იმ გემოს, შეგრძნებას, მამულის გემო რომ ჰქვია... ჩემი პატარები (შვილიშვილები. — ლ.ჯ.) წელს პირველად ისხდნენ მატარებელში, ზღვაზე წავიდნენ ორი კვირით, ისიც კეთილი ხალხი დამეხმარა, თორემ ვერც გავუშვებდი. უნდა გენახათ, რა ბედნიერები იყვნენ... ჩვენ კი გაცილებით მეტის საშუალება გვქონდა, საქართველოს შემოვლა თავისუფლად შეგვეძლო.

— **იმიტომაც არის განსხვავებული თქვენი თაობა...**

— განსხვავებულია, მაგრამ ვინღა დამრჩა? ამას წინათ VI კლასში გადაღებული სურათი ვნახე. 46-ნი ვიყავით კლასში. ამათგან ერთი მე დავრჩი, ერთიც ვახტანგ შეწირული — ყოფილი მცხეთის სამხედრო კომისარი. გარდაიცვალნენ ჩემი მეგობრები... თემიკო ჩირგაძე რომ გარდაიცვალა, ვერ ავედი, ვერ დავხედე. დამჩემდა ასე. საოცარია, ამდენი წელი აშენებ მეგობრობას, ამდენ სიყვარულს აქსოვ და ერთ წამში ქრება, აღარ განმეორდება. ჩემი ხასიათის კაცისთვის მეგობრის უცებ შეძენა წარმოუდგენელია. ნაცნობები, კი ბატონო, ბევრი მყავს, მაგრამ მეგობარი?! ამიტომაც ცხოვრების სისასტიკეს ვგრძნობ, როცა ჩემს გარდაცვლილ მეგობრებზე ვფიქრობ. ამ ქაოსში, ცხოვრება რომ ჰქვია, ჩვენ მთავარი გვავიწყდება. რამხელა მადლია, რომ იღვიძებ და ყველა ცოცხალია, ყველა კარგად არის. ჩვენ დაგვავიწყდა, რომ პატივი უნდა ვცეთ, მუხლი მოვუდრიკოთ გათენებას, მშვიდობიან გათენებას.

— **ბატონო თენგიზ, ხშირად თქვენ მცხეთაში ბრძანდებით, თქვენს აგარაკზე, მითხრეს, ძალიან გყვარებიათ იქაურობა.**

— რა თქმა უნდა, მიყვარს. ჩემი საღამო რომ იყო, თანხა მომცეს. ხელი არავის დავაკარებინე იმ თანხაზე. სულ მინდოდა მიწის ნაკვეთი მქონოდა და არ მქონდა ამის საშუალება. კინოკავშირი მთავაზობდა, შემოიტანე 1500 მანეთი და მიწის ნაკვეთს მოგცემთო. არ მქონდა... თანაც სახლი ხომ უნდა ამეშენებინა?! ვერ მოვახერხებდი. გავიგეთ, რომ მცხეთის ზევით აშენებულ სახლს და ეზოს ყიდდა ვიღაც. აღმოჩნდა, უფრო ძვირს აფასებდა, ვიდრე მე შემეძლო გადახდა. ვუთხარი: ნამდვილად ორჯერ მეტიც ღირს ეს კარმიდამო, მაგრამ რა ვქნა, მე ვერ ვიყიდი და სხვა გამოჩნდება, ის გადაიხდის-მეთქი. გულდაწყვეტილი დავბრუნდი თბილისში. მერე თვითონ მობრძანდა ის კაცი, მითხრა: მე ვიცი, ვინცა ხართ, მირჩევნია ჩემი მიწა თქვენ იაფად მოგყიდოთ, ვიდრე ვინმე ფულიანს ძვირადო. დაყაბულდა ჩემ მიერ გაღებულ თანხას. ასე შევიძინე ეს აგარაკი. ახლა იქ ბროწეულიც მწიფს, კარალიოკიც, ყურძენიც. შარშან ნიორი დავთესე, მოსავალი მოვიყვანე... ვარდები დავრგე. ერთი შავი ვარდია, იშვიათი სანახავია. სხვა გეგმებიც მქონდა, მაგრამ გულის ოპერაცია დამჭირდა და ხელი შემიშალა. მინდა ბევრი მინდვრის ყვავილი დავრგო ეზოში და თუ შემოვრჩი ამ ქვეყანას, იქ ვიცხოვრო: ჭრიჭინების ხმებში, ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ, თბილ მიწაზე...

P.S. ბედნიერია საქართველო, რომელსაც ჰყავს თენგიზ არჩვაძის მსგავსი ხელოვანი და ჰყავს უბრალო ადამიანი (ადამიანები, რა თქმა უნდა!), რომელმაც იცის, ყველაფერი ფულზე არ იყიდება, იცის, რომ კაცი კაცის სიყვარულით ცოცხლობს და, როგორც ბატონი თენგიზი ამბობს, „შიგნიდან ანათებს, როგორც მზე“...

**ლელა ჯიყაშვილი**

**მობრძანდა ის კაცი, მითხრა: მე ვიცი, ვინცა ხართ, მირჩევნია ჩემი მიწა თქვენ იაფად მოგყიდოთ, ვიდრე ვინმე ფულიანს ძვირადო. დაყაბულდა ჩემ მიერ გაღებულ თანხას. ასე შევიძინე ეს აგარაკი. ახლა იქ ბროწეულიც მწიფს, კარალიოკიც, ყურძენიც. შარშან ნიორი დავთესე, მოსავალი მოვიყვანე... ვარდები დავრგე. ერთი შავი ვარდია, იშვიათი სანახავია. სხვა გეგმებიც მქონდა, მაგრამ გულის ოპერაცია დამჭირდა და ხელი შემიშალა. მინდა ბევრი მინდვრის ყვავილი დავრგო ეზოში და თუ შემოვრჩი ამ ქვეყანას, იქ ვიცხოვრო: ჭრიჭინების ხმებში, ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ, თბილ მიწაზე...**



# „კასანდრაში“ გავახმოვანე კასანდრას გარდა ყველა ქალი...



მიუხედავად უამრავი თეატრალური და კინოროლისა, მისი სახელი მაყურებელთა უმრავლესობისთვის ხშირ შემთხვევაში ერთადერთ როლთან ასოცირდება. სპექტაკლში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ **ეკა ქუთათელაძემ**, რეზო ჩხიკვიშვილთან ერთად, შთამბეჭდავი სახე შექმნა. მანამდე კი ძალიან პატარამ, სცენაზე პირველი როლი ითამაშა, მამის, რეჟისორ ანზორ ქუთათელაძის სპექტაკლში.

— მამა მუშაობდა სოხუმის დრამატულ თეატრში. ზაფხულობით ჩავდიოდი სოხუმში. მაშინ 10 წლის ვიყავი. მამა „ოიდიპოს მეფეს“ დგამდა. ერთ საღამოს მკითხა, — ეკა, არ ითამაშებ ჩემს სპექტაკლში? ხომ წარმოგიდგენიათ ჩემი რეაქცია. პატარა ანტიგონე ვითამაშე. მერე ოდესაში წავედით გასტროლებზე და საოცარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი უკან.

**— მამათქვენი მუშაობდა მარჯანიშვილის თეატრშიც, ალბათ ბავშვობიდანვე იყავით ქართული კინოსა და თეატრის ვარსკვლავების გარემოცვაში.**

— რა თქმა უნდა. ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, უამრავი ადამიანი შემიძლია ჩამოვთვალო, ვისი წყალობითაც საოცარ ატმოსფეროში ვცხოვრობდი. სამწუხაროდ, ეს იყო წინათ, დღეს კი...

**— დაკავებული ხართ მხოლოდ ტელესერიალებისა და უცხოური მხატვრული ფილმების გახმოვანებით?**

— სამწუხაროდ, ასეა. რა თქმა უნდა, მაქვს ტკივილიანი განცდა. მენატრება თეატრი. ბოლოს 5 წლის წინ ვითამაშე ელექტრა რუსთაველის თეატრში, ისიც მხოლოდ ოთხჯერ. რაღაც მიზეზების გამო შეწყდა. არადა, ერევანში, ფესტივალზე ამ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. ამის შემდეგ წამოვედი თეატრიდან.

**— როცა ქართულად ნათარგმნ ფილმებს ვუსმენ, სულ მგონია, რომ მსახიობები საკუთარ ინტერპრეტაციას ახდენთ.**

— კი, ასეა. ალბათ იმიტომ, რომ მოწყურებულები ვართ შემოქმედებითად დახარჯვას. გვინდა, რაღაცნაირად მოვახდინოთ ჩვენი შესაძლებლობების რეალიზება. როდესაც კარგ ფილმს ვახმოვანებ, მაშინ მართლა დიდი სიამოვნებით ვმუშაობ.

**— შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ჰოლივუდის ვარსკვლავებთან ერთადაც გიმუშავიათ.**

— (ეღიმება) ამის სურვილი ნამდვილად მაქვს, თანაც არა მარტო მე, მაგრამ ვარსკვლავებთან ჩვენი პარტნიორობა ამ შემთხვევაში ვირტუალურია. როცა სერიალების გახმოვანება დაიწყო, პირველად „კასანდრაში“ გავახმოვანე კასანდრას გარდა ყველა ქალი. ვახმოვანებდი ბოროტ მოსამსახურე როსაურას. არასოდეს ბოროტი როლი არ მითამაშია და როსაურამ ალბათ ამიტომაც მოახდინა მძაფრი შთაბეჭდილება ჩემზე.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა მსახიობი განათლებული, თუ მხოლოდ ისაა საჭირო, რომ მან ზედმიწევნით შეასრულოს რეჟისორის მითითებები?**

— ოდნავ მაინც განათლებული მაყურებელი მყისვე მიხვდება, რომელი მსახიობი რის მატარებელია, რა მარაგი აქვს. მსახიობმა ბევრი უნდა იკითხოს. ცხოვრებაზე დაკვირვების უნარი უნდა ჰქონდეს. გიზო ჟორდანია, ჩვენი პედაგოგი, სულ გვეუბნებოდა — დააკვირდით ადამიანებს, რაღაც საინტერესოს დაიჭერთ, გონებაში დაილექება და როცა საჭირო გახდება, თავისით ამოტივტივდებაო. მართლაც ასეა. ეს გეხმარება როლის, სახის შექმნაში. ჩემი სტუდენტებიდან ყველაფრის ამომწურავად ახსნას ცოტა თუ ითხოვს, უმრავლესობა კი ხშირად ლექციებზე არ დადის.

**— პირველი მთავარი როლი „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“-ში ითამაშეთ?**

— დიახ. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთელი ჯგუფი წავედით რუსთავის თეატრში. მაშინ მამა იყო იქ რეჟისორი. იმ პერიოდში მსახიობების ძირითადი ბირთვი მარჯანიშვილში წავიდა და მამამაც ჩვენთან, ახალგაზრდებთან დაიწყო მუშაობა ახალ რეპერტუარზე. ასე შეირჩა ლაშა თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“.

**— მგონი ამ სპექტაკლით რაიონებშიც გასულხართ. რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა თუ გახსენდებათ?**

— უამრავ სცენაზე მითამაშია, უკიდურესად მიყრუებულ სოფლებშიც კი. მთელი საქართველო მოვიარე ამ სპექტაკლის წყალობით. რაჭაში ფარღალალა ფარდულში ვთამაშობდით. უცებ ეს „ფარდული“ აყანყალდა, ვიფიქრე, მიწისძვრაა-მეთქი. თურმე, ძროხა მოსდგომია ერთი მხრიდან ნაგებობას და ზურგს იფხანდა. მახსოვს, პატიმრებთან კოლონიაში თამაში. ისეთი ვიწრო ფართი იყო, თვალებში ჩავცქეროდი მათ. დღემდე მახსოვს, როგორ ეხვეწებოდნენ ზედამხედველს, ცოტა ხანს კიდევ გვაყურებინეთო.

*ეკა ლომიძე*






# საიდუმლო რომ გამსკდარიყო, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოჰყვებოდა ამას?..

„თემა“ — ასე ჰქვია ჩემი რესპონდენტის გადაცემას ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში. თუმცა მანამდე იმავე ეთერში **გოგა გომიაშვილი** გამოჩნდა გადაცემით — „დროებითი ზღვარი“, რომლითაც ტელემაყურებელმა გაიცნო საკუთარი პოზიციის მქონე წამყვანი. მან პროფესიულ დონეზე აჩვენა მაყურებელს, რომ საინტერესო, სენსაციურ და თუნდაც სკანდალურ თემებზეც შეიძლება საუბარი მშვიდად, ყოველგვარი აგრესიისა და გალიზიანების გარეშე. გოგა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ტაფტის (მასაჩუსეტსის შტატში) და ჰარვარდის უნივერსიტეტების ფლეტჩერის საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის სკოლაში. მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კანცელარიაში. შემდეგ კი ტელევიზიას მიაშურა და პოლიტიკური დიპლომატიის ნაცვლად შეეცადა ჟურნალისტიკაში მოესინჯა ძალები. „თემის“ წამყვანთან საუბრის ძირითად თემად კი ჩვენ ქართული ჟურნალისტიკის საკითხები შევარჩიეთ.



**— დამეთანხმებით ალბათ, რომ სამწუხაროდ, დღეს საქართველოში, ყველა სფეროში იგრძნობა პროფესიონალიზმის დეფიციტი, მათ შორის ჟურნალისტიკაშიც. როგორ ფიქრობთ, ეს იმის ბრალიც ხომ არ არის, რომ ამ სფეროს ბევრი არაპროფესიონალი მიაწყდა?**

— პროფესიონალიზმის დეფიციტი ჩვენში მართლაც ყველა სფეროში იგრძნობა. არა გვყავს ეკონომისტები, იურისტები, პოლიტიკოსები, თუმცა ნაწილობრივ ამასაც აქვს თავისი ახსნა. მაგალითად, არ არსებობს პოლიტიკური სკოლა და ამიტომ არა გვყავს პროფესიონალი პოლიტიკოსები და ა.შ. რაც შეეხება ჟურნალისტიკას, აქ ცოტა სხვაგვარადაა საქმე. ცხადია, ჟურნალისტს პროფესიული განათლება უნდა ჰქონდეს, მაგრამ... მე პროფესიით ლინგვისტი ვარ. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მუდმივად მიხდებოდა მეკითხა სტატიები და პუბლიკაციები, ეს კი ახლოს იყო ჟურნალისტიკასთან.

**— მხოლოდ ეს იყო მიზეზი, რომ დიპლომატიურ კარიერაზე უარი გეთქვათ?**

— არა, ალბათ მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ მსურდა ურთიერთობა მაყურებელთან, პუბლიკასთან. აუდიტორიასთან მქონდა ჩემი სათქმელი და მინდოდა ეს მეთქვა არა პირდაპირ, არამედ ტოქშოუს საშუალებით. მსურდა შემექმნა საზოგადოებრივი აზრი და რომელიმე თემაზე საუბრისას, არასოდეს დამეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია. მიმაჩნია, რომ ჟურნალისტი განათლებული ადამიანია და მან ზედმიწევნით იცის თემა, რომელზეც საუბრობს, რაზეც წერს. სხვანაირად ვერ წარმომიდგენია და სამწუხაროდ, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, არა მგონია, რომელიმე ჟურნალისტს ყველა თემა ერთნაირად კარგად ესმოდეს. გუშინაც ვკამათობდი ეკონომიკურ თეორიებზე, რაც კარგად არ მესმის და თუ აუცილებელი იქნება გადაცემის წაყვანა ამ თემაზე, ან კარგად უნდა შევისწავლო იგი, ან უარი უნდა ვთქვა ამ ტიპის გადაცემაზე: რაც არ ვიცი, იმას არასოდეს წამოვწევ წინა პლანზე. ჟურნალისტისათვის ასევე აუცილებელია მიუკერძოებლობა და ნეიტრალური პოზიციის ქონა.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ მიუკერძოებლობა შეუძლებელია იმ პირობებში, როცა ქვეყანაში თითქმის არ არსებობს მასმედიის აბსოლუტურად დამოუკიდებელი საშუალებები. მით უფრო, ტელეკომპანიები?**

— ჩემი აზრით, არასწორია საკითხის ასე დაყენება. დედამიწის ზურგზე არ არსებობს აბსოლუტურად დამოუკიდებელი მასმედია. გნებავთ სი-ენ-ენი, სი-ბი-ესი და ა.შ. უდიდესი კომპანიები ავიღოთ. ყველას ჰყავს საკუთარი დირექტორთა საბჭო, ყველას გააჩნია შესაბამისად, საკუთარი პოლიტიკა და მათი დამოუკიდებლობის ხარისხიც სხვადასხვაგვარია.

**— არსებობს მოსაზრება, თითქოსდა საზოგადოების განვითარებასთან ერთად ყვითელი პრესაც დროის კუთვნილება გახდება.**

— არა. ის ყოველთვის იქნება. დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება მეტყველებს ამაზე. ასე რომ, ჩვენშიც ყოველთვის იარსებებს ყვითელი ტაბლოიდური პრესა და ამასთანავე აუცილებლად გაჩნდება გაზეთებიც, სადაც სიყვითლეს ვერ ნახავთ.

**— ალბათ მსოფლიოში არ არსებობს ცნება „ყვითელი ტელევიზია“, მაგრამ რაღაც მსგავსი არსებობს ჩვენთან. მათ როგორ მომავალს უწინასწარმეტყველებთ?**

— ასეთი ტელევიზიები კიდევ მომრავლდება, მაგრამ დროთა განმავლობაში, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში, ისინი ჩვენთანაც გადავლენ საკაბელო მაუწყებლობაზე.

**— ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის თანახმად, საქართველოში პრესას ეკისრებოდა ეროვნული, სახელმწიფოებრივი იდეოლოგის ფუნქცია. დღეს რა ფუნქცია აქვს, თქვენი აზრით, ქართულ მასმედიას?**

— დღეს სამწუხაროდ, არ არის ერთიანი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია (არავის აერიოს ეს ცენზურაში), შეიძლება ასე იმიტომაც ხდება, რომ საზოგადოებაც არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. მომავალში საზოგადოების პროტესტს იმით კი არ გამოხატავენ, რომ მოგვარდებიან და კედლებზე „კმარას“ დაგვიწერენ, უბრალოდ, არ გაიყიდება ტირაჟი და ეგ იქნება. ეს კარგად იციან დასავლეთში, სადაც მილიონიანი ტირაჟის მქონე გაზეთებს გათვლილი აქვთ, როგორც სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის პრინციპები, ისე საზოგადოებიდან მოსალოდნელი ნებისმიერი რეაქცია, ამისათვის კი აუცილებელია პროფესიონალიზმი. ბოსტონში ვიყავი, 11 სექტემბრის ტერაქტი რომ მოხდა. მოგეხსენებათ, აშშ გმირების ქვეყანაა და ამ გმირებს ზოგჯერ კიდეც იგონებენ. ასე იყო იმ ტრაგედიის შემდეგაც. გმირებად იქცნენ თვითმფრინავის ბორტგამცილებლები, ყველა მგზავრი, პილოტები. „ჩიკაგო ტრიბუნის“ მთავარმა რედაქტორმა კი თავის სტატიაში ასეთი რამ თქვა: მოდით, სიმართლეს ჩავხედოთ თვალებში, ის პილოტები გმირები კი არა, დამნაშავეები არიან. მათ რომ ინსტრუქცია შეესრულებინათ და დაჯავშნული კარი ჩაეკეტათ ტერორისტებისთვის, ისინი თავის ბოროტ განზრახვას ვერ შეასრულებდნენო. დაიბეჭდა თუ არა ეს წერილი, ავტორი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

**— იგივე მოხდა ენ-ბი-სიზეც, როდესაც ტელეწამყვანმა სადამ ჰუსეინის ინფორმაცია გაუშვა ამერიკული ტელეარხით, მასაც დაატოვებინეს სამსახური.**

— ასეთი მაგალითები უამრავია. ერთი შეხედვით ეს თითქმის თავისუფალი აზრის და სიტყვის შეზღუდვაზე მეტყველებს, მაგრამ ასე არ გახლავთ, მათთვის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფაქტობრივი სიმართლე. 27 დეკემბერს, მადლიერების დღეს, სრულიად გასაიდუმლოებულ ვითარებაში, აშშ-ის პრეზიდენტი 55 ჟურნალისტთან ერთად ჩაფრინდა ერაყში. მხოლოდ უკან დაბრუნების შემდეგ გაუშვეს ჟურნალისტებმა ინფორმაციები მიუხედავად იმისა, რომ ყველას სენსაცია უნდოდა პირდაპირი ეთერით, მაგრამ სახელმწიფოებრივ ინტერესს არ გადააბიჯეს. თუმცა, შეეძლოთ ეს გაეკეთებინათ და საიდუმლო გამსკდარიყო, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოჰყვებოდა ამას. ვფიქრობ, საბოტაჟის და ყალბი სენსაციების დრო უნდა დამთავრდეს.

**— როგორ აფასებს ჩვენში მომხდარ მოვლენებს თქვენი ბაბუა, ცნობილი მსახიობი არჩილ გომიაშვილი?**

— ბაბუასთან ჩემი ურთიერთობა, სამწუხაროდ, მხოლოდ სატელეფონო საუბრებით შემოიფარგლება. ის მოსკოვში ცხოვრობს. ყოველთვის აინტერესებს, რაც აქ ხდება. გაუხარდა, რომ ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა. ნათქვამი ჰქონდა, სანამ შევარდნაძეა ხელისუფლებაში, თბილისში არ ჩამოვალო. ახლა რას იზამს, არ ვიცი, შეიძლება კიდევ წამოაყენოს ულტიმატუმები.

*ეკა ლომიძე*

კვირის პალიტრა 8 - 14 დეკემბერი, 2003

# მეორე დღეს შამპანურით მომადგა პოსტზე — შენ ჩემი „კუკარაჩა“ ხარო...

**ძია ანდროს „კუკარაჩას“ ეძახის დიდი და პატარა, მიუხედავად იმისა, რომ დუმბაძისეულ რომანტიკულ გმირს გარეგნობით იოტისოდენადაც არ ჩამოჰგავს. დაბალია, კოტიტა. ლუარსაბისეული ღიპი „სიანცით“ მუდამ პრობლემებს უქმნის პატრონს: „კაპრონის ძაფით რო დავაკერო ფოლაქი, მიანვება და ზოგჯერ ისეთ დროს ანყვეტს, სიკვდილს მანატრებინებს. ამას წინათ ოპერატიულ თათბირზე ვართ ბიჭები რაჟდენა-უფროსთან და მიყვირა პოლკოვნიკმა: — ყველაზე ნაკლებ ჯარიმას რომ შენ უწერ შოფრებს, დავიჯერო, ყველა ჯკუადამჯდარი შენს ტრასაზე დაგრიალობსო?! წამოვდექი, გავიჯიმე, უნდა ვუპატაკო უფროსს და ამ დროს არ გავარდა, კაცო, ტყვიასავით მონყვეტილი ფოლაქი? პირდაპირ თვალში ეტაკა რაჟდენას, სკამიდან გადმოვარდა მოულოდნელობისაგან, ეტყობა, ეგონა, მომკლესო... ორი კვირა თვალს ვერ ახელდა. მე ტრასაზე არ გამიშვეს, კინაღამ მშიერი მოვკვდი!..“**

**— ქამაც აგიკრძალეს, ანდრო ბიძია?!**

— ვითომ არ იცი, ავტოინსპექტორისთვის რასაც ნიშნავს ორი კვირის უმუშევრობა... ხელფასს მე არავინ მაძლევს და თუ შოფრებმა არ მომცეს ორიოდე გროში, ყაჩაღად ხომ არ გავვარდები ე პატიოსანი კაცი, თანაც ყველა თავის წილს ითხოვს. ი ჩემ რაჟდენა-უფროსს ბიუჯეტის ჯავრი კი არ ჰკლავს, თავისი ჯიბე ადარდებს, შინ სამი მუტრუკი ჰყავს სარჩენი, დევებს ჰგვანან, სადილად თონე პური არ ჰყოფნით.

**— მძღოლებს რომ უყვარხართ? მათგან ვიცი თქვენი ამბავი. ყველა ამბობს: — დღეს ტრასაზე ანდრო დგას, კაცური კაციო!..**

— არ მიყვარს პატიოსანი კაცისთვის ყელში ხელის წაჭერა. ზოგს ისეთ დარღვევაზე ვიჭერ, რატო ასლარიანი ჯარიმა არ ეკუთვნის, მარა ყმაწვილები არიან, ზოგსაც შეყვარებული უზის... თუ გინდა კახპა ჰყავდეს — ხომ არ შევარცხვენ, როცა ვიცი, ფული არა აქვს და ბენზინიც ნასესხები უსხია. ვუშვებ და უფასო რჩევა-დარიგებებსაც ვატან — ფრთხილად იარე-მეთქი...

**— „კუკარაჩა“ ვინ შეგარქვათ?!**

— ერთი ყმაწვილი მთვრალი დავიჭირე. წინააღმდეგობა რომ გამიწია, გავკოჭე და ჩავაგდე ჩემს მანქანაში, მეორე პოლიციელს მისი მანქანა წამოვაყვანინე და მივგვარე მშობლებს. ეგონა, ჩავუშვებდი. მე კი ბოდიში მოვუხადე გადარეულ მამამისს — ერთად ვსვამდით, მე მაპატიეთ-მეთქი!.. აბა, 20 წლის ბიჭს მამას ხომ არ ვაცემინებდი?!. მეორე დღეს შამპანურით მომადგა პოსტზე — შენ ჩემი კუკარაჩა ხარო! — აიტაცეს ბიჭებმა და აგერ რამდენი წელია, მეც აღარ მახსოვს, რომ ანდრო მქვია.

**— სხვისი შვილები რომ ასე გიყვართ, რატომ საკუთარი არა გყავთ, გავიგე, ოჯახი არ გქონიათ!..**

— ერთი ქალი მიყვარდა... დღემდე მიყვარს, უკვე ბებიაა და მის დანახვაზე სულ ელეთ-მელეთი მომდის, ვალიდოლიც არ მიწყნარებს გულის ფრიალს...

**— სხვას რატომ დაუთმეთ?!**

— ეე, ის ვარსკვლავებს ეთამაშებოდა ყოველთვის, ისეთი გოგო იყო, თანაც სტუდენტი... მე კი... მე საშუალო ძლივს დავამთავრე, არც წიგნი მყვარებია დიდად. იმასთან ლაპარაკსაც ვერ ვბედავდი... მისი ქმარი კი პროფესორია ახლა, შვილებიც ნასწავლი ჰყავს. იმისი გათხოვება რომ გავიგე, თავს ვიკლავდი. ჭაღზე ჩამოვკიდე ბაწარი და გავუყარე შიგ თავი... ჩამოვანგრიე ჭერი! ქამრით მცემა მამაჩემმა — ლუსტრას რა ერჩოდიო! არც იმას უეჭვია და არც მე გამიმხელია, თავს რომ ვიკლავდი...

**— აკი, შეგყვარებია ვილაც...**

— ეგ განა სიყვარულია?!. მარინა გზას აცდენილი ქალი იყო, გაუბედურებული, კაცები სულ ატყუებდნენ და მერე სცემდნენ კიდევაც... ყველა ჩამოვაშორე, მოხუცი დედა დავასაფლავებინე... ისევ ქუჩაში რომ არ გასულიყო, დროდადრო საჭმელს ვუზიდავდი, პურის ფულს ვაძლევდი და... ორმა უპატრონომ ერთმანეთთან ვპოვეთ თავშესაფარი: მირეცხავს, ცხელ სადილს მახვედრებს, დამიჯდება მერე წინ, მომჩერებია ცრემლებით სავსე თვალებით — რა მეშველებოდა, შენ რომ არ მყავდეო, — მედუდუნება.

**— მითხრეს — „კუკარაჩას“ იმიტაც ჰგავს, არც ერთი ნათესავი არა ჰყავსო!..**



— ეგრე მოხდა... დედაჩემი რუსი იყო, მამას ერთი ძმა ჰყავდა და ისიც უცოლშვილოდ გადაეგო... უნაყოფო ხის ტოტი ვარ. მოვკვდები და დამივიწყებენ მეც, მერე ახალ კუკარაჩას მოძებნიან და... უკვდავია კუკარაჩა, ძალიან მიყვარს. დუმბაძეც მიყვარს, მგონი, მარტო მაგისი წიგნები მაქვს წაკითხული. ბაჩანა მიყვარს ძალიან, რამიშვილი, სულ ვტირი, მაგის ამბავს რომ ვკითხულობ...

**— ისიც მითხრეს, ინფარქტი თქვენც რომ გადაგიტანიათ!**

— ჰო, „დამიტოკა“ გულმა, ისე მტკიოდა, აღარც მეგონა, თუ ოდესმე დაწყნარდებოდა... ძალიან ცუდად რომ ვიყავი და საამქვეყნოს ჩემი მობრუნების იმედი არ ჰქონდათ, სიზმრად სულ მზეს ვხედავდი და ვიცოდი, გადავრჩებოდი. მგონი, ღმერთიც ვნახე, ასე მითხრა: — შენი გულის პატრონმა უნდა იცოცხლო, სიკეთე უნდა თესო და იქ დააგოო! მეც დავდივარ და ყველას ვეხვეწები, — არ იჩხუბოთ, ნუ გძულთ ერთმანეთი, ყველანი დავეტევით ამ დალოცვილ დედამიწაზე-მეთქი...

**— ინფარქტის მიზეზიც მითხრეს...**

— კარგი ბიჭი იყო ნიკუშა. ცისფერთვალა და გულდიდა. 4 წლისას მოუკვდა დედა და მამამ დედინაცვალი მოუყვანა... ვერ შეიყვარა ბიჭმა და არც ვამტყუნებდი: არ შეიძლებოდა იმ ქალის სიყვარული, ნიკუშაზე მოუვლელი და საცოდავი არავინ გამოდიოდა უბანში... რაც მე იმას ვდიე. ბიჭობაში რომ შევიდა, როგორ არ ვეხვეწე... დედის საფლავიც დავაფიცე და... ნარკოტიკს მიეჩვია — არ მინდა, ფხიზელი თვალებით ვუყურო ქვეყანას, სადაც ჩემი ადგილი არ აღმოჩნდაო!.. წამო, ჩემი შვილი იყავი, სხვა არავინ გვინდა-მეთქი. ერთხელ წამალგაკეთებული მიუჯდა თურმე მანქანის საჭეს და... გაითიშა ალბათ, ბეტონის ჯებირი გაარღვია და ხიდიდან გადავარდა. რომ გავედით შემთხვევის ადგილზე და ნიკუშა შემრჩა ხელში, ღვთის საყვედური წამომცდა: — ღმერთო, თუ სადმე ხარ, რატო ამ ბიჭს არ უპატრონე-მეთქი. და არ მაპატია განგებამ უსაფუძვლო ბრალდება, თავად ნიკუშას რამდენჯერ უთქვამს: — ღმერთის და შენ გარდა არავის ვუყვარვარ ამ ქვეყანაზე, ჩემო კუკარაჩაო!.. უცებ დამეტაკა გულზე ტკივილი და დამაჩოქა კიდეც...

**— ისიც ვიცი, ნიკუშას საფლავს რომ უვლით...**

— ღამის ეშინოდა ნიკუშას. რამდენჯერ მოსულა ჩემთან შუაღამისას: — თუ არ გეძინება, დავსხდეთ და მელაპარაკე, ასე მგონია, თუ მარტო დავრჩი, არასოდეს გათენდებაო. ჰოდა, ვისხედით, ვლაპარაკობდით... ერთი გოგო უყვარდა და არც გაუმხელია: — ისეთი პატრონი ჰყავს, არ გამომატანენო!.. ჩემსავით გაუმხელელი სიყვარული წაიღო მიწაში.

**— ისიც მიამბეს, სასაფლაოზე რომ კურიოზი შეგემთხვათ?!**

— ვიჯექი ტირიფების ჩრდილში. შუაღამე გადასული იყო უკვე და მანქანა მოადგა ჭიშკარს. ოთხი ახმახი გადმოვიდა ყაყანით. ნაშუაღამევს პატიოსანი კაცი სასაფლაოზე იშვიათად გამოვა, მით უმეტეს დედის გინებით და მუქარით. შემეშინდა და ერთი საფლავის ქვის უკან ჩავწექი... ყაჩაღები იყვნენ, ნაძარცვ ფულს იყოფდნენ და ვერც გაიყვეს, დასცხეს ერთმანეთს და სასიკვდილოდ სცემდნენ, იარაღიც დააძვრეს და მაშინ იყო ყმუილის მსგავსი ხმა რომ ამომცდა შეშინებულს და წამოვხტი, ხელები ავასავსავე: — რას შვრებით, თქვე ულმერთოებო-მეთქი!... რომელი რომელს ასწრებდა, არ ვიცი. გამიკვირდა კიდევაც მათი ასეთი საქციელი. იმ წუთში არც მახსოვდა, რომ სასაფლაოზე ვიყავი... მერე მივხვდი, მკვდარი ვეგონე ალბათ და „ამდგარი“ რომ მნახეს, შიშმა გააქციათ!..

**— მართლა მილიონი იყო მათ მიერ დატოვებულ კეისში?!**

— მილიონი არა... ოქრო იყო ნაძარცვი და რამდენიმე ათასი დოლარი, რომელიც ამოცნობის შემდეგ პატრონებს დავუბრუნეთ!..

**— პოლიტიკოსები არ გყვარებიათ და ყველაზე მეტ ჯარიმას მაგათ ახდევინებთ თურმე.**

— რატო სულსაც არ ამოვხდი, მარა არა მაქვს მაგათი გაჩერების უფლება — პრივილეგიები აქვთ, რომლებიც თავად გამოუგონეს თავის დასახეთქ თავებს. დააქციეს ეს ღვთისმშობლის კუთვნილი ქვეყანა და შენ ისიც ვერ უნდა გაუბედო, — ნელა იარე, ცხვირ-პირი არაფერს წაალეწოო.

**— თურმე ჯანმრთელობის სამინისტროს ემუქრებით.**

— სამი წლის წინ რომ საავადმყოფოში ვიწექი, დღესაც ვიხდი ვალებს. ეგ სამინისტრო რო იწვოდეს, სახანძროს არ გამოვუძახებ. შეიძლება 800 და 1000 დოლარი დაუფასო მკურნალობა შენ მიერ უნიფხვოდ დატოვებულ კაცს?!. ღმერთი იხედება ზევიდან. ჩვენ არადა — ვინც ეგ ჯანდაცვის რეფორმა გააკეთა, იმას დააჭირვებს წამალს. მაინც თავის ჯიბის თარგზე აქვთ მოჭრილი მკურნალობის ფასები.

**— აფხაზეთის ომშიც ნებით წახვედით?!.**

— გამომაბრუნეს — ბებერი ხარ და მსუქანიცო. არადა ისეთი ბიჭები მოგვიკლეს, დღემდე სისხლი მევლება გულზე იმათ გახსენებისას, მე ცოცხალი უნდა ვიყო და ეგენი მიწაში ცივდებოდნენ?!. ე-ეჰ...

**— მითხრეს, „კუკარაჩა“ მაწანწალა ძაღლებს უყვართო...**

— ხშირად ვუყოფ ლუკმას. რა ვიცი, მეც მათსავით უპატრონო ვარ და როცა ქუჩაში დგომას ვერ შევიძლებ, იქნებ მეც შევებრალო ვინმეს და ლუკმაც გამიყოს... მერე რა, რომ ძაღლია, სულიერია. კატებსაც ვპატრონობ, მტრედები შინ მივარდებიან, თუ ფანჯარა ღია დამრჩა და მელოდებიან მაგიდაზე ჩამოსკუპებულები. საყვედურით მეგურგურებიან, ვახშამი თუ დაგვიგვიანდა... მარტოკაცობა ძნელია, ხანდახან ჩიტის ჭიკჭიკიც ღვთის ხმის ტოლია სიჩუმით გათანგულ კედლებში...

**— რაზე ოცნებობს კუკარაჩა?!**

— არ დამცინებ, ჩემი საიდუმლო რომ გაგიმხილო?!

**— რატომ?!**

— რა ვიცი, აბა?!. კი ვიცი, ასეთ დროს როგორი პასუხიც უნდა გაგცეთ: საქართველოს აყვავებაზე ვოცნებობ-მეთქი. ეგ თავისთავად, მაგრამ... ახლა რომ 17-18 წლის ბიჭი ვიყო, იმ ჩემს საოცნებო ქალს აუცილებლად გავუმხელდი სიყვარულს და იმდენს მოვინდომებდი, უარს ვერ მაკადრებდა... შვილებით და შვილიშვილებით ავავსებდი სახლს: ათი შვილი, სამჯერ მეტი შვილიშვილი, აი ჩემი ოცნება და იმავეს გისურვებთ თქვენ!..

**— გმადლობთ, ანდრო ბიძია და ბოლო კითხვაც, პენსიონერი „კუკარაჩა“ როგორი წარმოგიდგენიათ?!**

— რას ამბობ, კუკარაჩა და პენსიონერი ვინ გაიგონა! მანამდე უნდა მოვკვდე, სანამ ხალხს ვუყვარვარ და გულს ატკენს ჩემი სიკვდილი!

**— რამდენი წლისა ხართ?!**

— ქალივით ვმალავ ასაკს... ჩემს უფროსობას ვუმალავ — მართლა არ გამიშვან პენსიაში, ჩემი სიცოცხლის ხაზი ამ ტრასის შუაგულში გადის...

*მეორე დღეს, მანქანით რომ ჩავუარე მის პოსტს მეგობრებთან ერთად და მივესალმე, ხელები ასწია და „შეშინებულმა“ მომაძახა: — რამდენი გადაგიხადო, თავი რომ დამანებოო. მერე საპატრულო მანქანისკენ წაბაჯბაჯდა, უკან ორი უპატრონო ძაღლი მისდევდა კუდის ქიცინით...*

**ინგა ჯაყელი**

## იუმორი

რით განსხვავდებიან ქალები 8, 18, 28, 38, 48 და 58 წლის ასაკში?

8 წლის — აწვენ დასაძინებლად და უყვები ზღაპრებს;
18 წლის — ზღაპრებს უყვები, რომ ლოგინში ჩააწვინო;
28 წლის — მის ლოგინში ჩასაწვენად, ზღაპრებიც აღარ არის საჭირო;
38 წლის — ის გიყვება ზღაპრებს, რომ ლოგინში შეგითრიოს;
48 წლის — ზღაპრებს უყვები, ოღონდ მასთან ერთად არ დაწვე ლოგინში;
58 წლის — გვიან ღამემდე არ ბრუნდები შინ, რომ არ მოისმინო მის მიერ შეთხზული ზღაპრები.

## მამაკაცი და ფეხსაცმელი

**ფრანგი ფსიქოლოგების აზრით, შესაძლებელია მამაკაცის ხასიათის დადგენა იმის მიხედვით, თუ როგორ ფეხსაცმელს ირჩევს ის და როგორ ხმარობს მას.**

— თავდაჯერებული მამაკაცები ღია ფერის ფეხსაცმელს ირჩევენ, მუქი ფერი — წესრიგის მოყვარულთ მოსწონთ;

— სქელლანჩიანი ფეხსაცმელი მეტყველებს, რომ მისი პატრონი შებოჭილი და გაუბედავია;

— თუ ფეხსაცმლის ლანჩა ცალ მხარეს არის გაცვეთილი — მამაკაცი მერყევია და გაბედულება აკლია;

— თუ ლანჩა ერთნაირად არის გაცვეთილი მთელ ძირზე — მიზანდასახულია;

— სპორტული სტილის ფეხსაცმელს ირჩევენ კომუნიკაბელური, საქმიანი მამაკაცები;

— მოკასინის ტიპის ფეხსაცმელს ეტანებიან მოდის მიმდევრები;

— ყელიან ფეხსაცმელს პატივს სცემენ თამამი, ძლიერი ნებისყოფის მქონე მამაკაცები;

— სანდლები უყვართ არტისტულ, მოდის მიმდევარ, გულგახსნილ მამაკაცებს;

— მომრგვალებულცხვირიან ფეხსაცმელს უფრო ოჯახის ერთგული მამაკაცები იცვამენ.

*მამაკაცების საყურადღებოდ:* ამ სეზონზე მოდაშია უძირო, თხელლანჩიანი, რანტიანი, ზამშის და რბილი ტყავის ფეხსაცმელი.



## ჯადოსნური კოქტეილები

### „ფრანგული 75“

50 გ ჯინის, ერთი ლიმონის წვენისა და ყინულის ნარევს დაუმატეთ ცოტა შაქარი. კარგად შეანჯღრიეთ, ჩაასხით მაღალ, ვიწრო ბოკალში (რომელიც მოგაგონებთ საყვარელი ქალის წერწეტ ტანს), დაუმატეთ ცივი შამპანური და კივის ერთი ნაჭერი.

### „ჩრდილოეთის ციალი“

ეს საოცარი სასმელი შედგება თითო წილი არყის, კონიაკის, ორი წილი ლიქიორის და ოთხი წილი მშრალი შამპანურისგან.

დაამატეთ ლიქიორს არაყი და კონიაკი, აურიეთ და ჩაუმატეთ შამპანური, ზემოდან შეგიძლიათ მოასხათ ლიმონის წვენი.



შეიძლება გაამარტივოთ და 30 მლ კონიაკს დაუმატოთ 40 მლ არაყი, 1 ჩ/კ შაქარი და რამდენიმე წვეთი ლიმონი. ასევე ცოტა ლიმონის ცედრა და რამდენიმე ყინულის ნაჭერი. მაგრამ პირველი ვარიანტისგან განსხვავებით, კარგად ათქვიფეთ და გააცივეთ.

### „ჩარლის შამპანური“

ჩაასხით ბოკალში 45 მლ ატმის ბრენდი, დაუმატეთ 130 მლ ცივი შამპანური. ჩადეთ ბოკალში თითო ნაჭერი ატამი, მანგო, კომპოტიდან ამოღებული ალუბალი. სასმელი მორთეთ ანანასით...

# მარადი ცოლი

## კინაღამ გული გამიჩერდა, რეანიმაციულ განყოფილებასთან ჩემი ქმარი რომ დავინახე

**ამ ამბის „მთავარი გმირი“ ორიოდე კვირის წინ გვწერდა: დიდხანს მჯეროდა, რომ ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობის გაცივება ორივე მათგანის ბრალია, მაგრამ ასე არ ყოფილა... თუ ეს ამბავი დაგაინტერესებთ, შემიძლია უფრო დაწვრილებითაც გადაგიშალოთ გულიო.**

**რა თქმა უნდა, დაგვაინტერესა უცნობი ქალბატონის ამბავმა... მანაც არ დაიზარა, მოსულიყო და გული გადაეშალა.**



— ხუთი წელია, რაც მეუღლეს გავშორდი, უფრო სწორად, ის გამშორდა, — დაიწყო მან, — დღემდე ვეძებ მიზეზს, რის გამოც ცოლ-ქმარს შორის ბზარი ჩნდება; საკმაოდ კრიტიკულადაც მივუდექი წარსულს, მინდოდა მეპოვა მცირე ხინჯი მაინც, რაც, როგორც ცოლს, არ გამამართლებდა, მაგრამ ამაოდ. არ გეგონოთ, თავს ვიქებდე ან უნაკლო ვიყო. უბრალოდ, მის წინაშე არაფერი „შემიცოდავს“, მეტიც, მისი თქმით, სანაქებო ცოლი, დედა, დიასახლისი და რძალი ვიყავი. მაშ, რა მოხდა? ისეთი გრძნობა ეწვია, რომელსაც ვერ შეელია და ამჯობინა სიყვარულით ნაშენები ამდენი ხნის ოჯახი დაენგრია?

ამას წინათ ერთ ჟურნალში წავიკითხე, რომ მამაკაცებს მოჭარბებული ტესტოსტერონის გამო არ შეუძლიათ „გული ერთსა დააჯერონ...“ ალბათ ასეცაა, რადგან ყველა, ვინც იცოდა ჩვენი სიყვარულის ამბავი, გააკვირვა ჩემი ქმრის ნაბიჯმა.

სანამ შევუღლდებოდით, ხუმრობდნენ კიდეც ჩვენზე: რაღა რომეო და ჯულიეტა და რაღა თქვენო. რაღა დაგიმალოთ და, მოგვიანებით, როცა გავაცნობიერე, რომ მარტო დავრჩი, მინდოდა თავი მომეკლა, ქმარი ისე მიყვარდა. როცა თვითმკვლელობა ვცადე და გადამარჩინეს, იმ საღამოსვე ჩემთან გაჩნდა. ხმა უთრთოდა, ძალიან განიცდიდა ჩემს მდგომარეობას, ბოლოს მითხრა: ნუღარ ინერვიულებ, შინ დავბრუნდები და სიკვდილამდე ერთად ვიქნებითო. შევატყვე, გულგარეთ მელაპარაკებოდა. გამოდის, რომ ჩემთან უნდა ყოფილიყო, სხვაზე კი ეფიქრა. ასეც არ შემეძლო. ვერ დავუშვებდი, რომ საყვარელი ადამიანი ჩემ გვერდით დატანჯულიყო. თუმცა, ვარჩიე ჯერჯერობით გავჩუმებულიყავი.

რამდენიმე თვე „წესიერად“ იქცეოდა. შინ დროზე მოდიოდა, ბავშვები სასეირნოდ მიჰყავდა, მეც თბილად და ყურადღებით მეპყრობოდა. მერე ისევ იმ ქალისკენ გაუწია გულმა. ვიცოდი, მასთან იყო, მაგრამ თავს ვიტყუებდი, როცა შინ ბრუნდებოდა, ლამის კლოუნად ვიქცეოდი, ხან რას ვუყვებოდი, ხან — რას, მინდოდა გამემხიარულებინა, ის კი იჯდა ცხვირჩამოშვებული და ჩამქრალი თვალებით მომჩერებოდა. მივხვდი, ველარ გავძლებდი ასე და ერთხელაც, როცა ბავშვები შინ არ იყვნენ, მტკიცედ მოვთხოვე დაშორება. ჯერ გაკვირვებულმა შემომხედა, მერე შევატყვე, სიხარულისგან ალმურიც კი აუვიდა სახეზე. ჩემთვის ეს ძალიან მწარე წუთები იყო, მაგრამ უკან არაფრის დიდებით არ დავიხიე. წავიდა ჩემი ქმარი „სხვისას“ და დამიტოვა უზარმაზარი კითხვის ნიშანი. როგორ უნდა მიმეხედა ოჯახისთვის, რა მეთქვა შვილებისთვის, რა ახსნა მომეძებნა ქმრის საქციელისთვის, — ეს კითხვები თავში მიტრიალებდა, არ მასვენებდა, პასუხს ვერ ვპოულობდი.

ერთხელ, ოჯახი რომ მოენატრა, გვესტუმრა. ისეთი გამწარებული ვიყავი, — ჩემს სიავეს ვიტყვი, ბავშვები არ ვაჩვენე. მოვატყუე, შინ არ არიან-მეთქი და მივუხურე კარი. ჩემგან არ ელოდა ამას, სახტად დარჩა. მეორე დღესაც მოვიდა და როცა იგივე გავუმეორე, მიხვდა, რაც ხდებოდა. ისიც განერვიულდა — შენ ასეთი საქციელი არ შეგეფერებაო. მისმა სიტყვებმა თითქოს ჯებირი გაარღვია, რომელიც წყლის უზარმაზარ ნაკადს აკავებდა. აღარ დავიხიე უკან და ყველაფერი პირში მივახალე: როცა დედაშენი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა, მე მომავლევინე, არ გამადლი, მაგრამ ამას შენი სიყვარულით ვაკეთებდი. სამსახურზეც უარი ვთქვი, რათა უყურადღებოდ არ ყოფილიყო დედაშენი. მერე დაქვრივებული მამაშენისთვის მოვლა-პატრონობა არ დამიკლია, ღვიძლ მამასავით ვუვლიდი. შვილებზე და შენზე ლაპარაკიც ზედმეტია, განა ასე დამიფასე სიყვარული და ამაგი-მეთქი? არაფერი უთქვამს, კარგა ხანს მიყურა გაკვირვებულმა, მერე კი კარი გაიხურა და წავიდა.

დიდხანს ვიჯექი გაშეშებული. ბოლოს, მივხვდი, რომ კარგად არ მოვიქეცი. გამწარებულმა ისეთი რაღაცები ვუთხარი, რაც გულში არასოდეს გამივლია. სიკეთეს თავმოსაწონად არ ვაკეთებდი. დედამთილ-მამამთილი კეთილი ადამიანები იყვნენ, მათგან ბევრი კარგი მახსოვდა. არადა ისე გამოვიდა, თითქოს ვაყვედრიდი ამაგს და ამით ვცდილობდი ქმრის შინ „დაბმას“.

ერთი კვირის შემდეგ, ბავშვებს ჩავაცვი და მისი ახალი სახლის კარს მივადექით. გაუხარდა, შინ მეც შემიპატიჟა. არ შევედი. საღამომდე იყვნენ, მერე ან მე მოვალ წასაყვანად, ან შენ მომიყვანე-მეთქი. გზაში ათასი ფიქრი მიტრიალებდა გონებაში: რა მოხდებოდა, რომ შევსულიყავი და დამეთვალიერებინა ის ბინა, სადაც ქმარყოფილი ცხოვრობს, ან ის ქალი გამეცნო, რომლის გამოც მე და ბავშვები დაგვთმომეთქი. ბოლოს, მაინც გავამართლე ჩემი საქციელი, ვერ ავიტანდი იმ უცხო ქალის ბედნიერი სახის დანახვას.

ერთი წლის მერე, ქმარყოფილს მეორე ცოლთან ბიჭი შეეძინა. ჩემი შვილები კვირა არ გავიდოდა, მამასთან არ მისულიყვნენ. იმის მერე კი, რაც პატარა ძამიკო შეეძინათ, უფრო მოუხშირეს სტუმრობას. იქიდან დაბრუნებულები აღფრთოვანებულები ჰყვებოდნენ ბავშვის შესახებ. ვერ ვიტყვი, რომ მეც აღფრთოვანებული ვიყავი, მაგრამ მათი სიხარული არ მწყინდა. თუმცა ის გაუნელებელი სევდა თავს არ მანებებდა. ბავშვების თანდასწრებით ვცდილობდი, მეც მეთქვა რაიმე კარგი, მაგრამ საკმარისი იყო, მარტო დავრჩენილიყავი, რომ „აფრებს“ ავუშვებდი და გულდათუთქული ვტიროდი. ერთხელაც, ჩემმა შვილებმა პატარა ძამიკო (7 თვის იქნებოდა) შინ სტუმრად მომიყვანეს. ბავშვები აღტაცებული ჟრიამულით შემოცვივდნენ, მათ მამა შემოჰყვათ. თავს ძალა დავატანე, პატარა ხელში ავიყვანე და მოვეფერე. მართლაც კარგი ბავშვი იყო, ჩემს უფროს ბიჭს წააგავდა. ყოფილი ქმარი სევდიანი ღიმილით შემომყურებდა, თითქოს ამბობდა: ვიცი, რომ გული დაგწყვიტე, მაგრამ რა ვქნა, რომ სხვანაირად არ შემიძლიაო. მინდოდა, ჩემს ოჯახში პირველად შემოსული ბავშვი ხელცარიელი არ გამეშვა, ამიტომ დედაჩემის ნაჩუქარი ოქროს ძეწკვი ჩამოვკიდე ყელზე. არ მოელოდა ქმარყოფილი, შემეწინააღმდეგა კიდეც, მაგრამ მკაცრად ვუთხარი: საჩუქარზე უარს არ ამბობენ-მეთქი.

ორი წლის მერე მათ ოჯახში უბედურება მოხდა. ის ქალი მეორე ბავშვს ელოდებოდა, როცა მანქანა დაეჯახა. სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში. სამსახურიდან დაბრუნებულს ეს ამბავი აფორიაქებულმა შვილებმა მიამბეს, თან მთხოვეს, ბავშვი მეზობელთან არის დატოვებული, გეხვეწებით, ჩვენთან წამოვიყვანოთო. უარი ვერ ვუთხარი. წავედი და ბიჭი წამოვიყვანე. მერე შინ მაინც ვერ მოვისვენე. უფროსებს დავუტოვე მძინარე პატარა და საავადმყოფოში წავედი. კინაღამ გული გამიჩერდა, როცა რეანიმაციულ განყოფილებასთან კედელზე თავმიდებული ჩემი ქმარი დავინახე. რომ დამინახა, თავი ვერ შეიკავა, გადამეხვია და გულში ჩამიკრა. შევამჩნიე, მალულად როგორ მოიწმინდა ცრემლები... ბავშვის გადარჩენა ვერ შეძლეს, ქალიც დიდხანს ვერ გამოვიდა მდგომარეობიდან.

12 წელი ვიცხოვრეთ მე და ჩემმა ქმარმა ერთად და ისეთი გასაცოდავებული არასოდეს მინახავს, როგორც იმ დღეებში. გამახსენდა — ერთხელ მდუღარე წყალი გადამესხა ფეხზე. ტკივილისგან ხმამაღლა ვტიროდი. ერთი წუთით არ მომშორებია გვერდიდან, ჩემთან ერთად ათენებდა ღამეებს. მეოთხე დღეს, როცა ტკივილმა მიკლო, გახარებულმა მითხრა, შენ რომ რამე მოგსვლოდა, თავს არ ვიცოცხლებდიო. ბედის ირონიაა, აბა, რა? წარსულში დარჩა ის სიყვარულიც, ის ნერვიულობაც, რაც ჩემ გამო გადაიტანა, ახლა კი მეორე ცოლის გადარჩენას ევედრებოდა ღმერთს. გადარჩა, ღვთის მადლით ის ქალი. ბავშვის მოვლა-პატრონობისათვის დიდი მადლობაც დავიმსახურე...

მას მერე ხუთი წელი გავიდა. მე ისევ მარტო ვარ. ვერ წარმომიდგენია ჩემ გვერდით სხვა ვინმე. ისევ ძველებურად მიყვარს ჩემი ქმარი. მერე რა, რომ იგი ახლა სხვას ეკუთვნის. ვიცი, არაფერი შეიცვლება ამით, მაგრამ ის დიდი სიყვარული არ გამნელებია და მიუხედავად ტკივილებისა, მაინც ბედნიერი ვარ, რომ ეს სიყვარული ჩემშია. გამოდის, რომ მე „მარადი ცოლი“ გახლავართ და სულაც არ მრცხვენია ამის აღიარების...

**P.S. ამას წინათ, ერთმა ახლობელმა დამირეკა: ახლა სამსახურში დიდი დავა და კამათი გვაქვს, ვერ შევთანხმებულვართ, რა სჯობს, რომელია მეტი ბედნიერება — როცა გიყვარს თუ როცა უყვარხარო? შენ, როგორც ამ საქმის „სპეციალისტმა“, ეგებ სწორი პასუხი გვითხრაო. მაშინ ცოტა ორჭოფულად ვუპასუხე, როცა გიყვარს, ეს უფრო ბედნიერებაა-მეთქი. მაგრამ ახლა, „მარადი ცოლის“ აღსარების მერე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს მართლაც ასეა.**

***მარინა ბაბუნაშვილი***

## ჩვენ გვწერენ: შეგვეხმიანეთ, ბატონო რამაზ...

**გარდა იმისა, რომ ჩვენს რუბრიკაში დარდიან ადამიანს უბრალოდ, სურს გულის მოოხება, თურმე ბევრს „გაჭირვების ტალკვესადაც“ მივაჩნივართ და ვეიმედებით კიდეც.**

**ერთ-ერთი წერილის ავტორი გვწერს:**

„რამდენიმე ხნის წინ, დედაჩემმა თავისი სიყმაწვილის დროინდელი არაჩვეულებრივი სიყვარულის ამბავი მიამბო. ეტყობა, დიდი ხნის მერე გადაწყვიტა, შვილისთვის გაეზიარებინა ის, რაც გადაიტანა, რაც აქამდე ვერ დაივიწყა. წამაკითხა თავისი დღიური და შეყვარებულის წერილები.

მართალი გითხრათ, გაოგნებული დავრჩი. ნუთუ შეიძლება ასეთი ძლიერი სიყვარული არსებობდეს...

დედაჩემთან შეთანხმებით გწერთ ამ წერილს და გთხოვთ, გამომიქვეყნოთ. ვეძებთ ბატონ რამაზ გ.-ს (გვარს შეგნებულად არ მივუთითებ). დედამ მითხრა, თუკი ამ წერილს წაიკითხავს, ისედაც მიხვდება, რომ ჩვენ გვეხება და აუცილებლად გამოგვეხმაურებაო.

საქმე ის გახლავთ, რომ რამაზ გ. კარგა ხანია გორში აღარ ცხოვრობს, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, კვლავ საქართველოშია. რაც დედა და რამაზი დაშორდნენ, ოცი წელი გავიდა. დედაჩემს მხოლოდ მისი ამბავი აინტერესებს, ძალიან უნდა, ერთხელ მაინც ნახოს...

ამ ბოლო ხანს დედა ხშირად ავადმყოფობს და ალბათ გასაგებიცაა მისი სურვილი.

ბატონ რამაზს კი ერთ დეტალს გავახსენებ, რომელიც დედამ მიამბო:

„ერთხელ, რუსთაველის თეატრიდან გამოსულები ფეხით გავუყევით გზას. გვიანი იყო, მაგრამ გვენანებოდა დაშორება და შორი გზით გადავწყვიტეთ შინ მისვლა. მაშინ პლეხანოვზე ვცხოვრობდი. ელბაქიძის დაღმართს დავადექით. სწორედ ამ დროს, წინ გადაგვიდგა სამი ბიჭი. დანა მომაბჯინეს და ფული მოგვთხოვეს. რამაზმა — გოგოს დანა მოაცილეთ და რაც მაქვს, მოგცემთო. დანა მომაცილეს კი არა, ხელიც გადამიგრიხეს. იქ რამაზმა ამბავი დაატრიალა, მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სცენარისტს შეშურდებოდა, იმ ბიჭებს დანა დაუვარდათ და ვაი-უით გავარდნენ სხვადასხვა მხარეს. იმ დღის სამახსოვროდ რამაზმა ის დასაკეცი დანა მე მაჩუქა...“

ალბათ ეს ეპიზოდი კარგად ახსოვს ბატონ რამაზს. ვთხოვ, როგორც კი ამ წერილს წაიკითხავს, თქვენი მეშვეობით დაგვიკავშირდეს.

ძვირფასო რედაქციავ, იმედი მაქვს, უყურადღებოდ არ დატოვებთ ჩემს თხოვნას. ვიცი, რომ ამ წერილით ძალიან გავახარებ ჩემს უსაყვარლეს ადამიანს.

***ანი, 19 წლის, თბილისი“.***

## ბეწვეული ფუფუნების საგანი როდია...

ზამთრის ამ სეზონში მოდაშია ბეწვეული. არა მარტო ქურქები (მოკლე ან გრძელი), არამედ ყველაფერი ბეწვით არის მორთული — პალტო, ჩანთა, ჩექმა, ქუდი. ამ სეზონის კიდევ ერთი სიახლეა ჯიქის და ვეფხვის ბეწვის დაბრუნება. ეს მტაცებლები ისედაც ცოტაა დარჩენილი და წარმოიდგინეთ, ამდენ მოდის მიმდევარ ქალს რა აუვა! კვლავ მოდაშია ნატურალურთან კომბინირებული ხელოვნური ბეწვი. ბოლოს და ბოლოს დადგინდა, რომ ბეწვი ფუფუნების საგანი კი არა, გათბობის საშუალებაა და ყველა ადამიანს შეუძლია მისი ხმარება, ამიტომ, ძვირფასი სიასამურის და მელის გვერდით თავისუფლად შეგიძლიათ ჩაიცვათ შეღებილი კურდღლის ან კატის ბეწვი. თუ ამის საშუალებაც არ გაქვთ, გულს ნუ გაიტეხთ, ბეწვის საყელო ან ქამარი გაიკეთეთ, უსახელო ბეწვის ჟილეტიც შეგიძლიათ შეიძინოთ.



## ფანჯრებზე ეკიდა სუფრა და დივანს ეფარა ფარდა...

*ახლობლის 17 წლის გოგო, რომელიც სამი თვის წინ გათხოვდა, საოჯახო საქმეების ბაიბურშიც არ არის და ამიტომ სამზარეულოში და აბაზანაში შესვლის წინ დედისგან, ხანაც მეგობრებისგან სატელეფონო კონსულტაციებს იწყებს და ისე აკეთებს საქმეს. თეთრეული დაურეცხავს და სახამებლის რეცეპტი მეგობრისთვის უკითხავს. იმასაც გაუშაყირებია — მოხალული პურის ფქვილი ჩაყარე ადუღებულ წყალში, გააკეთე ფაფა. თუ მუქი ფერი ექნება, შეურიე ქლორიანი მათეთრებელი, გახსენი ცივ წყალში, რომელშიც დარეცხილ თეთრეულს გაავლებო. ხომ წარმოგიდგენიათ, რაც მოხდებოდა! ამ ამბის მოსმენის შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი რესპონდენტებისგან საყოფაცხოვრებო ხასიათის კურიოზები მომესმინა.*

**მაკა (32 წლის):** — 18 წლის ვიყავი. მეგობარს წავყევი შემოდგომაზე სოფელში, კაკალს ბერტყავდნენ და მეც მასპინძლებთან ერთად სიამოვნებით ვკრეფდი. წენგომ ხელები ისე გამიშავა, ვერაფრით მოვიშორე. დავბრუნდი თბილისში და ერთმა მეგობარმა მასწავლა, — ქლორიანი მათეთრებლის „აბაზანები“ გაგითეთრებსო. დაუფიქრებლად შევასრულე და თითებიც დავიფუფქე, რომლებიც ერთი თვის მკურნალობით ძლივს მოვირჩინე. რა ბოროტებაა, არა?

**ნანიკა (26 წლის):** — ალბათ თქვენც ბევრჯერ წაგიკითხავთ, რომ სამზარეულოში ზოგიერთი პროდუქტის ნარჩენები შეიძლება გამოვიყენოთო. ერთ დღეს ავდექი და წავისვი მაწონი, მოვიცილე 20 წუთში, წავისვი მაიონეზი, მერე პომიდორი, მერე კიტრი, მერე სტაფილო და ა.შ. ეს ექსპერიმენტი მაშინაც არ შევწყვიტე, როცა კანზე საშინელი წვა ვიგრძენი — კანი ბაქტერიებისგან იწმინდება-მეთქი! გახსენებაც კი მიმძიმს, ისეთ დღეში ჩავვარდი. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, საღამოს სასწრაფო დახმარება გამოვიძახე. ექიმმა — მესამე ხარისხის დამწვრობა გაქვსო და როცა მიზეზი გაიგო, თანაგრძნობის მაგივრად სიცილით კინაღამ მოკვდა.



**ლელა (42 წლის):** — ჩვენს ოჯახში ყველა საყოფაცხოვრებო კურიოზი ჩემს მეუღლეს უკავშირდება. სამსახურის გამო ხშირად მიწევს უცხოეთში მოგზაურობა. ერთხელ იტალიაში ვიყავი, ბავშვები კურორტზე ისვენებდნენ. ჩემმა მეუღლემ გადაწყვიტა, სახლი დაელაგებინა, არადა, სულ მიკვირს, რა რჯიდა! მოკლედ, თემომ, თავისი ჭკუით, სახლიც დაალაგა და თეთრეულიც დარეცხა. რაღა თქმა უნდა, ნაგავიც გადაყარა. ტელეფონში მიყვებოდა, როგორ მოაგროვა „ტონობით“ ნაგავი კარადებში. მაშინვე მივხვდი, სისულელე რომ ჩაიდინა. ჩამოვედი და კინაღამ გავგიჟდი, ისეთი რაღაცები ჩაუშვია სანაგვეში. კინაღამ წონასწორობა დავკარგე, როცა ფანჯარაზე დაკიდებული სუფრა და დივანზე გადაფარებული ფარდა დავინახე. აბაზანაში პირსახოცების ნაცვლად ჭურჭლის საწმენდი ტილოები ეკიდა! მკაცრად ვუთხარი, მეორედ ხელი არაფერს ახლო-მეთქი...

**თამრიკო (48 წლის):** — ახალი გათხოვილი ვიყავი. გადავწყვიტე, თავი მომეწონებინა დედამთილ-მამამთილისთვის და ხაჭაპურების გამოცხობა დავიწყე. დამეწვა ერთი, ოჰ, ჯანდაბას, ამას მე შევჭამ-მეთქი, დამეწვა მეორე. ამას ჩემს ქმარს დავუჭრი-მეთქი. რაც გამოვაცხვე, ყველა დამეხრუკა. გავშალეთ სუფრა და ხაჭაპურს ვერ ვაჩენ. არადა კითხვით სავსე თვალებით მომჩერებოდნენ. ბოლოს, ჩემმა ქმარმა მკითხა, — ხაჭაპური სად არისო? დამეწვა და მე შევჭამე-მეთქი. კი მაგრამ რამდენი გამოაცხვეო. ალალად ვთქვი, — ექვსი-მეთქი. მერე ყველა შენ შეჭამე, გეთქვა ჩემთვისაც, ვგიჟდები დამწვარ ხაჭაპურზეო, — უხერხულობიდან გამოყვანა სცადა ჩემმა მამამთილმა, მაგრამ მე მიწის გასკდომას ვნატრობდი.

***ეკა ლომიძე***




**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. პროტესტი; 2. პროსპერ; 3. ოჰარა; 4. საბატინი; 5. პინტურიკიო; 6. რენტა; 7. ჰაინე; 8. ტესტი; 9. ნეი; 10. რატი; 11. სეკანსი; 12. ეარი; 13. დენატურატი; 14. ვატმანი; 15. ლუვრი; 16. ინა; 17. კარატი; 18. ფრაუ; 19. გალა; 20. ტოლმა; 21. ტექნიკა; 22. კიო; 23. ლიე; 24. პაული; 25. ვეტო; 26. პირლო; 27. ლივრეა; 28. ლელა; 29. ჭოგრი; 30. მჭლე; 31. რძე; 32. „ლინკოლნი“; 33. ვიარდო; 34. ნეონი; 35. ნეტო; 36. ტირი; 37. ძე; 38. ნეაპოლი; 39. პოლი; 40. ოტელო; 41. ბადრო; 42. კოალა; 43. აბაზი; 44. „ნაიკი“; 45. სეანსი; 46. ტაბუ; 47. „რა“; 48. ლეონსიო; 49. ციტატა; 50. ატიკა; 51. კოლი; 52. ნალია; 53. ზონდი; 54. დათვი; 55. „ალი“; 56. რიზი; 57. კოცნა; 58. კანადა; 59. ნოკაუტი; 60. არია; 61. ალა; 62. სკოთი; 63. ატა; 64. ქარვასლა; 65. ავა; 66. სუ.

21. კმარა; 2. ლავუაზიეს კანონი; 3. ტარა; 4. ექსტაზი; 5. სატელიტური ანტენა.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანმიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა რამაზ ალანიამ

## პამელა ანდერსონი სიკვდილს არ «აპირებს»...

— თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი ირწმუნება, რომ ჰოლივუდის პოპულარულ მსახიობსა და ამერიკის სექს-სიმბოლოს, პამელა ანდერსონს საშინელი დაავადება — „C ჰეპატიტი“ აქვს. სიმართლეა თუ არა ეს?

*ანი მამულაშვილი*



— მართლაც, მთელი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები ხმამაღლა აცხადებენ, რომ პამელა ანდერსონს „C ჰეპატიტი“ ტანჯავს... ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს თავად პამელამ აუწყა საგანგებო ბრიფინგზე. ანდერსონმა ასევე აღნიშნა, რომ მკურნალობის სერიოზული კურსის გავლას აპირებს იმ სენისაგან თავის დასაღწევად, რომელიც აგერ უკვე ერთი წელი აწუხებს. სექსუალური პამელა ავადმყოფობის „წყაროდ“ მეუღლეს, ჯგუფ „MOTLEI CRUE“-ს ყოფილ მედოლეს, ტომ ლის ასახელებს. ტომი კი თავს იმართლებს — შეუძლებელია პამელას ჩემგან გადასდებოდა „C ჰეპატიტიო“. მისი მტკიცებით, იგი სრულიად ჯანმრთელია! ამდენად დაავადების „წყარო“ პამელამ ან შორეულ წარსულში ანდა მის სხვა „გატაცებებში“ უნდა ეძიოსო... ამ „გამოსვლას“ პამელას სერიოზული გულისწყრომა და შესაბამისად, კიდევ ერთი სკანდალი მოჰყვა. წყვილი ამჟამადაც ცალ-ცალკე ცხოვრობს. თუმცა, როგორც ლიმ ჟურნალისტებთან ინტერვიუში თქვა, ამ კინკლაობის მიუხედავად, ისინი კვლავაც ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებიან და რომ პამელამ მას ერთ-ერთი სატელეფონო საუბრის დროს „გაუმხილა“ — სიკვდილს სულ მცირე 10 წელი არ ვაპირებო.

## სიტყვათა კონა

**ერქვანი** — (ძვ.) გუთანი.

**ეტრატი** — საგანგებოდ დამუშავებული ტყავი, რომელიც საწერ მასალად იხმარებოდა, პერგამენტი.

**ეული** — 1. ვისაც არავინ არა ჰყავს, უპატრონო, — უთვისტომო. 2. (ძვ.) უმიწაწყლო, უსახლკარო.

**ეფრემვერდი (ეფუთი)** (ძვ.) — ასტროლოგიური წიგნი.

**ეშმი** — ძვირფასი ქვა.

**ეჩო** — ხის სათლელი იარაღი, პირბრტყელი და თოხივით მოხრილი (ნაფოტებს ისვრის მთლელისკენ). „კაცი განა ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდესო“. ეჩო კაცი — თავკერძი, ეგოისტი.

**ეწერი** — 1. საერთო სახელი ნიადაგის სხვადასხვა ტიპისა. 2. მწირი, უნაყოფო, მცირემოსავლიანი მიწა. 3. საქართველოს ზოგ კუთხეში ბუჩქით, ისლით და მისთ. დაფარული დაბლობი ადგილი.

**ეჯი** (ძვ.) — მანძილის საზომი ერთეული — დაახლოებით 4-5 კმ.

**ეჯიბი** (არაბ.) — 1. (ისტ.) ერთ-ერთი დიდი მოხელეთაგანი ქართველი მეფის (დიდებულის) სასახლეში. 2. (ძვ.) ქორწილში მეფის პირველი მაყარი, მეფის მეჯვარე.

## ვინ არიან ბაპტისტები?

— თბილისში ბაპტისტების ეკლესიაც ყოფილა. იქნებ გვიამბოთ მოკლედ ამ რელიგიური მიმდინარეობის შესახებ.

*დავით მელაძე*

— სახელწოდების ძირი ბერძნულია და ნიშნავს წყლით ნათლობას, კონკრეტულად — ჩაყვინთვით ნათლობას. ბაპტიზმის სამშობლო დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდია. პირველი ბაპტისტური თემის დამაარსებლად ანგლიკან მღვდელს, ჯონ სმიტს ასახელებენ. მისი მიზანი იყო ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა და თითოეული ადგილობრივი ეკლესიის დამოუკიდებლობა. მქადაგებელს ანგლიკანური ეკლესია იმთავითვე დაუპირისპირდა და დევნა დაუწყო. ჯონ სმიტმა თავი ამსტერდამს შეაფარა, სადაც თომას ჰელმისთან ერთად 1611-1612 წლებში მორწმუნეთა დიდი ჯგუფი მონათლა. ასე ჩაეყარა საფუძველი ბაპტისტურ ეკლესიას. ბაპტისტთა მეორე თემი, ჰენრი იაკობის ხელმძღვანელობით, ინგლისში ჩამოყალიბდა. მალე მათ სხვა თემებიც მიემატა.

ბაპტისტურ ეკლესიას საქართველოში, 1867 წლის 20 აგვისტოს დაედო სათავე. თბილისის ბაპტისტთა ეკლესია რუსეთიდან გადმოსახლებული მალაკნების ბაზაზე შეიქმნა. ამ თემში მოგვიანებით ქართველებიც გაერთიანდნენ, მაგრამ მათი სიმცირის გამო ქადაგება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. 1919 წელს ილია კანდელაკმა ქართულენოვანი ეკლესიაც დააარსა.

1944 წელს თბილისის ბაპტისტთა თემს „სახარებისეული ქრისტიანები“ შეუერთდნენ. დღეისათვის ეს ორი მიმართულება გაერთიანებულია და ეწოდება საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია. ამჟამად, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიის მონათლულ წევრთა რიცხვი 5.000-ს შეადგენს. ბაპტისტური ეკლესიები მართვა-გამგებლობის საკითხებში ავტონომიურნი არიან. ამიტომ სხვადასხვა ეკლესიაში სხვადასხვა წესისა და სტილის მსახურებს შეხვდებით.

## სალი და ილია კვლავაც ურთიერთობებს «არკვევენ»...

— ამბობენ, „პირველი სტერეოს“ წამყვანები სალი და ილია შერიგდნენო. თუ ეს მართალი არ არის, იქნებ იმაზე მაინც გვიპასუხოს სალიმ, გაიჩინა თუ არა შეყვარებული. ასევე მაინტერესებს მისი დაბადების წელი და კონკრეტული სამომავლო გეგმები.

*სალის თაყვანისმცემელი*





კითხვაზე უპასუხებს სალი.

— თავადაც გაურკვევლობაში ვარ. ხშირად მისვამენ ამ შეკითხვას, რადგანაც ალბათ ბევრ ადამიანს უნდა ჩვენი შერიგება... მაგრამ რა უნდა ვუპასუხოთ, როდესაც თავადაც არ ვიცით, როგორ მოვიქცევით საბოლოოდ ან მე ან ილია. მართალია, ურთიერთობა ამჟამადაც გვაქვს, მაგრამ ამ აზრს არც განვავრცობ და არც დავასრულებ, რადგანაც ეს ძალიან პირადულია. რაც შეეხება ახალ შეყვარებულს, გიპასუხებთ, რომ ამ „სტატუსით“ ჯერჯერობით არავინ გამოჩენილა...

კითხვაზე, ხომ არ უყვარს კვლავაც ილია, სალიმ გვიპასუხა: — ხომ არ შეიძლება ადამიანი, რომელიც სამი წელი შენი მეუღლე იყო და მასთან სიყვარული გაკავშირებდა, ასე ადვილად დაივიწყო... სიყვარული ხომ უკვალოდ არ ქრება. რა თქმა უნდა, მიყვარს... უბრალოდ, იმავეს გავიმეორებ — ჯერ ვერ გაგვირკვევია, ერთად დავრჩებით თუ ცალ-ცალკე ვიქნებით. რაც შეეხება მომდევნო კითხვებს, გიპასუხებთ, რომ დავიბადე 1981 წლის 31 დეკემბერს, ანუ ფაქტობრივად ახალ წელს, შემიძლია ჩემი სიმაღლეც გითხრათ — 1 მ და 68 სმ. სამომავლო გეგმები კი ამჟამად მხოლოდ სამუშაოთი შემოიფარგლება. ჩემი, ისევე როგორც მთელი შემოქმედებითი კოლექტივის ყურადღება საახალწლო პროგრამებზეა გადატანილი, ანუ იმაზე, როგორ გავართოთ მაყურებელი, რა სიურპრიზებით გავამდიდროთ ახალი წლის ღამე... ეს უახლესი გეგმებია, დანარჩენს კი ცხოვრება გვიჩვენებს.

## ინგა გრიგოლიას ქალიშვილი დააყაჩაღეს...

— ქალაქში ჭორი დადის, თითქოს ამ დღეებში ინგა გრიგოლიას გოგონა დააყაჩაღეს. მართალია თუ არა ეს ინფორმაცია და თუ მართალია, მიმართა თუ არა მან ახალ ხელისუფლებას დახმარებისათვის?

*ნუცა ბაღდავაძე*



კითხვაზე უპასუხებს **ინგა გრიგოლია**.

— დიახ, ამ ორიოდე კვირის წინ ჩემი ქალიშვილი, დისშვილი და მათი ორი მეგობარი დააყაჩაღეს. მათ საღამოხანს ქუჩაში რამდენიმე ლაწირაკი ბიჭი დანებით დაუხვდა. ჩემი გოგონა შინ ქურთუკდაჭრილი და ძალიან შეშინებული დაბრუნდა. ეს ტიპური ძარცვა იყო და არანაირად არ უკავშირდება ჩემს პერსონას. სამართალდამცავებისთვის არ მიმიმართავს. იმის ილუზია ნამდვილად არა მაქვს, რომ დააკავებდნენ ან გამოარკვევდნენ დამნაშავეთა ვინაობას. ქუჩაში შემთხვევითი დაყაჩაღება კი არა, ერთი წლის წინ სახლი რომ გამიქურდეს, მთელმა პოლიციამ ჩემს ბინაში მოიყარა თავი, მაგრამ ვერაფერი გამოარკვიეს. ყველაზე დიდი უბედურება კი ის გახლავთ, რომ ერთხელ მოვიდნენ და მორჩა! ახალი ხელისუფლებისთვის კი არ მიმიმართავს, სულ მარტივი მიზეზის გამო: — ჩემი შვილის დაყაჩაღება რომ მოხდა, თუ არ ვცდები, სწორედ იმ დღეს დანიშნეს შინაგან საქმეთა მინისტრად გია ბარამიძე. თანაც ვთვლი, რომ ქვეყანაში გაცილებით სერიოზული კრიმინოგენული ვითარებაა და ჩემი მხრიდან უხერხულიც კი იქნებოდა ახალი ხელისუფლებისთვის მიმემართა ჩემი შვილისა და მისი მეგობრების დაყაჩაღების ფაქტზე რეაგირების მოთხოვნით...


## შ.პ.ს „ელვასერვისი“ ქ. თბილისის მაცხოვრებლებს და ორგანიზაციებს გთავაზობთ საახალწლო საჩუქარს



მკითხველი, რომელიც 31 დეკემბრამდე გამოიწერს ჩვენ მიერ შემოთავაზებული გამოცემებიდან ნებისმიერ გაზეთს ან ჟურნალს მინიმუმ 6 თვით, საკუთარი სურვილისამებრ საჩუქრად მიიღებს ვაჟა გავაშელის კრიმინალურ მოთხრობათა წიგნს — „ვერსია“ ან ქართული და უცხოური ზღაპრების აუდიოკასეტას.

ნებისმიერი ორი გამოცემის მინიმუმ 6 თვით გამოწერის შემთხვევაში, თქვენ დასაჩუქრდებით როგორც წიგნით, ასევე კასეტით, ხოლო სამ და მეტ ჟურნალზე ან გაზეთზე ხელმოწერის გაფორმებისას კი აღნიშნულ წიგნსა და კასეტასთან ერთად. თქვენ მიიღებთ 2004 წლის კედლის მოსახევ კალენდარს, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ შეარჩიოთ „კვირის პალიტრის“ მიერ გამოცემულ 4 სახის („კვირის პალიტრის“, ქალთა, სამედიცინო და ბავშვთა) კალენდართაგან.

### გამოცემები, რომლებიც მონაწილეობენ „ელვასერვისის“ აქციაში:

| | | |
|---|---|---|
| 1. „კვირის პალიტრა“ - 13.0 | 4. „ოჯახის მკურნალი“ - 9.1 | 7. „კარუსელი“ - 26.0 |
| 2. „სიტყვა და საქმე“ - 39.0 | 5. „ბომონდი“ - 26.0 | 8. „ეტალონი“ - 9.1 |
| 3. „გზა“ - 15.6 | 6. „რეიტინგი“ - 15.6 | 9. „მსოფლიო სპორტი“ - 36.4 |

(ჩამონათვალში მითითებულია 6-თვიანი გამოწერის ფასები ლარებში)

*დაგვირეკეთ ან შეავსეთ ქვითარი და გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით და ჩვენი წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ თქვენთვის სასურველ ნებისმიერ მისამართზე.*

***მოხარული ვიქნებით თქვენთან თანამშრომლობით.***

***ჩვენი ტელეფონებია: 332673; 331003.*** *www.elvaservice.com*

### გამოწერის ბარათი

**მსურს გამოვიწერო** ____________ ____________

**მსურს მივიღო საჩუქრად** ____________

**მისამართი** ____________

**ტელეფონი** ____________


## პომიდორი საქართველოში XVIII საუკუნიდან შემოვიდა

— ცნობილია, რომ პომიდორი ამერიკული წარმოშობისაა მაგრამ ვერსად მივაგენი ცნობებს იმის შესახებ თუ როდიდან გავრცელდა იგი ევროპაში, არანაკლებ საინტერესოა, როდის შემოიტანეს ეს კულტურა ჩვენთან...

*ინა ახრახაძე*

— პომიდვრის სამშობლოა სამხრეთ ამერიკა. იგი შორეულ წარსულში ტროპიკული მცენარე იყო და ხარობდა პერუს, ჩილესა და მექსიკის ტერიტორიაზე. აქედან იგი ევროპაში შემოვიდა XV საუკუნეში და თავდაპირველად დეკორატიულ მცენარედ ითვლებოდა. მისი ნაყოფი შხამიანი ეგონათ, მცენარეს კი ქოთანში რგავდნენ და ოთახის ყვავილებთან ერთად მიუჩენდნენ ბინას. თავად სიტყვა „პომიდორი“ იტალიური წარმომავლობისაა და ნიშნავს „ოქროს ვაშლს“. ძველმექსიკურად კი მას „ტომატი“ ჰქვია. ჩვეულებრივ, პომიდვრის ნაყოფი წითელი ფერისაა, მაგრამ არსებობს ყვითელი და იისფერი ჯიშებიც. რთულია დაზუსტებით იმის მტკიცება, თუ როდიდან იყენებენ პომიდორს როგორც საკვებ პროდუქტს, მაგრამ ერთი კი ცხადია, რუსეთსა და საქართველოში იგი XV საუკუნის მე-2 ნახევარში შემოვიდა, როგორც გემრიელი ბოსტნეული.

## ავტომანქანის ნომრების აღება არცთუ ისე ძვირია...

— განბაჟების შემდეგ მსუბუქ ავტომობილზე ნომრების ასაღებად ვის უნდა მივმართოთ და რა ჯდება თითოეული „პროცედურა“, რაც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალებათა ოფიციალურ რეგისტრაციასთან?

*მალხაზ ჩიხლაძე*

კითხვაზე უპასუხებს **თამაზ ღვინაძე**, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრის უფროსი.

— სატრანსპორტო საშუალების განბაჟებიდან ერთი კვირის განმავლობაში მფლობელი ვალდებულია მოახდინოს ავტომანქანის რეგისტრაცია საგზაო პოლიციის შესაბამის სამსახურში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ავტომფლობელმა სარეგისტრაციო სამსახურში უნდა წარადგინოს საბაჟო დეკლარაცია და მოქალაქის პირადობის მოწმობა, რომელთა საფუძველზეც მიიღებს სარეგისტრაციო მოწმობას (ტექნიკური პასპორტის ღირებულება 26 ლარი) და სახელმწიფო სანომრე ნიშანს (ღირებულება 28 ლარი). საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო სთხოვს მოქალაქეებს: ავტომანქანის განბაჟებისას და საგზაო პოლიციაში რეგისტრაციის დროს ნუ ენდობიან შემთხვევით პირებს და ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ოპერაცია მოახდინონ შესაბამისი სამსახურების ოფიციალურ თანამშრომლებთან.

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**რამდენიმე წელია, მაწუხებს კუჭი. ბოლო დროს ტკივილიც დამეწყო. ვგრძნობ, ვერაფრით გადავყლაპავ ენდოსკოპს. რამდენად ინფორმაციულია ექოსკოპიური კვლევა ასეთ შემთხვევაში?**

***გოჩა ლალიაშვილი. თბილისი***

ექოსკოპიური გამოკვლევისას ღრუ ორგანოები არ ჩანს. კუჭი, თორმეტგოჯა, წვრილი და მსხვილი ნაწლავები ღრუ ორგანოებია. ულტრაბგერა იკვლევს ღვიძლს, ნაღვლის ბუშტს, რადგანაც იგი სავსეა ნაღვლით და არა აირით, კუჭქვეშა ჯირკვალს, ელენთას. თუ საჭიროა შარდის ბუშტის გამოკვლევა, იგი სავსე უნდა იყოს წყლით, მხოლოდ ამგვარად გახდება მისი დათვალიერება შესაძლებელი. თუ დარწმუნებული ხართ, რომ კუჭი გტკივათ, მაინც მოგიწევთ გასტროსკოპიის გაკეთება. თუმცა, უფრო ზუსტი დიაგნოსტირებისათვის სასურველია ულტრაბგერითი გამოკვლევის ჩატარებაც.

**მართალია, რომ ვეგეტარიანელებს ნაკლებად აწუხებს სახსრები?**

***ანიკო სულხანიშვილი***

ვეგეტარიანელებს მართლაც იშვიათად აწუხებთ სახსრების დაავადებები. ეცადეთ, ხშირად მიირთვათ ზეთით შეზავებული ბოსტნეულის სალათები. მეტად სასარგებლოა შავი ქლიავი, გარგარი. ნუ დაივიწყებთ სახსრებისთვის სასარგებლო ნაცად ხალხურ რეცეპტებსაც, რომელთა შემადგენლობაშიც შედის თაფლი და ხელს უწყობს სინოვიური (სასახსრე) სითხის გამომუშავებას. ასეთი რეცეპტებია: შტოში თაფლით, კაკალი და თაფლი ან მხოლოდ თაფლი. სასარგებლოა მწვანე ჩაი. მაგარი სპირტიანი სასმელები და ყავა სახსრებს ვნებს. სახსრების პირველი მტერი ჭარბი წონაა, ერიდეთ ტრავმებს და დაჟეჟილობებს.

**რომელი დაავადებები შეიძლება ადამიანს გადაედოს ცხოველებისგან?**

***ერთგული მკითხველი***

„ცხოველური“ დაავადებების სია საკმაოდ გრძელია — მასში 250-მდე დაავადებაა, თუმცა ადამიანს მათგან მხოლოდ 150-მდე დაავადება გადაედება. ჩვენში კი, ეს ციფრი კიდევ უფრო მცირდება (დაახლოებით 30-მდე), რადგან დანარჩენი დაავადებები აფრიკულ და აზიურ ეგზოტიკას განეკუთვნება. ინფექციის წყარო ცხოველებია, უპირატესად — შინაური. ადამიანისთვის ყველაზე სახიფათოა სხვადასხვაგვარი ინფექციური დაავადებები (ცოფი, ლეპტოსპიროზი, სალმონელოზი, ატულარემია, ფსევდოტუბერკულოზი), რომელთა გადამტანები შეიძლება იყვნენ ძაღლები, კატები, მღრღნელები.

ორსული ქალები განსაკუთრებულად უნდა უფრთხოდნენ კატების ტოქსოპლაზმოზს, რომელიც ნაყოფის სიმახინჯეების განვითარებას იწვევს და აგრეთვე, ფრინველთა ინფექციას — ორნიტოზს, რომელსაც აბორტის პროვოცირებამდე მივყავართ. აკვარიუმის თევზები და კუები სოკოვანი ინფექციის წყაროა.

თევზისაგან დასნებოვნებისათვის სულაც არ არის საჭირო მათი ხელში აყვანა, საკმარისია თითი ჩავყოთ წყალში, სადაც დაავადებული თევზი დაცურავს. ადამიანების საყვარელი ცხოველები მაინც ცხოველებად რჩებიან და ამიტომ საერთო ჭურჭლიდან საკვების მიღება და კოცნა არ შეიძლება.

**ჩემმა მეზობელმა შარშან ჩაიტარა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, მაგრამ გაზაფხულზე მაინც დაემართა ვირუსული ინფექცია. გამოდის, რომ აცრა უაზრობაა? გთხოვთ, მიპასუხოთ.**

***ა. ლომიძე***

გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია არ იძლევა ასპროცენტიან გარანტიას, რომ ადამიანი ავად აღარ გახდება. ვაქცინაცია მიმართულია პირველ რიგში, გრიპის განსაზღვრული შტამის წინააღმდეგ. ხოლო მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების გამომწვევთა რაოდენობა დღეისათვის დაახლოებით 200-მდეა ცნობილი. ისეთი ვაქცინის დამზადება, რომელიც ყველა ვირუსს დახოცავდა, არარეალურია. მაგრამ საჭიროა ჯანსაღი ცხოვრების წესი (პირველ რიგში, სიგარეტზე უარის თქმა), ფიზკულტურა და სპორტი, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, სწორი კვება, პოლივიტამინები.

მწვავე რესპირატორული დაავადებით და გრიპით ავადობის მკვეთრი ზრდა ჩვენში ნოემბრის ბოლოს და შემდეგ, დეკემბერში აღინიშნება ხოლმე, მნიშვნელოვანი მატება კი სასკოლო არდადეგების დამთავრებიდან ორი კვირის შემდეგ ხდება. ზამთრის არდადეგებზე ბავშვები დაჰყავთ სასეირნოდ, სხვადასხვა ღონისძიებებზე (ნაძვის ხეზე, თეატრებში, საღამოებზე), სადაც ისინი ავადდებიან გრიპით და მწვავე რესპირატორული დაავადებით. სკოლაში დაბრუნებისას კი თანაკლასელებს „უზიარებენ“ ვირუსებს, ხშირად ადგილი აქვს სხვადასხვა ვირუსითა და ბაქტერიით გამოწვეულ შერეულ ინფექციებს, რომლებიც ბავშვებს შემდეგ შინ, ოჯახებში მიაქვთ.

## კარაბადინი

**დიდი ხნის განმავლობაში მაწუხებდა კოლიტი. ნაცნობმა მასწავლა, რომ ნაწლავების ანთებისთვის უებარი ყოფილა კომშის თესლის ნახარში. მე ვიცოდი, რომ კომშის თესლი შველოდა ხველას და ძალიან გამიკვირდა, მაგრამ მაინც მივიღე ნაცნობის რჩევა, მოვამზადე წამალი მისი რეცეპტის მიხედვით და მას შემდეგ კუჭ-ნაწლავს აღარ შევუწუხებივარ: სამი კომშის გულს (კურკებიანად) უნდა დაასხათ 2 ჭიქა ანადუღარი წყალი და ხარშოთ 5-7 წთ. ნახარში მიიღეთ თბილ-თბილი, 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში 1 კვირის განმავლობაში.**

**გთხოვთ ექიმმა აგვიხსნას, რატომ არის კომშის გული სასარგებლო ხველის დროსაც და ნაწლავების ანთების დროსაც?**

***უღრმესი პატივისცემით ზაირა ჩაჩანიძე***

**ექიმის კომენტარი:** კომშის ნაყოფი ძალზე გემრიელია და ამასთან, ხალხურ მედიცინაში ცნობილია, როგორც სამკურნალო საშუალება. სამკურნალოდ გამოიყენება კომშის თესლი, რომელიც მდებარეობს ნაყოფის გულში — მის ბუდეებში (თითო ბუდეში დაახლოებით 10 ცალი). თესლი ღეჭვის დროს გამოყოფს ბევრ ლორწოს. მისი კანი შეიცავს 20%-მდე ციანოგენის გლიკოზიდს. ნაყოფის რბილობი და კანი კი მდიდარია A და C ვიტამინებით.

კომშის ნაყოფს აქვს შარდმდენი, ანტისეპტიკური, სისხლდენის შემაჩერებელი და საფაღარათო მოქმედება, თესლს კი — გარდა ამ თვისებებისა, აქვს ანთების საწინააღმდეგო და ლორწოვანის შემომგარსველი ეფექტი, რის გამოც მას დიდი ხანია იყენებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა სამკურნალოდ. კომშის თესლიდან გამოყოფილი ლორწო ათხელებს ნახველს და ამიტომ იგი დადებით ეფექტს იძლევა ბრონქიტებისა და ტრაქეიტების დროს. იგივე ლორწო, რომელსაც კუჭ-ნაწლავის ლორწოვანის დამცავი თვისებები აქვს, წარმატებით გამოიყენება გასტროენტერიტების, სპაზმური კოლიტებისა და მეტეორიზმის დროს. კომშის ნაყოფი იხმარება მოხარშული და შემწვარი სახითაც, მისგან მზადდება მურაბა, მარმელადი.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი მკითხველს

**ყელში გამუდმებით მაქვს ლორწო, ნახველი. ექიმმა მითხრა, რომ მაქვს ლარინგიტი, მიმკურნალა კიდეც, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ, უმორჩილესად ვთხოვ თქვენს მკითხველებს, თუ ვინმემ იცის ამ დაავადების სამკურნალოდ ხალხური მეთოდი, გამომეხმაუროს.**

***ვ. ამირანაშვილი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## სურდოს ასე ვუშველოთ

ამერიკელმა მეცნიერებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ სურდო გადადის არა მხოლოდ კოცნით, არამედ ხელის ჩამორთმევით. ისინი გვირჩევენ, სურდომ რომ არ გამოიწვიოს: სინუსიტი, ლარინგოტრაქეა ან ბრონქიტი, უნდა დავიცვათ არცთუ რთული წესები: ***პირველი წესი:*** რინოვირუსები ბინადრობენ თვალებისა და ცხვირის ლორწოვანაში. პირის ღრუში კი არცთუ კარგად გრძნობენ თავს. ხელისგულშიც უფრო მეტი ვირუსი გროვდება, ამიტომაც ამ ხელით თვალების მოსრესა ან ცხვირზე ხელის მოკიდება არ შეიძლება, ტელეფონის ყურმილიც, რომელიც სურდოთი დაავადებულს ეჭირა — დაავადების გამავრცელებელია. ***წესი მეორე:*** ევროპელები დიდი ხანია თავს იცავენ სურდოსგან ბავარიელი მღვდლის, სებასტიან კნეიპას მეთოდით. ეს არის წყლის პროცედურა: ფრთხილად (ისე, რომ ყელში არ მოხვდეს) შეისრუტეთ ცივი წყალი ორივე ნესტოთი, გააჩერეთ ერთი წუთი და გამოუშვით. ასე გაიმეორეთ 5-ჯერ. ამ პროცედურის დროს პირი ღია უნდა გქონდეთ. ***წესი მესამე:*** ამერიკელი მეცნიერების აზრით, სურდო არ ხვდებათ იმ ადამიანებს, რომლებიც დღეში 2 გრამ C ვიტამინს იღებენ. აბები შეიძლება შეცვალოთ ხილითა და ბოსტნეულით.

***კომსომოლსკაია პრავდა №223***

## ბახი — „უკეთურებს“



მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ორგანიზმი მკვეთრად რეაგირებს ყოველგვარ ხმაურზე, ბგერებზე და პირველ რიგში კი, მუსიკაზე. ისინი ამტკიცებენ, რომ გაღიზიანებულ ადამიანს საოცრად ამშვიდებს ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“, გაბრაზებულებს — ბახის „იტალიური კონცერტი“, აღშფოთებულებს — შტრაუსის ვალსი და შოპენის მაზურკა. რეკომენდებულია, ჰიპერტონიკებმა იმკურნალონ ჩაიკოვსკის „გედის ტბით“. მათივე აზრით, მუსიკა არა მარტო ამშვიდებს ადამიანის ფსიქიკას, არამედ მის სულსაც.

***ლიზა №47***

## ინგლისი სპერმას ყიდულობს

ბრიტანეთში მამაკაცის სპერმის დეფიციტია, რაც აფერხებს ხელოვნური განაყოფიერების პროცესებს. კლინიკებში უკვე დგას გრძელი რიგები იმ ცოლ-ქმართა, ვისაც სურს ხელოვნური გზით ბავშვის ჩასახვა.

ბრიტანეთის ხელისუფლება აპირებს მამაკაცის სპერმის სხვა სახელმწიფოებიდან შესყიდვას. ერთ-ერთი საექსპორტო ქვეყანა არის დანია, რომელსაც ამ საჭირო ნივთიერების უზარმაზარი მარაგი ჰქონია. გარდა ამისა, დანიელი დონორების ანონიმურობა გასაიდუმლოებულია. მსურველებს აცნობენ მხოლოდ დონორის თვალის ფერს, თმის ფერს, სიმაღლეს, სისხლის ჯგუფსა და ეროვნებას.

ინგლისში სპერმის ასეთი გასაჭირი გამოიწვია ლესბოსელთა მოძალებამ. მათაც გაუჩნდათ ბავშვების ყოლის სურვილი, ოღონდ მამაკაცთან პირდაპირი კონტაქტის გარეშე. ინტერნეტში საიტიც კი გაჩნდა, რომელშიც შესულია დონორების მონაცემები საგანგებოდ ლესბოსელებისთვის.

ბრიტანულ კანონმდებლობაში არ იკრძალება ინტერნეტის მსგავსი მომსახურება. თუმცა, ფსიქოლოგები ამის წინააღმდეგნი არიან — ლესბოსელთა შვილების ფსიქიკა შეიძლება ტრავმირებული იყოს, ვინაიდან მათ ეყოლებათ ორი დედილო და არც ერთი მამილო. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ინტრნეტ-სპერმობანკის მოღვაწეობა წარმატებით ვითარდება.

იმისათვის, რომ აღარ დასჭირდეთ მამაკაცი-დონორები და ამან დამატებითი პრობლემები აღარ შეუქმნას საიტის ორგანიზატორებს, მეცნიერები ქმნიან ხელოვნურ სპერმას ქრომოსომების ისეთი ნაკრებით, რომ ლესბოსელებს გაუჩნდეთ მხოლოდ გოგონები.

***მირორი***


## მომავლის ტექნოლოგიები

### უნიკალური ბიომოლეკულური ორგანოპრეპარატები

ამ პატარა სტატიით, ჩვენი სურვილია, გავაცნოთ საზოგადოებას ალტერნატიული მიმართულება ბიომედიცინაში ე.წ. ციტოპლაზმური თერაპია, ანუ მკურნალობის მეთოდი, სადაც გამოიყენება ბიომოლეკულური ორგანოპრეპარატები.

გერმანული ფირმის VitOrgan-ის (ვიტორგან-ის) პრეპარატების წარმოება ხორციელდება თანამედროვე მაღალტექნოლოგიური პრინციპით. ორგანოპრეპარატების დასამზადებლად მასალას იღებენ ჯანმრთელი ბალახისმჭამელი ცხოველების ორგანოებიდან ან მათი ემბრიონებიდან. ბიომოლეკულური მასის მიღება წარმოებს მხოლოდ უჯრედების ციტოპლაზმისგან. სახელდობრ, ციტოპლაზმა შეიცავს ყველა ბიოფაქტორს და ბიომოლეკულას (პროტეინებს, პეპტიდებს, მედიატორებს, ამინომჟავებს, ფერმენტებს, მიკროელემენტებს, ვიტამინებს, ზრდის ფაქტორებს და სხვა), რაც სრულიად არეკლავს შესაბამისი ემბრიონალური და ახალგაზრდა ჯანმრთელი ქსოვილის ბიოქიმიურ სპეციფიკას. პრეპარატებს არ ახასიათებს ალერგიული, პიროგენული და სხვა უარყოფითი თვისებები.

ბიომოლეკულურ ორგანოპრეპარატებს ახასიათებს უნიკალური თვისება — ორგანული ტროპიზმი, კუმულირება (დაგროვება) იმ ჰომოლოგიურ ორგანოში, რისგანაც დამზადებულია პრეპარატი. დაავადებული ღვიძლის სამკურნალოდ გამოიყენება ჯანმრთელი ღვიძლისგან დამზადებული პრეპარატი, დაავადებული გულის სამკურნალოდ — ჯანმრთელი გულისგან დამზადებული პრეპარატი, დაავადებული პროსტატის სამკურნალოდ — ჯანმრთელი პროსტატისაგან დამზადებული პრეპარატი და ა.შ. განვითარებული ფარმოკოლოგიური ეფექტების მექანიზმი მეტად რთულია და ამიტომაცაა, რომ ორგანოპრეპარატების ორგანოტროპულობის მექანიზმის აღმოჩენისათვის ამერიკელ ბიოქიმიკოსს გ. ბლობელს 1999 წელს მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინასა და ფიზიოლოგიაში.

ორგანოტროპულობის წყალობით ბიომოლეკულური ორგანოპრეპარატები ახდენენ ფიზიოლოგიური პროცესების ოპტიმიზირებას ავადმყოფის ჰომოლოგიურ ორგანოებში, რაც ხელს უწყობს ანთებითი მოვლენების მოხსნას, ახალგაზრდა ქსოვილების აღდგენას, პროლიფერაციული პათოლოგიური კერების გაწოვას, ანტიდეგენერაციული ეფექტების განვითარებას, სიმსივნური ზრდის დამუხრუჭებას, დაბერების და ატროფიული პროცესების შენელებას, საერთო გაახალგაზრდავებას და ორგანოების და ქსოვილების ნორმალური ფუნქციების აღდგენას.

ორგანოპრეპარატები იძლევიან უნიკალურ საშუალებას მთელი რიგი მძიმე, პირველი შეხედვით, თითქმის უკურნებელ სნეულებათა მკურნალობისათვის. მათი გამოყენება მეტად ეფექტურია ისეთი რთული პათოლოგიების მკურნალობისას, როგორიცაა:

- **საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებები** (ართრიტი, ართროზი, რევმატოიდული პოლიართრიტი, ოსტექონდროზი, მალთაშორისო დისკის თიაქარი, ოსტეოპოროზი და ა.შ.).
- **ფილტვების და ბრონქების დაავადებები** (ქრონიკული ბრონქიტი, პნევმონია, ალერგიული გამოვლინებები ბრონქფილტვების პათოლოგიაში და ა.შ.).
- **გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები** (ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადება, ვენოპათია და ა.შ.).
- **ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის დაავადებები** (ქრონიკული ჰეპატიტი B ან C, ღვიძლის ციროზი, ქოლეცისტიტი, ქოლანგიტი და ა.შ.).
- **კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები** (გასტრიტი, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კოლიტი და ა.შ.).
- **ენდოკრინული სისტემის დაავადებები** (სომატოტროპული უკმარისობა, ჰიპერთირეოზი, ჰიპოთირეოზი, კვანძოვანი ჩიყვი, ქრონიკული თირეოდიტი და ა.შ.).
- **შარდგამომყოფი სისტემის დაავადებები** (მწვავე და ქრონიკული პიელიტი, პიელონეფრიტი, ნეფროლითიაზი, ცისტიტი და ა.შ.)
- **რეპროდუქციული ორგანოების დაავადებები** (მამაკაცებში — ქრონიკული არასპეციფიკური პროსტატიტი, პროსტატის ადენომა, ეპიდიდიმიტი, სქესობრივი იმპოტენცია, უშვილობა ქალებში. ჰორმონალური დარღვევები, უშვილობა, პერიმენოპაუზა, ჰიპერპლასტიკური და დისტროფიკული დაავადებები და ა.შ.).
- **ნერვული სისტემის დაავადებები** (ენცეფალოპათია, ინსულტი და ინსულტშემდგომი მდგომარეობა, ვეგეტაციური დისტონია, ნეიროდეგენერაციული დაავადებები და ა.შ.).
- **ბავშვთა დაავადებები და განვითარების ანომალიები** (ატოპური დიათეზი, შარდგამომყოფი სისტემის ანომალიები (რეფლუქსი), სქესობრივი მომწიფების დარღვევა, იმუნოდეფიციტი და სხვა).
- **ონკოლოგიური ავადმყოფების რეაბილიტირება** ქიმიური, რადიოთერაპიული და ოპერაციების შემდგომ პერიოდში. კიბოს პალიატიური და ადიუვანტური მკურნალობა და ა.შ.

ორგანოპრეპარატებით მკურნალობა და მათი შეძენა ექიმის კონსულტაციის შემდგომ შეგიძლიათ თბილისში, ფირმა „ვიტორგანის“ წარმომადგენლობაში მისამართზე, ნუცუბიძის 2/24, ტელ/ფაქსი 39-50-53; 899-54-12-98

VitOrgan-ის ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში **მერაბ სიმონიშვილი**

R

# ვაშლი — წამალია



ვაშლი კურნავს სასუნთქი ორგანოების ყველა დაავადებას და ინფექციებს, ბრწყინვალე საშუალებაა ნერვული სისტემის აშლილობისას, აახალგაზრდავებს ორგანიზმს. ახალი ვაშლის პიურე კურნავს მწვავე და ქრონიკულ ბრონქიტს, ხველებას, რისთვისაც საჭიროა წვრილად დაჭრილ ვაშლს დაამატოთ ცოტა წყალი და 10 წუთი ხარშოთ ნელ ცეცხლზე. მიიღეთ 1-2 ს/კ თბილი პიურე დღეში 8-10-ჯერ. თუ დიდი ხანია გაწუხებთ ბროქიტი, მაშინ ვაშლის პიურეს დაამატეთ თითო ს/კ კარაქი და თაფლი. მშრალ ხველებას შველის შემწვარი ვაშლი. მწვავე და ქრონიკული ბრონქიტის დროს პროპორციით — 1:1:2 შეურიეთ ვაშლი, ხახვი და თაფლი და მიიღეთ. შეურიეთ ერთმანეთს 5 წილი გახეხილი ვაშლი, 6 წილი პირშუშხას ფესვები, 1 წილი გახეხილი სტაფილო, გემოვნებით დაამატეთ შაქარი, მარილი, და არაჟანი. სალათი სასარგებლოა ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროს, სასუნთქი ორგანოების გაცივებისა და ინფექციური დაავადებების დროს. 1 ს/კ ვაშლის კანის ფხვნილს, 1 ს/კ სელის თესლს, და 1-2 ჩ/კ თაფლს დაასხით 0,3 ლ წყალი და 10 წუთი ადუღეთ თავდახურულ ჭურჭელში. შემდეგ გაწურეთ და ასვით ნახარში ბავშვებს ანგინისა და ლარინგიტის დროს, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 5-10 წუთით ადრე. 1 ჩ/ჭ ანადუღარ, ოთახის ტემპერატურის წყალს დაამატეთ 1 ს/კ ვაშლის ძმარი და საათში ერთხელ გამოივლეთ ყელში. ვაშლის ფოთოლი C ვიტამინის უნიკალური წყაროა. ამიტომაც, მისგან დამზადებული ნაყენი სასარგებლოა სასუნთქი გზებისა და ორგანოებისთვის. მისი ფხვნილი კერძების ფასდაუდებელი საკამზია.

## ვიმკურნალოთ შინაური რეცეპტებით

*გაციებისას.* **1.** 1ჩ/ჭ ხახვის წვენს შეურიეთ 1/2 თაფლი და მიიღეთ ჭამამდე თითო ს/კ დღეში სამჯერ.

**2.** 50 გრ უმი კარტოფილის წვენი მიიღეთ 10 დღის განმავლობაში ჭამამდე 30 წუთით ადრე.

**3.** სვით ჟოლოს მურაბიანი ჩაი, ფოთლებისა და ტოტების ნაყენი. 1 ჩ/ჭ ფოთოლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააცხელეთ, 5 წუთის შემდეგ გადმოდგით, გააჩერეთ 1 სთ, სვით დღის განმავლობაში და ძილის წინ.

**4.** სურდოს შემთხვევაში, გაჭერით ერთი კბილი ნიორი ორად და ჩაიდეთ ორივე ნესტოში. დაცემინების შემდეგ, გაისუფთავეთ ნესტოები. პროცედურა გაიმეორეთ ორ-სამჯერ დღეში.

**5.** ხველების თავიდან ასაცილებლად 100 გრ კედრის წიპწიპოს დაუმატეთ 0,5 ლ თეთრი ნახევრად ტკბილი ღვინო და ადუღეთ 20 წუთი. მიიღეთ მეოთხედი ჭიქა 2-ჯერ დღეში (გამოჯანმრთელებამდე).

**6.** მზესუმზირა ხსნის დაღლილობას, ამშვიდებს. კარგია მისი მიღება ძილის წინ (ასევეა გოგრის თესლიც).

***მირ ნოვოსტეი №46***

## აცრა — ნარკომანიის წინააღმდეგ

მსოფლიოს ექიმები იტყობინებიან ძალიან საიმედო ამბავს — მალე ნარკომანიის წინააღმდეგ დაიწყება აცრა. მათ უკვე შექმნეს სპეციალური ვაქცინა, რომელიც ადამიანს ყველანაირ სურვილს უკარგავს, მოსწიოს ჰაშიში, მიიღოს კოკაინი თუ ნებისმიერი სახის ნარკოტიკი.

ასე რომ ახლო მომავალში ჯერ კიდევ სკოლებში, ჩვეულებრივ აცრებთან ერთად, ჩატარდება ნარკომანიის საწინააღმდეგო აცრა. ახალი ვაქცინა უკვე შეუყვანეს ვირთხებს, ახლა ნარკომანების ჯერია, შემდეგ კი ჯანმრთელებისა — პროფილაქტიკისთვის.

***ჯენტე***


**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

**შეიძინეთ!!! 95 ლარად**

- აპარატები
- ტესტ-ჩხირები
- ერთჯერადი ნემსები
- ავტომატური საჩხვლეტი



შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03
899-19-60-55



**ვმკურნალობთ ქრონიკულ პროსტატიტს**

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**



ჟურნალი მკურნალი

**თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის**



**პირველად საქართველოში!**

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: **99 64 99**
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
**ანონიმურობა დაცულია!**


**მცვივა თმა. გამოვიყენე უამრავი საშუალება მის შესაჩერებლად, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. რა უნდა იყოს ამის მიზეზი და როგორ მოვიქცე?**

***გ. კობახიძე, თბილისი***

## თმის ცვენის წინააღმდეგ



ქალებში თმის ცვენა, მამაკაცებისგან განსხვავებით, არ არის ლოკალური, თმა სცვივა მთლიანი თმის ზედაპირიდან. ქალებში თმის ცვენის მიზეზი განპირობებულია ჯანმრთელობის მდგომარეობით, ასევე გარეგანი ფაქტორების უარყოფითი გავლენით. ესენია: სტრესი, დაბინძურებული გარემო, სამედიცინო პრეპარატების უკონტროლო მიღება.

ჩვეულებრივ, დღე-ღამეში ადამიანი 100 ღერ თმას კარგავს. ნაწილი სცვივა დავარცხნის დროს, ასევე ისინი რჩება ტანსაცმელზე, ბალიშსა და ა.შ. ზოგიერთ ადამიანს თავზე 50 ათასი ღერი თმა აქვს, ზოგს კი 150 ათასი. აქედან გამომდინარე, თმის ცვენის განსაზღვრა ძალზე ინდივიდუალურია. თუმცა, არსებობს ასეთი მარტივი ტესტი. დაიჭირეთ 150-ოდე ღერი თმა და მოქაჩეთ, თუ 3 ღერზე მეტი შეგრჩათ ხელში, ე.ი. თმის ცვენა თქვენც აღგენიშნებათ.

**დროებითი თმის ცვენის** შესაჩერებლად და თავის ქავილის შესაწყვეტად:

— აურიეთ 1 ს/კ კონიაკი, 1 კვერცხის გული და 1 ს/კ თაფლი.. თუ სიმშრალე აღინიშნება, ნარევს დაუმატეთ მცენარეული ცხიმი და შეიზილეთ თმაში დაბანის წინ. ბოლოს თმაზე გადაივლეთ ცხელი წყალი, რომელშიც გაზავებული იქნება ნახევარი ლიმონი ან ძმარმჟავა.

— სალბის, ჭინჭრისა და ასფურცელას ნახარში გააჩერეთ 4 საათით. დაამატეთ უფერო ინა და დაბანის წინ შეიზილეთ თავის კანში.

— სუფრის მარილი კანიდან იწოვს ზედმეტ ცხიმს. ამიტომ ყოველდღიურად უნდა შეიზილოთ თმაში, ხოლო დაბანის წინ კი 4-ჯერადად.

— შეიზილეთ თმაში ხახვის წვენი. ის ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის გააქტიურებას და ანტისეპტიკურიცაა.

— თმის ცვენისას სჯობს გამოიყენოთ ჭინჭრის, გვირილის, მენთოლის შემცველი მასტიმულირებელი შამპუნები.

თუ გაქვთ ცხიმიანი თავის კანი და შელებილი, გამომშრალი თმა, დაიბანეთ ცხიმიანი თმის შამპუნით და შემდეგ წაისვით ბალზამი ან ემულსია. კანი — ცოცხალი სტრუქტურაა, თმა კი — გარქოვანებული, მკვდარი სტრუქტურა. თმის ცვენის დროს შეზღუდეთ თმის ლაქის, მუსებისა და გელების გამოყენება.

**ჰორმონული თმის ცვენა** განპირობებულია ჰორმონული პრეპარატების მიღების შეწყვეტით, რადგანაც ზოგიერთი მათგანი იდეალური ფონია თმის ზრდისათვის. მსგავს თმის ცვენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს აბორტის შემდეგ. ამ დროს თმის ცვენა ნახევარი წლის შემდეგ წყდება.

ორსულობის დროს თმა ძალზე კარგად იზრდება, მათი რაოდენობა 10%-ით მატულობს. პლაცენტის მოშორების შემდეგ კი „დოპინგი“ თმისთვის წყვეტს ფუნქციონირებას და შესაბამისად, ძლიერდება თმის ცვენაც.

**ანდროგენული თმის ცვენა** როგორც ცნობილია, ქალის ორგანიზმში არის მამაკაცური ჰორმონები — ანდროგენები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ თმის სიცოცხლის ციკლს. საკვერცხეებისა და მისი დანამატების დისფუნქციის დროს ორგანიზმში იმატებს ანდროგენების რაოდენობა.

ანდროგენული თმის ცვენა ვითარდება გენეტიკური განწყობის დროსაც. ამ დროს საჭიროა კვალიფიციური კონსულტაცია, დიაგნოზის ლაბორატორიული გამოკვლევებით დაზუსტება. ზოგჯერ მკურნალობისას ინიშნება ჰორმონალური პრეპარატები. ზოგჯერ ხერხდება თმის საფარვლის აღდგენა. კეთდება მიკროინიექციები ჰომეოპათიური, ვიტამინ-მინერალური ნივთიერებებით. არსებობს ანტისებორეული პრეპარატებიც.

თმის ცვენა შეიძლება დაკავშირებული იყოს მოდურ დიეტებთან. ცხიმოვანი ქსოვილი, ქალის ორგანიზმში, ჰორმონალურ ფუნქციას ასრულებს. თუ ქალი დიეტის საფუძველზე კარგავს წონის 10%-ს, ნორმალური წონის ფონზე ამას მოჰყვება ცილოვანი დეფიციტი და მინერალების დისბალანსი.

ბიოდანამატების და ვიტამინების მიღებამ შესაძლოა გააღრმავოს პრობლემა.

თმის ცვენა ხშირია რკინადეფიციტური ანემიის დროს, რაც ძალზე ხშირია ქალებში. ამ დროს საჭიროა 2-4 თვის მანძილზე რკინის შემცველი პრეპარატების მიღება.

თმის ცვენას უკავშირებენ კალციუმის რაოდენობის შემცირებას. მაგრამ კალციუმის დეფიციტი ჩვეულებრივია ძირითადად ქალებისათვის კლიმაქტერიულ ასაკში. კალციუმის მიღება მიზანშეწონილია D ვიტამინთან ერთად.

**თმის ხშირი დაბანა** — თმის დაბანის სიხშირე განისაზღვრება საჭიროების მიხედვით.

**თმის შეჭრა** — დიდ ეფექტს არ მოახდენს თმის ცვენის წინააღმდეგ. უბრალოდ, მოკლე თმა უფრო ხშირად ივარცხნება და ნაკლებად ტრავმირდება. ამასთანავე მუშაობს ფსიქოლოგიური ფაქტორიც — მოკლე თმის ცვენა არ ტოვებს ზოგადად თმის ცვენის შთაბეჭდილებას.

***მაია მუხიგული***

## თიხა — გამაახალგაზრდავებელი...



თიხა მდიდარია არა მარტო მინერალური მარილებით, მიკროელემენტებით და ძვირფასი მინერალებით, არამედ სამკურნალოცაა, ანტიბაქტერიულია, შველის კანის გაღიზიანებასა და ფერისმჭამელებს, ამდიდრებს კანს მინერალებით.

სამკურნალოდ ყველანაირი თიხის გამოყენება არ შეიძლება. სამკურნალო თიხა შეგიძლიათ შეიძინოთ აფთიაქებში.

არსებობს სხვადასხვა ხარისხისა და ფერის თიხა. ფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობის რკინასა და სპილენძს შეიცავს.

**თეთრი** თიხა შეიცავს ბევრ ალუმინს, რომელსაც ახასიათებს შემკვრელისა და გამომშრობის თვისება, ამიტომაც ის იდეალურია ცხიმიანი კანისთვის.

**მწვანე** — 49% შედგება სილიციუმისგან, რაც სისხლძარღვებს მატებს ელასტიკურობასა და ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას, ზრდის თმას (თავზე უნდა წაისვათ).

**ცისფერი** — არა მარტო ასუფთავებს კანს ფერისმჭამელებისგან, ათეთრებს, არამედ მატონიზებელიცაა. სალონებში ყველაზე ხშირად იყენებენ მას ცელულიტის წინააღმდეგ.

**წითელი** — მდიდარია სპილენძითა და რკინით. აუმჯობესებს კანის სისხლით მომარაგებას, შველის ალერგიას.

**თიხის ნიღაბი ასე უნდა გავიკეთოთ:** წყალში ან მაწონში გავხსნათ იმდენი თიხა, რომ მივიღოთ არაჟნისებური მასა, წავისვათ სახეზე (0,5 სმ-ის სისქეზე) და ჩამოვიბანოთ 15-20 წუთის შემდეგ.

**კომპრესი:** ბამბის ქსოვილზე ამოჭრით თვალების ადგილი, წაუსვით თიხა და დაიფინეთ სახეზე. როგორც კი თიხა დაიწყებს გაშრობას და კანი დაგეჭიმებათ, მოიშორეთ საფენი და დაიბანეთ პირი.

**თმის ზრდისთვის:** თმაზე ნახევარი საათით წაისვით მწვანე თიხა და დაიხურეთ პოლიეთილენის ქუდი.

***ოტდოხნი №41***


**NEW! გლუკოზამინი**

გლუკოზამინის ეფექტურობას განაპირობებენ მასში შემავალი ნატურალური კომპონენტები, რომლებიც რეკომენდებულია სახსრების დაავადებების დროს, ხოლო ამ კომპონენტების ერთ ფორმულაში გარკვეული თანაფარდობით თავმოყრამ თავის მხრივ განაპირობა გლუკოზამინის არნახული შედეგები.




სახსრების დაავადებების ყველა სხვა პრეპარატებისაგან განსხვავებით გლუკოზამინში შემავალი მცენარეული ბოჭკოები არ აღიზიანებს კუჭნაწლავს და არ არის საშიში ჰიპერტონიკებისათვის, აქედან გამომდინარე მისი მიღება შეიძლება ხანგრძლივად.

ვინაიდან გლუკოზამინი განეკუთვნება ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატების ჯგუფს, იგი ახდენს ზოგად გამაჯანსაღებელ ზემოქმედებას მთელს ორგანიზმზე.

- *საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს დაავადებულ სახსრებში და აუმჯობესებს მათ მოძრაობას.*
- *ამცირებს სახსრების ანთებას და მის თანმხლებ პროცესუალურ სიმპტომებს.*
- *ხელს უწყობს სახსრების ხრტილოვანი ნაწილის აღდგენას.*

**გლუკოზამინი — რთული პრობლემების იოლი გადაწყვეტა.**

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE
მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

# ეშინია თუ არა ჯორჯ ბუშს სოროსის მუქარის

აშშ-ის ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტ ბუშის მოსვლამდე მილიარდერი ჯორჯ სოროსი ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში მაინცდამაინც არ ერეოდა. არც დიდი თანხები შეუწირავს დემოკრატიული პარტიის ფონდში — სულ რამდენიმე ათასი დოლარი. 80-იანი წლების დასაწყისში ფინანსური მაქინაციებით ნაშოვნ ფულს აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიის განვითარებას ახმარდა — სპონსორობას უწევდა პოლონეთის „სოლიდარობას“, ჩეხ და საბჭოთა დისიდენტებს, 90-იანი წლების დამლევს კი აქტიურად ეხმარებოდა იუგოსლავიელებს მილოშევიჩის რეჟიმის დამხობაში. სოროსის მიერ დაფინანსებული ქართველი ოპოზიციონერები საქართველოში იუგოსლავიის ვარიანტის გამეორებას შეეცადნენ. სოროსის თქმით, იგი ამ ქვეყნებში ღია საზოგადოების იდეის რეალიზაციას ცდილობდა, სადაც სამართალი იზეიმებდა.



აშშ-ში ხელისუფლების სათავეში ჯორჯ ბუშისა და ნეოკონსერვატორების მოსვლის შემდეგ სოროსმა განაცხადა, — ნაცისტები მახსენდება, როცა მესმის ბუშის სიტყვები: „თქვენ ან ჩვენთან ხართ, ან ჩვენს წინააღმდეგ“. ნეოკონსერვატორთა ფილოსოფია, რაც თეთრი სახლის პოლიტიკას განსაზღვრავს, სოროსის შეხედულებებს ეწინააღმდეგება. ამერიკის ახლანდელ ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ მსოფლიოში დემოკრატიის მიღწევა შეიძლება ომის გზით დიქტატორების დამხობით და ხელისუფლების სათავეში პროამერიკული ხელისუფლების მოსვლით.

სოროსი ნეოკონსერვატორებს „ექსტრემისტების ბრბოს“ უწოდებს და მათ მსოფლიოში ანტიამერიკული განწყობილების ზრდაში ადანაშაულებს. სოროსს არ მოსწონს ბუშის ნათქვამი — ზეციური დანიშნულება მაქვსო, თუმცა თავად სოროსსაც ეწვევა ხოლმე მესიანური ფანტაზიები. ისე რომ, ორი მესია ვაშინგტონში აშკარად ვერ ეტევა.

სოროსი, რომლის ქონება 7-12 მლრდ-ია, აცხადებს, მზად ვარ, მთელი ჩემი ქონება იმას მოვახმარო, რომ ამერიკამ ბუში აღარ აირჩიოს პრეზიდენტადო. კერძო პირს ოფიციალურად საარჩევნო კამპანიაში 4 ათას დოლარზე მეტის ჩადება არ შეუძლია, მაგრამ სოროსი რისი სოროსია, თუ გამოსავალს ვერ იპოვის, იგი დააფინანსებს პარტიასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს, რომლებიც ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საარჩევნო კამპანიაში. სოროსი, რა თქმა უნდა, აამოქმედებს მისივე ფულით შექმნილ სამართალდამცავ და ებრაულ ორგანიზაციებსაც, რომლებიც უკვე მკაცრად აკრიტიკებენ პრეზიდენტს ერაყში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. სოროსმა ისიც თქვა — ბუშის ადმინისტრაცია, რომელიც ისლამის წინააღმდეგ იბრძვის, ანტისემიტიზმის ზრდაშია დამნაშავეო.

ეს ყველაფერი რომ რუსეთში ხდებოდეს, ხელისუფლება მის წინააღმდეგ გამოსულ ოლიგარქს ძალოვანთა ხელით გაუმკლავდებოდა, მაგრამ ჯორჯ ბუში ამის უფლებას თავს ვერ მისცემს, სოროსს ვერც გადასახადების გადაუხდელობაში ამხელს და ვერც ქვეყნიდან გააძევებს. ბუში დუმილს ამჯობინებს, არც სოროსის ფულისა ეშინია, რესპუბლიკელებს უკვე აქვთ სპონსორების შეწირული 135 მლნ დოლარი, დემოკრატებმა კი ჯერჯერობით 45 მლნ დოლარს მოუყარეს თავი.

***იტოგი №48***

## მოკლედ


საფრანგეთის სამხრეთი ატლანტიდად იქცა.

5 დღის განმავლობაში განუწყვეტლივ წვიმდა, დაინგრა დაბები, გაფუჭდა გზები, ათიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. წყალმა დაფარა ორი დიდი ქალაქი — მარსელი და მონპელიე. დაიღუპა 5 ადამიანი, საჭირო გახდა რამდენიმე ათასი ოჯახის ევაკუაცია. მარსელი უბედურების ზონად გამოცხადდა.

**აშშ**-ის ჩრდილოეთში დიდთოვლობამ ძალიან შეაფერხა ტრანსპორტის მოძრაობა. ქარბუქმა დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები, მოსახლეობა 15 საათით დარჩა უსინათლოდ. ნიუ-იორკის ქუჩებში 200 000 ტ მარილი დაყარეს, 1 700 მანქანა შეუჩერებლივ წმენდდა ქალაქის ქუჩებს.

**რუსეთის** ნავთობკონცერნ „იუკოსზე“ ზეწოლა ძლიერდება. მას სახელმწიფო, დამატებითი გადასახადისა და ჯარიმის სახით, 4,3 მლრდ ევროს სთხოვს. არ დადასტურდა ინფორმაცია, თითქოს საფინანსო უწყება 10 მლრდ დოლარს მოსთხოვდა „იუკოსს“, მაგრამ დასახელებული თანხაც კონცერნს მნიშვნელოვნად გააღარიბებს.

**ჩეჩნეთში**, ვედენოს რაიონის სოფელ მაჰკეტში, ფედერალურმა ძალებმა წინააღმდეგობის გაწევის დროს, გაანადგურეს შამილ ბასაევის ერთ-ერთი ბანდიტური დაჯგუფება — 8 ბოევიკი, მათ შორის, სოფლის ვაჰაბიტთა თავკაცი ი. ჯაბრაილოვი.

**სტავროპოლის** მხარეში, ესენტუკის მახლობლად, აფეთქდა ელექტრომატარებელი კისლოვოდსკი-მინვოდი. დაიღუპა 38 ადამიანი, 155 მძიმედ დაშავდა. სამართალდამცავების ვარაუდით, მატარებელი ქალმა-კამიკაძემ ააფეთქა. აფეთქებამ ვაგონი ორად გაგლიჯა. ნაპოვნია ტერორისტის გვამი.

**საფრანგეთს** გრიპის ეპიდემია მოედო. პარიზსა და მის შემოგარენში საავადმყოფოები გრიპიანებითაა სავსე, გარდაიცვალა ორი ბავშვი.

**აშშ**-ის ხმის ჩამწერმა ნაციონალურმა აკადემიამ Grammy-ის პრესტიჟული მუსიკალური პრემიის ნომინანტთა შორის დაასახელა ყოფილი საბჭოთა ლიდერი მიხაილ გორბაჩოვი. მან, ბილ კლინტონთან და სოფი ლორენთან ერთად, ჩაწერა ზღაპრის, „პეტიასა და მგლის“, ახალი ვერსია. მუსიკა ეკუთვნის ფრანგ კომპოზიტორს ჟან-პასკალ ბეინტუსს. გამარჯვებულებს გამოაცხადებენ 8 თებერვალს, ლოსანჯელესში, Grammy-ის გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე.

**ლატვიაში** დააპატიმრეს 25 წლის მამაკაცი, რომელსაც 30 ხნიერი ქალის მკვლელობაში ედება ბრალი. ექსპერტების თქმით, ლატვიის ისტორიაში ეს ყველაზე საზარელი, სერიული მკვლელია. მის გვარს არ ამხელენ. დამნაშავემ აღიარა, რომ თავს გაზის სისტემაში მომუშავედ ასაღებდა და ბინაში შესული ძარცვის მიზნით ახრჩობდა მოხუცებს, რომლებიც წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ.

**ერევანში** განაჩენი გამოუტანეს სომხეთის პარლამენტში 1999 წლის ოქტომბრის ტერაქტის მონაწილეებს. 6 ტერორისტს სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობა მიესაჯა, ერთს 14-წლიანი პატიმრობა. ბრალდებულებს დახვრეტა მხოლოდ იმიტომ არ მიუსაჯეს, რომ წლეულს, აპრილში სომხეთში სიკვდილით დასჯა აიკრძალა.

***რუბრიკა მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

## „კვირის პალიტრა“ თქვენი დახმარებით გახდება უფრო უკეთესი და საინტერესო

**გთავაზობთ ჩვენს ტრადიციულ კითხვარს. გთხოვთ, შეავსოთ და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით**

**წინასწარ მადლობას მოგახსენებთ დახმარებისათვის**

**1. თქვენი სქესი**
- ☐ ქალი
- ☐ კაცი

**2. ასაკი**
- ☐ 18 წლამდე
- ☐ 18-24
- ☐ 25-34
- ☐ 35-44
- ☐ 45-54
- ☐ 55-64
- ☐ 65 წელზე მეტი

**3. განათლება**
- ☐ არასრული საშუალო
- ☐ საშუალო/საშუალო სპეციალური
- ☐ არასრული უმაღლესი
- ☐ უმაღლესი
- ☐ სამეცნიერო ხარისხი

**4. ძირითადი სამუშაო, საქმიანობა**
- ☐ ხელმძღვანელი/მენეჯერი
- ☐ მოსამსახურე
- ☐ მუშა
- ☐ თვითდასაქმებული
- ☐ სტუდენტი/ასპირანტი
- ☐ მოსწავლე
- ☐ დროებით უმუშევარი
- ☐ დიასახლისი
- ☐ პენსიონერი

**5. რამდენ ლარს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?**
- ☐ 50 ლარამდე
- ☐ 50-200
- ☐ 200-700
- ☐ 700-1500
- ☐ 1500-ზე მეტი

**6. რამდენად ხშირად კითხულობთ „კვირის პალიტრას“?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**7. თქვენ გარდა რამდენი ადამიანი კითხულობს გაზეთის თქვენს ეგზემპლარს?**
- ☐ მხოლოდ მე
- ____ *(ჩაწერეთ რაოდენობა)* ადამიანი

**8. „კვირის პალიტრის“ გარდა, რომელ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობთ სისტემატურად?**
*(დაასახელეთ რიგითობის მიხედვით)*
1. ____
2. ____
3. ____

**9. რამდენად ხშირად კითხულობთ თქვენ მიერ I რიგში დასახელებულ სხვა გამოცემას?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**10. ზოგადად, რა სამი უმთავრესი ფაქტორია გადამწყვეტი თქვენთვის გაზეთის/ჟურნალის არჩევისას?**
- ☐ ფასი
- ☐ შეჩვევა
- ☐ სტატიების სიმძაფრე
- ☐ გვერდების რაოდენობა
- ☐ პოლიგრაფიული ხარისხი
- ☐ ოპერატიულობა
- ☐ დიზაინი
- ☐ ზომიერება
- ☐ მრავალფეროვნება
- ☐ იმიჯი
- ☐ ობიექტურობა/არატენდენციურობა

სხვა *(დაასახელეთ)* ____

**11. როგორ შეაფასებთ „კვირის პალიტრას“?**
- ☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უკეთესია
- ☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უარესია
- ☐ ჩვეულებრივია, ჰგავს სხვა გაზეთებს

**12. დაახლოებით, რამდენი ხანია, რაც „კვირის პალიტრას“ კითხულობთ?**
- ☐ ეს პირველი ნომერია
- ☐ 1-3 თვე
- ☐ 3-12 თვე
- ☐ 1-2 წელი
- ☐ 2-5 წელი
- ☐ დაარსებიდან

**13. როგორ ფიქრობთ, „კვირის პალიტრა“ ადრე უფრო საინტერესო იყო თუ ახლა?**
- ☐ ადრე უფრო საინტერესო იყო
- ☐ ახლა უფრო საინტერესოა
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**14. რომელ რუბრიკას კითხულობთ ყველაზე მეტი ინტერესით?**
____

**15. რომელი რუბრიკაა თქვენთვის ყველაზე ნაკლებად საინტერესო?**
____

**16. რა სიახლეს შესთავაზებდით „კვირის პალიტრას“?**
____
____
____

**17. მიუთითეთ ქალაქი (რაიონი, სოფელი), სადაც ცხოვრობთ**
____

☒ შესაბამისი უჯრა გადახაზეთ

*(ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. 36-ე გვერდზე)*

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

# თაღლითმა ჭირისუფალს 6.000 დოლარი დასცინცლა(?!)

## ქართველი პარტიზანების გმირობის დღემდე უცნობი დეტალები

***(დასაწყისი იხ. გვ. 12)***

**რაღას იზამდნენ, ხომ შეიძლება იგიც ქართველი მეომარი ყოფილიყო? გააპატიოსნეს, მცირე ქელეხი და პარაკლისიც გადაუხადეს და როგორც ადამიანს შეჰფერის, დაკრძალეს... თქვენ თუ გაქვთ ამ თაღლითების შესახებ ინფორმაცია?**

— სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ხშირია. ერთ-ერთი თაღლითი, ვინმე მკრტიჩიანი, ჩვენი კომისიის ხელშეწყობით დააკავა პოლიციამ. იგი აფხაზეთში დაღუპული ერთ-ერთი მეომრის ჭირისუფალს ნეშტის გადმოსვენებას ჰპირდებოდა. თაღლითი გაასამართლეს, მაგრამ გამოვიდა ციხიდან თუ არა, სამ დღეში გურიაში სხვა დაღუპულის ჭირისუფალი მოატყუა და 6.000 დოლარი დასცინცლა. როდესაც დაზარალებულმა პირის გამტეხს ზუგდიდში ჩააკითხა და შვილის ნეშტის გადმოსვენება მოსთხოვა, ისეთ დღეში ჩააგდეს, ძლივს გამოასწრო თაღლითებს ზუგდიდიდან.

ზოგჯერ ქართველი დამნაშავეები აფხაზეთში გადადიან, რომელიმე აფხაზს მოიტაცებენ და მერე გამოსასყიდს ითხოვენ. იმავეს აკეთებენ აფხაზი ბოევიკები და მიდის გაცხარებული ვაჭრობა მხარეებს შორის. მახსოვს, ერთი აფხაზი ბიჭი ომის დროს დაიკარგა (ჩემი აფხაზეთში ყოფნისას). მისმა ჭირისუფალმა საქართველოდან გაგზავნილი წერილი მაჩვენა, სადაც გამგზავნი ადრესატს ატყობინებდა, თუ 3.500 დოლარს გადაიხდიდა, შვილს საღსალამათს ჩაუყვანდნენ. ამ დროს თურმე ის აფხაზი რაღაც დანაშაულისათვის სასჯელს იხდიდა რუსეთში, რაც მისმა მშობლებმა არ იცოდნენ. მერე რუსმა სამართალდამცველებმა ქართველებს გადმოსცეს და გეგუთის კოლონიაში იხდიდა სასჯელს. გაათავისუფლეს თუ არა, ქართველმა სამართალდამცავებმა ისევ დაიჭირეს და დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რაიონის პოლიციის განყოფილების დროებითი დაკავების საკანში მოათავსეს (სანდო წყაროს ინფორმაციით, აფხაზი ხონის რაიონის პოლიციაში იყო დაკავებული. — ზ. ჩ.). პოლიციელები აფხაზისგან წერილის საშუალებით გამოსასყიდის მიღებას ცდილობდნენ. როდესაც ამ საქმით დავინტერესდი, ოფისში ორი უცნობი პირი მოვიდა და გამაფრთხილეს, — ამ საქმეს ნუ ჩაუღრმავდები. მიდი პოლიციის განყოფილებაში, უთხარი, ვინც ხარ და იმ აფხაზს ზედმეტი შეკითხვების გარეშე გამოგატანენო. ასეც მოვიქეცი და ის აფხაზი პატრონს ჩავაბარე... ასე რომ, ამ საქმეში არც პოლიციაა მთლად უცოდველი...

საუბარში სახელმწიფო კომისიის ერთ-ერთი თანამშრომელი **ალიბაბა** (ნამდვილი სახელია) **ჩადუნელი** ჩაგვერთო: „აფხაზები მხოლოდ მაშინ იძლევიან ჩვენი მეომრების გადმოსვენების უფლებას, როდესაც ჩვენ თუნდაც ერთ-ორ დაღუპული აფხაზის ნეშტს მოვიძიებთ. ქართველების მიერ დახვრეტილი აფხაზების სამარხი ადგილები მხოლოდ ზოგიერთ ვეტერანს ახსოვს. ერთ-ერთმა ვეტერანმა ერთი დახვრეტილი აფხაზის საფლავის ადგილმდებარეობა გაიხსენა. ჩვენ მას ხელშეუხებლობის გარანტია მივეცით და აფხაზეთში წავიყვანეთ, თან ბატონი ავთანდილ იოსელიანი გვახლდა. მართლაც, ნეშტი ვიპოვეთ და პატრონმა წაასვენა...

რაც შეეხება ტყვეებს, როგორც ქართულმა, ასევე აფხაზურმა მხარემ ომის შემდგომ 315 ტყვე გაცვალეს. საქართველოში 234 კაცი დაბრუნდა. და კიდევ, ჩვენი ინფორმაციით, ზოგიერთები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო, საქართველოში არ დაედგომებათ, აფხაზეთში გადადიან, სადაც ტყვედ აჰყავთ. ასეთები, ძირითადად, აზარტული თამაშის მოყვარულები (სასოწარკვეთილები) არიან. ისინი, რომლებმაც წაგებულის გადახდა ვერ შეძლეს. აფხაზეთში მათ უნდობლად ხვდებიან, ქართული უშიშროების შეგზავნილი ჰგონიათ და მათ გამოტეხას წამებით ცდილობენ.

ჩვენ დავუკავშირდით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, **დავით გვაძაბიასა** და მოადგილეს **გია გვაზავას**, რომლებმაც განაცხადეს: „პოლიტიკური თვალსაზრისით, სწორად არ მიგვაჩნია აფხაზეთში დაბადებული ქართველი მეომრების გადმოსვენება. აფხაზეთი ქართული მიწაა და, ადრე თუ გვიან, უნდა დავბრუნდეთ. აფხაზი სეპარატისტები ნიშნისმოგებით გაიძახიან, თავიანთი მიწა არ არის და იმიტომ მიჰყავთო. კარგად გვესმის შვილმკვდარი დედებისა, რომლებსაც შვილის საფლავზე უნდათ გულის მოოხება. ამიტომ არ ვეწინააღმდეგებით დაღუპულების გადმოსვენებას. რაც შეეხება ახლახან დაღუპულ ქართველ პარტიზანებს, თენგო ზარანდიასა და ბახვა კოპალიანს, ჩვენ მათი სახით ნამდვილი მამულიშვილები დავკარგეთ. ახლა ვამზადებთ დოკუმენტებს სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის ორდენზე მათ წარსადგენად. იმ თაღლითებს კი, რომლებიც ქართველი პარტიზანებისა და თუნდაც აფხაზი ბოევიკების ნეშტებით ვაჭრობენ, არ დავინდობთ“.

*P. S. აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილების ჭირისუფლებსა და მკითხველებს მინდა მოვუბოდიშო, ამ სტატიით მიყენებული ტკივილისთვის, მაგრამ პრობლემა არსებობს და მასზე თვალის დახუჭვა არაფერს გვარგებს. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ამ საქმის მოგვარებას. ვფიქრობთ, მასში სრული პროგრამით უნდა ჩაერთონ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც რატომღაც ამ პრობლემას მხოლოდ შორიდან ადევნებენ თვალს. მივცეთ დედებს გმირი შვილების დატირების საშუალება. სხვისი უბედურებით ხელის მოთბობის მსურველ თაღლითებს კი, ადრე თუ გვიან, პასუხი აუცილებლად მოეთხოვება.*

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# იარაღი კარგა ხანია დაურიგდა ხალხს...

გასულ კვირას აჭარის ავტონომიის პარლამენტმა რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. გაძლიერებულია საპასპორტო კონტროლი, მიმდინარეობს მობილიზაცია, ცენტრალურ საქართველოსთან ადმინისტრაციულ საზღვარს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები იცავს. ახლა საზღვარს ვერც ერთი შეიარაღებული ადამიანი, თვით მინისტრიც კი, ვერ გადალახავს. იარაღს იქვე ატოვებინებენ.

— როცა თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ბათუმში ჩამოვიდა, მასაც ჩააბარებინეთ იარაღი? — ვეკითხები საზღვრის დაცვის ცვლის უფროსს თამაზ მჟავანაძეს.

— მისმა დაცვამ ჩააბარა იარაღი, — იცინის თამაზი, — ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. თევზაძის ვიზიტის შესახებ ყველამ იცოდა. მინისტრები საზღვართან დახვდნენ და მერე ბათუმისკენ გაემგზავრნენ.



აჭარა შემოტევის მოსაგერიებლად ემზადება

ჩვენ განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ, იარაღის ჩაბარება აუცილებელია აჭარელი ხალხის დასაცავად. ჩვენ ომი არ გვინდა, მხოლოდ, ყოველი შემთხვევისათვის, თავს ვიზღვევთ.

...საზღვარზე რუსი გენერალი შევნიშნე, სამხრეები არ ეკეთა, ხაკისფერი აჭარული(*?!-რედ.*) სამხედრო ფორმა ეცვა. მომეჩვენა, რომ ეს ყველაფერი უკვე ნანახი მქონდა ჩეჩნეთში — ბლოკპოსტიც, გენერალიც... გენერალი განკარგულებებს წმინდა რუსულ ენაზე იძლეოდა. ის იყო, უკან გაყოლა დავაპირე, რომ ვიღაცამ ხელი ჩამავლო.

— ეს რუსი სამხედროა, მგონი, სადღაც მინახავს, — ვუთხარი ავტონომიის მეთაურის ადმინისტრაციის უფროსს, ნუგზარს.

— რას ამბობთ, ეს შეუძლებელია, — სიცილით მიპასუხა მან, — ჩვენ ათიათასკაციანი რუსული დიასპორა გვყავს.

ამასობაში, ავტონომიის მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი გელა გვარიშვილიც გაჩნდა, ასეთი ადამიანები ტყუილუბრალოდ ბლოკპოსტებზე არ მიდიან. რა ხდება-მეთქი, — ვკითხე. ჩვეულებრივი შემოწმებაა, თქვენ ხომ ყველაფერი წესრიგში გაქვთო, — მიპასუხა.

საზღვრის დატოვებამდე სამხედროებს ვკითხე, — პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი რომ აირჩიონ თუ დაემორჩილებით-მეთქი. მივხვდი, რომ ტყუილად ვკითხე. — გალიზიანებულებმა მიპასუხეს, — მიხეილ სააკაშვილი ჩვენი პრეზიდენტი არასოდეს იქნებაო...

— უნდა გენახათ, რა შეშინებული იყურებოდა, როცა პარლამენტში შემოდიოდა. ის არ არის ლიდერი, ის დამანგრეველია, — მეუბნება „მეორე კაცი აჭარაში", ასლან აბაშიძის მარჯვენა ხელი, პარლამენტარი ჯემალ გოგიტიძე, — იქადნებოდნენ, აჭარაში მეორე ფრონტს გავხსნითო. გვაქვს ინფორმაცია, რომ ჯგუფ-ჯგუფად აპირებენ აქ შემოსვლას, მაგრამ ჩვენ მზადყოფნაში ვართ. არ დავუშვებთ 1992 წლის მოვლენების განმეორებას.

— აჭარაში მობილიზაციაა გამოცხადებული, მაგრამ ოფიციალურად ამას არავინ ადასტურებს, რატომ?

— არავითარი მობილიზაცია არ მიდის, მაგრამ იარაღი დიდი ხანია დაურიგდა ხალხს. ხალხმა თავის დაცვა უნდა იცოდეს.

— აბაშიძე რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმებას ითხოვს; ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ აჭარა, ნაციონალისტების ბლოკის გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოს შემადგენლობიდან გავა?

— არა. აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

კითხვაზე — რას იზამს აჭარა, თუ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდება, პარლამენტარმა პირდაპირი პასუხი არ გამცა. თუ საქართველოდან გასვლას არ აპირებენ და არც ახალ მთავრობასა და პრეზიდენტს არ დაემორჩილებიან, ხომ უნდა არსებობდეს მესამე ვარიანტი. ამ ვარიანტზე ბატონმა გოგიტიძემ მხოლოდ მინიშნება გააკეთა: — როცა გამსახურდია დაამხეს, მაშინაც არ ვაღიარებდით ახალ ხელისუფლებას, მერე შევარდნაძე მოვიდა. ის ჩვენი პრეზიდენტი იყო! მე არ დავაზუსტე, რას გულისხმობდა პარლამენტარი. ამაზე მხოლოდ იმ კაცს შეუძლია პასუხის გაცემა, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა მოსკოვში.

***იბეჭდება შემოკლებით***
***კომერსანტი №222***
***ოლგა ალენოვა***

# ბორის ბერეზოვსკი: — ბადრი მომენატრა...

*კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ პოლიტიკური მიზნები არ გქონდათ, მაშ რა გინდოდათ საქართველოშიო, ბერეზოვსკიმ უპასუხა, — ჩემი მეგობარი ბადრი და საქართველო მომენატრაო.*

**— რაღა ამ გაუგებრობის დროს მოინდომეთ მეგობრის მონახულება?**

— რატომ გაუგებრობის, საქართველოს ჰყავს ხელისუფლება — პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, სახელმწიფო მინისტრი... მაგრამ მე პოლიტიკურ ნიუანსებში გასარკვევად არ ჩავსულვარ. უბრალოდ, მაინტერესებდა საერთო მდგომარეობა. ახლა სურათი ჩემთვის სრულიად ნათელია. თუ საქართველოს ახალი ხელმძღვანელი არ მოიქცევა ისე, როგორც იქცევა პუტინი, იქნება კონსტიტუციის ერთგული, არ დაუწყებს დევნას იმ ხალხს, ვინც შევარდნაძესთან ერთად გაიარა მძიმე და ძნელი გზა, პოლიტიკური პროცესი ნორმალურად წარიმართება.

**— როგორ შეაფასებდით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, იგორ ივანოვის ვიზიტს საქართველოში, რომელმაც შესაძლოა, ხელი შეუწყო კრიზისის მომენტში სისხლის ღვრის თავიდან აცილებას?**

— შედეგების თვალსაზრისით, მისი ვიზიტი დადებითი იყო. არა მგონია, მხოლოდ მისმა ვიზიტმა ააცილა საქართველოს სისხლის ღვრა. ნამდვილად სასარგებლო იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთის ყველა ნაბიჯი სწორია. მაგალითად, აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მიცემა მაშინ, როცა საქართველო ამ მდგომარეობაშია, ყველა საერთაშორისო ნორმას არღვევს, ამ სამი რეგიონიდან ანტიქართული ბლოკის შექმნის მცდელობა — საქართველოსაც ვნებს და, სხვათა შორის, რუსეთსაც. ეს ხელს უხსნის თბილისს, საქართველოს მოქალაქეობა მისცეს ჩეჩნებს.

**— ბადრი ვის უჭერს მხარს საქართველოში?**

— დღეს ის პოლიტიკაში არ ერევა. ერთადერთი, რაც აღელვებს, ისაა, რომ ქვეყანამ როგორმე თავიდან აიცილოს სამოქალაქო ომი.

**— რაიმე ხომ არ იცით საქართველოს ტერიტორიაზე ან აფხაზეთში იგორ გიორგაძის გამოჩენის შესახებ?**

— არაფერი. საუბრის დროს, ბადრის ეს გვარი არ უხსენებია.

**— თქვენი აზრით, აქვს თუ არა იგორ გიორგაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი?**

— არა მგონია.

***ერემია ნოვოსტეი***

# იგორ გიორგაძე: ვიღაცის ჯიბრზე რაღაცის აშენებას საქართველოში მე არ დავუშვებ. „ვარდების რევოლუციას" „ჭინჭრის რევოლუცია" შეცვლის

საქართველოს ყოფილი უშიშროების მინისტრის იგორ გიორგაძის გვარი პრეზიდენტის პოსტის მაძიებელთა ნუსხაშია. სატელეფონო ინტერვიუში იგორ გიორგაძემ საქართველოში წინასაარჩევნო სიტუაციაზე ისაუბრა.

**— რას წარმოადგენენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ?**

— საქართველოში მოხდა ხელისუფლების ერთი ხელიდან მეორეში გადაცემა — შევარდნაძემ თავის მოწაფეებს ჩააბარა სადავეები. სხვათა შორის, ჯერ არავის უნახავს ოფიციალური დოკუმენტი შევარდნაძის გადადგომის შესახებ. თუ მოწაფეების საქციელი არ მოეწონა, რაღაცას მაინც მოიმოქმედებს.

**— როგორ მიიღეს საქართველოში არჩევნებში თქვენი მონაწილეობის სურვილი?**

— მოსკოვის პრესაშიც კი გააჩაღეს ჩემი საწინააღმდეგო კამპანია. ჟვანია ბანდიტს, ტერორისტს მიწოდებს, საქართველოს ტერიტორიაზე ჩემს შესვლას კრძალავს. ბატონებო, ასე არ შეიძლება. მე ხომ სასამართლომ გამამართლა. არც ერთი ჩვენება არ არის ჩემს წინააღმდეგ. ხელისუფლებაში მყოფთ ვურჩევ, გონს მოეგონ, კანონიერება დაიცვან და წინ არ აღუდგნენ ჩემს მონაწილეობას არჩევნებში. ვაფრთხილებ: ყოველ ქმედებას უკუქმედება მოსდევს!

**— ეს განცხადება იმას ნიშნავს, რომ თქვენ ძალისმიერ მეთოდებსაც გამოიყენებთ?**

— ლაპარაკია მხოლოდ ადეკვატურ ზომებზე. რვაწლიანი პოლიტიკური დევნილობის პერიოდში არასოდეს მიცდია და არც ვაპირებ ვცადო კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოებიდან გასვლა. მაგრამ თუ ჩემ მიმართ რაიმე უკანონო ქმედება განახორციელეს, ღმერთმა ნუ ქნას, ძალისმიერი (ამაზე უკვე განაცხადეს ბურჯანაძემ და სააკაშვილმა), ვაფრთხილებ — პასუხი შესაბამისი იქნება!

**— რატომ არ მოხვდა ბურჯანაძე პრეზიდენტობის კანდიდატთა სიაში?**

— ჩემი ინფორმაციით, სააკაშვილი კომპრომისზე არ წავიდა. როცა ბურჯანაძის კანდიდატურაზე ალაპარაკდნენ, მან მიტინგებით დააშინა ყველა. მოსალოდნელ მოვლენებზე ჩემთვის რამდენიმე სცენარია ცნობილი. ორი მათგანი შეიძლება გაგაცნოთ. პირველი სცენარით, იგეგმება სააკაშვილის ფიზიკური განადგურება: იწმინდება გზა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე გაწონასწორებული, უფრო პროგნოზირებადი პიროვნების მოსასვლელად. წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ მერე ყველაფერი „რუსეთის რეაქციულ ძალებს" — თქვენს მონა-მორჩილს დაჰბრალდება.

მეორე სცენარით, ფალსიფიცირებული, ფაციფუცით ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, სააკაშვილს ერის მამად გამოაცხადებენ, 25 იანვარს კი საპარლამენტო არჩევნებზე ჟვანია-ბურჯანაძის ბლოკი გაიმარჯვებს. მიიღებენ კონსტიტუციურ ცვლილებებს. საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა გახდება. სააკაშვილი კმაყოფილი დარჩება იმით, რომ პრეზიდენტია, მართვის რეალურ ბერკეტებს კი პრემიერ-მინისტრი იგდებს ხელთ. ვინ იქნება ის, უკვე ცნობილია — ჟვანია. ერთი სიტყვით, ყველა კმაყოფილი რჩება.

**— როგორია თქვენი წინასაარჩევნო პროგრამა?**

— ამას მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ ვიტყვი. თუ პრეზიდენტად ამირჩევენ, ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან იქნება არა მარტო პრიორიტეტული და პარტნიორული, არამედ ურთიერთსასარგებლო და ძმური.

**— როგორი იქნება ნავთობსადენის ბედი. ეს ხომ ამერიკელებსაც აღელვებთ?**

— თუ პრეზიდენტის კაბინეტში მოლაპარაკების მაგიდასთან ერთი მხრიდან მე ვიქნები და მეორედან ამერიკელები, მესამე მხარე აუცილებლად რუსეთი იქნება. თუ რუსეთმა და ამერიკამ საერთო ენა გამონახეს ნავთობსადენის მშენებლობის საკითხში — კეთილი იყოს მათი მობრძანება საქართველოში. მაგრამ ვიღაცის ჯიბრზე რაღაცის აშენებას საქართველოს ტერიტორიაზე მე არ დავუშვებ!

**— როგორ მოგვარდება ურთიერთობა აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან, აჭარასთან?**

— ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტების და იმ არასტაბილური სიტუაციის, რომელიც ახლა აჭარასთან იკვეთება, მოგვარება არც ისე იოლია. ეს იმან უნდა გააკეთოს, ვისაც ამის მორალური უფლება აქვს. სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანია ამ საკითხის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარებას მოითხოვენ. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა საქართველოს დაქუცმაცებას და შემდგომში მის გაქრობას ნიშნავს.

***როსიისკაია გაზეტა***
***იბეჭდება შემოკლებით***

***რუბრიკა მოამზადა***
***თინათინ მარგველაშვილმა***








შპს „გეოკორი" აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად



მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო"
libco Company LTD
ალმაშენებლის №99/1 ☎96-32-89

„ტრანსფრონტირ" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაძვის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: ფერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 6 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1770 |
| ევრო | 2,6283 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,7481 |
| რუსული რუბლი | 0,0735 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4993 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## გენიოსი შაბირა



ხაშურის რაიონის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობს შაბირა, რომელსაც ზოგჯერ გენიოსსაც ვეძახით იმ ორიგინალური „მიხვედრილობის“ გამო, რომლითაც ხშირად გვახალისებს:

ერთხელაც ძმაკაცებს ასეთ შეკითხვას გვისვამს, — გამაგებინეთ ერთი, ვინ არის ეს მედიცინიო... ბუნებრივია, გაოცებისგან პირი დავაღეთ, ნეტავ, რა აინტერესებსო. გაურკვევლობიდან ისევ შაბირამ გამოგვიყვანა: — ბიჭო, გაზეთში ვნახე გადასარევი ფოტოსურათი, ბევრი ლამაზი, თეთრებში ჩაცმული ქალი იყო და ქვეშ ეწერა — მედიცინის დები. მაინტერესებს, ვინ იყო ეს მედიცინი, ამდენი ლამაზი და რომ ჰყოლიაო...

ერთხელ კიდევ, რომელიღაც ჟურნალში წაუკითხავს, სეზანის ტილო მოიპარესო. მოვიდა და ისევ ინტერესით იკითხა, ვინ იყო სეზანიო? შაბირას აუხსნეს, რომ პოლ სეზანი მხატვარი იყო და მისი ნახატები მილიონი ღირდა. გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა, მერე ნახატი ვერ წაიღეს?! — ტილო რა მოსაპარი იყოო!..

***ხაშურელი***

## ხუმრობენ... პოეტები



მუხრან მაჭავარიანი ბულგარეთში მიავლინეს იქაური პოეზიის ანთოლოგიის სათარგმნელად.

— კი მაგრამ, მუხრანმა ბულგარული ენის ინჩიბინჩი რომ არ იცის?! — იკითხა ერთმა მწერალმა.

— მუხრანმა რომ რუსული იცის, ე, სწორედ ის არის ბულგარული! — „დაამშვიდა“ იგი ტარიელ ჭანტურიამ.

***„მემატიანე“***

## ვის რას „აბრალებენ!..“



ვახტანგ ტატიშვილი უკუღმა ატრიალებს პორნოფილმს.

— რატომ ატრიალებ უკუღმა? — დაინტერესდა მისი მეგობარი.

— მაგარი საყურებელია: როგორ უბრუნებს ბოზი ფულს კლიენტს!

***გურული***

## აგია საქმე?!

ოზურგეთის რაიონის სოფელ მთისპირში ცხოვრობს სიმონა მეგრელაძე, რომელსაც 8 გოგო ჰყავს, იქვე ახლო მეზობელს, ატუია მჟავანაძეს კი მისი გულის გასახეთქად — 6 ბიჭი.

სიმონას ერთი ულაყი ჰყავდა, რომლითაც ძალიან მოჰქონდა თავი. ატუიასთვისაც ბევრჯერ უთქვამს, ჩემისთანა ცხენი ამ არემარეზე არავის ჰყავსო.

ამ სიტყვებს განსაკუთრებული პათოსით მაშინ ამბობდა, როცა ატუია თავისი ვაჟკაცების ქებას მოჰყვებოდა, — ლომებივით ბიჭები მყავსო.



ერთ მშვენიერ დღეს კი სიმონას დაუჭერია თავისი ცხენის აღვირი ხელში და მიუძღვის წინ.

— კი მარა, სა მიხვალ ან ეს ულაყი სად მიგყავსო?! — დაინტერესდა ატუია.

— რავა სა მივალ! დიდი უბუდური გამომადგა ეს უპატრონო, ზურგზე აღარ მისვამს, დავკოდავ და მდიოს მერე კუდში!.. — გული გადაუშალა მეზობელს სიმონამ, რომელიც ლამის გაეგიჟებინა გადარეულ ცხენს.

— აგია საქმე? — „თანაუგრძნო“ 8 გოგოს პატრონს ატუიამ, — სახლში აფერს აჩერებ ხომ მამალს?!

***დათო ს, ოზურგეთი***

## მომილოცე, ბებია!..



გვარიანად შექიკჭიკებულმა კოლია გენძეხაძემ დაიჟინა, ბებია უნდა მოვინახულო სოფელ ლაშეშიო და ველარ გადაათქმევინეს. დაიქირავა ერთი დაფახფახებული „ჟიგული“ და ერთ საათში ბებიას ჭიშკარს მიადგა. ერთადერთი ოცლარიანი ჰქონდა, ამოიღო, მიაწოდა მძღოლს და ელოდება ხურდას. მძღოლმა ფული ჯიბეში ჩაიდო, მაგრამ რომ ნახა, კლიენტი წასვლას არ აპირებდა, თვითონ გადავიდა მანქანიდან. მოსწყინდება და წავა, აბა, რას იზამსო! ბუჩქებს მოეფარა და დაელოდა. კოლიამ იცადა, იცადა და მძღოლი რომ აღარ მოვიდა, რიხიანად დაიძახა:

— გამოდი, პელაგო ბებია და გამიღე ჭიშკარი. მაშინა ვიყიდე, მაშინა!..

## კიდო კაი!...



ბოლომდე ვის რა შერჩენია და საწყობის გამგეს, გრიგოლ იობიძესაც დაეცა რევიზია (ერთი 20-25 წლის წინანდელ ამბავს გიყვებით). რომ იტყვიან, „გასკვანჩეს“ და მიუსაჯეს სამი წელი (ცოტა „იხლაფორთა“, თორემ 7-წლიან მუხლს უყენებდნენ).

ცოლ-შვილი და სამეგობრო უყურადღებოდ როგორ დატოვებდა ძმაკაცების მოყვარულ და მოქეიფე გრიგოლს და უგზავნიდნენ ციხეში პურმარილს... მაგრამ რად გინდა? ციხეს თავისი კანონები აქვს! პურმარილი პირდაპირ „გლავარებს“ უვარდებოდა ხელში და მერე საფეხურების მიხედვით ნაწილდებოდა. გრიგოლს ხანდახან ერთი ნაჭერი ხაჭაპურიც (ნამეტანი უყვარდა ხაჭაპური) არ ხვდებოდა მის სახელზე შემოგზავნილი ხორაგიდან. ამ „კამპანიამ“ სისტემატური ხასიათი რომ მიიღო, გრიგოლმა ზედამხედველის გასაგონად წაიბუტბუტა:

— კიდო კაი, რევიზია რო დამეცა, თვარა ხო დაწყდებოდა ეს პატიოსანი ხალხი შიმშილით?!

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## „დამსახურებული“ სახალხო მთქმელი

სოფელ ფცაში ცხოვრობდა სახალხო მთქმელი — ლექსო აბაიშვილი. ხალხს უყვარდა მისი შაირები, კაფიები და ლექსები, მაგრამ ზოგჯერ ნათქვამში მწარე, უცენზურო სიტყვასაც გამოურევდა ხოლმე. ამიტომ თანასოფლელები მასთან შეკამათებას ერიდებოდნენ, რომ მის ყბაში არ ჩავარდნილიყვნენ.

ერთხელ გზაზე, სოფლის თავმჯდომარეს დედაკაცები შემოხვეოდნენ და ცხარედ ეკამათებოდნენ.

— შარშან რომ დაგვპირდი, ჯერ ის გადაგვიხადე და სამუშაოდ მერე წამოვალთ! — კაპასობდნენ ქალები.

ამ დროს გზაზე ლექსომ გამოიარა. თავმჯდომარემ თავი წყალწაღებულად ჩათვალა, ხოლო ლექსო ხავსად წარმოიდგინა და შეჰღაღადა:

— არიქა, ლექსო, შენი ჭირიმე, ერთი ამ ქალებს შენებურად უთხარი რამე, თორემ სამუშაოდ არ მომყვებიან!

ლექსოს გულწრფელად შეეცოდა თავმჯდომარე და თავი გაწირა მისთვის. არადა, ხომ შეიძლებოდა დედაკაცებში ვინმე აშარი აღმოჩენილიყო და ლექსო გვარიანად გამოელანძღა უხეში სიტყვებისთვის. მაგრამ თავმჯდომარე სთხოვდა და უკან დახევა აღარ შეიძლებოდა:

ლექსომ ქალები გადათვალა და ძალზე რადიკალური ლექსით მიმართა მოყაყანეებს:

*გზაზე ქალები მიდიან,*
*ერთი აკლია რვასაო,*
*რომელიც უკან დარჩება,*
*იმას დავუწყებ ...ო!*



ნათქვამმა „მიზანს“ მიაღწია. ქალებმა ერთი კი შეჰკივლეს, უიმეო და სირბილით გავარდნენ გზაზე. სასწრაფოდ აირბინეს აღმართი და მინდორში გაუჩინარდნენ.

თავმჯდომარემ მაგრად ჩამოართვა ხელი ლექსოს და იქვე მდგომ ბრიგადირს უბრძანა:

— დღეს ლექსოს ერთი შრომადღე დაუწერე, ალალია მაგაზე!

***ტარიელ მარგველაშვილი, თბილისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



— ბებია, მომეცი ერთი ლარი, მასწავლებელმა ყვავილები დაგვაბარა და ფულს ვაგროვებთ!..

— სა მაქ ბებია ერთი ლარი, რამდენი ხანია პენსია არ ამიღია, ნახევარი კილო შაქარი ვერ მიყიდია, ჩაი რომ დავლიო. ჩადი ბაღჩაში და ზაფრანი წეიღე. ყვავილზე უფრო ლამაზიცაა და რომ გახმება, წამეიღე უკან, ლობიას ვუზამ!..

***კაკო ზამბახიძე, თბილისი***

— ჭიჭიკია! სამი თვის წინ ფული რომ გასესხე, დაბრუნებას როის აპირებ? ნამუსი აღარ გაქ?

— ბიჭო, ნამუსი კი მაქ, მარა ფული არა. სად გინახავს ჩვენს დროში, კაცს ნამუსიც ჰქონდეს და ფულიც? ჰოდა, ორივე ერთად რომ მექნება, ვალსაც მერე დაგიბრუნებ.

***ნიაზი, თბილისი***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

C M Y K

## მილოცვა

სააგენტო „დეტექტივის“ დირექტორს, კარგ ქართველს, მებრძოლსა და ბოლოს ჩვენს ძმას, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკს

**გურამ წერეთელს!**

*„დაიბადე – გაუხარდათ,*
*ვიცით, „ზა-პიისიატსაც“*
*ურტყამ,*
*იცოცხლ-იბედნ-იდღეგრძელე,*
*ვიდრე ასსაც არ დაურტყამ!“*

სინდისის ქეჯნით – ცოტა მოგვიანებით გილოცავთ დაბადების დღეს („ზატო“ წინასწარ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს!). გაგიმარჯოს და გადღეგრძელოს ღმერთმა შენი ოჯახით, უზომოდ საყვარელ ჩვენს სამშობლოსთან და ერთან ერთად!!!

*„ძველი“ თანამშრომლები „უხილავი ფრონტიდან“ – თამარ ციციშვილი, ჯაბა გელოვანი, ზანდა იოსელიანი, გვარამ ბარამიძე*

## ბინები

იყიდება დიღმის მასივში, კარგ ადგილას, 2-სართულიანი, 200 კვმ სასარგებლო ფართის, კაპიტალურად ნაგები შენობა, სადაც ფუნქციონირებს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასადილო და პურის საცხობი. შენობას აქვს ავტოფარეხი, აბანო (2-ნომრიანი), ტელეფონი, გაფართოების (მიშენება-დაშენების) კარგი პერსპექტივა. ტელ: 52-68-51 (საღამოს); 899 55-67-67

## ქირავდება

ავტოგასამართი სადგური ალმაშენებლის მე-14 კმ-ზე. ტელ: 59-51-55; 899 55-43-17

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 37-86-15; 893 33-18-86

გვესაჭიროება თერაპევტი, ონკოლოგი, კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი სამედიცინო კონსულტანტის თანამდებობაზე. ჩაწერა გასაუბრებით. ტელ: 64-63-40; 893 28-25-59

სასწრაფოდ! მეწარმეს რუსეთიდან ესაჭიროება რუსული ენის მცოდნე პირები, 20 წლის ზემოთ, ბიზნესის ორგანიზაციისა და მმართველობისათვის. ტელ: 30-57-59; 893 25-10-54

## ვეძებ სამუშაოს

ვარ უმაღლესი განათლებით ეკონომისტი-ბუღალტერი, 10 წლის სტაჟით, დახასიათებით. ტელ: 73-09-04

## მომსახურება

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველივე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37{,}2^{0}C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03.

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი“. ტელ: 91-18-33; 877 41-50-30

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

პირველად საქართველოში! აკადემიკოს ვ.ა. ლიხარიოვის მეთოდით: ნევროზი, უძილობა, შიშები, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, სახსრების მარილოვანი დაავადებები, ასთმა, ალერგია, ჩიყვი, ენურეზი, სოკო, ფსორიაზი, პრობლემური კლიმაქსი, დიაბეტი, კუჭის წყლული. ტელ. 99-75-90 (დღისით); 899 21-13-66. ლალი

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს: უნებლიე შარდვას, ყურებში შუილს, პროსტატიტს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ჰეპატოქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს, აშორებს მეჭეჭებს; სექსუალური დარღვევა; ელექტროკარდიოგრამა; ექოსკოპია; სქესის დადგენა. მის: ალმაშენებლის გამზ. №93 (მ. „მარჯანიშვილთან“). ტელ: 96-38-27

ალერგია! გთავაზობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით შემდეგი დაავადებების მკურნალობას: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს ტიპის შეშუპება, ალერგიული დერმატიტი, საუკეთესი შედეგებით. მის: რკინიგზის საავადმყოფო (ვაგზალთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ). ექიმი ჯულიეტა. ტელ: 899 22-26-37

ქალბატონებო და ბატონებო! ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული პრობლემების მოგვარება – შაქრიანი დიაბეტი (ინსულინდამოკიდებული და ინსულინდამოუკიდებელი) და მათი გართულებები – მხედველობის, სისხლის მიმოქცევის დარღვევები, განგრენა, ჩიყვი, ციროზი, ჰეპატიტი, სიმსუქნე, ზრდაში ჩამორჩენა, მხოლოდ უნიკალური მცენარეული საშუალებებით. ტელ: 96-62-58; 899 14-64-95

არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ევლინა ლოლაძე* მუშაობისას მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ევლინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

## იყიდება

საკარმიდამო მიწის ნაკვეთები დიდ დიღომში, მშენებარე უბანში, გზასთან ახლოს. გაყვანილია კანალიზაცია და წყალი, ცენტრალური გზიდან მე-2 ზოლში და დიდი დიღმის დასაწყისში, მე-3 ზოლში. ტელ: 53-20-10; 899 19-33-66

ახალი ფაქსი „პანასონიკი“. ფასი $130. ტ.: 37-99-11; 8-99-72-59-72

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-12სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ვარდები, მოცხარი, ჟოლო, იასამანი, იუკა, კვიპაროსი, კედარი, ფიჭვი, ცაცხვი, ტირიფი, ჟასმინი, ტუია, ლუგუსტრუმი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობა თბილისის ზღვასთან. ტელ: 69-97-05; 899 16-93-15

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი“, 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.


რას გადაიხდით საკუთარ წარმატებაში?

გრანდიოზული ფასდაკლება!



რეკლამა „სიტყვა და საქმეში“

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 გამოქვეყნება | -20% | 25 გამოქვეყნება | -40% |
| 10 გამოქვეყნება | -25% | 30 გამოქვეყნება | -45% |
| 15 გამოქვეყნება | -30% | 35 გამოქვეყნება | -50% + უფასო დამზადება |
| 20 გამოქვეყნება | -35% | | |

☎ 33-78-07

გაზარდეთ თქვენი შესაძლებლობები!



სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი“

მეზოთერაპია – გზა მშვენიერებისაკენ

ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
მეზოთერაპია
მკერდის კორექცია
კონტურული პლასტიკა
ეპილაცია
ყურების კორექცია
ულტრაბგერითი ლიპოსაქცია

- ცელულიტის მკურნალობა;
- აკნეს და კანზე არსებული სხვა გამონაყარის მკურნალობა;
- სტრიების კორექცია;
- კანის ფერის, ტონუსისა და ტურგორის გაუმჯობესება;
- ნაოჭების გასწორება და სახის ოვალის აღდგენა;
- პიგმენტური ლაქების მოცილება.

კოსტავას 63, ტელ: 212-312, 364-464



NEW!

სუპერ ლიზინ+ – გამოვუცხადოთ დაუმორჩილებლობა ვირუსებს ! ! !

ჰერპესი. ჰერპეს ზოსტერი. ჰერპეს სიმპლექსი

ჰერპესის ინფექციისაგან სრულიად განკურნება მსოფლიოს მედიკოსთა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. როდესაც ჰერპესი კლინიკურად ვლინდება მას თან ახლავს ზოგადი სისუსტე, მადის დაქვეითება, გამონაყარი, ტემპერატურის მატება, ტანში ტეხვის შეგრძნება, აღგზნებადობა და უძილობა.




ჰერპესის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო მცენარეულ პრეპარატს "სუპერ ლიზინი+", რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხოლო ძლიერი იმუნური სისტემა დაგიცავთ ამ ვირუსისაგან.

სუპერ ლიზინი+ წარმოდგენილია აბების, კრემისა და ტუჩის საცხის სახით, რაც აადვილებს როგორც ვირუსის აქტივობის დაქვეითებას სისხლში, ასევე ადგილობრივ მკურნალობას.

სუპერ ლიზინი+ გაგიძლიერებთ იმუნურ სისტემას, დაგიცავთ ვირუსებისა და შემაწუხებელი ჰერპესისაგან.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

## ბუთხუზ მანტუას მონატრება



უკვე მერამდენე დეკემბერს ვხვდებით უშენოდ. უდროოდ წახვედი ჩვენგან და უზომოდ გვატკინე გული, დაგვიტოვე ამოუვსები სიცარიელე, მოუშუშებელი ტკივილი. გვიჭირს უშენობა, გვენატრები, ძალიან გვენატრები — შენს მეგობრებს, შენს საძმაკაცოს. ძალიან გვაკლიხარ, უღალატო მეგობარო, ნათელო, კეთილო და კაცურო კაცო. ლამაზი ბიჭი წახვედი ჩვენგან, ალბათ თმა შეგივერცხლდებოდა უკვე.

ისღა გვანუგეშებს, რომ შენი სიცოცხლე შენს ლამაზ და ჭკვიან შვილებში გრძელდება.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*მეგობრები*

## ალიკა ბერიძის მონატრება



ალიკა, უშენობით მოგვრილი ტკივილი არ ყუჩდება, უფრო აუტანელი ხდება.

უკვე მეორე დაბადების დღეა, ახლობლები ერთმანეთს ვეკითხებით, ამ დღეს როგორ შევხვდეთ; 22 წლის მანძილზე 4 დეკემბერს ერთად, სიხარულით აღვნიშნავდით, ახლა კი დღესასწაული გლოვის დღედ გვექცა, ერთმანეთს დაბნეულები შევყურებთ და უხმოდ, თვალებით ვეკითხებით: რა ვქნათ, უშენოდ ცხოვრება როგორ ვისწავლოთ, ან შენს დაბადების დღეს როგორ შევხვდეთ?

თითოეული დღე შენზე ფიქრით იწყება და სრულდება. სამწუხაროდ, ახლა უკვე მოგონებებით ვცხოვრობთ. ერთად გატარებულ ყოველ დღეს, წუთს ვიხსენებთ და გვიკვირს, 22 წელში რამდენი სიკეთისა და სიყვარულის დათესვა მოგისწრია.

თავის დროზე შენმა მოსვლამ თქვენს ოჯახში უდიდესი სიხარული მოიტანა. მშობლების ერთადერთი იმედი იყავი. შენთან სიახლოვე ყველას სიყვარულით ათბობდა, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ შენი თავი სამუდამოდ წაგვართვა და ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს უსაზღვრო ტკივილი დაგვიტოვა. გვიჭირს შენი მშობლების ნუგეშისცემა, მათთვის მთელი სამყარო ხომ შენ იყავი.

თითქოს ყველაფერი შენს მოლოდინში განაბულა. ნივთებსაც შენი სითბო აქვთ შერჩენილი. სულ გვგონია, რომ მოხვალ და მწუხარებისგან შეგუებულ ჰაერს მხიარული ხმით გააპობ, უშენობით გაცივებული სახლის კედლებს გაათბობ, მაგრამ შავ ჩარჩოში ჩასმული შენი მოღიმარი ფოტოები საშინელ სინამდვილეს გვახსენებს და ისევ უხმოდ, თვალებით ვეკითხებით ერთმანეთს: უშენოდ როგორ ვიცხოვროთ?..

ალიკა, ვერ შევეჩვიეთ უშენობას, სევდას, ტკივილსა და მწუხარებას შენი სახელი ჰქვია. უსასრულო მონატრებასაც შენი სახელი დავარქვით.

ამბობენ, ღმერთს რჩეულები თავისთან მიჰყავსო, ჰოდა, შენც ხომ იმ რჩეულთაგანი ხარ. ეს არის ჩვენი იმედი, ჩვენო საყვარელო ალიკა. ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ, ჩვენი ლოცვითა და კურთხევით დაგიმკვიდროთ მარადიული სასუფეველი იმ უკიდეგანო, შეუცნობელ სამყაროში.

*შენი დეიდაშვილები: ელზა და ეკა ლომიძეები ოჯახებით*

## ბერდია ნემსიაშვილის გახსენება



იმ ტრაგიკული დღიდან რამდენიმე მძიმე და ტკივილიანი თვე გავიდა. 10 დეკემბერს 26 წელი შეგისრულდებოდა. ამჯერად საფლავთან შევიკრიბებით და ცრემლიანი ყვავილებით მოგილოცავთ. ძნელია შენით მეოცნებე მშობლების და დის ნუგეშისცემა. ყველას ძალიან გვაკლიხარ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ამიერიდან მუდამ შენთვის მლოცველი ბიძაშვილები*

## სოსო ბიბილურის ხსოვნას!



მოწყენილი და ცრემლიანი დღეები მიფრინავენ. ოთხი წელი მიილია, რაც უსაშველო მოლოდინით ვიტყუებთ თავს, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს 8 დეკემბერს. ოჰ, რა მწარეა სიტყვა უშენოდ.

ჩვენი დაძაბული ცხოვრების მიუხედავად, არ ყოფილა დღე, შენ არ გამხსენებოდი, შენზე არ მეთქვა რამე, თუნდაც ამოოხვრით „ეჰ, სოსო!“; თუნდაც გაღიმებით, — როცა შენი იუმორი მახსენდებოდა; ან დანანებით — ასე ახალგაზრდა, აუსრულებელი ოცნებებით, სიყვარულით გულგატეხილი რომ წახვედი.

მენატრები, უზომოდ მენატრები, ჩემო კეთილო, ლამაზო და მოუსვენარო სოსო. ღმერთმა ერთადერთი სურვილის ასრულების ნება რომ მომცეს, შენს სიცოცხლეს ვინატრებდი.

გლოვის მოთქმა არ მინელებულა ჩვენს გულებში, ტყუილი ყოფილა — დრო მკურნალიაო. დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რასაც შენით გამწარებული მშობლების ტანჯვად ქცეული სიცოცხლე განიცდის — რასაც უშენობა ჰქვია. ღმერთს ვევედრებით, მოაღწიოს მონატრებულმა ჩვენმა ხმამ შენამდე, მოგიალერსოს და გიამბოს უშენოდ გაწამებული ახლობლების ამბავი.

მჯერა, ვიდრე ამ ცოდვილ მიწაზე სიავ-სიკეთის გარჩევა და კაცობის გასაგისი იარსებებს, შენს ხსოვნას გახუნება არ უწერია.

ღმერთი იყოს შენი მფარველი.

*დეიდა — ნანა სულიკაშვილი*

## კახა! გვენატრები...



ჩემო სიყვარულო! რა სწრაფად გაირბინა ჩემთვის დაბნელებულმა ორმა წელმა (2001 წლის 14 დეკემბრის ტრაგედია), შენ მარადიულ სასუფეველში გადახვედი, სიხარული, სიყვარული, ხალისი, ფიქრი, ოცნება, იმედი, მომავალი, სიცოცხლე — ჩვენთვის აღარ არსებობს, ყველაფერი შენთან ერთად მივაბარეთ მიწას და დავრჩით ცრემლებით.

ჩემო სიხარულო! რა იყო 32 წელი შენთვის, შენი 5 წლის შექმნილი ოჯახისთვის, ახლობლებისთვის. შენი პატარა შვილებისთვის მოგონებადაც არ დარჩი, წაიღე მათი დარდიც. ჩემო შვილო, დაცარიელდა შენ შემდეგ ჩემი გული, დაიმარხა შენთან ერთად. ჩემო ყველაფერში გამორჩეულო, უფალსაც კარგი ნდომიხარ, შენ დავიწყება არ გიწერია. მე ვლოცულობ, ვანთებ წმინდა სანთლებს შენი სულისთვის და ღმერთს, უფალს კი ვავედრებ — შენი პატარები ისეთები გაიზარდონ, როგორიც შენ იყავი.

ჩემო სიხარულო! მიჭირს უშენობა, მენატრები ძალიან, საფლავზე ხშირად დავდივარ, გინთებ სანთლებს, მაგრამ სიმშვიდეს ვერ ვპოულობ. მე მჯერა, რომ ჩვენ მალე ერთად ვიქნებით.

უფალო! ცათა სასუფეველი დაუმკვიდრე ჩემს ერთადერთ საფიცარს, ჩემს ანგელოზს — კახას.

*უბედური დედა*

## ავთანდილ ტეფნაძის ხსოვნას!



7 დეკემბერს 40 დღე გადის შენი გარდაცვალებიდან, ავთო. უცაბედმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი, ნაადრევად — 53 წლის ასაკში ჩაქრა შენი მზე, რომელიც ასე ანათებდა და აჩახჩახებდა შენს ტკბილ ოჯახს, შენს სამეგობროს და სანათესავოს.

იმ ტრაგედიის შემდეგ, რაც ჩვენმა ოჯახმა გადაიტანა — შენი დის ოჯახისა და ნათლულის — ალეკოს დაღუპვის შემდეგ, აღარ მეგონა, თუ ჩვენი ოჯახის თავზე ისევ გაავდრდებოდა, მარტოს თუ დატოვებდი შენს ძმას ისედაც გაუბედურებულ დედას, შენს ქალიშვილებს, რომლებიც უზომოდ გიყვარდა და გეამაყებოდა, მათ ხომ ახლა სჭირდებოდა ყველაზე მეტად შენი მხარში დგომა. რაღა ქნას შენმა მეუღლემ?! მარტოდ დარჩენილს ფიქრი და დარდი როცა მოეძალება, ისევ შენ გეჩურჩულება, გიზიარებს თავის ფიქრებს და მისტირის იმ ბედნიერ დღეებს, რასაც შენთან გატარებული 25 წელი ჰქვია.

ძნელია უშენობა.

2003 წლის 29 ოქტომბერი მწარე მოგონებად დარჩება შენი ოჯახისა და ახლობლებისათვის.

გვჯერა — ილოცებ შენ ოჯახზე და ყველა ის სიკეთე შენი გავლილი კაცური ცხოვრებიდან იფეთქებს და აკაშკაშდება შენი ლალისა და სალომეს გენებში.

ჩვენ კი გპირდებით:

შენი ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩვენ გულებში და ყველაფერს გავაკეთებთ შენი სულის სამოთხეში დასამკვიდრებლად. ღმერთს მხოლოდ ერთს ვთხოვთ: მოგვცეს ძალა იმისა, რომ შევძლოთ იმ კეთილი, სათნო გზით სიარული, რომლითაც შენ დადიოდი, რათა შენი ღირსეული სახელი გავაგრძელოთ.

*ოჯახი*

## აბესალომ (ბესო) გაბედავას!



*„სიკვდილო, კარვის მოკვლისთვის, ნეტავ, ვინ გეტყვის ქებასა?“*

ჩვენო დაუამებელო ტკბილო, უძირო სევდავ, უტყვო მწუხარებავ... ისევ მოვიდა ქრისტეშობის თვე, 8 რიცხვი — მწარე სინამდვილე, შენი დაბადების დღე უშენოდ. როგორ მოგილოცოთ, ბესო? ცრემლებით? ცრემლები შენ ხომ არ გიყვარდა. შენ ყველაფერს ლამაზად და გამორჩეულად აკეთებდი. ამიტომაც მწუხარებაც განსაკუთრებული გვარგუნე.

ო, რა დიდი ტკივილი ხარ, სამუდამო, მოურჩენელი.

...აწი ყველა ქრისტეშობის თვე უშენოდ მოვა და საოცრად დიდი ტკივილებით აგვავსებს, რომელსაც ვერასოდეს ვერაფერი შეგვივსებს.

ძნელია მოგილოცოთ დაბადების დღე, ზეციური სასუფეველი და სამოთხეში ყოფნა გისურვოთ.

*ოჯახი*

## ჯონი გაბედავას ხსოვნას!



შენი სიკვდილის წარმოდგენა და დაჯერება ყველაზე მეტად გაგვიჭირდა. დადიოდი სიცოცხლით სავსე, მხნე, შენეული იუმორით ღიმილსა და სიხარულს ჩუქნიდი ყველას. ყოველთვის მზად იყავი დასახმარებლად. თუკი ვინმეს უჭირდა, დღე და ღამე არ მოშორდებოდი. ალალ-მართალი კაცი იყავი, საიმედო და დასაყრდენი. შენს გასაჭირს არავის მოახვევდი თავს, პირიქით — არც იტყოდი. დიდი ტკივილიც კვნესის გარეშე აიტანე, არ გინდოდა, შეწუხებულიყო ვინმე. ჩვენ, სააქაოს დარჩენილებს სხვა რა შეგვიძლია... მხოლოდ კეთილად მოგიგონებთ... შენს ოჯახს კი სჯეროდეს: მარტო მათ არ დაუკარგავთ შვილი, მამა, ძმა თუ ბაბუა... ჩვენ ყველას დაგვაკლდა კაცი — იმედი, სიკეთის განსახიერება, ჩვენი ჯონი.

*ახლობლები*

## გიორგი ანთიძის ხსოვნა-მონატრება!



ვაი შენს დედას შვილო, გაიარა ტკივილითა და შეუშრობელი ცრემლით სავსე სამმა წელმა. წახვედი და დაგვიტოვე უსაშველო დარდი, სიცარიელე და მოუშუშებელი ჭრილობა; გვიმძიმს უშენობა, გვიჭირს იმის დაჯერება, რომ აღარასოდეს იქნები ჩვენ შორის. რატომ გაგიმეტა ბედისწერამ ასე სასტიკად. რა ხანმოკლე ყოფილა წუთისოფელი შენთვის, როგორ შეხაროდი შენს პატარა ანუკის. უზომოდ ენატრები მას. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ იმ ტკივილებს, რაც შენ დაგვიტოვე, ვერაფერი შეავსებს. შენს სახელს, შვილო გიორგი, დავიწყება არასოდეს უწერია.

ვთხოვ უფალს ლოცვით, შენი ლამაზი სული მარადიულ სასუფეველში ამყოფოს.

*შენი უბედური მშობლები, ოჯახი, ახლობლები, მეგობრები*

## თხუთმეტი წელი უშენოდ...

*ავთანდილ ფარცხალაძის ხსოვნას!*



2003 წლის 2 დეკემბერს 65 წელი შეგისრულდებოდა. თხუთმეტი წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. ჩემო ტკბილო და განუმეორებელო ძმაო ავთო, ყველას გვიჭირს უშენობა. გვენატრება შენი თუნდაც ერთი იმედიანი სიტყვა. გვენატრებიან შენი ვაჟკაცები — სერგო და ირაკლი. მენატრება დედა, რომელიც ხუთი წელია თქვენთან არის. შენს მეუღლეს, განადგურებულ დედას, მხოლოდ შენთვის უცნობ ოთხ შვილიშვილზე ზრუნვა და მოფერება აძლებინებს. შენი შვილიშვილები — სოფიკო, ავთო, თამრიკო და ანა ყოველთვის გინთებენ სანთლებს.

დაე, ჩვენი ანთებული სანთლები გინათებდეთ სამუდამო სასუფეველს. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული, შენს ვაჟიშვილებთან და დედასთან ერთად.

*შენი და თინა ფარცხალაძე, დისშვილები*

## ალეკო კიღილაძის ხსოვნას!



სიყვარული არ მთავრდებაო — მართლად თქმულა. არც შენზე ფიქრები, მოგონებები, შენი სიყვარული დასრულდება ჩვენს გულებში. გამორჩეულს, სიყვარულით ამაღლებულს 10 დეკემბერს დაბადების დღეს ახლობელთა ცრემლები მოგილოცავს. დამძიმებული, ნაღვლიანი წლები დაგვიტოვე გასავლელი. მიდის ცხოვრება და შენი დარდიანი დედაც მძიმე ნაბიჯებით მიჰყვება. იმ საშინელ დღეს თითქოს ცაც ჩამოიქცა, აცრემლდნენ შენი ახლობელ-მეგობრები, ნაცნობ-უცნობები. შენმა პატარა მარიმაც იგრძნო ჩვენს თავს დამტყდარი უბედურება. თავზე დაგტიტინებდა, ეგონა, პასუხს გასცემდი, მიეფერებოდი, გაგაცოცხლებდა შენ, რობიკო ბაბუას, ლანა დეიდას, ინგა მამიდას. იზრდება და თანდათან გრძნობს უმამობას.

უცხოეთში მყოფი შენი და-ძმა — მაკა და გოგა ხსოვნის სუფრას გაშლიან და 32 წელს მოგილოცავენ. გეფერებით ყველა და გილოცავთ. ლამაზი სიცოცხლით იცხოვრე და მუდამ ვიამაყებთ შენით.

*შენი მეუღლე — თამარ ხიდეშელი*

## ლუიზა დავითის ასულ კორაშვილ-ბეჟანიშვილს!



14 დეკემბერს 40 დღე გავა, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ... რას წარმოვიდგენდით, რომ ასე ტრაგიკულად დასრულდებოდა შენი სიცოცხლე! ბოლო წუთებშიც კი ჩვენზე ფიქრობდი. ისე საშინლად დამტვრეული, მაინც ჩვენს ამბავს კითხულობდი...

როგორ გვეგონა, რომ გადარჩებოდი, დედიკო!

შენს საყვარელ „კვირის პალიტრაში“ ამ გვერდს ოჯახის ყველა წევრი ვკითხულობდით და ყველაზე გული შეგვტკიოდა. რას წარმოვიდგენდით, თუ შენი სურათი და სახელიც გაჩნდებოდა ამ გვერდზე!

რას წარმოვიდგენდით, თუ შენი მოხუცი დედა შვილს დაკარგვით საბერეშიც გამწარდებოდა! ჩვენს დეიდებს — შენს ტყუპისცალსა და უმცროს დას ხომ, თვალზე ცრემლი აღარ უშრებათ! მამას კი ძალიან აკლიხარ!

ყველას როგორ უყვარხარ, დედიკო! ყველას სიკეთე ახსოვს შენგან და თვალცრემლიანი გიხსენებს!

სულ ნატრობდი შვილიშვილებს... ნეტავ, მოსწრებოდი!

*შენი შვილები: მარეხი, მაია, ბესო; გამწარებული დედა; დები და მეუღლე*

ლუიზა დეიდა! შენი შვილებივით განვიცდით შენს დაკარგვას. ჩვენ ხომ განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა. რაც დრო გადის, მით უფრო მძაფრად განვიცდით უშენობას. სისხლსა და ხორცში გვაქვს გამჯდარი შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი! დედაჩვენი შენს შვილებს დაჰპირდა, რომ უდედობას არ აგრძნობინედა, მაგრამ ჩვენ დეიდას ვინღა შეგვიცვლის?!

*შენი დისშვილები: შორენა, დიანა და თამთა*

## სოსო ნაკაიძის ხსოვნას!



*შენს ცივ სურათს ვეფერები,*
*მამ!*
*ქარი ქრის და შენც შეგცივდა*
*ალბათ,*
*ქარს ვუყვები, თუ რა ძლიერ*
*მენატრები,*
*ვიცი, იგი მოგიტანდა ამბავს.*

7 დეკემბერს შენი გარდაცვალებიდან 4 წელი შესრულდა, მამა! ყოველი დღე შენს მონატრებაზე ფიქრით თენდება და ღამდება. წლები გადის და უფრო მძიმე ხდება უშენობით გამოწვეული სევდა. კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე. შენი ცოდნა და გამოცდილება საყვარელ საქმეს შეალიე.

უძლურნი აღმოვჩნდით განგების წინაშე. ისე უეცრად გამოგვეცალე ხელიდან, რომ წესიერად გააზრებაც ვერ მოვასწარით. შემდეგ დღეებში გავაცნობიერეთ შენი დაკარგვის მთელი სიმძიმე.

ცრემლიანი თვალებით შევყურებ შენს სურათს, მამა. მთელ სიცოცხლეს დავთმობდი შენი ერთი მოფერებისათვის და იმ ტკბილი სიტყვებისათვის — შვილო, მამაო — რომ მეუბნებოდი. დედის ცრემლით სავსე თვალებში სევდამ დაისადგურა. მას ხომ ყველაზე მეტად ახლა სჭირდებოდა შენნაირი მეუღლის გვერდით ყოფნა. შენ ხომ უდიდესი ძალა და იმედი იყავი მეუღლისა და შვილებისათვის.

შენს ხსოვნას სათუთად შევინახავთ, მამა. ჩვენ მუდამ ვამაყობით და ვიამაყებთ შენით — ჩვენი ლამაზი, თბილი, მოსიყვარულე მამით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*მეუღლე, შვილები*

## თათია მაქაცარიას მონატრება



ქალაქ სენაკის ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი — ზესტაფონში ოჯახი ავტოკატასტროფაში მოყვა. არა გვყავს თათია... ქ. სენაკის მე-2 საშ. სკოლის IV კლასის წარჩინებული მოსწავლე, უფლის უზომოდ მოსიყვარულე, უაზროდ მიზანდასახული... გლოვობს ყველა... 10 დეკემბერს ერთი წელი მიილევა, რაც ჩვენთან არა ხარ, თათული. 1 წელი გავიდა დაუკითხავად. ეს მონატრება კი უფრო გვტანჯავს. სული დაგვიმახინჯდა, შვილო, გვენატრება შენი ხმა, ღიმილი, ლამაზი სახე. უცხოა შენი მშობლებისთვის ცივ ქვაზე დახატული სურათების მოფერება — შენ ხომ სამაგიეროდ დიდ სიყვარულს გამოხატავდი... გვიჭირს, თათული, ძალიან გვიჭირს... უჭირს შენს ერთადერთად დარჩენილ დაიკოს — თამუნას.

არაჩვეულებრივო შვილო თათული... ჩვენს ცრემლებს, მონატრებას, გაუსაძლის ტკივილს, მხოლოდ შენთვის დანთებული სანთლებითა და შენზე აღვლენილი ლოცვით დავიამებთ. ჩვენი დატანჯული სიცოცხლის მანძილზე ტაძარში, შინ თუ საფლავზე, სულ იციმციმებს შენი წილი სუფთა სანთლები. გვიყვარხარ!..

მოურჩენელო ჭრილობავ, დიდო ტკივილო... გვენატრები — 10 წლის მარად ანგელზად დარჩენილო — თათია.

*შენი დედ-მამა — როზეტა და ლევან მაქაცარიები; დაიკო თამუნა*

## თემო (ვანო) ხატიაშვილის ხსოვნას!



*ჩვენ როგორ დავრჩით, დედი,*
*უშენოდ,*
*როგორ ვიშრომეთ, წყლის ნაყვის*
*დარად.*
*როგორ გაჩერდა წლების*
*ნიშნული*
*სადღაც შორეთში შენ დარჩი*
*მარად.*
*რატომ მოგვერგო ეს მძიმე ხვედრი,*
*ძნელი ყოფილა, შვილით ობლობა.*
*რატომ მოვედით, დედი, აქამდე*
*შენი არყოფნა გვენახა განა?*
*ასე ყოფილა წუთისოფელი,*
*ასე სრულდება განგების ნება,*
*ორი წელია ვცხოვრობთ უშენოდ,*
*ჯოჯოხეთია ამის გაძლება.*

*დედა*

## დათო აგლაძის ხსოვნას!

თითქოს უსასრულო საცალფეხო ბილიკს მივყვები, რომელიც შენს ლამაზ თვალებთან მომიყვანს, ჩემო პატარა ვაჟკაცო, მაგრამ გზას ბოლო არ უჩანს. შენი დიდი და გაუსაძლისი მონატრება არ მაძლევს იმის საშუალებას, შევურიგდე აზრს — რომ აღარა ხარ.

მხოლოდ ცხრამეტი წელი იცხოვრე, შვილო, ამქვეყნად, მაგრამ მოასწარი კაცურად დაგეტოვებინა ლამაზი სახელი — შენი მეგობრების, ნათესავების, ახლობლების გულებში. სულ სადღაც გეჩქარებოდა, სულ სადღაც გინდოდა წასვლა. ალბათ შენც შეენანე უფალს ამ დამძიმებულ კაცთა სამყაროსთვის და თავისთან მიგიხმო.

ჩემი და შენი შეხვედრის გზა სიკვდილზე გადის. როცა ჩემი აღსასრულის დღე მოვა, უმალ ვიცნობ გზას, რომელიც შენ გამიკვალე. ბუნებამ ადამიანების დიდი სიყვარულის ნიჭით დაგაჯილდოვა და ჩემი თხოვნაა, მაპატიო უშენოდ ჩემი სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ არსებობაა იმისთვის, რომ შენს ლამაზ სულს ლოცვით ვეფერო შენთან მოსვლამდე.

შენი ამ ქვეყნიდან გასვლა, უფლის კიდევ ერთი საოცრებაა ჩემთვის. მშვიდად იცხოვრე, ჩემო სიცოცხლევ, ზეციურ საუფლოში, ღმერთი იყოს შენი მფარველი, პატარა ვაჟკაცო.

*დედა*



დედა ვენერა, მამა ავთანდილი, ძმა თემური, და ნათია; ბიძები, მამიდა, დეიდები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**პეტრე ავთანდილის ძე გიგაური**

*პანაშვიდი:* 8 დეკემბერს, ორშაბათს, 16 საათზე.

*დაკრძალვა:* 9 დეკემბერს, სამშაბათს, 14 საათზე.

*მისამართი:* თემქის დასახლება, XI მიკრორაიონი, 32 ა კორპუსი, II სადარბაზო, V სართული.



მეუღლე ანატოლი პოპოვი; შვილები იგორი, მარინა; სიძე კონსტანტინე ოვსიანიკოვი; შვილიშვილები ვალერი, ლანა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუდმილა იგნატის ასული ვიშნევსკაია-პოპოვა**

*პანაშვიდი:* 8/XII, 16 სთ-ზე;

*გამოსვენება:* 9/XII, 14 სთ-ზე.

*მისამართი:* დიღმის მასივი, I კვარტალი, მე-7 კორპ. IV სად. ბ. 46

ვალენტინა, ალექსანდრე, ლევან, თამარ, თინა ჩიკაშვილები; ლიზა, თამარ, მარინა გოგიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუდმილა იგნატის ასული ვიშნევსკაია-პოპოვა**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

რაული თოფურიას ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს დამინო ჟვანიას ოჯახს

**თემურ (ხუსა) ბუხუთის ძე ჟვანიას**

გარდაცვალების გამო.

# თოლიები და... გემი-მოჩვენება



— ბავშვობიდან მოყოლებული, ძალიან ხშირად ვხედავდი ერთსა და იმავე სიზმარს. ვიდექი, ირგვლივ ბევრი თოლია დაფრინავდა, ზოგიერთი ლამის ცხვირ-პირში მეხლებოდა. შიშით გათანგული ვილვიძებდი. თითქოს სიზმარში ძალიან ცუდი ამბის მონაწილე ვიყავი და არ მახსენდებოდა, მხოლოდ თოლიებსღა ვიხსენებდი.

დედაჩემი ყოველთვის ჩემს ნერვულ სისტემას აწერდა ამ სიზმარს და კატაბალახას ნაყენით მჭყიპავდა, მამას კი, როგორც ჩანს, მიაჩნდა, რომ ბუნებისაგან მოწყვეტით გაზრდილს (თბილისის ცენტრში დავიბადე და გავიზარდე) შიში მქონდა თვითონ ბუნების, თოლიების, მდინარის და ა.შ. ამიტომაც გადაწყვიტეს და ჩემი ქალაქგარეთ სეირნობები დაგეგმეს. ეს მეც ძალიან მსიამოვნებდა, კარგად ვერთობოდი, შიშის ნატამალიც არ დამრჩენია. შევეჩვიე ხვლიკებს, კალიებს, ზღარბებს, მტრედებს... მაგრამ როგორც კი მტკვარზე თოლიებს დავინახავდი, ცივი ოფლი მასხამდა. კვირა ისე არ გავიდოდა, ის საშინელი სიზმარი არ მენახა. შემომეხვეოდნენ ბებიები, მშობლები, მეზობლები, მეკითხებოდნენ: გცემდა ვინმე სიზმარში? აბა, გაწვალებდა... გაშინებდა? არა, არა, არა, — ვპასუხობდი ქვითინით, — მარტო თოლიებს ვხედავდი, მაგრამ ვიცი, რაღაც საშინელება ხდებოდა, რასაც ველარ ვიხსენებმეთქი.

ცოტა რომ წამოვიზარდე და გოგო შემიყვარდა, გავაცნობიერე, რომ აღარ უნდა გამემხილა ჩემი სიზმრები, მხოლოდ მაშინ შევძლებდი თავი მომეწონებინა მისთვის, როცა, როგორც მამა მეუბნებოდა, „მტირალა და ცხვირმოუხოცავი“ აღარ ვიქნებოდი. აი, ასე დავანებე თავი ჩემი სიზმრის გაცხადებას, ეს ამბავი ყველამ დაივიწყა. ჩემს მშობლებს ეგონათ, დავძლიე რთული ასაკი და ნერვიული აშლილობა, სინამდვილეში არაფერიც არ დავძლიე. უბრალოდ, ჯიუტად ვდუმდი.

წელს, ზაფხულში, ყირიმში მომიხდა წასვლა, ცოლ-შვილიც წავიყვანე. სამუშაოს შესრულების შემდეგ, დასვენებითაც გული ვიჯერე, ვიცურავე, ჩემს ბიჭებთან ერთად კატერით ვისეირნე. ერთ დილას, ასე 7 საათზე, სავარჯიშოდ გამოვედი, მერე სანაპიროზე გავისეირნე. მოწმენდილ ცაზე, თითქოს ამინდი უნდა შეიცვალოსო, ერთი ადგილი ჩამუქდა, გარკვევით დავინახე იმ სიმუქეში ხის პატარა გემი იდგა წყალზე, უცნაური, ჩვენ როგორც ვამბობთ — ეგზოტიკური, რამაც გამაოგნა — თოლიებით გარშემორტყმული, ძალიან, ძალიან ბევრი თოლიის გარემოცვაში ლივლივებდა.

ზღვასთან მივვარდი და ხელების ქნევა დავიწყე (ამას არაცნობიერად ვაკეთებდი). რას ვაპირებდი, თვითონაც არ ვიცი. სანახაობა იმდენად რეალური იყო, ერთი წამით არ შემპარვია ეჭვი, რომ მართლა გემს ვხედავდი. უცებ ყველაფერი გაქრა, ცა მოიწმინდა. ზღვა ისევ წყნარი იყო...

ეს გემი-მოჩვენება თავიდან არ მშორდებოდა. მაშინ დიდი დრო აღარ მქონდა, თბილისში მალე დავბრუნდით, მაგრამ ორი კვირის წინ ისევ წავედი ყირიმში. მართლა ავადმყოფივით ვიხეტიალე სანაპიროზე... ერთ ძველ მეთევზეს გადავეყარე — კუზმა კუზმიჩი ვარო, ასე გამეცნო... სასმელზე დავპატიჟე. ენაწყლიანმა მეთევზემ ხან ამ მთის მითხრა, ხან იმ მთის. მეც შევაპარე ჩემი გემისა და თოლიების ამბავი... ხელი ჩაიქნია: ეგო, ჩვეულებრივი მოჩვენებააო... მარტო შენ კი არა, სხვებსაც უნახავთ ეგ გემი, ამბობენ, XVIII საუკუნეში ჩაიძირა ამ ადგილასო.

ახლა ამ წერილს გწერთ და ისევ ჩემს აკვიატებულ სიზმარზე ვფიქრობ. კარგი, ბატონო, გემი ჩაიძირა, მოჩვენება-გემს ბევრი ხედავს, მაგრამ მე რა შუაში ვარ? რატომ მესიზმრებოდა ბავშვობიდანვე თოლიები? ნუთუ მე — ჩემი ცნობიერი ნაწილი — იმ გემბანზე იდგა და უყურებდა თოლიებს და იმას, თუ როგორ ვიძირებოდით? ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ, ნამდვილად ასე იქნებოდა...

ჰო, იმის შემდეგ, რაც გემი და თოლიები დავინახე, დავმშვიდდი, სიზმარშიც აღარ ვხედავ იმ საშინელებას. უბრალოდ, ახლა სხვა რამ მაწვალებს, მინდა ვიცოდე, რას მალავს ყირიმში ზღვის ფსკერის ის მონაკვეთი, სადაც გემი ჩაიძირა.

***ლევან ლ.***

**ჩვენ გვწერენ**

# დროში ვიმოგზაურე

არ ვიცი, რამდენად გჯერათ დროში მოგზაურობისა, მაგრამ მე ნამდვილად ვიმოგზაურე...

5 წლის წინ დავითგარეჯში წავედი ორ მეგობართან ერთად. ორივე განგებ წავიყვანე — „პლანით“ კაიფი უყვარდათ ბიჭებს, შტერდებოდნენ. ვერ ვერეოდი, ვერაფრით ვათქმევინე უარი ამ უბედურებაზე. არადა ორივე კარგი ადამიანია. რაღაც ძალა მეწეოდა დავითგარეჯისკენ. გადაირივნენ — ეს რა ვნახეთ, საღოლ გია, ძმა ხარო, — მადლობას მიხდიდნენ. მაგრამ როგორც კი მანქანაში ჩასხდნენ, ის უბედური მოსაწევი დააძრეს და ისევ დაბოლდნენ. გავგიჟდი, მანქანიდან გადმოვედი და ხეტიალი დავიწყე. ძალიან კარგად მახსოვს, ხერხემლის არეში მოულოდნელად ვიგრძენი უცნაური სითბო. მერე თავბრუ დამესხა და დავტრიალდი. ეს სულ რამდენიმე წამში მოხდა. გონს რომ მოვედი, აშკარად არ ვიყავი დავითგარეჯში. გაგეცინებათ და არ დამიჯერებთ, მაგრამ რუსთავის შესასვლელში ვიდექი, პოლიციელის ფორმა მეცვა და პოლიციის მანქანასთან დაყუდებული რაღაც ქაღალდებს დავჩერებოდი. წარმოგიდგენიათ, რა დამემართა? უცნაურმა შიშმა ამიტანა. დავინახე, გზის მეორე მხარეს მეორე პოლიციელი იდგა. ჩემთვის აშკარად უცხო, გადმოვიდა და მეკითხება — გია, რა გჭირს, ადამიანის ფერი არ გადევსო. შენ ვინა ხარ, გოჩა და ლევანა სად არიანმეთქი, — ვიღრიალე. ვინ გოჩა და ლევანა, — გაიოცა, — ხომ კარგად ხარო? ისევ ვიგრძენი, როგორ დამესხა თავბრუ. ამეწვა ხერხემალი და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, პარლამენტის წინ აღმოვჩნდი. უამრავი ხალხი იდგა. ლოზუნგები, ტრანსპარანტები, ხმები რუპორიდან... ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა, მე ისევ პოლიციელის ფორმა მეცვა. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. გიჟივით გამოვარღვიე ხალხი და ქაშუეთის გვერდით, ბაღისკენ დავეშვი. ისევ თავბრუ დამესხა და წამების შემდეგ დავითგარეჯში ვიდექი. შეშინებული მუხლებზე დავვარდი და პირჯვარი გადავიწერე. მერე მანქანისკენ მოვუსვი. სად ხარ ამდენ ხანსო, — მისაყვედურეს ბიჭებმა. არადა ჩემთვის რომ გეკითხათ, სულ ნახევარი საათის განმავლობაში ხდებოდა ყველაფერი. მოვუყევი, რაც გადამხდა. აბა, შენა ხარო, — გაიცინეს, — ჩვენ კი არა, დაბოლილი შენ ყოფილხარ და ვერ გაგიგიაო. არ ვუსმენდი იმათ შაყირს, დაფეთებული მოვდიოდი თბილისისკენ...



გავიდა დრო, უკვე განცდილ მდგომარეობაში თუ ისევ აღმოვჩნდებოდი, არ მეგონა. სამი წლის წინ საგზაო პოლიციაში დავიწყე მუშაობა. ერთ მშვენიერ დღეს კი რუსთავის შესასვლელთან, რეიდის დროს, უცებ გამახსენდა ნაცნობი კადრი და მაშინ მივხვდი, რაც გადამხდა დავითგარეჯში — დროში ვიმოგზაურე. ვისაც კი ვუთხარი ეს ამბავი, არავინ დამიჯერა. მაგრამ პარლამენტთან რომ მიტინგები დაიწყო, მაშინ ვთქვი, შევარდნაძის გადადგომას მოითხოვს ეს ხალხი, მარტო არჩევნების გამო არ არიან გაბრაზებული-მეთქი. ჩემმა ცოლმა მკითხა, — ეგეც დროში მოგზაურობისას ნახეო? ეჰ, შენ კი დამცინი, მაგრამ ეგრე კია-მეთქი და გავიხსენე ტრანსპარანტები წარწერით „გადადექი“.

მჯერა, რომ ნამდვილად ვიმოგზაურე დროში და ახლა იგივე რომ განმეორდეს, აღარ შემეშინდება, პარლამენტის წინ, მიტინგებზე, ორი კვირა ვიდექი და ჩემს კოლეგებთან ერთად იქაურობას თვალყურს ვადევნებდი, პარლამენტის შენობის კიბიდან ვუყურებდი ქაშუეთის გვერდით ბაღისკენ ჩასასვლელს, საითკენაც 5 წლის წინ თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი...

***გია დ., თბილისი***

**„საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები**

I აბა გამოიცანი
1)—დ); 2)—ა); 3)—გ); 4)—დ); 5)—დ); 6)—ბ); 7)—ბ); 8)—ა); 9)—გ).

II მე-3 და მე-7 თოჯინები

III თევზი

IV გამოცანა
ყინულის ლოლუა



# სტვენია ლექსიკონი



კანარის ერთ-ერთ კუნძულზე მეორე ოფიციალურ ენად აღიარეს სტვენა...

ერთ-ერთი კუნძულელი, ხუან კაბელიო, ურთიერთობის ამ უცნაურ საშუალებას ოსტატურად იყენებს და სტვენით დაახლოებით ოთხი ათასი სიტყვის თქმა შეუძლია. მეტიც — სტვენა მისი პროფესიაა, რომელიც ბაბუამ და მამამ შეასწავლეს.

ორი ათასი წლის წინ თურმე ადგილობრივი მწყემსები ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს სტვენით. ახლა კუნძულის მთავრობა ყოველმხრივ იცავს ამ უძველეს ტრადიციას და სტვენას მეორე, ოფიციალურ ენად აღიარებს. იქაურ სკოლებში ბავშვები 14 წლიდან დაეუფლებიან სტვენას.

*მეგაპოლის-ექსპრესი*

# მამაცი კენგურუ ლულუ



ტრასაზე გამოსულ დედა-შვილ კენგურუებს მანქანა დაეჯახა. დედა დაიღუპა, პაწაწა კი გადარჩა, მაგრამ თვალი დაკარგა. ეს მოხდა ათი წლის წინ. დაობლებული პატარა ლეონარდ რიჩარდსმა იპოვა და შინ წაიყვანა. რიჩარდსი რუდუნებით უვლიდა კენგურუს, ბოთლით რძეს ასმევდა, ეფერებოდა, სახელად ლულუ შეარქვა. ლულუ ძალზე შეეჩვია და არ სცილდებოდა პატრონს. ერთხელ რიჩარდსი ხეს ჭრიდა. ხე წაიქცა და ქვეშ მოიყოლა. რიჩარდსმა გონი დაკარგა. პატრონი რომ ამ დღეში დაინახა, ლულუ ხმამაღლა უხმობდა მშველელს, მაგრამ სახლში (იგი 200 მ-ის დაშორებით იდგა) მყოფთ ძახილი ვერ მიაწვდინა, რადგან ქარიანი დღე იყო და ხმა საპირისპირო მხარეს მიჰქონდა. სასოწარკვეთილი ლულუ ხტუნვა-ხტუნვით მიიჭრა სახლთან და კარს წიხლი დასცხო. განცვიფრებული რიჩარდსის ოჯახის წევრები გარეთ გამოცვივდნენ. უმალ მიხვდნენ, ლეონარდს რაღაც უჭირდა და საშველად გაეშურნენ. კაცი ძლივს გამოიყვანეს ხის ქვეშიდან და მაშინვე მელბურნის საავადმყოფოში გააქანეს. ტვინის შერყევა, საბედნიეროდ, ძლიერი არ აღმოჩნდა. ექიმების აზრით, რომ არა კენგურუ, რიჩარდსი ცოცხალი ვერ გადარჩებოდა.

ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ ლულუ დააჯილდოვა.

*მირ ნოვოსტეი №47*

# ბეთლემში მშვიდობის მაცნე ბიჭუნა დაიბადა

პალესტინელები აღფრთოვანებულნი არიან, რადგან ქალაქ ბეთლემში, ლტოლვილთა ბანაკ „აიდაში“, რამდენიმე დღის წინ დაიბადა ბავშვი-საოცრება. ბიჭუნას ლოყაზე აქვს ხალი, რომელიც ძალიან ჰგავს არაბულ წარწერას „ალა“. ალა ერქვა ახალშობილის ბიძას, რომელიც 8 თვის წინ მოკლეს ებრაელმა ჯარისკაცებმა — მას ტერაქტებში მონაწილეობა დააბრალეს.

ლტოლვილთა ბანაკში ყოველდღე ათასობით მაჰმადიანი ჩამოდის, რათა საკუთარი თვალით ნახოს ბიჭუნა, შეეხოს მის „წმინდა ლოყას“ და მის გვერდით მყოფმა აღავლინოს ლოცვა ღვთის მიმართ მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

ისრაელელები ეჭვის თვალით უყურებენ ამ ამბავს. პალესტინელები კი ამ საოცრებას ალაჰის მინიშნებად მიიჩნევენ — უზენაესი სისხლის ღვრის შეწყვეტისკენ მოგვიწოდებსო.

*ინტერნეტი*

# შოკოლადის პუტინი



პარიზში, „შოკოლადის სალონში“, რუსმა კონდიტერებმა ჩინური ტექნოლოგიით შექმნილი პორტრეტი წარადგინეს. მხატვარმა ვიტალი პონომარიოვმა სხვადასხვა ფერის გამდნარ შოკოლადში ამოვლებული თითებით დახატა... ვლადიმერ პუტინი.

შოკოლადის პუტინის დასახატავად სამი კილოგრამი შოკოლადი დაიხარჯა.

სათანადო ტემპერატურაზე შენახვის შემთხვევაში ტილო დაახლოებით 25 წელს გაძლებს, მერე კი დაიფხვნება. საგემოვნებო თვისებებს კი „ტკბილი“ რფ-ის პრეზიდენტი ერთ წელიწადს შეინარჩუნებს.

პუტინის შოკოლადის პორტრეტმა საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ამბობენ, რომ დამთვალიერებლები ყველაზე დიდხანს ამ ექსპონატის წინ ჩერდებოდნენ. მეტიც, ზოგს რფ-ის პრეზიდენტის ჩახრამუნების სურვილიც კი გასჩენია.

*ობსერვერი*

# ყველაზე პატარა პუდელი



შინაური ცხოველების მოყვარულ იაპონელებს ახალი საოცრება აჩუქეს — პუდელი ჩაის ფინჯანში. ეს უსაყვარლესი არსება იმდენად პატარაა, რომ მათ შორის ყველაზე მოზრდილიც კი თავისუფლად ეტევა ჩვეულებრივ ფინჯანში. მინიატურული ცუგა ვირთხაზე დიდი არ არის.

პუდელის ეს ჯიში არა მხოლოდ ყველაზე პატარაა დედამიწაზე, არამედ ყველაზე ძვირიცაა. 1,5 კგ წონის პუდელი 650 ათასი იენი ($5000) ღირს. მიუხედავად სიძვირისა, მომხიბლავი ცუგა დიდი პოპულარობით სარგებლობს.

*ოგონიოკი №42*

# კატარელი „ჰილარი კლინტონი“



იმ დროს, როდესაც კატარის პროგრესულ ამირას, შეიხ ჰამად ბინ ხალიფა ალ-თანის მეორე ცოლი, მოზაჰი მოჰყავდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პატარა, მაგრამ უმდიდრეს სამეფოს ამიერიდან ორი მმართველი ეყოლებოდა. მოზაჰმა არაბული სამყაროსთვის წარმოუდგენელი რამ ჩაიდინა — ფოტორეპორტიორების წინაშე უჩადროდ წარდგა და განაცხადა, კატარში 21-ე საუკუნის არაბული დემოკრატიის დამკვიდრებისთვის ვიწყებ ბრძოლასო. ამ განცხადებას ამირაც თავის დაკვრით დაეთანხმა. სწორედ მოზაჰის ხელშეწყობით დაიწყო კატარში დემოკრატიული პროცესები. ამის პირველი მაგალითი დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ გახსნა გახლავთ. ეთერში ხშირად გამოდიან კატარის მოქალაქენი და კამათობენ, თუ როგორი უნდა იყოს მათი ქვეყანა. ცნობისთვის: აქ 800 000 ადამიანი ცხოვრობს, რომელთაგან მხოლოდ 150 000 კატარის მოქალაქეა, დანარჩენი — უცხოელი. პოლიტიკურად ხალხი პასიურია, მათ უყვართ თავისი ამირა. ქვეყანა ისე მდიდარია ბუნებრივი გაზით, რომ მოქალაქეები გადასახადებს არ იხდიან, აქვთ უფასო განათლება და სამედიცინო მომსახურება. ქვეყნის პირველმა ლედიმ გადაწყვიტა მეტი დემოკრატია და განათლება მიეცა თავისი ქვეშევრდომებისთვის და ამ მიზნით კატარში წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტების ფილიალები გახსნა და მათთვის დიდი საუნივერსიტეტო ქალაქიც კი ააშენებინა. მოზაჰი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის მართვაშიც. ის ყველგან ახლავს მეუღლეს. არაბულ სამყაროში მას უკვე შეარქვეს „ჰილარი კლინტონი“. მოზაჰიმ შეძლო დაერწმუნებინა სხვა არაბულ სახელმწიფოთა მეთაურების ცოლები, რომ პირველი ლედი მეუღლის ჩრდილში კი არ უნდა იყოს, არამედ აქტიურად მონაწილეობდეს მის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.

*ნიუ ზუიქი*

# პროფესია — საცოლე



40 წლის აშშ-ის მოქალაქე, დეზერი კორტესი, 1984 წლიდან 2002 წლამდე 27-ჯერ გათხოვდა. ამ ამბავს არც ისე რომანტიკული საფანელი აქვს. დეზერის ყველა საქმრო არალეგალური იმიგრანტი იყო. მათ მხოლოდ ქორწინების გზით შეეძლოთ შტატების მოქალაქეობის მიღება.

33 წლის ბრაზილიელი ქალბატონი, პრესიოსა მენდესი, ერთდროულად ერთი ოჯახის სამი თაობის წარმომადგენლის ცოლი იყო. ქალი ირწმუნება, დოლორესების ოჯახის წევრებს მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით მივთხოვდიო. ის პირველად 65 წლის სანჩო დოლორესს მისთხოვდა. მერე გაეყარა და მის ვაჟიშვილს, 43 წლის სერხიოს გაჰყვა ცოლად. დასასრულ, მასაც გაეყარა და მის ვაჟთან, 24 წლის ახალგაზრდასთან დაიწერა ჯვარი.

*ჯანტე*

# სასკოლო ვიდეოჰიტი

ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლიდან სამი მოსწავლე გარიცხეს იმისთვის, რომ მიკროპორნოფილმი გადაიღეს. კასეტა ახალგამომცხვარმა რეჟისორებმა თავიანთი ალმა მატერის ტერიტორიაზე გაავრცელეს და მალე დიდი „პოპულარობაც“ მოიპოვეს. ფილმში სამი „მსახიობია“ — ორი ბიჭი და ერთი გოგონა. თითოეულ ჩვენებაში სულზე 10 დოლარს იღებდნენ და მსურველებს ველარ აუდიოდნენ. ასე გადადიოდა კასეტა ხელიდან ხელში, სანამ ერთ-ერთი მორიგი მაყურებლის მშობლების ხელში არ მოხვდა. ფილმმა ცოლ-ქმარზე „წარუშლელი შთაბეჭდილება“ დატოვა, მით უმეტეს, რომ „პორნოვარსკვლავი“ გოგონა მათი შვილის ამხანაგი აღმოჩნდა.

როგორც სკოლის გაოგნებული ადმინისტრაცია აცხადებს, პორნოკინემატოგრაფისტები სანიმუშო მოსწავლეები არიან — კარგად სწავლობენ, არც სასმელს და ალკოჰოლს ეტანებიან, სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურობენ. დირექცია იძულებული შეიქნა, ფილმი ენახა, რათა საკუთარი თვალით ეხილა „სკოლის სირცხვილი“. „პორნოსეანსმა“ ორი მასწავლებელი გულის შეტევით ლოგინად ჩააგდო.

*დეილი მირორი*

# მილიონიანი მასაჟი



ცნობილმა ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა მილიონი დოლარი გაანიავა — სწორედ ამდენი უნდა გადაუხადოს მან სასტუმრო „სანტო მაუროს“. ამ სასტუმროში ფეხბურთელი აგვისტოდან ცხოვრობდა, რადგან ვერაფრით შეარჩია სახლი მეუღლის დაუსწრებლად. მიუხედავად იმისა, რომ „რეალში“ თვეში თითქმის მილიონ დოლარს იღებს, დანახარჯმა მაინც თავზარი დასცა. ინგლისიდან მეუღლის სანახავად ესპანეთში ჩასულმა ვიქტორია ბექჰემმა სასტუმროს მეპატრონესთან „საქმის გარჩევა“ მოინდომა, მაგრამ ქმარმა გადაათქმევინა. მეორე დღესვე გადავიდნენ ბექჰემები ერთ მყუდრო სახლში, მეფე ხუან კარლოსის რეზიდენციის ახლოს.

მიუხედავად ამისა, ვიქტორია ბექჰემი მაინც აპირებს იმის გარკვევას, ანგარიშში მოხსენიებული „განსაკუთრებული მომსახურება“ რას ნიშნავს, რომელიც 350.000 დოლარი ღირს. ფეხბურთელმა აუხსნა თურმე ცოლს, რომ ეს განსაკუთრებული ტიპის მასაჟია, რომელიც ყოველდღიურად სჭირდება (თუმცა „რეალს“ თავისი პროფესიონალი მასაჟისტი ჰყავს), მაგრამ ვიქტორია ბექჰემი ახსნა-განმარტებებს არ სჯერდება.

*ელ მუნდო*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ვაჟა-ფშაველას სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ო | დ | დ | ი | | ო | ა | ვ | ი | ძ | ი | მ | დ | ზ | ო | ქ | ქ | ლ | ა | ა | ა |

**დ.** ქალაქი, რომელიც აიღეს ზაპოროჟიელმა კაზაკებმა ტარას ბულბას მეთაურობით; **ა.** ქალის სახელი, რომელმაც თეზევსს ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ი.** საზაფხულო საძოვარი მთაში; **ს.** ცხვრის მატყლიანი ტყავი; **ვ.** თბილისის საკალათბურთო გუნდი; **ე.** დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **ნ.** ბუდისტების სამოთხე; **ე.** რუსი მწერალი, სახელგანთქმული „კუზიანი კვიცის“ ავტორი; **თ.** გ. ფანჯიკიძის რომანი „... პატიოსანი“; **ჩ.** საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი; **ვ.** იტალიელი ფეხბურთელი; **ე.** ჩხირზე წამოცმული ნაყინი, რომელიც გარედან შოკოლადით არის დაფარული; **ნ.** აშშ-ის შტატი, სადაც ამერიკელები ბირთვულ გამოცდებს ატარებენ; **თ.** ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ა.** ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; **ნ.** რძეში მოზელილი კვერცხწასმული და თონეში გამომცხვარი პური; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს; **რ.** ბრაზილიელი ფეხბურთელი; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ა.** დაავადება, რომელსაც სულის ხუთვის შეტევები ახასიათებს; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დიურერი; **ა.** აქსიომა; **ი.** იტალია; **ს.** სიქა; **ვ.** ვიმპელი; **ე.** ერუდიტი; **ნ.** ნარცისი; **ე.** ეზოპე; **დ.** დუბაი; **ა.** არარატი; **გ.** გაყოფა; **ა.** აკვანი; **ე.** ელეგია; **რ.** რულონი; **თ.** თიანეთი; **ე.** ეგზემა; **ჩ.** ჩხეიძე; **ვ.** ვამპირი; **ე.** ენძელა; **ნ.** ნეილონი; **თ.** თემიდა; **ა.** ამერიკა; **ნ.** ნეშტი; **ე.** ეგრისი; **რ.** რიონი; **თ.** თამადა; **ა.** ანანასი; **დ.** დრაკონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: უსაქმურობა ყველაზე მძიმე შრომაა.**

# დედოფალი

დემი მური ვერაფრით შეგუებია იმას, რომ უკვე კარგა ხანია აღარ არის თვრამეტი წლის. არადა როცა თვრამეტის იყო, არ აფასებდა ამას — სიყმაწვილე ვისკის, კაცებს და კოკაინს შეალია, მერე როკ-მუსიკოსს გაჰყვა ცოლად. ქმართან ერთად ისიც გამოდიოდა სცენაზე — სტრიპტიზორობდა. საამისოდ კოხტაც იყო და გულიც ღია ჰქონდა სასიყვარულოდ. 25 წლის დემი ბრუს უილისს შეხვდა. ბრუსმა მაშინვე გადაწყვიტა ოჯახი შეექმნა — დემი მთელი ჩემი ცხოვრების სიყვარულიაო, ამბობდა (ამას იმეორებს ახლაც, განქორწინების სამი წლის თავზე). მაგრამ დემი ოჯახისთვის არ იყო მზად. მას როლები, თაყვანისმცემლები, შამპანური და წვეულებები უნდოდა, ბრუსი კი ბევრ შვილზე ოცნებობდა. თვალებში შესციცინებდა საყვარელ ქალს. დემი თითქოს დაჰყვა მის ნებას, მაგრამ ნაწილობრივ. პირველი გოგონა რომ დაიბადა, საავადმყოფოს პალატაში მაშინვე ყვითელი პრესის ჟურნალისტები შემოუშვა. მეორე მშობიარობის წინ, შვიდი თვის ორსულმა, შიშველმა გადაიღო სურათი, რომელმაც მერე მთელი მსოფლიოს პრესა მოიარა. მერე ჟურნალში გარეკანზე ისევ შიშველი, ოღონდ ახლა ტანზე სმოკინგდახატული გამოჩნდა. ბრუსი ცოლის ყველა ახირებაზე თვალს ხუჭავდა, მთავარი იყო ის, რომ დემი დროის უმეტეს ნაწილს ოჯახში, შვილებთან ატარებდა, განზე არ დადიოდა — ქმარს კი მეტიც არ უნდოდა. კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ პატარ-პატარა, უწყინარ ცელქობებზე იყო აწყობილი დემის კარიერა.





**დემი მური ყოფილ ქმართან, საყვარელთან და ქალიშვილებთან ერთად**

„მოჩვენება“ მისი პირველი, ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. „უხამსი წინადადება“, „სტრიპტიზი“ — აი ფილმები, რომელმაც ნამდვილი წარმატება მოუტანა.

ბრუსთან 13 წელი გაატარა, მაგრამ ბოლო წლებში მათი ურთიერთობა ბეწვზე ეკიდა, დემისთვის ქმრის პატარა შეცდომაც კი საკმარისი იყო, რომ მისგან წასულიყო — უნდოდა დაემტკიცებინა ყველასთვის და უპირველესად საკუთარი თავისთვის, რომ ჯერ კიდევ ბევრის მოხიბვლა შეეძლო, რომ ბრუსი არ შეიძლებოდა სამუდამოდ დარჩენილიყო იდეალურ მამაკაცად. 90-იან წლებში ბრუსს კრიზისული სიტუაცია შეექმნა — ნაკლებად სთავაზობდნენ როლებს. ცოლთან ერთ-ერთი ჩხუბის დროს წამოსცდა — კარგი იქნებოდა, სამი გოგონასთვის ერთი ბიჭიც რომ მიგვემატებინაო... აი, მაშინ დაიწყო, რაც დაიწყო. ე.ი. შენ ჩვენი ქალიშვილები არ გიყვარსო? უკმაყოფილო ხარო? და განრისხებულმა დემიმ იმ დღესვე განქორწინება მოითხოვა.

დემი მაშინ 38 წლის იყო. რა ჰქონდა მოპოვებული იმ დროისთვის? ყველაზე მაღალი ანაზღაურება, რისკიანი გოგონას რეპუტაცია, სხვა რა? სად იყო „ოსკარი“? სად არის მნიშვნელოვანი როლები? სად არის თაყვანისმცელმელთა რიგი? არ იყო არც ერთი, არც მეორე, არც მესამე. თაყვანისმცემლებს ბრუსის ეშინოდათ. რეჟისორები დემის საშუალო მსახიობად თვლიდნენ. იმ დროისათვის დემის ყველაზე მთავარი როლი „შევროლეს“ რეკლამირება იყო. ასე რომ, დემიმ ახალი ცხოვრების დაწყება გადაწყვიტა. ბრუსი იმ დროს ცეცხლოვან ესპანელს მარია ბრავოს ხვდებოდა, რომელიც ორი წვეთი წყალივით ჰგავდა დემის. შემდეგ პორნომსახიობ ალიშა კასთან გააბა რომანი — ეს ქალიც მის ყოფილ ცოლს წააგავდა. ასე გამოიცვალა რამდენიმე ქალი — ყველას დემის ადარებდა და ტოვებდა. მერე სმა დაიწყო, მაგრამ ერთხელ დემიმ დაურეკა და უთხრა: შეწყვიტე ახლავე, ბოლოს და ბოლოს, მე და შენ ჩვეულებრივი ქალი და კაცი ვართ, თუ ჩვენ ერთხელ არაფერი გამოგვივიდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სულ ასე იქნებაო, — ამით დემიმ ზურგი გაიმაგრა, ისე რომ, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება ისინი კვლავ ერთად ვიხილოთ. უბრალოდ, უნდა მოვიცადოთ, სანამ დემის თავისი მეორე სიყმაწვილის თამაში მოსწყინდება.

ქმარს გაეყარა თუ არა, დემიმ, უპირველესად, სხეულის გადაკეთება გადაწყვიტა. მას კვლავ უნდოდა თვრამეტი წლის გოგონას დამსგავსებოდა. თანამედროვე კოსმეტიკურ ქირურგიას კი ყველაფერი შეუძლია, განსაკუთრებით დემისნაირი ფულიანი მსახიობისთვის. ბიტოქსის ინიექცია, რომელსაც მიმიკური ნაოჭების გასწორება შეუძლია და სახეს ნეფერტიტის ნიღაბს ამსგავსებს, 4 ათასი დოლარი ღირს, მკერდიდან სილიკონის გამოქაჩვა (დიდი მკერდი მოდაში აღარ არის) — 10 ათასი დოლარი, 15 ათასი დოლარი — საერთო ლიპოსაქცია, ტუჩების გადიდება — 6 ათასი დოლარი. ამას დავუმატოთ დიეტოლოგი — 22 ათასი დოლარი, ფიტნესის ინსტრუქტორს 25 ათასი დოლარი, ინსტრუქტორი იოგაში — 15 ათასი დოლარი, კიკბოქსინგი — 230 ათასი დოლარი და კიდევ ისეთი წვრილმანები, როგორიცაა კბილების გათეთრება (16 ათასი დოლარი) და სხვა... ჰოდა, დემი შეტევაზე გადავიდა. მისი პირველი მსხვერპლი კიკბოქსინგის ახალგაზრდა ინსტრუქტორი ოლივერ უიტკომბი აღმოჩნდა, მაგრამ არც ოლივერი იყო მაინცდამაინც გულუბრყვილო — ამ ამბიდან ისიც გამორჩენას ელოდა და სასწრაფოდ გამოაცხადა — დემი ჩემგან შვილს ელოდება — ნამდვილად ბიჭი იქნებაო. დემიმ სასწრაფოდ მიატოვა ოლივერი და ენტონი კიდისზე გადაინაცვლა, მაგრამ 40 წლის კიდისი მისთვის ბებერი იყო. დემის ახალგაზრდა სხეული და ახალგაზრდული, გულუბრყვილო, ცეცხლისმფრქვეველი თვალები უნდოდა — იპოვა კიდეც... დემი ყველაზე სექსუალური ქალიაო — თქვა ერთხელ ლეონარდო დი კაპრიომ ინტერვიუში და... ძალიანაც შეცდა. დემი გაბრაზდა და ახლა ლეოს მეგობარ ტიბი მაგუაირზე გდაინაცვლა... მერე ისიც მოსწყინდა და ხმის ჩამწერი კომპანიის მფლობელ გაი ოსირისთან გააჩაღა რომანი. მერე ახალგაზრდა და პერსპექტიული კოლინ არელის ჯერიც დადგა — ვიღაცას ჰგონია, რომ მე ძუკნა ვარ, არადა თავისუფლებით ვტკბებიო, — ამბობდა მური და... თვალი ახალგაზრდა მსახიობს, ეშტონ კატჩერს დაადგა. ეშტონი — წყნარი, დახვეწილი ყმაწვილია, დემიზე თხუთმეტი წლით უმცროსი და თავდავიწყებით უყვარს ქალი. ამ რომანმა დიდი პოპულარობა მოუტანა ეშტონს და ყველაზე სასურველი სასიძო გახდა. დემი ყიდულობს სახლს 3,5 მლნ დოლარად ეშტონის მეზობლად, ეცნობა მის დედას, ქალიშვილებს და ყოფილ ცოლს. დემის გულისთვის კი კატჩერი ახალ რელიგიას — კაბალას იღებს. მოკლედ, ბედნიერი ოჯახური იდილია აქვთ. ახლა ყველა ელოდება, როდის მოსწყინდება დემის თავისი მორიგი ლეკვი და როდის აღიდგენს თავის ნამდვილ ასაკს.

ბრუსი? ბრუსი იცდის. თუ საჭირო იქნება, მთელი სიცოცხლე დაელოდება. დემი ჩემი ცხოვრების სიყვარულიაო, — ტყუილად კი არ უთქვამს...

**ტვ პარკი №47**




# «FAT LUCY»-დან «KING OF POP»-ამდე

მოდენას ტაძარში, ქალიშვილის ნათლობაზე, მართალია, ნიკოლეტას მხარზე დაყრდნობილი, მაგრამ მაინც თავისი ფეხით მივიდა, საბედნიეროდ, ტაძარი მომღერლის მეზობლადაა.



ყველა ამბობს, კაცი, რომელიც სამ ცენტნერს იწონის, სცენაზე გამოსვლას ნამდვილად ვერ შესძლებს, მეტიც, დარჩენილ ცხოვრებას, ალბათ სავარძელში მჯდომი გაატარებსო. ხანდახან იგი თავის 10 თვის გოგონასთან ერთად კრუსუნებს, უფრო მაშინ, როცა ალისას აჭმევენ. მამასაც შია და რა ქნას!

გუშინ ეს კაცი ღმერთი იყო, დღეს უკვე ლეგენდაა. არ უყვარს, როცა მის დიდებაზე წარსულ დროში ლაპარაკობენ, წერენ, ავადმყოფობის გამო პავაროტი კონცერტზე უარს ამბობსო და როცა მის ხმას „ოქროს ნამცვრევს“ უწოდებენ. მიუხედავად დაძაბუნებისა, იგი მუსიკის ასპარეზიდან წასვლას არ აპირებს, ვიდრე მის კონცერტებზე ათი ათასობით მსმენელი მოდის.

1961 წელს პუჩინის „ბოჰემაში“ რუდოლფის პარტია იმღერა და მეორე დილას ქვეყანას ოპერის ამომავალ ვარსკვლავად მოევლინა. სამი წლის შემდეგ კი სცენაზე ავსტრალიელ პრიმადონა ჯოან სუთერლენდთან ერთად მღერის, ამ დროიდან იწყება მისი თავბრუდამხვევი აღმასვლა, ხოლო 1972 წელს მსოფლიო ვარსკვლავად აღიარეს. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ თეატრში დონიცეტის ოპერაში მან ტექსტის ერთ პწკარში 9-ჯერ აიღო კრისტალივით სუფთა, მაღალი C. ოვაციამ იფეთქა... ბელკანტოს მეფე 20 წლის განმავლობაში მღეროდა ნემორინოს, რიკარდოს, ტონიოს, არტუროს პარტიებს და სიცოცხლეშივე უკვდავება მოიპოვა. მომღარალი მსმენელს სიყვარულს ჯადოსნურად შესრულებული ჰანგებით უხსნიდა, თაყვანისმცემელთა ქარავანი თავის კერპს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ქალაქში თან დაჰყვებოდა. ქალები წერდნენ, თქვენმა სიმღერამ სნეულებისგან განგვკურნა, დეპრესია მოგვიხსნაო. 90-იანი წლების ბოლოს პავაროტი გაშორდა ცოლს თავისი ყოფილი ასისტენტის ნიკოლეტას სიყვარულის გამო, რომელიც მომღერალზე 34 წლით უმცროსია.

განქორწინების პერიპეტიებმა მომღერალი დათრგუნა და მისი ქონება ჩაყლაპა. ვითომდა გადასახადების დამალვის გამო ის სასამართლოზე ყაჩაღივით მიათრიეს და იქედან თავის დახსნა 12,5 მლნ ევრო დაუჯდა, ხოლო ცოლთან გაშორება რამდენი — ამაზე მომღერალი დუმს. ერთი წლის შემდეგ ლა სკალაში, „დონ კარლოსის“ შესრულების დროს, უსტვინეს.

ცინიკოსებს პავაროტიმ ხმა სხვანაირად ჩააწყვეტინა — ნიკოლეტამ იანვარში ტუპი შობა. მხოლოდ მაღალმა ღმერთმა და დედამიწაზე ყვითელმა პრესამ იცის, ლუჩანომ როგორ განიცადა დიდი ხნის ნანატრი მემკვიდრის, პატარა რიკარდოს დაკარგვა. და კიდევ, დიდმა მომღერალმა ახალი მუსიკალური სივრცე დაიპყრო — ის „პოპის მეფედ“ აღიარეს. საფეხბურთო ჩემპიონატზე, 1990 წელს, „Nesun dorma“ ჰიმნად იმღერა და უმალ პოპქარტის მეწინავედ იქცა. მან დომინგოსა და კარერასთან ერთად („სამი ტენორი“) და ბონო და რიკი მარტინთან ერთად („პავაროტის მეგობრები“) სტადიონზე ასობით ათასი ადამიანი „O, sole mio“-ს შესრულებით მოაჯადოვა. როცა მავანმა და მავანმა მას მაღალი ხელოვნებისადმი ღალატი დასწამა და უთხრა, ასეთი გამოსვლები შენს დიდებასა და ხმის სიმებს ვნებსო, დიდმა პავაროტიმ ცხარედ მიუგო: — ისტორიაში შევალ, როგორც დიდი მომღერალი, ვინც მასები საოპერო მუსიკას აზიარაო.

პავაროტი ოცნებობს, დაიკლოს 45 კგ და ნიკოლეტამ ვაჟიშვილი გაუჩინოს.

**შტერნი**

# ჰოლივუდში სინგაპურელ მოსამსახურესავით ვგრძნობდი თავს



პოპულარული რუსი მსახიობი, სექს-სიმბოლოდ აღიარებული ვლადიმირ მაშკოვი 40 წლის გახდა. მისი ყველაზე პოპულარული ფილმებია: „ქურდი“, „ოლიგარქი“, „იდიოტი“. როგორც ამბობენ, აღარც სვამს და აღარც აურზაურს ტეხს, ეს წელიწად-ნახევარი კი აღარსად ჩანდა — ა. გალიჩის პიესის „მატროსსკაია ტიშინას“ მიხედვით იღებდა სურათს „მამა“. აბრაამ შვარცის როლს იგი ჯერ კიდევ სადიპლომო სპექტაკლში ასახიერებდა, მერე კარგა ხანს ეს სპექტაკლი ოლეგ ტაბაკოვის თეატრ „ტაბაკერკაში“ იდგმებოდა. ვლადიმირ მაშკოვი, რომელსაც სულაც არ სიამოვნებს სექს-სიმბოლოდ მოხსენიება, ჟურნალისტებს შეხვდა.

**— მაყურებლის ყურადღებით განებივრებულს ალბათ ძალიან გაგიჭირდათ ჰოლივუდში, სადაც მსახიობ მაშკოვს არავინ იცნობდა...**

— თავიდან ჰოლივუდში დაახლოებით იმას ვაკეთებდი, რასაც ოდესღაც მოსკოვში, როცა პროვინციიდან ახალი ჩასული ვიყავი. მოსკოვშიც და ჰოლივუდშიც მთავარი იყო, შევძლებდი თუ არა საკუთარი რწმენის შენარჩუნებას წარუმატებლობის შემთხვევაში, ამიტომ ხელმოცარული უკან დაბრუნება ძალიან მძიმეა, ჩემთვის კი საერთოდ მიუღებელია.

**— მოგეწონათ ჰოლივუდი?**

— რა გითხრათ, ყველაფერს ჯაშუშივით ვაკვირდებოდი. იმის მიუხედავად, რომ განსხვავებულ სამყაროში ვცხოვრობთ, ის, რაც გადასაღებ მოედანზე ხდება, მთელ მსოფლიოში ერთნაირია. მსახიობი ყველგან ერთნაირად ცდილობს, სხვისი ცხოვრებით იცხოვროს.

**— ერთხელ თქვით, ინგლისურად სინგაპურელ მოსამსახურესავით ვლაპარაკობო. აგებინებდით ვინმეს?**

— სინგაპურელ მოსამსახურესავით არა, მაგრამ ახლა საუბარიუფრო თამამად შემიძლია.

**— მართალია, თითქოს ახალი ფილმის გამო ისტვუდთან მუშაობა გადადეთ?**

— ჩემი კონტრაქტი არ ამოწურულა. ჰოლივუდში ისევ წავალ დიდ პროექტში მონაწილეობის მისაღებად.

CMYK

# წილი ნაყარია, ჰა ბურთი, ჰა მოედანი...

## მაინის ფრანკფურტში გაიმართა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა

საქართველოს ნაკრები მეორე ქვეჯგუფში მოხვდა, სადაც ჩვენ გარდა კიდევ ექვსი ნაკრები ითამაშებს: თურქეთი, უკრაინა, დანია, საბერძნეთი, ალბანეთი და ყაზახეთი.

ფრანკფურტში გადაწყდა ისიც, რომ ამ გუნდების წარმომადგენლები 28 იანვრიდან 5 თებერვლამდე შეიკრიბებიან სტამბოლში


ოლეგ ბლოხინი

და სწორედ იქ შეთანხმდებიან კალენდარზე.

ამ ჯგუფიდან გასვლა რომ ურთულესი იქნება, ეჭვს არ იწვევს. ამას სჯობდა ერთი უპირობო ფავორიტი გვყოლოდა და დანარჩენებს მეორე ადგილისათვის ებრძოლათ. თავად განსაჯეთ: თურქეთს, დანიას, უკრაინას და საბერძნეთს პირველობის დაახლოებით თანაბარი შანსი აქვთ. ჩვენ და ალბანეთი ერთი დონის გუნდებად მოვიაზრებით, ყაზახეთი კი, კაცმა არ იცის, რა ფეხბურთს თამაშობს და ვის რა სიურპრიზს შესთავაზებს.

ჩრდილოურ გუნდებთან თამაში საქართველოს ნაკრებს ტრადიციულად უჭირს, ასე რომ, დანიასთან ურთულესი მატჩები გველის. საბერძნეთი ჩვენი მეტოქე იყო წინა შესარჩევ ციკლში და ორივე მატჩი მოგვიგო. ამხანაგურ მატჩებში უკრაინამ და თურქეთმაც გვაჯობეს. ალბანელთა გარეშე კი ჩვენი ჯგუფი ველარ წარმოგვიდგენია და მათთან გამართული მატჩების გახსენებით თავს აღარ შეგაწყენთ.

მოკლედ, დაველოდოთ ახალ მწვრთნელს, ჩვენს შანსებზე ლაპარაკი ალბათ მწვრთნელის დანიშვნის შემდეგ უფრო უპრიანი იქნება.

წილისყრის შემდეგ კომენტარები გააკეთეს მეორე ჯგუფში მოხვედრილი ნაკრებების მთავარმა მწვრთნელებმა.


ევროპული გუნდები ჯგუფებში მიხაელ შუმახერმა გაანაწილა

### პირველი კომენტარები

**მარტინ ოლსენი** (დანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): ვფიქრობ, რომ არ გაგვიმართლა, რადგანაც ჩვენ გარდა თითქმის ყველა ქვეყანა ერთი რეგიონიდანაა და ეს დანიის ნაკრებს თავისებურ პრობლემას შეუქმნის მგზავრობასთან დაკავშირებით. ჯგუფში ისეთი მეტოქეები მოხვდნენ, რომელთა თამაშის წინასწარ პროგნოზირება რთულია, ასეთ დროს კი ლოგიკურია დაუგეგმავი ქულების დაკარგვა.

ჩემთვის ცნობილია საქართველოს ნაკრები. ჯერ კიდევ მაშინ, როცა „აიაქსში“ ვმუშაობდი, გუნდში ირიცხებოდნენ შოთა არველაძე და გიორგი ქინქლაძე. მათ გარდა რამდენიმე ქართველ ფეხბურთელსაც გამოვარჩევ — კალაძის, კობიაშვილის და ნემსაძის თამაში რამდენჯერმე მინახავს.

**ოლეგ ბლოხინი** (უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): კენჭისყრის შედეგებით კმაყოფილი ვარ, აქ თანაბარი სიძლიერის გუნდებია თავმოყრილი და ვფიქრობ, რომ ასეთ სიტუაციაში ჩვენს გუნდს აქვს შანსი წარმატებით იასპარეზოს. ბოლოდროინდელი მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჩვენ ცუდად დავცადეთ, როცა ქვეჯგუფში გამოკვეთილი აუტსაიდერია. როგორც წესი, ამ აუტსაიდერთან ვკარგავთ ხოლმე მნიშვნელოვან ქულებს. ამჯერად ჩვენი ნაკრები ნებისმიერ მეტოქესთან შემართებით გამოვა. კარგად ვიცნობ დანიურ ფეხბურთს, რომლის შესაძლებლობები საკმაოდ დიდია. საბერძნეთში რამდენიმე წელიწადი ვიმუშავე და ამ ქვეყნის ნაკრებსაც არცთუ ურიგოდ ვიცნობ, თურქებს, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოხვდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ძლიერი გუნდი ჰყავთ.

ვფიქრობ, ყველაზე სახიფათო მეტოქე ჩვენთვის საქართველოს ნაკრები იქნება, ამ გუნდში თაობათა ცვლა მიდის და ბოლო ხანს კარგად თამაშობენ. ვიცი, რომ გუნდს ახალი მწვრთნელი ეყოლება და თუკი ამ გუნდმა თამაშიააწყო, ქართველთა ტექნიკური არსენალი უპირატესობას მიანიჭებს მათ.

რაც შეეხება ჩვენს პერსპექტივებს, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ჩემი აზრით, პირველი ადგილის დაკავება შეგვიძლია.


ივო შუშაკი

**ჰანს პეტერ ბრიგელი** (ალბანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): ვფიქრობ, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. გამოკვეთილი ფავორიტები არიან თურქეთი და დანია, საბერძნეთმაც შეიძლება სიურპრიზი შემოგვთავაზოს. უკრაინის ნაკრების შესაძლებლობები კი, ბოლოდროინდელი შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეჭვს იწვევს.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ამ გუნდთან დიდი ბრძოლა გადავიტანეთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. დაძაბული ბრძოლები ახლაც იქნება, თუმცა იმედი მაქვს, რომ ამჯერად ჩვენ ორივე მატჩის მოგებას შევძლებთ.

**ივო შუშაკი** (თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი): თანაბარ ჯგუფში მოხვდა საქართველოს ნაკრები. გამოკვეთილი გრანდები ამ ჯგუფში არ არიან, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს დანიელთა დიდი წარმატებები. თურქეთიც არ უნდა ჩამოვწეროთ ნაადრევად. ამ გუნდის პოტენცია დიდია და ალბათ იპოვის რეზერვებს, რაც ისევ ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს ამ ქვეყნის ნაკრებს.: საბერძნეთი საფეხბურთო ქვეყანაა და ბერძნებთან თამაში სტუმრად ბევრ გუნდს უჭირს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრები არამც და არამც არ გახლავთ უშანსოდ. ქართულ ფეხბურთში მოიძებნება რეზერვი, რომლის ამოქმედებაც შეიძლება.

რაც შეეხება ალბანეთსა და ყაზახეთს, საქართველოს ნაკრები მათთან შედარებით, კლასით გაცილებით მაღლა დგას.

ერთი სიტყვით, არ გამიკვირდება, თუკი საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს.

**ევროპიდან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე 51 გუნდი ითამაშებს. პირველადგილოსნები ავტომატურად მოიპოვებენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს, ასეთივე პატივი ერგება იმ ორ მეორეადგილოსანს, რომელთა შედეგიც საუკეთესო იქნება, დანარჩენი ექვსი მეორეადგილოსანი კი ფლეი ოფში გაარკვევს სამი ფინალისტის ვინაობას.**

### ევროპის ქვეყნები ჯგუფებში ასე განაწილდნენ:

| I ჯგუფი | III ჯგუფი | V ჯგუფი | VII ჯგუფი |
|---|---|---|---|
| ჩეხეთი | პორტუგალია | იტალია | ესპანეთი |
| ჰოლანდია | რუსეთი | სლოვენია | ბელგია |
| რუმინეთი | სლოვაკეთი | შოტლანდია | იუგოსლავია |
| ფინეთი | ლატვია | ნორვეგია | ბოსნია |
| მაკედონია | ესტონეთი | ბელარუსი | ლიტვა |
| სომხეთი | ლიხტენშტეინი | მოლდოვა | სან მარინო |
| ანდორა | ლუქსემბურგი | | |

| II ჯგუფი | IV ჯგუფი | VI ჯგუფი | VIII ჯგუფი |
|---|---|---|---|
| თურქეთი | საფრანგეთი | ინგლისი | შვედეთი |
| დანია | ირლანდია | პოლონეთი | ხორვატია |
| საბერძნეთი | შვეიცარია | ავსტრია | ბულგარეთი |
| უკრაინა | ისრაელი | უელსი | ისლანდია |
| საქართველო | კვიპროსი | ჩრდილოეთ ირლანდია | უნგრეთი |
| ალბანეთი | ფარერები | აზერბაიჯანი | მალტა |
| ყაზახეთი | | | |

# ანრი მიშელი თბილისში ჩამოდის

მას შემდეგ, რაც გაირკვა საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, ფეხბურთის ფედერაციას დანაპირების ასრულების დრო დაუდგა, სწორედ ახლა უნდა გადაწყდეს, ვინ უთავკაცებს საქართველოს ნაკრებს.

დაგეგმილი იყო, რომ მწვრთნელობის ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატი ფრანგი ანრი მიშელი ფრანკფურტში უნდა შეხვედროდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას, თუმცა, ეს შეხვედრა გადაიდო.

გავრცელებული ინფორმაციით, ანრი მიშელი და მისი აგენტი თურქი თუთულმუ თბილისში ამ დღეებში ჩამოვლენ და სწორედ აქ გაიმართება მოლაპარაკება.

# რივალდო „სპარტაკში“ გადადის?



რუსულ ფეხბურთში ბოლო ხანს მნიშვნელოვანი სასიკეთო ძვრები მოხდა, ამ ქვეყანაში რამდენიმე ცნობილმა სპეციალისტმა ისურვა მუშაობა. „სპარტაკი“ იტალიელმა ნევიო სკალამ ჩაიბარა, „ცსკა“ კი — არტურ ჟორჟემ, რომლის ხელმძღვანელობითაც 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პორტუგალიის ნაკრებმა შთამბეჭდავი ფეხბურთი აჩვენა.

და აი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოსკოვის „სპარტაკის“ ხელმძღვანელობას „მილანიდან“ წამოსული ბრაზილიელი ვარსკვლავის, რივალდოს შეძენა სურს.

თავდაპირველად, ბევრმა ეს ამბავი მონაჭორად ჩათვალა, თუმცა, „სპარტაკის“ პრეზიდენტმა ანდრეი ჩერვიჩენკომ რივალდოსთან მოლაპარაკების ფაქტი დაადასტურა: „რივალდოს აგენტთან ჩვენს გუნდს აქვს მოლაპარაკება, თუმცა, მოლაპარაკება მდორედ მიმდინარეობს. ამის მიზეზია ის, რომ ნევიო სკალა უნდობლობით ეკიდება ბრაზილიელ ფეხბურთელს, რივალდო კი მოგეხსენებათ, ძვირად ღირებული ფეხბურთელია. ამ საკითხს უახლოეს ხანში დავუსვამთ წერტილს.“ ჯერჯერობით არ გახმაურებულა, რა თანხას სთავაზობს რუსთა „სახალხო გუნდი“ მსოფლიოს ყოფილ საუკეთესო ფეხბურთელს.

თავად რივალდოც არ გამორიცხავს რუსეთის დედაქალაქში გადაბარგებას. ასე რომ, თუ ეს გარიგება შედგა, რივალდო გახდება პირველი სუპერვარსკვლავი, რომელიც რუსეთის პრემიერლიგაში ითამაშებს.

ბრაზილიელის შეძენის სურვილი „სპარტაკის“ გარდა ინგლისის პრემიერლიგისა და ესპანეთის პრიმერადივიზიონის რამდენიმე კლუბმა გამოთქვა. რივალდოს მილანური კარიერა უიღბლო გამოდგა — მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ამ სეზონში კი ფაქტობრივად არც უთამაშია.

# კალაძე დაბრუნდა

ოთხთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი კახა კალაძე მოედანს დაუბრუნდა. „მილანის“ მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ქართველ ფეხბურთელს ენდო და იტალიის თასის გათამაშების მატჩში სასტარტო შემადგენლობაში დააყენა. კალაძემ 68 წუთი ითამაშა და იტალიური პრესის მხრიდან არცთუ ურიგო შეფასება — 6,0 დაიმსახურა. ის მატჩი „მილანმა“ „სამპდორიასთან“ გამართა და 1:0 მოიგო. თამაშის დასრულებამდე 22 წუთით ადრე ჩვენებური ალესანდრო ნესტამ შეცვალა.



როგორც ჩანს, კალაძე ჯერ კიდევ არ არის მზად სრული 90 წუთის სათამაშოდ, თავად კალაძე დარწმუნებულია, რომ მას ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნება არ გაუჭირდება.

შეგახსენებთ, რომ კალაძის არყოფნაში მის პოზიციაზე ყველაზე ხშირად „ლაციოდან“ სეზონის წინ გადმოყვანილი პანკარო თამაშობდა.

# რეხვიაშვილი „ლესტერს“ უმიზნებს

ერთი წლის წინ ლატვიის „სკონტოდან“ წამოსული საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ალეკო რეხვიაშვილი ცაიტნოტში აღმოჩნდა და არცთუ საუკეთესო ვარიანტი აირჩია. მან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა მოსკოვის „ტორპედო — მეტალურგთან“, გუნდთან, რომელმაც ბოლო ტურში „სპარტაკთან“ საკმაოდ საეჭვო მოგებით შეინარჩუნა ადგილი უძლიერესთა შორის. თუმცა, ეს ერთი წელი საკმარისი გახდა იმისთვის, რომ როგორც ფეხბურთელს, ისე გუნდის ხელმძღვანელობას, ერთი დასკვნა გამოეტანათ — რეხვიაშვილი გუნდიდან უნდა წავიდეს, რა თქმა უნდა, თუკი უკეთესი ვარიანტი გამოჩნდება.

რამდენიმე დღის წინ „ტორპედო — მეტალურგის“ მთავარმა მენეჯერმა სერგეი ბელოუსმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ალექსანდრე რეხვიაშვილით ინგლისის პრემიერლიგის „ლესტერია“ დაინტერესებული და უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება.

შეგახსენებთ, რომ ორიოდ წლის წინ ალეკო რეხვიაშვილის პრემიერლიგაში გადასვლის საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იყო — ჩვენებური „ვესტ ჰემს“ მოეწონა და სინჯებზეც მიიწვია. ტრანსფერი კი სწორედ იმ სინჯებისას მიღებულმა ტრავმამ ჩაშალა.

C M Y K

## №48 (374) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 479 რესპონდენტი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 173-მა ქალმა და 301-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რას ელოდებით ახალი ხელისუფლებისგან ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობა ამ ხელისუფლებისაგან ყველაზე მეტად სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ელოდება. მკითხველთა დაახლოებით 38%-მა ეს გრაფა მაქსიმალური — 8 ქულით შეაფასა. **5,83** საშუალო ქულით „სამართლიანი არჩევნების ჩატარება“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე „კორუფციის აღმოფხვრაა“, საშუალო ქულაა 5,47. რესპონდენტთა 16% კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის მოლოდინშია.

„ხელფასებისა და პენსიების ზრდას“ მკითხველთა დაახლოებით 13%-მა დაუწერა მაქსიმალური — 8 ქულა. ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულითაც სწორედ ეს გრაფა შეფასდა — რესპონდენტთა 3%-მა მიაკუთვნა მინიმალური — 1 ქულა.

მკითხველი შედარებით ნაკლებად ელოდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ენერგოკრიზისის დაძლევასა და გადასახადების შემცირებას.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (26%) „გადასახადების შემცირებამ“ დაიმსახურა.

ალბათ, ლოგიკურიცაა, ამ ხელისუფლებამ ხომ სწორედ გაყალბებული არჩევნებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელით მოიპოვა ხალხის მხარდაჭერა.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი 15 წლის თბილისელი **თინიკო ახალაია,** რომელიც ჩვენი აქტიური რესპონდენტი და პრიზიორია (ამჯერად ჟურნალ **„რეიტინგიდან“** ამოჭრილი ბარათის საშუალებით მოიგო პრიზი). მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „გადასახადების შემცირებას“ ერთის ნაცვლად ორი ქულა (მეშვიდე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „ენერგოკრიზისის დაძლევას“ ორის ნაცვლად — ერთი (მერვე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 10 დეკემბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა:**
**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII-VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII-VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI-V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V-IV ადგილებს) და ა. შ. 7-8-მდე (II-I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №49 (375) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვევა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ **მკითხველის რეიტინგსა** და **მკითხველის პრემიაში.**

**№49 (375) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 10 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 11 დეკემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ყადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №49 (375) —
აუცილებელი მახასიათებელი
**თქვენი აზრით, რა არის ქვეყნის პირველი პირისთვის ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№49(375) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | პატრიოტიზმი | |
| 2 | პატიოსნება | |
| 3 | გაწონასწორებულობა/სიდინჯე | |
| 4 | პრინციპულობა | |
| 5 | ინტელექტი | |
| 6 | ჰუმანიზმი | |
| 7 | განათლება | |
| 8 | სასიამოვნო გარეგნობა | |
| 9 | შრომისმოყვარეობა | |

**მკითხველის რეიტინგი**

**შეაფასეთ ჩვენი დღევანდელი ყოფა სხარტი გამონათქვამით (ანდაზით, აფორიზმით...)**

✓ ______________________

______________________

______________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ______ ტელეფონი ______

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათსავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

## დამატებითი კითხვის შედეგები

### როგორ აფასებთ დროებითი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკას?




1. დადებითად 46.9%
2. უარყოფითად 17.6%
3. მიჭირს პასუხის გაცემა 35.5%

***დამატებით კითხვას 440-მა რესპონდენტმა უპასუხა***

# ფოტოანტიკვარი © • ფოტოპალიტრა •



**აბა, ვინ ვარ ახლა მე?**

______________________

**— მინდვრის ყვავილები მიყვარდა, მაგრამ ახლა ვგიჟდები წითელ ვარდზე...**

**გ.ბ.** — დავით, რა გინდოდა ბათუმში, თუ საიდუმლო არ არის?

**დ.თ.** — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ჯარს ვავარჯიშებდი... ყვავილების კრეფაში.

***ავთანდილ წერეთელი, თბილისი***

**გ.ბ.** — ბატონო დავით, ხომ არ მეტყვით რამეს თქვენი გამოცდილებიდან?

**დ.თ.** — ძალიან ცოტა ილაპარაკე და რასაც გეტყვიან, ერთ ყურში შეუშვი და მეორედან გაუშვი.

***რეზო სვანიძე, თბილისი***

**დ.თ.** — აიღებ „რაგატკას“, წეპავ, თვალებშუა და მეყოლე ვარდივით!

***ბეჟანი, თბილისი***

**დ.თ.** — გიორგი, თქვენ ისე მოგივიდათ, ჯერ ამხელაზეო, მერე კი (მარცხენა ხელით) — ამხელაზეო.

***კ. თაყაიშვილი, ბორჯომი***

**სტრატეგია-ტაქტიკის გაკვეთილი**

**დ.თ.** — როგორ არის რუსულად დათვი?

**გ.ბ.** — „მიშა“.

**დ.თ.** — „მიშა“ კი არა, „მიშკა“, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. მოკლედ, ეგ „მიშა“ თუ „მიშკა“ რომ მოგერევა, „ბაბა“ უნდა დაუძახო...

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***



**დავით თევზაძე, გიორგი ბარამიძე**

**დ.თ.** — ოჰ, კლაუდია, შენი...

**გ.ბ.** — ?!

**დ.თ.** — კლაუდია შიფერი დამესიზმრა. მითხრა: ჩაჩოჩდი, ჩამომაწვინეო. მეც ცოტათი ჩავიჩოჩე და ლოგინიდან გადმოვვარდი!

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

C

## ფოტო განწყობისთვის



— ამ ზღარბმა რომ გადამირბინოს, დავითარსებ?..



მოხუცი კაცი ექიმს შესჩივის,
— მარცხენა ფეხი მაწუხებსო.
— რას იზამთ, ბატონო, ასაკის ბრალია.
— ვითომ მარჯვენა ფეხი მარცხენაზე ახალგაზრდაა?

**8/XII** ○ **ახალი მთვარე**

**მაგნიტური დღეებია:**
10/XII 02-დან 04 საათამდე
12/XII 12-დან 14 საათამდე
15/XII 04-დან 07 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. გონდოლა; 4. კურიოზი; 6. „დიორი"; 7. იდენი; 8. აფსნი; 9. იუნგა; 10. იუმორი; 13. აფექტი; 16. „სეიკო"; 18. მუზეუმი; 19. ნიამორი; 20. „ოტელო"; 22. ემისია; 23. ჰამაკი; 25. ჟოკეი; 27. ლილვი; 28. ტეტია; 29. ნარდი; 30. ორატორი; 31. აბაჟური.

**შვეულად:** 1. გარნიტური; 2. ადმირალი; 3. კომერსანტი; 4. კირილიცა; 5. ინდოსტანი; 11. მაზლი; 12. რაული; 14. ფიალა; 15. ქსოვა; 16. სიო; 17. ონო; 21. ესკალატორი; 22. ესკამილიო; 24. ინციდენტი; 25. ჟელატინი; 26. ირიგაცია.





**თარაზულად:** 1. წყალხმელეთა ცხოველი; 4. განსაკუთრებული ნიჭი; 6. ძვირფასი სანაკეთობო ქვა, რომელიც უმთავრესად ბალტიის ზღვის აუზში მოიპოვება; 7. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 8. რიტმული მოძრაობის ერთ-ერთი სახე; 9. წმინდა გამარჯვება ძიუ-დოში; 10. პატარა მგალობელი ჩიტი; 13. თუ იცნობთ 180 კგ-იან მსახიობში ორგზის ოსკაროსან, მთავარი როლების შემსრულებელს ფილმებში: „ტრამვაი, სახელად „სურვილი", „უკანასკნელი ტანგო პარიზში", „ნათლია" და მრავალი სხვა; 16. თბილისის ყოფილი №2 თამბაქოს ფაბრიკის პოპულარული სიგარეტი; 18. დიდი, საზეიმო ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები; 19. ჭამის დაუოკებელი სურვილი; 20. დავით კლდიაშვილის ნაწარმოების გმირი; 22. სახის მიმიკის შესუსტება ან მოშლა; 23. ბესარიონ გაბაშვილი; 25. ქსოვილი ბილიარდის მაგიდაზე; 27. პურეული მცენარე; 28. მორიალე (ლანდი), ანუ... 29. იაფის ანტიპოდი; 30. ერთი ან რამდენიმე ბგერის მოკვეცა, რომელიც ძალიან უყვარს გიორგი გაჩეჩილაძეს („მომეცის" ნაცვლად „მომე"); 31. სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში.

**შვეულად:** 1. ვახტანგ I; 2. ბრიტანული ქალაქი მე-12 საუკუნის უნივერსიტეტით; 3. ქვეყნიერების დასასრული; 4. ჩვენს დრომდე მოღწეული რელიქტური მწერი; 5. პირი, რომელიც ვინაობას მალავს; 11. შოტლანდიის გუნდი, რომელშიც ქართველი ფეხბურთელები თამაშობდნენ; 12. სუსტი ქარი; 14. ავსტრიელი პოეტი, რომელსაც ეთაყვანებოდნენ პასტერნაკი და ცვეტაევა; 15. კუტიურიეს „იარაღი"; 16. წილი საერთო საქმეში; 17. იაპონელი მწერალი: „სხვისი სახე", „ქალი ქვიშაში", „საკურა" და სხვ.; 21. სურათი მხატვრულ ნაწარმოებში; 22. სასწავლო ოთახი უმაღლეს სასწავლებელში; 24. ავადმყოფობის ფარული პერიოდი; 25. „აგენტი №0013"; 26. არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს მიმსგავსებული.

**შეადგინა რამაზ ალანია**

## მოზაიკა

### იშვილებს კი კრუზს ყოფილი ცოლი?



კვლავ გავრცელდა ხმა, — ტომ კრუზსა და პენელოპა კრუსს ისევ გაურთულდათ ურთიერთობაო. ბოლო დროს შეყვარებულები წვეულებებზე ცალ-ცალკე დადიან. თავად ისინი ამას ასე ხსნიან, — ჩვენ სხვადასხვანაირი სამუშაო გრაფიკი გვაქვსო. ნაცნობ-მეგობრები კი ამბობენ, მათ ერთმანეთისგან დასვენება გადაწყვიტესო. ახლახან ტომმა ინტერვიუში განაცხადა: „ყოველთვის მიყვარდა ნიკი და მეყვარება. აღფრთოვანებული ვარ იმით, თუ როგორ დედობას უწევს ჩვენს შვილებს. ძალიან მინდა, ერთ-ერთი მათგანი ვიყო".

ნეტა, თუ იშვილებს ნიკოლ კიდმანი ყოფილ მეუღლეს და თუ მოუვლის აყვანილი ბავშვების მსგავსად?

### მადონა არ ხუმრობს!



წიგნის, „ინგლისური ვარდები", გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც მილიონიანი ტირაჟით დაიბეჭდა და მსოფლიოს 100 ქვეყანაში იყიდება, მადონას განზრახული აქვს, დაიწყოს სათამაშოების გამოშვება, რომლებიც განასახიერებენ მისი ლიტერატურული შედევრების გმირებს. სათამაშოების გარდა, მაღაზიების თაროებზე გამოჩნდება მადონას ფირმის ტანსაცმელი, საკანცელარიო საქონელი, კოსმეტიკა და სხვა. მომღერალი ყოველთვის იყო ცნობილი დიდი კომერციული ნიჭითა და მონდომებით.

იყიდება მომღერლის მეორე წიგნიც, „მისტერ აიბოლის ვაშლები", ხოლო მალე შეუდგება მესამე წიგნის დაწერას. ასე რომ, სათამაშოების და საკანცელარიო ნაწარმის ფაბრიკები უმუშევრად არ დარჩებიან.

მერე რა, რომ პოპ-ვარსკვლავის ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებს საკმაოდ გულგრილად შეხვდა საზოგადოება?!

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

**(49)** **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______

______

______

______

______

______

**სიტყვა და საქმე**

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№49 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 11 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".

შავი ყვითელი ლურჯი წითელი